პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ს. ს. ს. რ.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო და
ტფილ. აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება

ე. ი. ჯანდიერი

# ბინები
## საქართველოს ქალაქებში

სრულიად საქართველოს ქალაქთა
მოსახლეობის 1922 წლის 30
ნოემბრის აღწერით.

ნაწილი I

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის გამოცემა

ტფილისი 1925

## სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს სარედაქციო კოლეგიის 1924 წლის 21 ივლისის დადგენილება:

,,განიხილა რა ამხ. ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი ს შრომა: ,,ბინები საქართველოს ქალაქებში'', სარედაქციო კოლეგია აღნიშნავს, რომ ამ შრომის გამოქვეყნება სრულიად მიზანშეწონილია და დროული. 1922 წლის საქალაქო აღწერის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ბინებს, საკმაოდ არის გაშუქებული და შესწავლილი ციფრობლივი თვალსაზრისით.''

მთავლიტი 2089 ტირაჟი 1000

პოლიგრაფტრესტის მე-2-რე სტამბა ლენინის ქუჩა № 3.

# წინასიტყვაობა.

საბინაო საკითხი ერთი მეტად სერიოზული და მწვავე საკითხთაგანია არა მარტო ჩვენში, არამედ ევროპის ყველა ქალაქშიც.

საცხოვრებელი სივრცის ზრდა მეტად ჩამორჩა ქალაქის მოსახლეობის ზრდას. საცხოვრებელი სივრცის კრიზისმა დედამიწის ყველა მსხვილ ქალაქში უკიდურეს წერტილს მიაღწია.

და ეს კრიზისი არა თუ არ ნელდება, პირიქით, დღითი-დღე უფრო და უფრო მწვავდება სახლთ-მშენებლობის შეწყვეტისა ან მისი სუსტი ტემპის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ფრიად საინტერესოა, იგი, სამწუხაროდ, ჩვენ მიერ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

საბინაო საკითხის შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქთა ამშენებლობის ზრდისა, არამედ ჰიგიენურის თვალსაზრისითაც.

საღი კულტურის ჰიგიენური ნორმით უზრუნველყოფილი ბინა საუკეთესო პროფილაქტიკაა, საუკეთესო ჰიგიენური საშუალებაა ყოველნაირი ავადმყოფობის თავიდან ასაცდენად.

სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ მომაკვდაობის დიდ რიცხვს უფრო იმ ადგილებში აქვს ადგილი, სადაც მოსახლეობა უფრო მეტად არის შემჭიდროებული, სადაც საბინაო კრიზისი უფრო გამწვავებულია.

ამასთან ჰიგიენურის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს შენობათა ხასიათს, მათ გეგმას.

თანამედროვე ქალაქი ქვის უზარმაზარი ყუთია აუარებელი განყოფილებით, სადაც მოსახლეობაა მოთავსებული.

სწორედ არის თუ არა ყუთში განყოფილებები განაწილებული, როგორ სცხოვრობს იქ მოსახლეობა, ჰყოფნის თუ არა ჰაერი?..

ეს საკითხები ჩვეულებრივ საკითხებად ვერ ჩაითვლებიან.

მაღალი, ცამდე აზიდული სახლები, ქუჩის სიგრძეზე რომ გამწკრივებულან და სწორ ვენტილიაციის ხელს უშლიან, ყოველს მოწყობილე-

ბას მოკლებულნი. არა ნაკლებად საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვიდრე ბინის-სივიწროვე.

აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ყველა ამ საკითხის შესწავლას, ჩვენი ბინების დეფექტების სწორ აღრიცხვას და მფლობელობათა და ბინათა ყველა დადებითის და უარყოფითი მხარის მზის სინათლეზე გამოტანას.

ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერა, რომელშიაც მოჰყვნენ აგრეთვე მფლობელობანი და ბინები, მეტად ძვირფას მასალას შეიცავს.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოსა და ტფილისის სტატისტიკური განყოფილების მიერ დამუშავებული ცნობები ხსენებული აღწერისა საუკეთესო მასალას იძლევიან საქართველოს ბინათა პირობების შესასწავლად.

აღწერის შედეგთა დამუშავების ერთ-ერთი ხელმძღვანელის ე. ი. **ჯანდიერის** მიერ შედგენილი ტექსტი და დამუშავებული მასალა შეიძლება გახდეს ძვირფას განძად ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში, რომელიც ნათელს ჰფენს საბინაო საკითხს საქართველოში.

**ს. ს. ს. რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მმართველი და ტფილისის ალმასკომის სტატ.-განყოფ. გამგე არ. რუხაძე.**

# ავტორისაგან.

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერა მეტად ძვირფას და სრულიად ახალს მასალას იძლევა ქალაქთა ბინების მშენებლობითი, მათი სანიტარული პირობების და მრავალ სხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ეს მხარე, საზოგადოდ, არა მარტო საქართველოს ქალაქებში, არამედ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს ქალაქებშიაც თითქმის ხელუხლებელი და შეუსწავლელია.

ჩვენ კარგათ გვესმის დაწყებული საქმის მთელი სირთულე და სიძნელე: ბინათა საკითხის სრულსა და დაწვრილებითს გაშუქებას მრავალი ტომი მოუნდებოდა.

ამიტომაც წიგნში ცალკე ქალაქების შესახებ ცნობები ცალკეა მოყვანილი, სხვათა შორის, იმ აზრითაც, რომ სათანადო ქალაქების დაწესებულებებმა შესძლონ გამოიყენონ ეს ცნობები. რაც შეეხება ამ მასალის შესწავლა-გაშუქებას, ჩვენ მხოლოდ საქართველოს სხვა და სხვა ნაწილის და ზოგიერთი მსხვილი ქალაქის შესახებ მოვახდინეთ.

ბინის საკითხის უფრო სავსებით გასაშუქებლად შესავალში მოყვანილია საქართველოს მოკლე ისტორიაც. ამ ისტორიის გაცნობა აუცილებელია, ვინაიდან, როგორც ვიცით, ქართველ ხალხისათვის მშენებლობაზე ფიქრი იმ აუტანელ პირობებში, რომელსაც ის წარსულში განიცდიდა, მეტის მეტად ძნელი იყო, და, ცხადია, ჩვენი ბინების მოუწყობლობის და მათი ანტი-სანიტარული პირობების მიზეზი უმთავრესად ქართველი ხალხის წარსულ ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ.

1922 წლის აღწერით მიღებული მასალა ბინათა მდგომარეობის შესახებ ორ ნაწილად გამოვა. ჩვენ წინ მდებარე წიგნი პირველი ნაწილია.

მეორე ნაწილში გავეცნობით შემდეგ საკითხებს:

1) ბინები დღის განათების მიხედვით, 2) ბინები გათბობის საშუალებათა მიხედვით, 3) ბინები შუშაბანდიანი და უშუშაბანდო, 4) ბინების პატრონთა ეროვნული შემადგენლობა, 5) ბინების პატრონთა პროფესიონალური შემადგენლობა, 6) ბინების მდგმურთა ეროვნული შემადგენლობა და 7) ბინები თავიანთ დანიშნულებათა მიხედვით.

ასეთია შინარსი, საერთოდ, ბინის საკითხის ირგვლივ 1922 წლის აღწერით მიღებული მასალისა.

ეს შრომა, რამდენადაც ვიცით, პირველია, რომელიც ჩვენში ბინის საკითხს აშუქებს, და, როგორც ასეთი, ცხადია, იგი ვერ იქნება სავსებით უდეფექტო.

მაგრამ ავტორს იმედი აქვს, რომ ამ პირველ ცდას სხვები გამოეხმაურებიან და აღწერის დანარჩენი მრავალი საკითხის გაშუქებაში თავიანთის მონაწილეობით წინ წასწევენ და უფრო გააღრმავებენ აღწერის შედეგთა შესწავლის საქმეს.

დასასრულ, უღრმესი და გულწრფელი მადლობა ა/კ ს.ც.ს. მმართველს გ. მ. გრიგორიანს, რომლის მიერ განხილულ და დამტკიცებულ იქნა პროგრამა, საქ.ს.ც ს. მმართველს და ტფილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების გამგეს ა. გ. რუხაძეს, რომლის რედაქტორობითაც გამოვიდა ეს წიგნი, და ი. ხ. აგლაძეს, რომელიც ამ წიგნის ქართული ენის გაშალაშინებაში დაეხმარა.

ქ. ტფილისი
1925 წ. იანვრის 31.

# შესავალი.

ისტორიული წყაროები გვიჩვენებენ, რომ ქართველი ტომები უეძველეს დროს მცირე აზიაში სცხოვრობდნენ და მხოლოდ შემდეგში თანდათან ჩრდილოეთისაკენ წამოიწიეს და ამიერ-კავკასიის მიწა-წყალი დაიმკვიდრეს.

კავკასიაში პირველად მოსულან ჯერ აფხაზები—აფშილები, სვანები, თუშები, მთიულები, შემდეგ—კოლხები და კასხები.

„თუ ურარტელების ენა მართლა ქართული ჯგუფის ენა გამოდგა, მაშინ,— ამბობს პრ. ივ. ჯავახიშვილი.—„პროფესორ ვირხოვის თარიღი, ვითომ ქართველები მე-X საუკ. (ქრ. წ.) შემდეგ უნდა მოსულიყვნენ კავკასიაში, ცრუვდება. ასურულ წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ ურარტელებს მე-IX-VIII საუკ. ძლიერი სახელმწიფო ჰქონიათ, მაშასადამე, ადგილობრივ ბინადრობა დიდი ხანია მოკიდებული უნდა ჰქონოდათ და მე-X-ზე გაცილებით ადრე უნდა მოსულიყვნენ."

მეოთხე საუკუნის დამლევს ქ. წ. მცხეთის მხარეში დაარსებული საკმაოდ ძლიერი ცენტრი „ქართუ-ელი", რომელმაც შეაერთა ყველა დაფანტული ქართველი თემი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და კავკასიონის ქედიდან მდინარე არეზამდე, პირველ საუკუნეში (ქრ. წ.) უკვე სამ სამეფოდ გაიყო: კოლხიდად, იბერიად და ალბანიად.

წარმოების უმთავრესი დარგი იბერიაში მიწის მუშაობა იყო, ალბანიაში— მეჯოგეობა, ხოლო კოლხიდაში, მიწის მუშაობასთან ერთად,—მრეწველობა და აღებ-მიცემობა.

კულტურულად კოლხიდასა და იბერიას პირველი ადგილი ეჭირათ; ალბანია კი ძლიერ ჩამორჩენილი იყო.

სტრაბონი, თავის გამოკვლევების თანახმად, ამბობს, რომ „იბერიაში ბლომადაა ქალაქები და სხვა საცხოვრებელი ადგილები, ასე რომ იქ თქვენ შეხვდებით აგურის სახურავებს, ხელოვნების წესზე აგებულ სახლებს, სავაჭრო ადგილებს და საზოგადო შენობებსაო".

I-ლ საუკუნიდან მოყოლებული მე-VII საუკუნემდე (ქრ. შ.) საქართველო სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გამწვავებულ ბრძოლასა და ქიშპობაში დაილია.

ამ ხნის განმავლობაში საქართველო ორ სამეფოდ იყო გაყოფილი: ლაზიკად და იბერიად, რომელმაც 532 წელს თავისუფლება დაჰკარგა და 627 წლამდე თითქმის განუწყვეტლივ სპარსეთის ხელში იყო.

დასავლეთი საქართველო განსაკუთრებით ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო, ხოლო აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ამასთანავე, როგორც იბერიაში ბიზანტიელების კულტურა იყო ძლიერი, ისე ლაზიკაში სპარსეთის კულტურასაც ჰქონდა გზა გაკვლეული.

ლაზიკაში მწერლობა არსებობდა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდნენ თურმე.

ლაზიკა მჭიდროთ ყოფილა დასახლებული, განსაკუთრებით მდ. რიონის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი. სამხრეთის მოსახლეობა, განუწყვეტელი ომიანობის გამო, თხლად იყო დასახლებული. ციხე-ქალაქებიც ბლომად არსებობდა ლაზიკაში; სხვებზედ უფრო თვალსაჩინოდ ითვლებოდნენ ძველი ქალაქი, ფაზისი (ფოთი), ვარდციხე, ონოგური, წიბელი, სკანდა და შოროპანი. მუხისის სანახებში იყო ციხე ქუთაისი. ყურადღებისა ღირსია, რომ მაშინ ქუთაისი ჯერ დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქად არ ითვლებოდა და აქ მარტო მაგარი ციხე ყოფილა. კოლხეთის ანუ ლაზიკის პირველ და უდიდეს ქალაქად, მაშასადამე, დედა-ქალაქად „ძველი-ქალაქი“ ანუ („ნაქალაქევი?“) იყო ცნობილი.

იბერიას მთელი აღმოსავლეთი საქართველო ჰკუთვნებია. იბერიის დედაქალაქად უძველეს დროს, როგორც ვიცით, მცხეთა იყო. სტრაბონის აღწერილობაში ტფილისი არცკია მოხსენებული. შემდეგ კი სატახტო ქალაქად ტფილისი გახდა.

თვით ქალაქის დაარსების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში გარკვეული და ერთგვარი ცნობა არ მოიპოვება. ჯუანშერის სიტყვით ტფილისის აგება ვახტანგ გორგასარს დაუწყია.

მეექვსე საუკუნიდან მაინც და მაინც ტფილისია დედა-ქალაქად.

ამავე პერიოდში ცნობილია კიდევ შემდეგი ქალაქები: თელავი, თიანეთი, და სხვა; უძველეს დროიდან—ახალციხე, რომლის აშენების შესახებ ცნობები ჯერ-ჯერობით არ მოიპოება; ახალქალაქი—300 წლიდან (ქრ. წ.); რაც შეეხება ბათომს. მისი აგება ეკუთვნის რომაელთა გაძლიერების დროს.

მე-VII საუკუნიდან მოყოლებული უკვე საისტორიო თხუზულებებში ჩვენ გვხვდება შემდეგი ქალაქებიც: გორი, ველის-ციხე, ლაგოდეხი, ყულევი და სხვა, რომელთა აგების შესახებ საისტორიო წყაროებში გარკვეული ცნობები ჯერ-ჯერობით არაა.

მე-VII საუკუნიდან იწყება საქართველოსათვის აუტანელი ტანჯვა-ვაება.

საქართველოს მატიანე საშინელებით აგვიწერს იმ დარბევას, რომელიც საქართველოში არაბთა სარდლებმა მოახდინეს. ხალხმა თავისი სახლ-კარი მიატოვა და მთის ხევებში დაიმალა.

მე-IX საუკუნემდე ტფილისი არაბთა ემირების რეზიდენცია იყო.

მე-X საუკუნის მიწურულში კი არაბთა ბატონობა თანდათან სუსტდება და საქართველოს თანდათან გამოცოცხლება დაეტყო.

მე-XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ოსმალები შეესივნენ. ამიერ-კავკასიის განადგურებისა და ტფილისის, ანის, არზრუმისა და ყარსის აღების შემდეგ, ოსმალები მტკვრის, ივრისა და ალაზნის ნაპირების დაბლობებში დამკვიდრდნენ.

აყვავებული არე-მიდამოები ფერფლად აქციეს. მთელი მხარე უდაბნოს დაამსგავსეს. მცხოვრებნი მთებში და გამოქვაბულებში გაიხიზნენ.

მაგრამ შემდგომ ხალხმა მაინც შესძლო ძალ-ღონე მოეკრიფა და ოსმალები საქართველოდან განედევნა. საქართველო მე-XI და მე-XII საუკუნეებში თან-

დათინ განთავისუფლდა და მოღონიერდა, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად და ეკონომიურად.

მე-XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს საზღვარებში მთელი კავკასია შედიოდა, ჩრდილოეთი პროვინციები სპარსეთისა და აღმოსავლეთი თემები ანატოლიისა.

მთელი ტერიტორია იმ დროინდელი საქართველოსი უდრიდა 505.327 კვადრატიულ კილომეტრს. ამნაირად, თუ საქართველოს მაშინდელი ტერიტორიის სივრცეს შევადარებთ ევროპის თანამედროვე სახელმწიფოების ტერიტორიას, დავინახავთ შემდეგს: საფრანგეთს უჭირავს 550.956 კვ. კილომ., გერმანიას—454.886, დიდ ბრიტანეთს და ირლანდიას ერთად—314.377, იტალიას—308.579, ხოლო თანამედროვე საქართველოს 57.967 კვადრ. კილომ. ამნაირად, ჩამოთლილ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიალურად მხოლოდ საფრანგეთი სჭარბობს იმ დროინდელ საქართველოს, დანარჩენი სახელმწიფოები უკვე ნაკლებნი არიან ტერიტორიალურად.

მთელ საქართველოში დაახლოვებით 12—15 მილიონი მოსახლეობა ირიცხებოდა, აქედან ქართველი 6.000.000-მდე მაინც იქნებოდა.

მე-XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო მოსახლეობის რიცხვით სჭარბობდა ევროპის ზოგ სახელმწიფოს. სახელდობრ: საფრანგეთს, ავსტრიას, იტალიას, ესპანიას და ინგლისს.

მე-XIII საუკუნეშივე საქართველოს თურქები-სელჯუკები შეესივნენ, ხოლო 1226 წელს იგი სპარსელებმა მთლად გაანადგურეს. 1235 წელს კი მრისხანე მონგოლებმა დაიპყრეს საქართველო და მე-XIV საუკუნის ნახევრამდე ბატონობდნენ აქ. მონგოლებისაგან განთავისუფლებულ საქართველოს მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში ექვსჯერ შეესია თიმურ-ლინგი და გაანადგურა. მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში კი საქართველო სამ სამეფოდ გაიყო; ეს სამეფოები იყვნენ: ქართლი, კახეთი და იმერეთი.

ამის გარდა, საქართველოს კუთხეებში პატარ-პატარა სამთავროები გაჩნდნენ (ასეთები იყვნენ: სამეგრელო, გურია, სვანეთი, სამცხე).

ამ დაქუცმაცებამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა საქართველოს დამოუკიდებლობას. მე-XVI საუკუნეში საქართველოს შეესივნენ ოსმალოები და სპარსელები. მათ დაარბიეს საქართველო და მის წინააღმდეგ ლეკებიც აამხედრეს.

საქართველოს დარბევაში ოსმალოები და თურქები ერთმანეთს ეცილებოდნენ. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. საქართველო თანდათან ნადგურდებოდა. უძველეს პროვინციებში მუსულმანობამ მოიდგა ფეხი: საუკუნეებით მონობაში ყოფნამ გახრწნა ხალხი და სრულიად გაალატაკა. ომებმა, შიმშილმა და ტყვეობამ მთელი მხარე უდაბნოდ გადააქცია.

მე-XVIII-ის მეორე ნახევარში ქართველებმა ერთხელ კიდევ მოიკრიფეს ძალ-ღონე და მტრებს ემგერენ, მაგრამ საქართველოს ჭრილობას ღრმა მიზეზები ჰქონდა.

ეს კარგად ესმოდა ირაკლის: მან მოკავშირეს დაუწყო ძებნა და თავის არჩევანი რუსეთზე შეაჩერა. ამან საქართველოს მოსაზღვრე მუსულმან მთავართა შორის დიდი შიში დაბადა. საშინელების მოლოდინში ამათ საქართველოს წინააღმდეგ სპარსეთის შაჰი აამხედრეს. ამ უკანასკნელმა სასტიკად გაანადგურა საქართველო და საძირკვლიანად დაანგრია ტფილისი. ხალხი ზოგი მთაში —

ხიზნა, ზოგი დაიხოცა, ხოლო მრავალი ტყვეთ იქმნა წაყვანილი. ირაკლის მემკვიდრეს უკვე განადგურებული სამეფო ერგო. გიორგის არც მატერიალური და არც სხვა საშუალება არ მოეპოვებოდა ლეკების ასალაგმავად, რომელნიც თავხედურად თავს ესხმოდნენ და ძარცვამდნენ საქართველოს. მან ერთად ერთ საშუალებად საქართველოს დასახსნელად რუსეთთან შეერთება დასახა. აკი ამიტომაც 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო.

რუსეთთან შეკრულ კავშირისა და მფარველობის ერთად-ერთ მიზანს საქართველოსათვის ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლისა და დამოუკიდებლობის ხელშეუხლებლობა შეადგენდა, რაიც თვით ხელშეკრულობაშიაცაა შეტანილი.

მაგრამ ყველამ კარგათ ვიცით, თუ რა მოხდა 1801 წელს და მის შემდგომ, ე. ი. რუსეთის თვითმპყრობელობის დროს.

ეს ხანა ჩვენთან ახლოსაა. ის უკვე საკმაო წყაროებით და გამოკვლევებით არის გაშუქებული.

ამნაირად, ამ მოკლე მიმოხილვეიდან ცხადად დავინახეთ, თუ რა მძიმე იყო საქართველოს მიერ გავლილი ისტორიული გზა. მას არასდროს არ ჰქონია ხანგრძლივი მოსვენება, რომ შესდგომოდა იმ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელსაც მას ისტორია ავალებდა. ომებსა და შფოთში აღმშენებლობაზე ფიქრი ძნელი საქმე იყო. მაგრამ მაინც მტრის მიერ დანგრეულ ქალაქებს ქალაქები სცვლიდნენ, სოფლებს-სოფლები.

განცდამ განსაკუთრებული გამძლეობის დაღი დაასო ქართულ სულს. ქართველმა საკმაოდ მდიდარი კულტურა შექმნა, ქარ-ცეცხლში გაატარა და დღემდე მოიტანა. საერთო ძალ-ღონით, შეერთებული აღფრთოვანებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავის არსებობის გრძელ გზაზე დაღლილი პატარა ერი დაისვენებს და თავის სულიერ და მატერიალურ განძს კიდევ უფრო და უფრო განავითარებს.

ეს განვითარება მატერიალურ და კულტურულ ძალთა აღრიცხვასაც გულისხმობს.

არა ერთხელ ნაცარ-ტუტად ქცეული საქართველოს ქალაქები და სოფლები, ჩვენი ქვეყნის მანძილზე საყურადღებო კულტურულ ადმინისტრატიულ და ეკონომიურ ცენტრებად გადაქცეულნი, დღეს ჩვენი აღწერა-გამოკვლევის საგანს შეადგენენ. ასეთ აღწერას წინეთაც ჰქონია ადგილი, მაგრამ ძველი დროის პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებში იგი არ იყო სრული და უნაკლულო. 1922 წლის აღწერა კი ამ მხრივ მეტად დამაკმაყოფილებელია და მის შედეგებს მომავალი აღმშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. სწორედამიტომ დავისახეთ მიზნად აღწერის შედეგების ნაწილობრივ მაინც გაშუქება და მცირე წვლილის შეტანა იმ აღმშენებლობით მუშაობაში, რომელიც ჩვენს წინ იშლება.

# თ ა ვ ი I.

## 1. ს ა ე რ თ ო  ც ნ ო ბ ე ბ ი.

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერა 36 ქალაქს და ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილს შეეხო. ეს პუნქტებია: *)

1) **აღმოსავლეთ საქართველოში:** ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, გორი, დუშეთი, ველისციხე, თელავი, თიანეთი, ლაგოდეხი, ლიუქსენბურგი, სიღნაღი, სურამი, შულავერი, ხაშური და ტფილისი;

2) **დასავლეთ საქართველოში:** ანაკლია, ზესტაფონი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ონი, სამტრედია, სენაკი, ტყიბული, ფოთი, ქუთაისი, ყულევი, ცაგერი, ჭიათურა და ხონი;

3) **აჭარაში:** ბათომი;

4) **აფხაზეთში:** გუდაუთი, ოჩამჩირე, გალი და სოხუმი;

5) **სამხრეთ ოსეთში:** ცხინვალი.

სანამ უშუალოდ ქალაქებში ბინის მდგომარეობის გაშუქებას შეუდგებოდეთ, აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია უმთავრესს ქალაქების ტოპოგრაფიულისა და კლიმატიური პირობების ხანგრძლივ დაკვირვებათა შედეგებსაც გავეცნოთ.

ამ პირობების გაცნობა მით უმეტეს საჭიროა, რომ მათ ახლო მიზეზობრივი კავშირი აქვთ მოსახლეობასთან, ბინათა და მცხოვრებლობათა სანიტარულ პირობებთან და, საზოგადოდ, აღმშენებლობით საკითხთან.

**დაუკვირდეთ ქვემო მოყვანილ ტაბულას:**

| უმთავრესი ქალაქები | ჩრდილოეთის განედი | აღმოსავლეთ. გრძედი გრინვ. მერიდიანით | სიმაღლე ზღვის დონიდან მეტრებში | ტემპერატურა C—ით: წლიური საშუალო | ტემპერატურა C—ით: მინიმალური | ტემპერატურა C—ით: მაქსიმალური | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 1. ახალქალაქი | 41 25 | 43 29 | 1715 | 5,7 | -7,8(იანვ.) | 17,2 | ივლისი |
| 2. ბორჯომი. . | 41 51 | 43 24 | 794 | 9,3 | -2,6 | 20,4 | ივლისი |
| 3. გორი | 41 59 | 44 07 | 600 | 10,9 | -2,1 | 22,8 | ივლისი |
| 4. ტფილისი | 41 43 | 44 48 | 404 | 12,6 | 0,1 | 21,2 აგვის. ივლისი | |

*) ქალაქური ტიპის დასახლებული ადგილებია: ველისციხე, თიანეთი, ლაგოდეხი, ლიუქსენბურგი, ტყიბული და ცაგერი.

| უმთავრესი ქალაქები | ჩრდილოეთის სიგანე | აღმოსავლეთ. სიგრძე გრინ. მერიდიანით | სიმაღლე ზღვ. ზედაპირიდან მეტრობით | ტემპერატურა C-ით: წლიური საშუალო | მინიმალური | | მაქსიმალური | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | | |
| 5. ქუთაისი | 42 17 | 42 42 | 150 | 14,7 | 4,4 | | 24,4 | ივლისი |
| 6. ოზურგეთი | 41 56 | 42 00 | 72 | 13,8 | 4,4 | | 23,0 | ივლისი |
| 7. ფოთი | 42 08 | 41 40 | 8 | 14,5 | 5,2 | | 23,7 | ივლისი |
| 8. ტყვიბული. | 42 21 | 42 59 | 537 | 12,5 | 2,2 | „ | 22,2 | ივლისი |
| 9. ჭიათურა | 2 18 | 43 18 | 339 | 13,2 | 1,8 | | 23,9 | ივლისი |
| **III. აჭარა:** | | | | | | | | |
| 10. ბათომი. | 41 40 | 41 38 | 3 | 14,5 | 6,1 | „ | 23,5 | აგვისტო |
| **VI. აფხაზეთი:** | | | | | | | | |
| 11. სოხუმი. | 42 58 | 40 55 | 15 | 14,3 | 5,1 | „ | 24,1 | აგვისტო |

როგორც აქედან სჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები ზღვის ზედაპირს გაცილებით აშორებულნი არიან, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ქალაქები უკანასკნელნი კი ზღვის ზედაპირიდან აჭარისა და აფხაზეთის ქალაქებზე უფრო მაღლა არიან.

შესაბამისად წლიურ საშუალო ტემპერატურაშიაც სხვაობა არსებობს ამ ქალაქებს შორის. დასავლეთ საქართველოს ქალაქებში წლიური საშუალო ტემპერატურა (C-ით) აღმოსავლეთ საქართველოზე მაღალია. აქ მხოლოდ ტფილისსა და გორშია შედარებით მაღალი ტემპერატურა: პირველში—12,6°, მეორეში—10,9°, მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ქალაქებში წლიური საშუალო ტემპერატურა უდრის: ქუთაისში—14,7°-ს, ფოთში—14,5°, ოზურგეთში—13,8°, ჭიათურაში—13,2° და ტყვიბულში—12,5°.

აჭარა-აფხაზეთის ქალაქებში ბათომის წლიური საშუალო ტემპერატურა 14,5°-ს უდრის, სოხუმისა—14,3°-ს.

ამნაირად, რაც უფრო ქალაქი დაშორებულია ზღვას, მით უფრო დაბალი საშუალო წლიური ტემპერატურაა, ხოლო რაც მახლობლადაა ზღვასთან. მით უფრო მაღალი.

აქედან გამომდინარეობს ამშენებლობით-ტეხნიკური პირობების სხვაობაც აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის, ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით—თვით ამ ორი კუთხის საზღვრებშიაც ცალკე ქალაქებს შორის.

საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ მაგალითი:

ბათომი ზღვის ზედაპირიდან მხოლოდ 3 მეტრის სიმაღლეზეა, ფოთი—8 მეტრისა; პირველში წლიური საშუალო ტემპერატურა, როგორც აღვნიშნეთ, 14,5°-ია, მეორეშიც—14,5°.

ახალქალაქი ზღვის ზედაპირს 1715 მეტრითაა აშორებული, ბორჯომი— 794 მეტრით, პირველის წლიური საშუალო ტემპერატურა 5,7°-ია ხოლო მეორის —9,3°.

ცხადია, ამ შემთხვევაში ტოპოგრაფიულ-კლიმატიური სხვაობა ბათომ-ფოთსა და ახალქალაქ-ბორჯომს შორის აუცილებლად გამოიწვევდნენ სხვაობას არა მხოლოდ ამშენებლობით-ტეხნიკურ სფეროში, არამედ მოახდენენ დიდს გავლენას აგრეთვე მოსახლეობის ფიზიკურ ვითარებაზედაც.

ახლა უსათუოდ საჭიროდ მიგვაჩნია წინდწინ გავერკვიოთ, თუ როგორ გვქონდა წარმოდგენილი ბინა.

**ერთ ბინად ითვლებოდა განკერძოვებული სადგომი, რომელსაც ცალკე შესავალი ჰქონდა.** თუ ბინის ნაწილები მოთავსებული იყო შენობის სხვა და სხვა სართულში. მაგრამ ეს ნაწილები შეერთებული იყო ერთი მეორესთან შიგნითა კიბით და დაჭერილი ერთი პირის მიერ, ითვლებოდა ერთ ბინად.

პირიქით, ისეთი სადგომები. რომლებიც თუმცა ერთ პირს ეჭირა. მაგრამ სრულიად განცალკევებული იყო ერთი-მეორესაგან, მოთავსებული სხვა და სხვა სართულში, ან სხვა და სხვა შენობაში. ითვლებოდნენ ცალკე ბინებად. ერთ ბინად ითვლებოდა აგრეთვე ისეთი სადგომი, რომელიც მოთავსებული იყო ერთ შენობაში და დანიშნული უშუალოდ დაწესებულების საჭიროებისათვის, თუნდაც რომ ასეთი სადგომის ნაწილებს შორის არ ყოფილიყო შინაგანი კავშირი და მოთავსებული იყო შენობის სხვა და სხვა სართულში. თუ დაწესებულების სადგომში მოთავსებული იყო საცხოვრებელი ბინები მის მოსამსახურეებისათვის (დირექტორის, გამგის, ზედამხედველის, დარაჯის, კარის კაცისათვის და სხვა); ასეთ შემთხვევაში სხვა და სხვა ბინად ითვლებოდა, ერთის მხრივ, საკუთრივ დაწესებულების სადგომი და, მეორეს მხრივ, მოსამსახურეთა სადგომები ცალ-ცალკე, თუნდაც საკუთრივ დაწესებულებისა და მოსამსახურეთა სადგომებს შორის არ ყოფილიყო შინაგანი კავშირი. სასტუმროები, ღამის გასათევი სადგომები, ბაგეები და ამ ხასიათის სხვა შენობები ითვლებოდნენ ერთ ბინად, თუ იმყოფებოდნენ ერთისა და იმავე პირის სარგებლობაში. თუ სასტუმროში და ასეთი ხასიათის სხვა სადგომში რომელიმე ოთახი ან მთელი განყოფილება გაცემული იყო ცალკე, იგი ბინად არ ითვლებოდა; მაგრამ თუ ასეთ სადგომს ჰქონდა საკუთარი სამზარეულო, იგი ცალკე ბინად ითვლებოდა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასტუმროს და ამ ხასიათის სხვა სადგომის პატრონს თავის დაწესებულების ნაწილი გაცემული ჰქონდა სხვა პირზე და დაწესებულება ფაქტიურად იყოფოდა რამდენსამე განცალკევებულ ნაწილად, თვითეული ასე გაყოფილი დაწესებულების სადგომი ცალკე ბინად ითვლებოდა.

## 2. ბინები და მობინადრენი.

ჩვენს წიგნში მოყვანილ ტაბულებში ცნობები საქართველოს ყოველი ქალაქის შესახებ ცალკ-ცალკეა ჩამოყალიბებული.

ამასთან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შეჯამებულ ცნობებთან ერთად (უტფილისოდ და უქუთაისოდ) მოცემულია ცნობები ცალ-ცალკე ტფილისისა და ქუთაისის შესახებაც. შემდეგ ამ ქალაქთა ცნობები ისევ საერთო შეჯამებაშია მოქცეული შესაბამისად.

ამ შემთხვევაში ჩვენ შემდეგი მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ:

ტფილისის ბინების რიცხვი მთელი საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 46,1%-ს უდრის, ოთახების—48,4%-ს, ხოლო მობინადრეთა—47,1%-ს.

ქუთაისის ბინების რიცხვი მთელი საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 9,2%-ს შეადგენს, ოთახების—9,9%-ს, ხოლო მობინადრეთა—9,2%-ს.

ამნაირად, ტფილისი და ქუთაისი დიდი ქალაქებია არა მარტო ცალ-ცალკე, ერთი აღმოსავლეთ, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, არამედ საერთოდ, მთელს საქართველოს ქალაქებს შორისაც. ამიტომაც ამ ქალაქების ცნობები დიდ გავლენას ახდენენ საერთოდ საქართველოს ქალაქთა შეჯამებულ ცნობებზე.

ეს გარემოება კი ხელს შეგვიშლიდა, ერთის მხრივ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქთა ბინებისა; ხოლო, მეორეს მხრივ, აფხაზეთისა, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ქალაქთა ბინების მდგომარეობის შედარება მოგვეხდინა.

ზედმეტად მივიჩნიეთ ცალკე ქალაქების შესახებ ახსნა-განმარტებათა მოცემაც. ეს ზედმეტი დეტალიზაცია წიგნს დაამძიმებდა. ასეთი ახსნა-განმარტება მოცემულია საერთო შეჯამებაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსა, აჭარისა, აფხაზეთისა, სამხრეთ-ოსეთისა და მსხვილ ქალაქების შესახებ.

შემდეგი ტაბულა გვიხატავს სურათს ბინათა და მობინადრეთა მდგომარეობის შესახებ საქართველოს ქალაქებში.

**საცხოვრებელი ბინები, ოთახებისა, მობინადრეთა და ქალაქების მიხედვით:**

ტაბულა 1.

| №№ რიგზე | ქალაქები | საერთო რიცხვი: ბინების | საერთო რიცხვი: ოთახების | საერთო რიცხვი: მობინადრ. | მობინადრეთა რიცხვი: 1 ბინაზე | მობინადრეთა რიცხვი: 1 ოთახზე | 1 ბინაზე მოდის ოთახი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 564 | 1039 | 2675 | 4,7 | 2,6 | 1,8 |
| 2 | ახალციხე | 2223 | 4541 | 10064 | 4,5 | 2,2 | 2,0 |
| 3 | ბორჯომი | 932 | 2059 | 3914 | 4,2 | 1,9 | 2,2 |
| 4 | გორი | 2245 | 3209 | 9096 | 4,1 | 2,8 | 1,4 |
| 5 | დუშეთი | 439 | 628 | 1447 | 3,3 | 2,3 | 1,4 |
| 6 | გელისციხე | 1186 | 1512 | 5073 | 4,3 | 3,4 | 1,3 |
| 7 | თელავი | 2359 | 3625 | 9041 | 3,8 | 2,5 | 1,5 |
| 8 | თიანეთი | 294 | 530 | 1382 | 4,7 | 2,6 | 1,8 |
| 9 | ლაგოდეხი | 320 | 627 | 1524 | 4,8 | 2,4 | 2,0 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 1061 | 1360 | 4485 | 4,2 | 3,3 | 1,3 |
| 11 | სიღნაღი | 1052 | 1495 | 4187 | 4,0 | 2,8 | 1,4 |
| 12 | სურამი | 831 | 1740 | 4089 | 4,9 | 2,4 | 2,1 |
| 13 | შულავერი | 1149 | 1418 | 5096 | 4,4 | 3,6 | 1,2 |
| 14 | ხაშური | 1526 | 2624 | 7010 | 4,6 | 2,7 | 1,7 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით | 16183 | 26407 | 69083 | 4,3 | 2,6 | 1,6 |
| 15 | ტფილისი | 45277 | 98321 | 229538 | 5,1 | 2,3 | 2,2 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 61460 | 124728 | 298621 | 4,9 | 2,4 | 2,0 |

| №№ რიგზე | ქალაქები | საერთო რიცხვი: ბინების | ოთახების | მობინადრ. | მობინადრეთა რიცხვი 1 ბინაზე | 1 ოთახზე | 1 ბინაზე მოდის ოთახი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 16 | ანაკლია | 152 | 367 | 603 | 4,0 | 1,6 | 2 4 |
| 17 | ზესტაფონი | 983 | 2072 | 4792 | 4,9 | 2,3 | 2,1 |
| 18 | ზუგდიდი | 884 | 2344 | 4472 | 5,1 | 1,9 | 2,6 |
| 19 | ლანჩხუთი | 1450 | 3107 | 7421 | 5.1 | 2,4 | 2,1 |
| 20 | ოზურგეთი | 1011 | 2295 | 5499 | 5,4 | 2,4 | 2,3 |
| 21 | ონი | 517 | 913 | 2674 | 5,2 | 2,9 | 1,8 |
| 22 | სამტრედია | 1393 | 3044 | 6439 | 4,6 | 2,1 | 2,2 |
| 23 | სენაკი | 748 | 1949 | 4475 | 6,0 | 2,3 | 2,6 |
| 24 | ტყიბული | 418 | 770 | 1816 | 4,3 | 2,4 | 1,8 |
| 25 | ფოთი | 2315 | 5750 | 11185 | 4,8 | 1,9 | 2,5 |
| 26 | ყულევი | 166 | 473 | 727 | 4,4 | 1.5 | 2.8 |
| 27 | ცაგერი | 325 | 561 | 1565 | 4,8 | 2,8 | 1,7 |
| 28 | ჭიათურა | 695 | 1432 | 3213 | 4,6 | 2,2 | 2,1 |
| 29 | ხონი | 2104 | 4864 | 9424 | 4.5 | 1,9 | 2,3 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 13161 | 29941 | 64305 | 4.9 | 2,1 | 2,3 |
| 30 | ქუთაისი | 9013 | 20281 | 44666 | 5,0 | 2.2 | 2,3 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 22174 | 50222 | 108971 | 4,9 | 2,2 | 2,3 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | |
| 31 | ბათომი | 8049 | 16555 | 52790 | 6,5 | 3,2 | 2,1 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 644 | 1433 | 2799 | 4,3 | 1,9 | 2,2 |
| 33 | ოჩამჩირე | 643 | 1599 | 2672 | 4,2 | 1,7 | 2,5 |
| 34 | გალი | 81 | 252 | 230 | 2,8 | 0,9 | 3,1 |
| 35 | სოხუმი | 4322 | 7033 | 16851 | 4,0 | 2,4 | 1,6 |
| | სულ აფხაზეთში | 5690 | 10317 | 22552 | 4,0 | 2,2 | 1,8 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 841 | 1414 | 4485 | 5,3 | 3,2 | 1,7 |
| | საერთოდ მთელ საქართველოს ქალაქებში | 98214 | 203236 | 487419 | 5,0 | 2,4 | 2.1 |

საერთოდ საქართველოს ქალაქებში 98.214 ბინა ყოფილა[1]), აქედან აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში 61.460 ბინაა, ანუ საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 62,6 პროც.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში უტფილისოდ 16.183 ბინაა, ანუ სრულიად საქართველოს ქალაქთა ბინების 16,5 პროც.

ტფილისის ბინების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქალაქის ბინების (ტფილისის ჩათვლით) საერთო რიცხვის 73,7 პრ-ს უდრის, ხოლო თუ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს უტფილისოდ განვიხილავთ, მაშინ ტფილისის ბინების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა (უტფილისოდ) ბინების საერთო რიცხვის 261,2 პრ-ს შეადგენს, ე. ი. ტფილისი ბინების რიცხვით თითქმის 3-ჯერ სჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დანარჩენ ქალაქის ბინების საერთო რიცხვს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის ჩათვლით) 22.174 ბინაა, ანუ საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 22,6 პროც., ხოლო უქუთაისოდ —13,4 პროც.

ქუთაისის ბინების რიცხვი დასავლეთ საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 40,7 პროც-ს უდრის.

აჭარის ქალაქებში 8,049 ბინაა, ანუ საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 8,2 პროც.

აფხაზეთის ქალაქებში 5.690 ბინაა, ანუ საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 5,8 პროც.

სამხრეთ ოსეთში 8+1 ბინაა, ანუ საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 0,8 პროც.

ამნაირად, ბინათა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავთ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს (62,6 პრ.), შემდეგ—დასავლეთ საქართველოს ქალაქებს (22,6 პრ.), აჭარის (8,2 პრ.), აფხაზეთის (5,8 პრ.) და უკანასკნელი სამხრეთ ოსეთის (0,8 პროც.).

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან რომ ტფილისი და ქუთაისი გამოვყოთ, მაინც პირველი ადგილი ისევ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს ეკუთვნით (16,5 პრ.), მეორე—დასავლეთ საქართველოს ქალაქებს 13.4 პროც.).

ამ ცნობების მიხედვით, რასაკვირველია, ჩვენ საშუალება არა გვაქვს საქართველოს სხვა და სხვა ნაწილის სიფართოვეს შესახებ ვიმსჯელოთ, რადგან ბინებში ოთახების რიცხვი ყველგან ერთი და იგივე როდია.

ამ საგანზე მსჯელობისათვის აუცილებლად საჭიროა ოთახების რიცხვი იქნეს გათვალისწინებული.

საქართველოს ქალაქებში 203.236 ოთახი ყოფილა, ამათში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში—ტფილისის ჩათვლით—124.728 ოთახი, ანუ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 61,4 პროც-ი, ხოლო უტფილისოდ 26.407 ოთახი, ანუ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 13,0 პროც.

ტფილისის ოთახების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქალაქის (ტფილისის ჩათვლით) ოთახების საერთო რიცხვის 78,8 პროც-ს უდრის, ხოლო

[1]) აქ არ შედის: სასტუმროების, საავადმყოფოების, საპყრობილეების, მუზათა, ჯარის, თავშესაფარის და სხვა ამგვარ დაწესებულებათა ბინები.

უტფილისოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 372,3 პროც-ს, ე. ი. ტფილისის ოთახების რიცხვი თითქმის 4-ჯერ სჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში 50.222 ოთახია, ანუ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 24,7 პრ., ხოლო უქუთაისოდ — 14,7 პროც.

ქუთაისის ოთახების რიცხვი დასავლეთ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 40,4 პროც-ს უდრის.

აჭარაში 16.555 ოთახია, ანუ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 8,1 პროც.

აფხაზეთის ქალაქებში 10.317 ოთახი ყოფილა, ანუ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 5,1 პრ., ხოლო სამხრეთ ოსეთში 1.414 ოთახია, ანუ საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 0,7 პროც-ი.

ახლა ზედმიწევნით შეგვიძლია ვილაპარაკოთ საქართველოს სხვა და სხვა ნაწილების ბინათა სიფართოვეზე [1]).

როგორც მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, პირველი ადგილი ბინათა სიფართოვით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს უჭირავთ (61,4 პროც.), შემდეგ დასავლეთ საქართველოს ქალაქებს (24,7 პრ.), აჭარას (8,1 პრ.), აფხაზეთს (5,1 პრ.), და, დასასრულ, სამხრეთ ოსეთს (0,7 პროც.).

მაგრამ თუ ტფილისსა და ქუთაისს აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან გამოვყოფთ, მაშინ სურათი დასავლეთ საქართველოს ქალაქების სასარგებლოდ შეიცვლება, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოდ) ოთახების რიცხვი საქართველოს ქალაქთა ოთახების საერთო რიცხვის 13,0 პრ-ს უდრის, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქთა (უქუთაისოდ) ოთახების რიცხვი — 14,7 პროც-ს.

იბადება კითხვა: რატომ მოხდა. რომ, ერთის მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოდ) გაცილებით მეტი ბინებია, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოდ), ხოლო, მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოდ) გაცილებით ნაკლებია ოთახების რიცხვი, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოდ). ამაზე ერთად ერთი პასუხი ასეთია: აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) ბინები, ოთახების რიცხვის მიხედვით, ბევრად უფრო დაქუცმაცებულია, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოდ). ამაში ქვემოდ ადვილათ დავრწმუნდებით.

ახლა გადავიდეთ მობინადრეთა განხილვაზე.

საერთოოდ, საქართველოს ქალაქებში მობინადრეთა რიცხვი 487.419 უდრის [2]); აქედან აღმოსავლეთ საქართველოში 298.621 მობინადრე ყოფილა, ანუ საქართველოს ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვის 61,3%-ი, ხოლო

---

[1]) 1922 წლის აღწერა ოთახების სივრცეს არ შეხებია, ვინაიდან ამისათვის საჭირო იყო სპეციალური აღწერა-გამოკვლევა, ამიტომ საქართველოს სხვა და სხვა ქალაქების სიფართოვეს შესახებ შეგვიძლია მხოლოდ ოთახების რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელოთ და სათანადო დასკვნებიც გავაკეთოთ.

[2]) აქ არ შედიან: საავადმყოფოებსა, საპყრობილეებსა, სავაჭრო-სამრეწველო და სხვა დაწესებულებებსა და ვაგონებში მყოფი მობინადრენი, საერთოდ, ის პირნი, რომელთაც საცხოვრებელი ბინა არა აქვთ.

უტფილისოდ—69.083 მობინადრეა, ანუ საქართველოს ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვის 14,2%.

ტფილისის მობინადრეთა რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა (ტფილისის ჩათვლით) მობინადრეების საერთო რიცხვის 78,6%-ს უდრის, ხოლო უტფილისოდ—332,3%-ს, ე. ი. ტფილისის მობინადრეთა რიცხვი 3,3-ჯერ აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში 108.971 მობინადრეა, ანუ საქართველოს ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვის 22,4%, ხოლო უქუთაისოდ—13,2%.

ქუთაისის მობინადრეთა რიცხვი დასავლეთ საქართველოს ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვის (ქუთაისის ჩათვლით) 40,4%-ს უდრის, ხოლო უქუთაისოდ—69,5%-ს.

აჭარის ქალაქებში 52,790 მობინადრეა, ანუ საქართველოს ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვის 10,8%-ი.

აფხაზეთის ქალაქებში მობინადრეების რიცხვი 22.552-ს უდრის, ანუ საქართველოს ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვის 4,6%-ს, ხოლო სამხრეთ ოსეთში 4.485 მობინადრე ყოფილა, ანუ საქართველოს ქალაქთა მობინადრეების საერთო რიცხვის 0,9%-ი.

თუ საქართველოს სხვა და სხვა ნაწილების ბინათა, ოთახთა და მობინადრეთა %%-ს ერთმანეთს დავუკავშირებთ შესაბამისად, მაშინ მეტად საყურადღებო დასკვნას მივიღებთ.

ერთს ბინაზე, საერთოდ, საქართველოს ქალაქებში 2,1 ოთახი მოდის.

ამ საშუალოდან ნამეტან გადახრას გადიდებისაკენ ვამჩნევთ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით და უქუთაისოდაც): აქ თითო ბინაზე 2,3 ოთახი მოდის.

საშუალოდან გადახრას გადიდებისაკენ ტფილისშიაც ვამჩნევთ: აქ 1 ბინაზე 2,2 ოთახი მოდის.

აჭარაში საშუალო უცვლელია.

საშუალოდან შემცირებისაკენ დიდი გადახრა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშია (უტფილისოდ): აქ თითო ბინაზე 1,6 ოთახი მოდის. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ქალაქებში; პირველში თითო ბინაზე 1,7 ოთახი მოდის, ხოლო მეორეში—1,8.

დასკვნა: ბინათა ტეხნიკურ მოუწყობლობას უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოდ) ჰქონია ადგილი. როგორცა სჩანს, აქ ხშირი ყოფილა 1 და 2 ოთახიანი ბინები. ასეთივეა მდგომარეობა სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის ქალაქებში.

ბინების ტეხნიკური მოწყობილების მხრივ, როგორც ქვევით დავინახავთ, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ნაწილებში.

საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებში მობინადრეთა პირობების გამოსარკვევად, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა მათი ბინის პირობების გამორკვევა.

საერთოდ, საქართველოს ქალაქებში 1 ბინაზე 5,0 მობინადრე მოდის.

საშუალოდან გადახრას ნამეტანი გადიდებისაკენ ადგილი ჰქონია აჭარაში: აქ თითო ბინაზე 6,5 მობინადრე მოდის; შემდეგ სამხრეთ-ოსეთში: აქ უკვე 5,3 მობინადრეა.

ტფილისშიაც არა ნაკლები სიმჭიდროვე ყოფილა ბინებში: აქ თითო ბინაზე 5,1 მობინადრე მოდის.

ქუთაისის ბინებში ზევით მოყვანილი საერთო საშუალო რიცხვი მობინადრეთა უცვლელია.

მობინადრეთა შედარებითი ხალვათობა აფხაზეთის ქალაქებშია: აქ თითო ბინაზე 4,0 მობინადრე მოდის; შემდეგ—აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით): აქ უკვე მოდის თითო ბინაზე 4,3 მობინადრე.

ამნაირად, მობინადრეთა სიმჭიდროვეს განსაკუთრებით აჭარაში ჰქონია ადგილი, შემდეგ—სამხრეთ ოსეთში და უკანასკნელად—ტფილისში, ხოლო შედარებითი ხალვათობა ყოფილა: აფხაზეთში, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოდ) და სხვა.

რასაკვირველია, ეს დასკვნა მცხოვრებთა შემჭიდროების ნამდვილ სურათს არ იძლევა. ეს მხოლოდ არკვევს მჭიდრო ბინადრობას.

იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ, საზოგადოთ, საქართველოს რომელ ნაწილებშია ბინის განსაკუთრებითი კრიზისი, უნდა აუცილებლად მივმართოთ მობინადრეთა სიმჭიდროვის გარკვევას ოთახების მიხედვით.

საქართველოს ქალაქებში საერთოდ თითო ოთახზე 2,4 მობინადრე მოდის.

საშუალოდან გადიდებისაკენ გადახრას ადგილი აქვს აჭარაში და სამხრეთ ოსეთში: აქ თითო ოთახზე 3,2 მობინადრე მოდის, შემდეგ—აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით).

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში მობინადრეთა საშუალო რიცხვი თითო ოთახზე უცვლელია.

შედარებით ნაკლები რიცხვი მობინადრეთა თითო ოთახზე მოდის დასავლეთ საქართველოს ქალაქებში უქუთაისოდ—2,1 მობინადრე. შემდეგ დასავლეთ საქართველოს ქალაქებშივე ქუთაისით და აფხაზეთის ქალაქებში: აქ თითო ოთახზე 2,2 მობინადრე მოდის. უკანასკნელად ტფილისში—თითო ოთახზე—2,3 მობინადრე.

ზემოთ ვამბობდით, რომ ტოპოგრაფიულ-კლიმატიურ პირობებს ახლო მიზეზობრივი კავშირი აქვს მოსახლეობასთან და სხვა.

ეს მდგომარეობა ახლა უკვე ნათელია. მოვიყვანოთ ამისათვის ერთი მაგალითი:

ბათომში საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5°-ს უდრის, ხოლო ახალქალაქში—5,7°-ს. ამავე დროს ბათომში თითო ოთახზე მთელს ქალაქში საშუალოდ 3,2 მობინადრე მოდის, ხოლო ახალქალაქში—2,6 მობინადრე.

ცხადია, ბათომის მობინადრეთა პირობები გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ახალქალაქის მობინადრეთა პირობები.

იბადება კითხვა—რატომ?

ერთის მხრივ, იმიტომ, რომ ბათომის მობინადრენი უფრო შემჭიდროვებულნი არიან, ვიდრე ახალქალაქისა, ხოლო, მეორეს მხრივ, ბათომში ტემპერატურა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ახალქალაქში.

აღნიშნული ორი გარემოება ბათომში, ე. ი. მობინადრეთა შემჭიდროება და მაღალი ტემპერატურა, მეტის მეტად ჰხუთავს ბინის ჰაერს, ნამეტნავათ ზაფხულში, როდესაც ტემპერატურა 23,5°-მდე აღწევს. ეს უკანასკნელი გარემოება კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სხვა და სხვა გადამდებ ავადმყოფობათა გავ-

რეგულებას. აქ მხედველობაში, რასაკვირველია, ბათომის ტოპოგრაფიული მდებარეობაც უნდა მივიღოთ.

ამნაირად, ნაწილობრივად დავინახეთ, რა კავშირი აქვს ტოპოგრაფიულ-კლიმატიურ პირობებს ბინის და მობინადრეთა საკითხთან. ქვემოთ ამაში უფრო დავრწმუნდებით.

ახლა იბადება სრულიად ახალი საკითხი: ტეხნიკურ-აშენებლობით სფეროში საქართველოს რომელ ნაწილებში უფრო დაქვეითებულია ბინათა მდგომარეობა, ერთის მხრივ, და ბინათა რომელ კატეგორიებშია მობინადრეთა მეტი სიმჭიდროვე, მეორეს მხრივ.

ამისათვის ჯერ-ჯერობით მოგვყავს ტაბულა, რომელშიაც ცნობები საილიუსტრაციოთ აბსოლიუტურ რიცხვებშია მოცემული. შემდეგ გადავალთ შედეგების გაშუქებაზე.

**ბინები ოთახებისა და მობინადრეთა რიცხვის მიხედვით**

ტაბულა 2.

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინები ოთახებისა და მობინადრეთა რიცხვის მიხედვით | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | | 2 ოთახიანი | | 3 ოთახიანი | | 4 ოთახიანი | | 5 ოთახ. | | 6 და მეტ | |
| | | ბინების რიცხვი | მობინადრეთა რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრეთა რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრეთა რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრეთა რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრეთა რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრეთა რიცხვი |
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 210 | 748 | 262 | 1338 | 69 | 407 | 18 | 146 | 4 | 22 | 1 | 14 |
| 2 | ახალციხე | 653 | 2293 | 1012 | 4694 | 408 | 2152 | 120 | 703 | 22 | 157 | 8 | 65 |
| 3 | ბორჯომი | 220 | 676 | 438 | 1817 | 154 | 735 | 64 | 387 | 26 | 166 | 16 | 92 |
| 4 | გორი | 1439 | 5156 | 667 | 3167 | 104 | 601 | 22 | 136 | 3 | 13 | 3 | 12 |
| 5 | დუშეთი | 291 | 805 | 115 | 451 | 26 | 157 | 31 | 19 | 1 | 8 | 2 | 6 |
| 6 | ველისციხე | 924 | 3714 | 206 | 1068 | 34 | 179 | 16 | 83 | | 12 | — | — |
| 7 | თელავი | 1364 | 1456 | 798 | 3450 | 137 | 775 | 43 | 255 | | 70 | 5 | 24 |
| 8 | თიანეთი | | 442 | 136 | 687 | 27 | 162 | 9 | 49 | 5 | 38 | — | — |
| 9 | ლაგოდეხი | 149 | 536 | 96 | 487 | 36 | 217 | 22 | 155 | 12 | 102 | 5 | 27 |
| 10 | ლიუქსემბურგი | 795 | 2800 | 214 | 1254 | 40 | 289 | 3 | 27 | 1 | 1 | — | — |
| 11 | სიღნაღი | 683 | 230 | 306 | 1539 | 53 | 302 | 9 | 39 | 1 | 7 | — | — |
| 12 | სურამი | 279 | 1086 | 318 | 1708 | 121 | 679 | 75 | 430 | 14 | 80 | 14 | 77 |
| 13 | შულავერი | 901 | 3745 | 206 | 1106 | 31 | 189 | 3 | 27 | — | — | — | — |
| 14 | ხაშური | 741 | 264 | 584 | 2778 | 123 | 743 | 59 | 469 | 4 | 16 | 14 | 130 |
| | სულ აღმოს. საქ. ტფ. გამოკლებ. | 6765 | 31667 | 5358 | 25544 | 1363 | 7587 | 466 | 2925 | 105 | 724 | 68 | 447 |
| 15 | ტფილისი | 19142 | 62021 | 13405 | 63737 | 5895 | 37735 | 3263 | 26322 | 1743 | 16576 | 1780 | 22985 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველ. . | 27907 | 93708 | 18763 | 89281 | 7258 | 45322 | 3729 | 29247 | 1848 | 17300 | 1848 | 13432 |

| №№ რიგზე | ქალაქები | 1 ოთახიანი: ბინების რიცხვი | 1 ოთახიანი: მობინადრეთა რიცხვი | 2 ოთახიანი: ბინების რიცხვი | 2 ოთახიანი: მობინადრეთა რიცხვი | 3 ოთახიანი: ბინების რიცხვი | 3 ოთახიანი: მობინადრ. რიცხვი | 4 ოთახიანი: ბინების რიცხვი | 4 ოთახიანი: მობინადრ. რიცხვი | 5 ოთახ.: ბინების რიცხვი | 5 ოთახ.: მობინადრ. რიცხვი | 6 და მეტ.: ბინების რიცხვი | 6 და მეტ.: მობინადრ. რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია. | 38 | 137 | | 200 | 26 | 108 | 26 | 119 | 5 | 26 | | 13 |
| 17 | ზესტაფონი | 350 | 1150 | 352 | 1664 | 158 | 954 | 70 | 536 | 31 | 284 | 17 | 193 |
| 18 | ზუგდიდი | 150 | 523 | 291 | 1364 | 257 | 1395 | 108 | 655 | 38 | 243 | 35 | 272 |
| 19 | ლანჩხუთი . | 595 | 2558 | 312 | 1718 | 269 | 1598 | 171 | 1083 | 40 | 271 | 20 | 141 |
| 20 | ოზურგეთი. | 315 | 1251 | 306 | 1519 | 207 | 1349 | 140 | 1077 | 18 | 135 | 15 | 157 |
| 21 | ონი . . | 253 | 956 | 204 | 1103 | 54 | 372 | 17 | 147 | 6 | 57 | 2 | 23 |
| 22 | სამტრედია | 501 | 1819 | 474 | 2158 | 234 | 1291 | 124 | 743 | 24 | 183 | 31 | 230 |
| 23 | სენაკი | 133 | 181 | 208 | 1085 | 171 | 1089 | 152 | 1217 | 25 | 249 | 23 | 255 |
| 24 | ტყიბული | 158 | 497 | 197 | 929 | 45 | 272 | 10 | 72 | 5 | 25 | 3 | 21 |
| 25 | ფოთი | 517 | 1671 | 751 | 3348 | 594 | 3068 | 271 | 1802 | 107 | 767 | 47 | 432 |
| 26 | ყულევი . | 34 | 133 | 26 | 99 | 41 | 196 | 49 | 234 | 8 | 35 | 4 | 20 |
| 27 | ცაგერი . | 154 | 576 | 125 | 684 | 36 | 233 | 4 | 24 | 4 | 29 | 2 | 19 |
| 28 | ჭიათურა . | 260 | 780 | 259 | 1221 | 88 | 564 | 40 | 297 | 20 | 141 | 17 | 164 |
| 29 | ხონი | 770 | 2982 | 501 | 2120 | 414 | 2260 | 268 | 1389 | 69 | 363 | 50 | 308 |
| | სულ დასავ. საქართ. ქუთაისის გამოკლ. | 4208 | 15494 | 4092 | 19212 | 2624 | 14749 | 1450 | 9395 | 400 | 2806 | 268 | 2248 |
| 30 | ქუთაისი . | 2951 | 10506 | 3166 | 14805 | 1549 | 8869 | 782 | 5372 | 285 | 2321 | 258 | 2743 |
| | სულ დასავლ. საქართველოში . | 7159 | 26 000 | 7257 | 34017 | 4173 | 23618 | 2232 | 14767 | 685 | 5129 | 520 | 4991 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 3934 | 16283 | 2207 | 14001 | 744 | 6560 | 535 | 5974 | 251 | 3292 | 321 | 6453 |
| | **IV. აბხაზეთი:** | | | | | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | | 656 | 210 | 888 | 124 | 646 | 65 | 386 | 20 | 129 | 11 | 72 |
| 33 | ოჩამჩირე | | 402 | 221 | 867 | 120 | 543 | 100 | 612 | 10 | | 23 | 146 |
| 34 | დ. გალი | | 7 | 40 | 87 | 7 | 19 | | 54 | 7 | 24 | 5 | 39 |
| 35 | სოხუმი | 2636 | 8081 | 1076 | 4792 | 336 | 2028 | 126 | 945 | 52 | 400 | 46 | 514 |
| | სულ აფხაზეთში. | 3003 | 9149 | 1550 | 6634 | 587 | 3236 | 314 | 1997 | 89 | 625 | 85 | 771 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 392 | 1692 | 327 | 1665 | 75 | 563 | 29 | 251 | 3 | 25 | 2 | 15 |
| | საერთ. საქართველ. | 42395 | 146831 | 30104 | 145798 | 12837 | 79299 | 6839 | 52236 | 2870 | 26371 | 2752 | 35662 |

(Spanning header: ბინები ოთახებისა და მობინადრეთა რიცხვის მიხედვით)

უპირველესად ყოვლისა გამოვარკვიოთ ტეხნიკურ-ამშენებლობითი თვალსაზრისით ბინათა მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში. ამისათვის დავუკვირდეთ შემდეგ ტაბულას.

100 ბინაზე მოდის: ტაბულა 3.

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ბინები ოთახების მიხედვით: 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახიანი | საერთოდ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| | ახალქალაქი . | 37,2 | 46,5 | 12,2 | 3,2 | 0,7 | 0,2 | 100 |
| | ახალციხე. | 29,4 | 45,5 | 18,4 | 5,4 | 1,0 | 0,3 | 100 |
| 3 | ბორჯომი. | 24,0 | 47,7 | 16,8 | 7,0 | 2,8 | 1,7 | 100 |
| 4 | გ ო რ ი. | 64,3 | 29,8 | 4,6 | 1,1 | 0,1 | 0,1 | 100 |
| 5 | დუშეთი. | 66,4 | 26,3 | 5,9 | 0,7 | 0,2 | 0,5 | 100 |
| 6 | ველისციხე. | 78,2 | 17,4 | 2,9 | 1,4 | 0,1 | — | 100 |
| 7 | თელავი. | 57,9 | 33,9 | 5,8 | 1,8 | 0,4 | 0,2 | 100 |
| 8 | თიანეთი. | 39,6 | 46,4 | 9,2 | 3,1 | 1,7 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი. | 46,6 | 30,0 | 11,2 | 6,9 | 3,7 | 1,6 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი. | 75,5 | 20,3 | 3,8 | 0,3 | 0,1 | — | 100 |
| 11 | სიღნაღი. | 65,0 | 29,1 | 5,0 | 0,8 | 0,1 | — | 100 |
| | სურამი. | 34,0 | 38,8 | 14,7 | 9,1 | 1,7 | 1,7 | 100 |
| | შულავერი. | 78,9 | 18,0 | 2,8 | 0,3 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური. | 48,6 | 38,2 | 8,1 | 3,9 | 0,3 | 0,9 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლებით | 54,4 | 33,2 | 8,5 | 2,9 | 0,6 | 0,4 | 100 |
| | ტფილისი . | 42,3 | 29,6 | 13,0 | 7,2 | 3,9 | 4,0 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . | 45,5 | 30,6 | 11,8 | 6,1 | 3,0 | 3,0 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია. | 25,1 | 36,1 | 17,1 | 17,1 | 3,3 | 1,3 | 100 |
| 17 | ზესტაფონი. | 35,8 | 35,9 | 16,2 | 7,2 | 3,2 | 1,7 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 17,1 | 33,1 | 29,2 | 12,3 | 4,3 | 4,0 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი. | 41,4 | 23,8 | 18,7 | 11,9 | 2,8 | 1,4 | 100 |
| 20 | ოზურგეთი. | 31,4 | 30,6 | 20,7 | 14,0 | 1,8 | 1,5 | 100 |
| 21 | ო ნ ი. | 45,2 | 39,5 | 10,4 | 3,3 | 1,2 | 0,4 | 100 |
| 22 | სამტრედია. | 36,1 | 34,2 | 16,9 | 9,0 | 1,7 | 2,1 | 100 |
| 23 | სენაკი. | 18,7 | 29,2 | 24,0 | 21,0 | 3,5 | 3,2 | 100 |
| 24 | ტყიბული. | 37,8 | 47,2 | 10,8 | 2,2 | 1,2 | 0,8 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინები ოთახების მიხედვით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახიანი | საერთოდ |
| 25 | ფოთი | 22,6 | 32.9 | 25,9 | 11,9 | 4,7 | 2,0 | 100 |
| 26 | ყულევი . | 20,9 | 16,0 | 25,3 | 30,3 | 5,3 | 2,5 | 100 |
| 27 | ცაგერი . . | 47,4 | 38,5 | 12,1 | 1,2 | 1.2 | 0,6 | 100 |
| 28 | ჭიათურა. . | 38,0 | 37,9 | 12.9 | 5,8 | 2.9 | 2,5 | 100 |
| 29 | ხონი. | 36,6 | 23,8 | 21.1 | 12,8 | 3,3 | 2,4 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 32,3 | 31,3 | 20,1 | 11,1 | 3,1 | 2,1 | 100 |
| 30 | ქუთაისი. | 32.8 | 35,2 | 17,2 | 8,7 | 3,2 | 2,9 | 100 |
| | სულ დ სავლეთ საქართველოში. . | 32,5 | 32,9 | 19,0 | 10,1 | 3,1 | 2.4 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი. | 49,2 | 27,6 | 9,3 | 6,7 | 3,2 | 4,0 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | 32,5 | 33,0 | 19,5 | 10,2 | 3,1 | 1,7 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | 24.3 | 35,1 | 18,8 | 16,6 | 1.6 | 3,6 | 100 |
| 34 | გალი . | 6,2 | 49 4 | 8,6 | 21,0 | 8,6 | 6,2 | 100 |
| 35 | სოხუმი . . . | 61,7 | 25,2 | 7,8 | 3.0 | 1,2 | 1,1 | 100 |
| | სულ აფხაზეთში . . | 53 4 | 27,5 | 10,4 | 5,6 | 1,6 | 1,5 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . | 47.3 | 39,5 | 9,1 | 3.5 | 0,4 | 0,2 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 43,3 | 30,8 | 13,1 | 7,0 | 3,0 | 2,8 | 100 |

საერთოდ საქართველოს ქალაქებში უმთავრესად 1 და 2 ოთახიანი ბინები ყოფილა. ბინათა უმნიშვნელო რაოდენობას 4, 5, 6 და მეტი ოთახიანი ბინები შეადგენენ.

მაგალითად, მთელ საქართველოს ქალაქებში ერთ-ოთახიანი ბინები საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 43,3 პროც. უდრის, ორ-ოთახიანი ბინები—30,8 პროც., სამ-ოთახიანი—13,1 პროც., ოთხ-ოთახიანი—7,0 პროც., ხუთ-ოთახიანი—3,0 პროც. და, ბოლოს, 6 და მეტ-ოთახიანი ბინები—2.8 პროცენტს.

ვნახოთ, ამ მხრივ, რა პირობებში არიან საქართველოს სხვა და სხვა ნაწილები.

ბინათა განსაკუთრებულ დაქუცმაცებას ადგილი ჰქონია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოდ): აქ ერთ-ოთახიანი ბინები აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა (უტფილისოდ) ბინების საერთო რიცხვის 54,4 პროც. უდრის, ხოლო ორ-ოთახიანი ბინები—33,2 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორია კი—87,6 პროცენტს.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში: აქ ერთ-ოთახიანი ბინები სამხრეთ ოსეთის ბინათა საერთო რიცხვის 47,3 პროც. შეადგენს, ხოლო ორ-ოთახიანი ბინები—39,5 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორია კი—86,8 პროც.

აფხაზეთის ქალაქებშიაც ერთ-ოთახიანი ბინები აფხაზეთის ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 53,4 პროც. უდრის, ხოლო ორ-ოთახიანი—27,5 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორია კი—80,9 პროც..

აჭარაში ერთ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 49,2 პროც. შეადგენენ, ხოლო ორ-ოთახიანი—27,6 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორია კი—76,8 პროცენტს.

შედარებით უკეთესი პირობები დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოდ) ყოფილა. აქ ერთ-ოთახიანი ბინები დასავლეთ საქართველოს ქალაქთა (ქუთაისის გამოკლებით) ბინების საერთო რიცხვის 32,3 პროც. უდრის, ხოლო ორ-ოთახიანი ბინები—31,3 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორია კი—63,6 პროცენტს.

ამნაირად, როგორც ვხედავთ, ბინების ტეხნიკურ-აშენებლობით მოუწყობლობას განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ჰქონია ადგილი (ტფილისის გამოკლებით), მაგრამ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს ტფილისის ჩათვლით განვიხილავთ, სურათი საგრძნობლად შეიცვლება, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოში (ტფილისის ჩათვლით) ერთ-ოთახიანი ბინები აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა ბინების საერთო რიცხვის 45,5 პროც. უდრის, ხოლო ორ-ოთახიანი ბინები—30,6 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორია კი—76,1 პროცენტს.

ასეთი პროცენტული დაცემა—87,6 პროცენტიდან 76,1 პროცენტამდე—გამოწვეულია, რასაკვირველია, ტფილისის ბინათა კატეგორიების გავლენით.

მაგალითად: ტფილისში ერთ-ოთახიანი ბინები ტფილისის ბინათა საერთო რიცხვის 42,3 პროც. შეადგენენ, ხოლო ორ-ოთახიანი ბინები—29,6 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორია კი—71,9 პროცენტს.

ბინათა ტეხნიკურ მოუწყობლობის პროცენტულ გადიდებას დასავლეთ საქართველოში ხელს უწყობს ქ. ქუთაისი: აქ ერთ-ოთახიანი ბინები ქუთაისს ბინათა საერთო რიცხვის 32,8 პროც. შეადგენენ, ხოლო ორ-ოთახიანი ბინები—35,2 პროც., ორივე აღნიშნული კატეგორიები კი—68,0 პროც. რასაკვირველია, ამ უკანასკნელ გარემოებას აუცილებლად სათანადო გავლენა უნდა მოეხდინა დასავლეთ საქართველოს ქალაქთა ბინების პროცენტებზე.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთ და ორ-ოთახიანი ბინების რიცხვი დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, ქუთაისის გამოკლებით, 63,6 პროც. უდრის, ხოლო როცა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქუთაისის ერთ და ორ-ოთახიან ბინებს შევიტანთ (68.0 პროცენტი). მაშინ დასავლეთ საქართველოს ქალაქების ერთ და ორ-ოთახიანი ბინები უკვე 65,4 პროცენტამდე მიაღწევს.

ასეთია მოკლედ საქართველოს ქალაქთა ბინების ტეხნიკური მხარე.

შევუდგეთ ახლა ბინათა კატეგორიების მიხედვით მობინადრეთა პირობების გამოკვლევას.

**მობინადრეთა რიცხვი 1 ბინაზე, ბინათა კატეგორიების მიხედვით:**

ტაბულა 4.

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახ. |
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | | 5,1 | 5,9 | 8,1 | | 14,0 |
| 2 | ახალციხე | | 4,6 | 5,3 | 5,9 | 7,1 | 8,1 |
| 3 | ბორჯომი | 3,1 | 4,2 | 4,8 | 6,0 | 6,4 | 5,7 |
| 4 | გორი | 3,6 | 4,7 | 5,8 | 6,2 | 4,5 | 4,0 |
| 5 | დუშეთი | 2,8 | 3,9 | 6,0 | 6,3 | 8,0 | 3,0 |
| 6 | ველისციხე | 4,0 | 5,2 | 5,3 | 5,2 | 6,0 | — |
| 7 | თელავი | 3,3 | 4,3 | 5,7 | 5,9 | 7,0 | 4,8 |
| 8 | თიანეთი | 3,8 | 5,1 | 6,0 | 5,4 | 7,0 | — |
| 9 | ლაგოდეხი | 3,6 | 5,1 | 6,0 | 7,0 | 8,5 | 5,1 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 3,6 | 5,9 | 7,2 | 9,0 | 1,0 | — |
| 11 | სიღნაღი | 3,4 | 5,0 | 5,7 | 4,3 | 7,0 | — |
| 12 | სურამი | 3,9 | 5,4 | 5,6 | 5,7 | 5,7 | 5,5 |
| 13 | შულავერი | 4,2 | 5,4 | 6,1 | 9,0 | — | — |
| 14 | ხაშური | 3,8 | 4,8 | 6,0 | 7,9 | 12,0 | 9,3 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით. | 3,6 | 4,8 | 5,6 | 6,3 | 6,9 | 6,6 |
| 15 | ტფილისი | 3,2 | 4,8 | 6,4 | 8,1 | 9,5 | 12,9 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 3,4 | 4,8 | 6,2 | 7,8 | 9,1 | 12,7 |

| № რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახ |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 16 | აბაკლია | 3,6 | 3,6 | 4,1 | 4,6 | 5,2 | 6,5 |
| 17 | ზესტაფონი | 3,3 | 4,7 | 6,0 | 7,7 | 9,2 | 11,4 |
| 18 | ზუგდიდი | 3,5 | 4,7 | 5,4 | 6,1 | 6,4 | 7,8 |
| 19 | ლანჩხუთი | 4,3 | 5,0 | 5,9 | 6,3 | 6,8 | 7,0 |
| 20 | ოზურგეთი | 3,9 | 5,0 | 6,5 | 7,7 | 7,5 | 10,5 |
| 21 | ონი | 4,1 | 5,4 | 6,9 | 8,6 | 9,5 | 11,5 |
| 22 | სამტრედია | 3,6 | 4,6 | 5,5 | 6,0 | 7,6 | 7,4 |
| 23 | სენაკი | 3,6 | 5,2 | 6,4 | 8,0 | 10,0 | 11,1 |
| 23 | სენაკი | 14,9 | 28,4 | 25,7 | 23,5 | 3,6 | 3,9 | 100 |
| 24 | ტყიბული | 22,6 | 57,8 | 13,5 | 3,9 | 1,3 | 0,9 | 100 |
| 25 | ფოთი | 15,5 | 31,4 | 30,1 | 15,0 | 5,6 | 2,4 | 100 |
| 26 | ყულევი | 10,9 | 18,5 | 26,1 | 36,1 | 5,9 | 2,5 | 100 |
| 27 | ცაგერი | 31,8 | 50,4 | 14,6 | 1,6 | — | 1,6 | 100 |
| 28 | ჭიათურა | 31,8 | 38,6 | 16,9 | 6,4 | 2,5 | 3,8 | 100 |
| 29 | ხონი | 33,[illegible] | 24,3 | 22,4 | 13,7 | 3,5 | 2,8 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინების კატეგორია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახ | სულ |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 25,4 | 30,3 | 23,7 | 14,1 | 3,9 | 2,6 | 100 |
| 30 | ქუთაისი | 27,5 | 35,4 | 19,6 | 10,4 | 3,8 | 3,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 26,3 | 32,5 | 21,9 | 12,5 | 3,9 | 2,9 | 100 |
| | III. აჭარა: | | | | | | | |
| 31 | ბათომი | 38,4 | 31,0 | 12,3 | 9,3 | 3,8 | 5,2 | 100 |
| | IV. აფხაზეთი: | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 19,0 | 31,7 | 29,8 | 15,1 | 3,9 | 0,5 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | 14,9 | 34,0 | 22,4 | 22,8 | 2,1 | 3,8 | 100 |
| 34 | გალი | — | 50,0 | 5,6 | 22,2 | 11,1 | 11,1 | 100 |
| 35 | სოხუმი | 56,5 | 27,6 | 9,5 | 3,3 | 1,4 | 1,7 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 46,0 | 28,9 | 13,8 | 7,5 | 1,9 | 1,9 | 100 |
| | V. სამხრეთ-ოსეთი: | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 29,3 | 48,9 | 15,2 | 4,6 | 0,9 | 1,1 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. . . | 34,0 | 34,1 | 17,8 | 9,1 | 2,8 | 2,2 | 100 |

იმ დროს, როდესაც მთელს რესპუბლიკაში ბინათა საერთო რიცხვის 43,3 პროც. ერთ-ოთახიანი ბინაა, 30,8%—ორ-ოთახიანი, 13,1%—სამ-ოთახიანი, 7,0%—ოთხ-ოთახიანი, 3,0%—ხუთ-ოთახიანი და, ბოლოს, 2,8%—ექვს და მეტ ოთახიანი (იხილე ტაბულა 3), ამავე დროს, როგორც უკანასკნელ ტაბულიდან ვხედავთ, საერთოდ მთელს რესპუბლიკაში ცალკე ფეხისადგილიან ბინათა საერთო რიცხვის უკვე 34,0%, ერთ-ოთახიანი, 34,1 პროც.—ორ-ოთახიანი, 17,8%—სამ ოთახიანი, 9,1%—ოთხ-ოთახიანი, 2,8%—ხუთ-ოთახიანი და, ბოლოს, 2,2 პროც. —ექვს და მეტ ოთახიანი ბინები ყოფილა.

ამნაირად, აქაც ისევე, როგორც წყალსადენიან და ვატერკლოზეტიან ბინებში, რაც მეტ ოთახიანია ბინა, მით უფრო იგი უზრუნველყოფილია ცალკე ფეხისადგილით. მართალია, ხუთ, ექვს და მეტ ოთახიანი ბინების რიცხვი ცალკე ფეხისადგილით, საერთოდ, ხუთ, ექვს და მეტ ოთახიან ბინათა რაოდენობასთან შედარებით, დაეცა, მაგრამ ამისი მიზეზი უმთავრესად ტფილისის ბინებია, რომელნიც დიდს გავლენას ახდენენ არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ საერთოდ საქართველოს ცალკე ფეხისადგილიან ბინათა საერთო რიცხვის დაცემაზე, ვინაიდან აქ მსხვილ ბინებში ცალკე ფეხისადგილის მაგიერ უმთავრესად ვატერკლოზეტია გავრცელებული.

მაგალითად, ერთ და ორ-ოთახიანი ვატერკლოზეტიანი ბინები ტფილისში ვატერკლოზეტიან ბინათა საერთო რიცხვის 36,0 პროცენტს შეადგენენ, ე. ი. უმცირესობას, ხოლო დანარჩენი ჯგუფები, ე. ი. სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ ოთახიანი ბინები ვატერკლოზეტით შეადგენენ ვატერკლოზეტიან ბინათა საერთო რიცხვის 64,0 პროცენტს, ე. ი. უმრავლესობას. ახლა, თუ დავუკვირდებით ცალკე ფეხისადგილიან ბინებს ტფილისშივე, სულ სხვა სურათს მივიღებთ. აქ ცალკე ფეხისადგილიან ბინებს უმთავრესად ერთ და ორ-ოთახიანი ბინები იძლევიან, სხვანაირად: ცალკე ფეხისადგილიან ბინათა საერთო რიცხვის 72.9 პროცენტს ერთ და ორ-ოთახიანი ბინები შეადგენენ, ხოლო უმცირესი რიცხვი სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ ოთახიან ბინებზე მოდის—27,1 პროც.

ახლა ვნახოთ, ამ მხრივ, რა პირობებში არიან საქართველოს სხვა კუთხეები.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) ზემოხსენებული პროპორცია სავსებით დაცულია. სხვანაირად, რაც მეტ ოთახიანია ბინა, მით უფრო იგი უზრუნველყოფილია ცალკე ფეხისადგილით. მაგალითად, თუ, საზოგადოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) ერთ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 54,4 პროცენტს იძლევიან, ცალკე ფეხისადგილიანი ბინები ამავე ჯგუფის ბინათა საერთო რიცხვის უკვე 43,3 პრ-ს გვაძლევენ, ე. ი., როგორც ვხედავთ, ცალკე ფეხისადგილიან ბინათა პრ. დაეცა. ორ-ოთახიან ბინებში მდგომარეობა იცვლება; იმ დროს, როდესაც, საზოგადოდ, ბინათა საერთო რიცხვის 33,2 პრ. ორ-ოთახიანი ბინები შეადგენენ, ცალკე ფეხისადგილიანი ბინები ამავე ჯგუფის ბინათა საერთო რიცხვის 37,8 პრ. უდრის. ამნაირად, ორ-ოთახიანი ბინების პრ. ცალკე ფეხისადგილით მაღლა სდგას, ვიდრე საზოგადოდ ორ-ოთახიანი ბინების პროც. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით). ასეთივე სურათია სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ ოთახიან ბინებში.

რაც შეეხება ტფილისის ცალკე ფეხისადგილიან ბინებს, როგორც ვთქვით, მდგომარეობა ძირიანათ იცვლება, რომლის ძალითაც იცვლება პირობები საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც (ტფილისის ჩათვლით).

საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, ე. ი. დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით და უქუთაისოდ), აჭარაში, აფხაზეთის ქალაქებში და, ბოლოს, სამხრეთ-ოსეთში ცალკე ფეხისადგილიანი ბინების კატეგორიათა პროპორციის მიხედვით პირობები ასეთია: რაც მეტ ოთახიანია ბინა, მით უფრო იგი უზრუნველყოფილია ფეხისადგილით.

ასეთია პირობები ცალკე ფეხისადგილის მხრივ საერთოდ საქართველოს ქალაქებში და მის შემადგენელ ნაწილებში.

ახლა ვნახოთ, რა პირობებშია სულ უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინები ბინათა კატეგორიების მიხედვით ამავე ქალაქებში, სხვანაირად, უფეხისადგილოთ და უვატერკლოზეტოთ, უმთავრესად, რომელი ბინები რჩებიან: ერთ, ორ, სამ, თუ მეტ ოთახიანი ბინები?

ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ მას ახლო მიზეზობრივი კავშირი აქვს ვატერკლოზეტიან და ცალკე ფეხისადგილიან ბინებთან. ამ ტაბულამ უფრო მკაფიოთ უნდა დაადასტუროს ის დასკვნები, რომელიც ვატერკლოზეტიან და ცალკე ფეხისადგილიან ბინებს (მათში ოთახების რაოდენობის მიხედვით) გავუკეთეთ.

## 100 უვატერკლოზეტო და უფეხისაბანილო ბინაზე მოდის:

ტაბულა 20

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები: 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მ. ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I აღმოსავლეთი საქართვ.: | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 39,3 | 45,6 | 11,6 | 2,7 | 0,6 | 0,2 | 100 |
| 2 | ახალციხე . . | 42,8 | 44,5 | 9,1 | 2,7 | 0,7 | 0,2 | 100 |
| 3 | ბორჯომი . | 26,7 | 49,2 | 12,8 | 7,1 | 2,6 | 1,6 | 100 |
| 4 | გორი | 71,4 | 24,8 | 2,8 | 0,8 | 0,1 | 0,1 | 100 |
| 5 | დუშეთი | 68,7 | 25,5 | 5,5 | 0,3 | | — | 100 |
| 6 | ველისციხე | 84,8 | 12,9 | 2,0 | 0,3 | | — | 100 |
| 7 | თელავი | 66,5 | 27,8 | 4,3 | 1,0 | 0,3 | 0,1 | 100 |
| 8 | თიანეთი | 71,3 | 21,8 | 5,7 | 1,2 | — | | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 47,9 | 29,2 | 11,3 | 6,8 | 3,4 | 1,4 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 75,6 | 20,2 | 3,9 | 0,2 | 0,1 | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 69,8 | 25,6 | 4,0 | 0,4 | 0,2 | — | 100 |
| 12 | სურამი . | 44,7 | 39,1 | 9,5 | 5,5 | 0,6 | 0,6 | 100 |
| 13 | შულავერი | 79,4 | 18,5 | 1,7 | 0,4 | | | 100 |
| 14 | ხაშური . | 52,3 | 36,5 | 7,9 | 2,3 | 0,3 | 0,6 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით . . | 60,8 | 30,6 | 6,0 | 1,8 | 0,5 | 0,3 | 100 |
| 15 | ტფილისი . | 55,8 | 30,0 | 8,7 | 2,9 | 1,1 | 0,9 | 100 |
| | სულ აღმოსავ. საქართველოში | 57,3 | 30,6 | 7,9 | 2,6 | 0,9 | 0,7 | 100 |
| | II დასავლეთი საქართველო: | | | | | | | |
| 16 | ანაკლია . | 42,5 | 35,6 | 13,7 | 8,2 | — | — | 100 |
| 17 | ზესტაფონი . | 12,8 | 37,1 | 11,3 | 4,7 | 2,1 | 1,7 | 100 |
| 18 | ზუგდიდი . | 21,2 | 37,8 | 29,2 | 8,9 | 0,8 | 2,2 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი . | 61,9 | 24,4 | 10,2 | 3,5 | | — | 100 |
| 20 | ოზურგეთი . | 40,0 | 30,9 | 18,0 | 8,7 | 1,4 | 1,0 | 100 |
| 21 | ონი . | 60,7 | 32,4 | 5,5 | 1,4 | | — | 100 |

| № რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მ. ოთ. | სულ |
| 22 | სამტრედია . | 42,9 | 35,5 | 12,2 | 7,3 | 0,8 | 1,3 | 100 |
| 23 | სენაკი | 31,3 | 31,9 | 18,4 | 14,1 | 3,1 | 1,2 | 100 |
| 24 | ტყიბული | 56,4 | 34,0 | 7,4 | 0,5 | 1,1 | 0,6 | 100 |
| 25 | ფოთი | 37,7 | 36,1 | 17,3 | 5,2 | 2,6 | 1,1 | 100 |
| 26 | ყულევი . | 48,7 | 9,3 | 23,6 | 13,8 | 2,3 | 2,3 | 100 |
| 27 | ცაგერი . | 56,9 | 31,2 | 8,9 | 1,0 | 2,0 | | 100 |
| 28 | ჭიათურა | 43,4 | 39,8 | 10,3 | 4,6 | 1,0 | 0,3 | 100 |
| 29 | ხონი . . | 52,6 | 22,0 | 14,8 | 8,1 | 2,2 | 0,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 43,9 | 33,3 | 14,3 | 6,1 | 1,4 | 1,0 | 100 |
| 30 | ქუთაისი . | 43,6 | 34,9 | 12,5 | 5,3 | 1,9 | 1,8 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 43,8 | 33,9 | 13,6 | 5,8 | 1,6 | 1,3 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 55,8 | 27,3 | 7,6 | 5,2 | 2,0 | 2,1 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 39,9 | 34,2 | 14,0 | 7,6 | 2,4 | 1,9 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | 30,0 | 35,8 | 16,6 | 12,8 | 1,3 | 3,5 | 100 |
| 34 | გალი . | 8,0 | 49,2 | 9,5 | 20,6 | 7,9 | 4,8 | 100 |
| 35 | სოხუმი . . | 66,0 | 24,0 | 6,5 | 2,3 | 0,7 | 0,5 | 100 |
| | სულ აფხაზეთში . . | 58,2 | 26,9 | 8,5 | 4,3 | 1,1 | 1,0 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . | 60,2 | 32,6 | 4,5 | 2,7 | — | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში . | 55,2 | 30,5 | 8,7 | 3,5 | 1,1 | 1,0 | 100 |

ზემოთ ვამბობდით, რომ რაც უფრო დიდია ბინა, ე. ი. რაც მეტია ოთახების რიცხვი ბინაში, მით უფრო უზრუნველყოფილია იგი ვატერკლოზეტით ან და ცალკე ფეხისადგილით, პირიქით, რაც უფრო პატარაა ბინა ოთახების რაოდენობის მიხედვით, მით უფრო მოკლებულია იგი აღნიშნულ მოწყობილებას. უკანასკნელი მასალები ზემოხსენებულ დებულებას სავსებით ადასტურებენ.

მაგალითად, საერთოდ საქართველოს ბინათა საერთო რიცხვის 74,1 პრ. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი 85,7 პრ. შეადგენს.

ამ უკანასკნელი პრ-ის ასეთი გადიდება იმის მაჩვენებელია, რომ ერთ და ორ-ოთახიანი ბინების დიდი უმრავლესობა უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინებია. რაკი ეს ასეა, მაშასადამე, ამ დებულების შებრუნებით იმას მივიღებთ

რისი დამტკიცებაც გვინდოდა, ე. ი. რაც უფრო დიდია ბინა, მით უფრო იგი უზრუნველყოფილია ვატერკლოზეტით ან ცალკე ფეხისადგილით.

ასეთია უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინების პირობები საერთოდ საქართველოს ქალაქებში.

ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ ბინების პირობები ამ მხრივ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშიაც.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) ბინათა საერთო რიცხვის 87.6 პრ. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ხოლო უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი აქ 91,4 პრ-ს შეადგენს.

ტფილისში ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 71.9 პრ-ს შეადგენენ, ხოლო უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ერთ და ორ-ოთახიანი ბინები აქ უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის 86,4 პრ. შეადგენენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის ჩათვლით) ერთ და ორ-ოთახიანი ბინები შეადგენენ ბინათა საერთო რიცხვის 76.1 პრ-ს, ხოლო უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი 87,9 პრ-ს შეადგენს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის გამოკლებით) ერთ და ორ ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 63,6 პრ-ს შეადგენენ, ხოლო უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ამავე ჯგუფის ბინათა საერთო რიცხვის—77.2 პრ-ს.

ქუთაისის ბინათა საერთო რიცხვის 68.0 პრ. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის 78,5 პრ. იმავე ჯგუფს იძლევა, ე. ი. ერთსა და ორ-ოთახიან უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინას.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის ჩათვლით) ბინათა საერთო რიცხვის 65.4 პრ. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა. ხოლო უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ერთ და ორ-ოთახიანი ბინები უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის 77,7 პრ-ს შეადგენენ.

აჭარის ბინათა საერთო რიცხვის 76,8 პრ. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა. იმ დროს, როდესაც უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ერთ და ორ-ოთახიანი ბინები უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის 83.1 პრ-ს შეადგენენ.

აფხაზეთის ქალაქებში ბინათა საერთო რიცხვის 80.9 პრ. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც აქ უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის 85.1 პრ. ერთ და ორ-ოთახიანივე ბინაა.

ბოლოს, სამხრეთ ოსეთში ბინათა საერთო რიცხვის 86,8 პრ. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი 92,6 პრ-ს შეადგენს.

ამნაირად, საქართველოს ყველა კუთხეში ბინის პირობები, ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ, თითქმის ერთნაირია, ე. ი. ყველა ჩამოთვლილ კუთხეში ანტი-სანიტარული პირობები, უმთავრესად, ერთ და ორ-ოთახიან ბინებშია შექმნილი, შემდეგ—სამს, ოთხს და მეტს ოთახიან ბინებში.

ამით დავამთავრებთ ვატერკლოზეტისა, ცალკე ფეხისადგილისა და უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა განხილვას.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად სჩანს, რა ანტი-სანიტარული პირობებია შექმნილი ბინებში და რა მძიმე პირობებში იმყოფებიან იქაური მობინადრენი.

ცუდი მდგომარეობაა განსაკუთრებით ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში, სადაც გადაჭრილი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო ანტი-სანიტარული პირობების თავიდან ასაცილებლად.

ახლა განვიხილოთ და შევისწავლოთ საქართველოს ქალაქების ბინათა პირობები სამზარეულოს მიხედვით.

**გ. ბინები სამზარეულოთი და უსამზარეულოთ:**
(აბსოლიუტურ რიცხვებში)

ტაბულა 21

| № № რიგზე | ქალაქები | სამზარეულოთი: ბინათა რიცხვი | სამზარეულოთი: მობინადრ. რიცხვი | უსამზარეულოთ: ბინათა რიცხვი | უსამზარეულოთ: მობინ.დრ. რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 341 | 1736 | 223 | 939 |
| 2 | ახალციხე | 1555 | 7510 | 668 | 2554 |
| 3 | ბორჯომი | 526 | 2315 | 406 | 1569 |
| 4 | გორი . | 714 | 3087 | 1531 | 6009 |
| 5 | დუშეთი | 115 | 469 | 324 | 978 |
| 6 | ველისციხე . | 181 | 801 | 1007 | 4272 |
| 7 | თელავი . | 877 | 3867 | 1482 | 5174 |
| 8 | თიანეთი . | 39 | 213 | 255 | 1169 |
| 9 | ლაგოდეხი . | 83 | 480 | 237 | 1044 |
| 10 | ლიუქსენბურგი . | 655 | 3260 | 406 | 1225 |
| 11 | სიღნაღი . | 403 | 1791 | 649 | 2396 |
| 12 | სურამი . | 378 | 1991 | 453 | 2098 |
| 13 | შულავერი . . . . | 118 | 597 | 1031 | 4499 |
| 14 | ხაშური . . . . . . | 888 | 4165 | 638 | 2845 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლებით . . . | 6873 | 32312 | 9310 | 36771 |
| 15 | ტფილისი . . . . . | 29256 | 166638 | 16021 | 62900 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . | 36129 | 198950 | 25331 | 99671 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| 16 | ანაკლია . | 67 | 266 | 85 | 337 |
| 17 | ზესტაფონი | 484 | 2735 | 499 | 2057 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | სამზარეულოთი | | უსამზარეულოთ | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ბინათა რიცხვი | მობინად. რიცხვი | ბინათა რიცხვი | მობინად. რიცხვი |
| 18 | ზუგდიდი . | 406 | 2200 | 478 | 2272 |
| 19 | ლანჩხუთი . . . | 771 | 4227 | 679 | 3194 |
| 20 | ოზურგეთი . | 199 | 1225 | 812 | 4274 |
| 21 | ონი . | 75 | 487 | 442 | 2187 |
| 22 | სენაკი . | 484 | 3131 | 264 | 1344 |
| 23 | სამტრედია | 405 | 2038 | 988 | 4401 |
| 24 | ტყვიბული . | 93 | 343 | 325 | 1473 |
| 25 | ფოთი . . | 1184 | 6339 | 1131 | 4846 |
| 26 | ყულევი . | 69 | 329 | 97 | 398 |
| 27 | ცაგერი . | 34 | 226 | 291 | 1339 |
| 28 | ჭიათურა | 246 | 1373 | 449 | 1840 |
| 29 | ხონი . . . . . . | 1018 | 4874 | 1086 | 4550 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით . . . . . . . . | 5535 | 29793 | 7626 | 34512 |
| 30 | ქუთაისი . . . . . . | 5041 | 27435 | 3972 | 17231 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . | 10576 | 57228 | 11598 | 51743 |
| | **III. აჭარა:** | | | | |
| 31 | ბათომი . | 2577 | 20942 | 5472 | 31848 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | |
| 32 | გუდაუთი . | 341 | 1667 | 303 | 1132 |
| 33 | ოჩამჩირე . . | 252 | 1174 | 391 | 1498 |
| 34 | გალი . . | 38 | 131 | 43 | 99 |
| 35 | სოხუმი . . . . . . | 1217 | 6366 | 3105 | 10485 |
| | სულ აფხაზეთში . . | 1848 | 9338 | 3842 | 13214 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . | 225 | 1325 | 616 | 3160 |
| | საერთოდ საქართველოში . . . . | 51355 | 287783 | 46859 | 199636 |

საერთოდ მთელს საქართველოში სამზარეულო ჰქონია 51.355 ბინას ანუ 287.783 მობინადრეს, ხოლო 46.859 ბინა ანუ 199.636 მობინადრე სამზარეულოს მოკლებული ყოფილა

ეს საერთოდ მთელს რესპუბლიკაში. რაც შეეხება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს, აქ ბინებისა და მობინადრეთა პირობები ასეთია:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) 6.873 ბინა სამზარეულოთია, რომლითაც 32.312 მობინადრე სარგებლობს, ხოლო 9.310 ბინა ანუ 36.771 მობინადრე უსამზარეულოთ რჩება.

ტფილისში სამზარეულო 29.256 ბინას ჰქონია, ამ ბინებით 166.638 მობინადრე სარგებლობს, ხოლო უსამზარეულოა 16.021 ბინა, ე. ი. 62.900 მობინადრე.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის ჩათვლით) სამზარეულო 36.129 ბინაშია, რომლითაც 198.950 მობინადრე სარგებლობს, ხოლო 25.331 ბინა ანუ 99.671 მობინადრე სამზარეულოს მოკლებულია.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის გამოკლებით) 5.535 ბინა ანუ 29.793 მობინადრე უზრუნველყოფილია სამზარეულოთი, ხოლო 7.626 ბინა ანუ 34.512 მობინადრე მოკლებულია მას.

ქუთაისში სამზარეულო 5.041 ბინას ჰქონია, ე. ი. 27.435 მობინადრეს, ხოლო მას მოკლებული ყოფილა 3.972 ბინა ანუ 17.231 მობინადრე.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის ჩათვლით) სამზარეულოთია 10.576 ბინა ანუ 57.228 მობინადრე, ხოლო 11.598 ბინა ანუ 51.743 მობინადრე სამზარეულოს მოკლებულია.

აჭარაში სამზარეულოთი უზრუნველყოფილია 2.577 ბინა, ე. ი. 20.942 მობინადრე, ხოლო 5.472 ბინა ანუ 31.848 მობინადრე სრულიად მოკლებულია სამზარეულოს.

აფხაზეთის ქალაქებში 1.848 ბინა სამზარეულოთია, რომლითაც სარგებლობს 9.338 მობინადრე, ხოლო 3.842 ბინა ანუ 13.214 მობინადრე მოკლებულია მას.

სამხრეთ-ოსეთში 225 ბინა სამზარეულოთია, ხოლო 616—უსამზარეულოთ; სამზარეულოთი უზრუნველყოფილია 1.325 მობინადრე, ხოლო 3.160 მობინადრე მოკლებულია მას.

ასეთია, საერთოდ, ბინებისა და მობინადრეთა პირობების სურათი საქართველოს ქალაქებში სამზარეულოთი უზრუნველყოფის მიხედვით.

ახლა საჭიროა გამოვარკვიოთ საზოგადოდ, რამდენად დაკმაყოფილებულნი არიან ამ მხრივ საქართველოს ქალაქები და საქართველოს რომელი კუთხის ქალაქებში ბინები და მობინადრენი უფრო უზრუნველყოფილნი არიან სამზარეულოთი.

ამისათვის მივმართოთ ქვემოთ მოყვანილ ტაბულას:

## 100 ბინაზე და 100 მობინადრეზე მოდის:

ტაბულა 22

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინები: სამხა-რეულ. | ბინები: უსამ-ხარ. | ბინები: სულ | მობინადრენი: სამხა-რეულ. | მობინადრენი: უსამ-ხარ. | მობინადრენი: სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართვ.:** | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 60,5 | 39,5 | 100 | 64,9 | 35.1 | 100 |
| 2 | ახალციხე | 69,9 | 30,1 | 100 | 74,6 | 25,4 | 100 |
| 3 | ბორჯომი | 56,1 | 43,6 | 100 | 59,9 | 40,1 | 100 |
| 4 | გორი | 31,8 | 68,2 | 100 | 33,9 | 66,1 | 100 |
| 5 | დუშეთი | 26,2 | 73,8 | 100 | 32,4 | 67,6 | 100 |
| 6 | ველისციხე | 15.2 | 84,8 | 100 | 15,8 | 84,2 | 100 |
| 7 | თელავი | 37,2 | 62,8 | 100 | 42,8 | 57,2 | 100 |
| 8 | თიანეთი | 13,3 | 86,7 | 100 | 15,4 | 84,6 | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 25,9 | 74,1 | 100 | 31,5 | 68,5 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 61,7 | 38,3 | 100 | 72.7 | 27,3 | 100 |
| 11 | სიღნაღი | 38,3 | 61,7 | 100 | 42.8 | 57,2 | 100 |
| 12 | სურამი | 45,5 | 54,5 | 100 | 48,7 | 51,3 | 100 |
| 13 | შულავერი | 10,3 | 89,7 | 100 | 11,7 | 88,3 | 100 |
| 14 | ხაშური . | 58,2 | 41.8 | 100 | 59,4 | 40.6 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველო-ში ტფილისის გამოკლებით . | 42,5 | 57,5 | 100 | 46,8 | 53,2 | 100 |
| | ტფილისი . | 64,6 | 35,4 | 100 | 72,6 | 27,4 | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოში . | 58,8 | 41,2 | 100 | 67,0 | 33.0 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 16 | ანაკლია | 41.1 | 55,9 | 100 | 44,1 | 55,9 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 49,2 | 50,8 | 100 | 57.1 | 42,9 | 100 |
| 18 | ზუგდიდი . | 48,2 | 51,8 | 100 | 49,2 | 50,8 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | 53,2 | 46,8 | 100 | 57,0 | 13,0 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 19.6 | 80,4 | 100 | 22.3 | 77,7 | 100 |
| 21 | ო ნ ი | 14,5 | 85,5 | 100 | 18,2 | 81,8 | 100 |
| | სენაკი | 64,7 | 35,3 | 100 | 70,0 | 30,0 | 100 |
| | სამტრედია | 29,1 | 70,9 | 100 | 31,6 | 68,4 | 100 |
| 24 | ტყვიბული | 22,2 | 77,8 | 100 | 18,9 | 81,1 | 100 |
| | ფოთი | 51,0 | 49,0 | 100 | 56,7 | 43,3 | 100 |
| | ყულევი | 41.6 | 58,4 | 100 | 45,3 | 54,7 | 100 |
| 27 | ცაგერი | 10,5 | 89,5 | 100 | 14,4 | 85,6 | 100 |
| 28 | ქვიათურა | 35,4 | 64,6 | 100 | 42,7 | 57,3 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინები | | | მობინადრენი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სამზა-რეულ. | უსამ-ზარ. | სულ | სამზა-რეულ. | უსამ-ზარ. | სულ |
| 29 | ხონი . . . | 48,4 | 51,6 | 100 | 51,7 | 48,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით . | 42,1 | 57,9 | 100 | 46,3 | 53,7 | 100 |
| 30 | ქუთაისი . | 55,9 | 44,1 | 100 | 61,4 | 38,6 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 47,7 | 52,3 | 100 | 52,7 | 47,3 | 100 |
| | III. აჭარა: | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 32,0 | 68,0 | 100 | 39,7 | 60,3 | 100 |
| | IV. აფხაზეთი: | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . . | 53,0 | 47,0 | 100 | 59,6 | 40,4 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | 39,2 | 60,8 | 100 | 43,9 | 56,1 | 100 |
| 34 | გალი . | 46,9 | 53,1 | 100 | 57,0 | 43,0 | 100 |
| 35 | სოხუმი . . . . . . | 28,2 | 71,8 | 100 | 37,8 | 62,2 | 100 |
| | სულ აფხაზეთში . . . . | 32,5 | 67,5 | 100 | 41,4 | 58,6 | 100 |
| | V. სამხრეთ-ოსეთი: | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . | 26,8 | 73,2 | 100 | 29,5 | 70,5 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. | 52,3 | 47,7 | 100 | 59,0 | 41,0 | 100 |

ამნაირად, საერთოდ, საქართველოს ქალაქებში როგორც ბინები, ისე მობინადრენიც სამზარეულოს მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე წყალსადენისა, ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ.

მაგალითად, საერთოდ საქართველოს ქალაქებში თუ ბინათა საერთო რიცხვის 74,3 პროც. უწყალსადენოა (აქ აღებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალაქების ბინები, სადაც წყალსადენია გაყვანილი), ხოლო მობინადრეთა საერთო რიცხვის 67,4 პროც. წყალსადენს მოკლებულია, სამზარეულოს მხრივ უკვე სხვანაირი სურათი გვეშლება: სამზარეულოს მოკლებულია საქართველოს ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 47,7 პროც. ანუ მობინადრეთა საერთო რიცხვის 41,0 პროცენტი.

უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინებიც სამზარეულოიან ბინებთან შედარებით გაცილებით დიდ პროცენტს იძლევიან. მაგალითად, საერთოდ საქართველოს ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 55,2 პროც. და მობინადრეთა საერთო რიცხვის 49,0 პროც. უვატერკლოზეტო და უფეხისადგილოთ არის.

ამ დასკვნიდან, ცხადია, არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოს ქალაქების ბინები და მობინადრენი სამზარეულოთი უზრუნველყოფილნი არიან; პირიქით, ვამბობთ, რომ აქაც ბინები მეტის-მეტად მოუწყობელია, ე. ი. უსამზარეულო ბინები და იქაური მობინადრენი დიდ პროცენტს იძლევიან.

ახლა თუ გადავხედავთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს, დავინახავთ, რომ ბინებისა და მობინადრეთა პირობები აქ სამზარეულოთი უზრუნველყოფის მხრივ სხვანაირია.

მაგალითად, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით და უტფილისოთ) და ტფილისის ბინები სამზარეულოს მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებშია, ვიდრე ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ, დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით და უქუთაისოთ) და ქუთაისის ბინათა პირობები ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხსადგილის სასარგებლოდ სწყდება.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენ ძირითად საკითხს, ე. ი. გამოვარკვიოთ, საქართველოს რომელ კუთხეში არიან ბინები და მობინადრენი სამზარეულოთი უფრო უზრუნველყოფილნი.

უკანასკნელი ტაბულა ამ კითხვაზე გადაჭრილ პასუხს იძლევა. ამ მხრივ ყველაზე უკეთეს პირობებში როგორც ბინები, ისე მობინადრენი ტფილისში ყოფილან. აქ სამზარეულოს მოკლებულია ბინების საერთო რიცხვის მხოლოდ 35,4 პროც. და მობინადრეთა საერთო რიცხვის 27,4 პროც., მაშინ, როდესაც მთელი რესპუბლიკის ქალაქებისათვის უსამზარეულო ბინების საშუალო რიცხვი 47,7 პროცენტს უდრის, ხოლო იქაური მობინადრენი—41,0 პროცენტს.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) და ქუთაისის უსამზარეულო ბინები და მობინადრენი აგრეთვე საშუალოზე დაბალია. პირველში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის ჩათვლით) ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 41,2 პროც. და მობინადრეთა საერთო რიცხვის 33,0 პროც. რჩება უსამზარეულოთ, ხოლო მეორეში, ე. ი. ქუთაისში, უსამზარეულოთ დარჩენილია ქუთაისის ბინათა საერთო რიცხვის 44,1 პროც. და მობინადრეთა საერთო რიცხვის 38,6 პროც.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) და დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) უსამზარეულო ბინათა და მათში მდგომ მობინადრეთა პირობები თითქმის ერთნაირია.

მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 57,5 პროც. უსამზარეულოა, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში-კი—57,9 პროც.;მობინადრეც აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების(უტფილისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის 53,2 პროც. რჩება უსამზარეულოთ ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ)—53,7 პროც. ეს პროცენტი საშუალოზე მაღალია.

სამზარეულოს მხრივ განსაკუთრებით ყველაზე უარეს პირობებში სამხრეთ ოსეთის ბინები იმყოფებიან. ცხადია, აქ მობინადრეთა პირობებიც ისეთივე იქნება. დიდი უმრავლესობა ბინების, ე. ი. ბინათა საერთო რიცხვის 73,2 პროც., უსამზარეულოა; დიდ უმრავლესობას შეადგენენ აგრეთვე უსამზარეულო ბინებში მცხოვრები მობინადრენი, ე. ი. მობინადრეთა საერთო რიცხვის 70,5 პროცენტს.

თითქმის ასეთივე პირობებია ბათომის ბინებში. აქ ბინების საერთო რიცხვის 68,0 პროც. უსამზარეულოა, ხოლო მათში მდგომი მობინადრენი მობინადრეთა საერთო რიცხვის 60,3 პროცენტს შეადგენენ.

ცუდ პირობებშია სამზარეულოს მხრივ აფხაზეთის ქალაქების ბინებიც: აქ ბინათა საერთო რიცხვის 67,5 პროც. უსამზარეულოა, ხოლო მათში მდგომი მო-

ბინადრები ამავე ქალაქების მობინადრეთა საერთო რიცხვის 58,6 პროცენტს იძლევიან.

ასეთია ბინებისა და მობინადრეთა პირობები სამზარეულოთი უზრუნველყოფის მხრივ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

ახლა გამოვარკვიოთ, საქართველოს ქალაქებში განსაკუთრებით რომელი ბინები რჩებიან უსამზარეულოთ: ერთ, ორ, სამ, ოთხ, თუ მეტ ოთახიანი ბინები.

ამისათვის მივმართოთ შემდეგ ტაბულას.

**100 სამზარეულოიან ბინაზე მოდის:**

ტაბულა 23

| №№ რიგზე | ქალაქები | ბ ი ნ ე ბ ი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ. ოთახ | სულ |
| | **I. აღმოსავლეთი საქართვ.:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 27,9 | 53,4 | 14,3 | 3,2 | 0,9 | 0,3 | 100 |
| | ახალციხე | 21,1 | 47,5 | 22,8 | 6,8 | 1,3 | 0,5 | 100 |
| 3 | ბორჯომი . | 15,6 | 46,9 | 22,9 | 9,4 | 3,1 | 2,1 | 100 |
| 4 | გორი | 43,8 | 45,0 | 8,8 | 1,6 | 0,4 | 0,4 | 100 |
| | დუშეთი | 46,1 | 38,3 | 11,3 | 1,7 | 0,9 | 1,7 | 100 |
| 6 | ველისციხე | 53,6 | 29,3 | 9,9 | 6,1 | 1,1 | — | 100 |
| 7 | თელავი . | 41,5 | 41,4 | 12,0 | 3,9 | 1,0 | 0,2 | 100 |
| 8 | თიანეთი | 5,1 | 35,9 | 38,5 | 15,4 | 5,1 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 14,5 | 39,8 | 18,1 | 14,4 | 10,8 | 2,4 | 100 |
| 10 | ლიუქსემბურგი | 64,3 | 29,2 | 6,1 | 0,3 | 0,1 | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 49,6 | 39,5 | 9,4 | 1,5 | — | — | 100 |
| 12 | სურამი . | 13,0 | 41,2 | 22,6 | 16,8 | 3,7 | 2,7 | 100 |
| 13 | შულავერი | 55,9 | 28,0 | 15,3 | 0,8 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური . | 45,4 | 41,4 | 9,5 | 3,0 | 0,2 | 0,5 | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოს ქალაქებ. ტფილის. გამოკლებ. | 36,2 | 42,2 | 14,8 | 5,0 | 1,2 | 0,6 | 100 |
| 15 | ტფილისი . . | 29,3 | 32,8 | 16,9 | 10,0 | 5,5 | 5,5 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველ. | 30,6 | 34,6 | 16,5 | 9,0 | 4,7 | 4,6 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართვ.:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | 7,5 | 41,8 | 16,4 | 25,4 | 7,4 | 1,5 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 19,0 | 40,7 | 22,1 | 10,5 | 5,0 | 2,7 | 100 |
| 18 | ზუგდიდი . . . | 11,1 | 29,1 | 32,6 | 17,5 | 5,2 | 4,5 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | 30,0 | 26,6 | 22,3 | 15,6 | 3,9 | 1,6 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 16,7 | 24,7 | 30,8 | 20,7 | 3,6 | 3,5 | 100 |
| 21 | ონი | 28,0 | 36,0 | 22,7 | 8,0 | 2,7 | 2,6 | 100 |

| № რიგზე | ქალაქები | ბინები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ-ოთახ. | სულ |
| 22 | სამტრედია | 24,3 | 44,0 | 18,1 | 8,9 | 1,7 | 3.0 | 100 |
| 23 | სენაკი | 11,9 | 27,3 | 26.2 | 25,8 | 4,6 | 4,2 | 100 |
| 24 | ტყვიბული | 31.3 | 47,3 | 15,0 | 1.1 | 3,2 | 2.1 | 100 |
| 25 | ფოთი | 14,7 | 30,8 | 27,6 | 16,5 | 7,0 | 3.4 | 100 |
| 26 | ყულევი . | 8,7 | 15.9 | 30.4 | 42,0 | 1,5 | 1,5 | 100 |
| 27 | ცაგერი . | 50,0 | 26,5 | 14.7 | 2,9 | 5,9 | — | 100 |
| 28 | ჭიათურა | 14,4 | 40,1 | 20,9 | 13.5 | 6,2 | 4.9 | 100 |
| 29 | ხონი . . . | 23,0 | 26,3 | 25,4 | 16,6 | 4,7 | 4.0 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქ. ქუთაისის გამოკლებით | 19,5 | 31,3 | 24,9 | 16,1 | 4,9 | 3,3 | 100 |
| 30 | ქუთაისი . | 20,0 | 36,4 | 21,8 | 12,3 | 5,1 | 4.1 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 19.7 | 33,7 | 23,4 | 14,4 | 5,0 | 3.8 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 26,3 | 31,4 | 15,4 | | 6,6 | 8.0 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | 18,3 | 32,7 | 26,0 | 15,9 | 4,7 | 2,4 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | 8,8 | 39,6 | 24,0 | 21,6 | 1,7 | 4,4 | 100 |
| 34 | გალი | 7,9 | 42,1 | 5,3 | 26,3 | 10,5 | 7,9 | 100 |
| 35 | სოხუმი . | 31,0 | 36,2 | 17,6 | 8,2 | 4,0 | 3,0 | 100 |
| | სულ აფხაზეთში . . | 25,1 | 36.2 | 19,9 | 11,8 | 3,9 | 3.1 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . | 35,6 | 42,2 | 16.0 | 4,1 | 0,9 | 0,9 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. . | 27,9 | 34,3 | 18,0 | 10,4 | 4,8 | 4.6 | 100 |

უკანასკნელი ტაბულა მე-3 ტაბულას რომ დავუკავშიროთ, მეტად საყურადღებო დასკვნის გამოტანას შევსძლებთ.

აქაც ისევე, როგორც წყალსადენიან და ვატერკლოზეტიან ან ცალკე ფეხისადგილიან ბინებში, რაც მეტი ოთახიანია ბინა, მით უფრო ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილია სამზარეულოთი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული დებულება ვრცელდება არა მარტო მთელი რესპუბლიკის შეჯამებულ ბინებზე მათი კატეგორიების მიხედვით, არამედ რესპუბლიკის დანარჩენი კუთხეების შეჯამებულ ბინებზედაც, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებზე (ტფილისით და უტფილისოთ), ტფილისზე, დასავლეთ საქართველოს ქალაქებზე (ქუთაისით და უქუთაისოთ), ქუთაისზე, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ქალაქებზე.

მაგალითად, საერთოდ რესპუბლიკის ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 74,1 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ხოლო ამავე დროს რესპუბლიკის სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 62,2 პროც. სამზარეულოიან ერთსა და ორ-ოთახიან ბინებს შეადგენენ.

ცხადია, რესპუბლიკის ერთს და ორ-ოთახიან და ამავე ჯგუფის სამზარეულოიან ბინებს შორის პროც-ული განსხვავება გადასწყდა სამზარეულოიან სამ, ოთხ და მეტ ოთახიან ბინების სასარგებლოდ.

ახლა ვნახოთ, რა პირობებშია ამ მხრივ რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხის ბინები.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 87,6 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ხოლო ამავე ქალაქების სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 78,4 პროც. სამზარეულოიან ერთსა და ორ-ოთახიან ბინებს იძლევიან.

ტფილისის ბინათა საერთო რიცხვის 71,9 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ამავე ქალაქის სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 62,1 პროც. უკვე სამზარეულოიან ერთსა და ორ ოთახიან ბინებს შეადგენენ.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით) ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ამავე ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 76,1 პროც-ს შეადგენენ, ხოლო სამზარეულოიანი ერთ და ორ-ოთახიანი ბინები აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 65,2 პროც-ს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 63,6 პროც. ერთ და ორ-ოროთახიანი ბინებია, მაშინ, როდესაც სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი 50,8 პროც-ს შეადგენს.

ქუთაისში ბინების საერთო რიცხვის 68,0 პროც. ერთ და ორ-ოთახიან ბინებს უდრის, იმ დროს, როდესაც ამავე ქალაქის სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 56, 4 პროც. სამზარეულოიან ერთსა და ორ-ოთახიან ბინებს შეადგენენ.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის ჩათვლით) ბინათა საერთო რიცხვის 65,4 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ხოლო სამზარეულოიანი ბინები ამავე ქალაქების სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 53,4%-ს იძლევიან.

აჭარაში ბინათა საერთო რიცხვის 76, 8 პროც. ერთ და ორ-ოთახიან ბინებს შეადგენენ, ხოლო იგივე ჯგუფი სამზარეულოთი სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 57,7 %-ს.

აფხაზეთის ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 80, 9 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, იმ დროს, როდესაც სამზარეულოიანი ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ამავე ქალაქების სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 61,3 %-ს იძლევიან.

სამხრეთ ოსეთში ბინათა საერთო რიცხვის 86, 8 პროც. ერთ და ორ-ოთახიან ბინებს შეადგენენ, ხოლო სამზარეულოიანი ერთ და ორ-ოთახიანი ბინები სამხრეთ ოსეთის სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 77,8%-ს.

ამნაირად, ჩვენი დებულება სავსებით გამართლდა.

ახლა გადავხედოთ, საქართველოს რომელ კუთხეში არიან დიდი ბინები უფრო უზრუნველყოფილი სამზარეულოთი და, პირიქით, რომელია მას მოკლებული.

ამის პასუხს ზემოხსენებული განმარტებაც გვაძლევს. სამზარეულოთი ყველაზე უზრუნველყოფილია (ჩვენ ვიღებთ მხოლოდ სამ, ოთხ და მეტ-ოთახიან ბინებს) დასავლეთ საქართველოს ქალაქების ბინები. დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) ასეთი ბინები სამზარეულოიან ბინათა საერთო რიცხვის 49,2%-ს შეადგენენ, ხოლო საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით)—46,6 პრ-ს.

შემდეგ მოდიან: ქუთაისის, ბათომის, აფხაზეთის ქალაქების და ტფილისის ბინები. ყველაზე ნაკლებს სამზარეულოიანი მსხვილი ბინების პრ-ს რიგობრივ იძლევიან: აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ), სამხრეთ ოსეთის და, ბოლოს, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) ბინები.

უმთავრესი მიზეზი ამისა, ცხადია, უნდა ვეძებოთ საერთოდ საქართველოს სხვა და სხვა ქალაქის ბინათა ტეხნიკურ-მშენებლობითი მოუწესრიგებლობაში, რაც ზემოთ განვიხილეთ (იხ. ტაბულა 3).

ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ სამზარეულოიანი ბინები, მათში ოთახების რაოდენობის მიხედვით, და გაუკეთედ სათანადო დასკვნები, მაგრამ, თუ განვიხილავთ უსამზარეულო ბინებსაც, საინტერესოა, ზემო აღნიშნულ დასკვნებს დაადასტურებს იგი თუ არა.

ამისათვის საჭიროა მივმართოთ შემდეგ ტაბულას.

**100 უსამზარეულო ბინაზე მოდის:**

ტაბულა 24

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინების კატეგორია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ. ოთახ. | სულ |
| | I. აღმოსავლეთი საქართვ.: | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 51,5 | 35,9 | 9,0 | 3,1 | 0,5 | — | 100 |
| 2 | ახალციხე . | 48,6 | 40,9 | 7,9 | 2,2 | 0,2 | 0,2 | 100 |
| 3 | ბორჯომი | 32,4 | 51,6 | 8,4 | 3,8 | 2,5 | 1,3 | 100 |
| 4 | გორი | 73,9 | 22,7 | 2,7 | 0,7 | — | — | 100 |
| 5 | დუშეთი | 73,7 | 22,0 | 4,0 | 0,3 | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | 82,6 | 15,3 | 1,6 | 0,5 | — | — | 100 |
| 7 | თიანეთი | 67,6 | 29,4 | 2,1 | 0,6 | 0,1 | 0,2 | 100 |
| 8 | თელავი | 44,9 | 48,0 | 4,7 | 1,2 | 1,2 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 57,8 | 26,6 | 8,9 | 4,2 | 1,3 | 1,2 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 94,0 | 5,8 | — | 0,2 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 74,4 | 22,7 | 2,3 | 0,5 | 0,1 | — | 100 |
| 12 | სურამი . | 51,7 | 36,6 | 8,1 | 2,7 | — | 0,9 | 100 |
| 13 | შულავერი | 81,6 | 16,9 | 1,3 | 0,2 | — | — | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ-ოთახ. | სულ |
| 14 | ხაშური . . . . . . . . | 53.0 | 34,0 | 6.1 | 5,0 | 0.3 | 1.6 | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლ. | 67,7 | 26,7 | 3,7 | 1,4 | 0.2 | 0,3 | 100 |
| 15 | ტფილისი | 66,2 | 23,9 | 5,9 | 2,2 | 0,8 | 1,0 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველ. | 66,8 | 21,9 | 5,1 | 1,9 | 0,6 | 0,7 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | 38,8 | 31,8 | 17,6 | 10,6 | — | 1,2 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 52,2 | 31.4 | 10,3 | 3,8 | 1,5 | 0,8 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 22,1 | 36,5 | 26,4 | 7,8 | 3,6 | 3,6 | 100 |
| | ლანჩხუთი . | 54.5 | 20,6 | 11,6 | 7,6 | 1,5 | 1,2 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 35.1 | 32.0 | 18,2 | 12,3 | 1.4 | 1,0 | 100 |
| 21 | ონი | 48,1 | 40.1 | 8,4 | 2,5 | 0,9 | — | 100 |
| 22 | სამტრედია | 41.0 | 30,1 | 16,4 | 8.9 | 1,7 | 1,9 | 100 |
| 23 | სენაკი | 30,7 | 32,7 | 20,2 | 13,6 | 1.6 | 1,2 | 100 |
| 24 | ტყვიბული | 39,7 | 47,1 | 9,5 | 2,8 | 0,6 | 0,3 | 100 |
| 25 | ფოთი | 31,1 | 35,0 | 24,2 | 6,9 | 2,2 | 0,6 | 100 |
| 26 | ყულევი | 30,1 | 16,2 | 21,5 | 21,5 | 7,5 | 3,2 | 100 |
| 27 | ცაგერი .. | 47.2 | 40,0 | 10.6 | 1.0 | 0,6 | 0,6 | 100 |
| 28 | ჭიათურა | 51,2 | 36,6 | 8.4 | 1,6 | 1.1 | 1,1 | 100 |
| 29 | ხონი . | 49,5 | 21.6 | 17,1 | 9,1 | 1,9 | 0.8 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქუთაისის გამოკლებით | 41,6 | 31,4 | 16,7 | 7,5 | 1,7 | 1,1 | 106 |
| | ქუთაისი . | 49,2 | 33,7 | 11.4 | 4,1 | 0,7 | 0,9 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 44,2 | 32,2 | 14,9 | 6,3 | 1.4 | 1,0 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| | ბათომი . | 60,2 | 25.8 | 6,3 | 4,1 | 1,5 | 2,1 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| | გუდაუთი . | 48,7 | 33,2 | 12,1 | 3,7 | 1,3 | 1.0 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | 34,3 | 32,2 | 15,5 | 13,4 | 1,5 | 3.1 | 100 |
| 34 | გალი . . | 4.7 | 55,8 | 11,6 | 16,3 | 7,0 | 4,6 | 100 |
| 35 | სოხუმი | 73,9 | 20,8 | 3,9 | 0,9 | 0,2 | 0.3 | 100 |
| | სულ აფხაზეთში. | 67,1 | 23,3 | 5.8 | 2,6 | 0.5 | 0,7 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . | 51,7 | 38,5 | 6,5 | 3.1 | 0.2 | — | 100 |
| | სულ საქართველოში. | 60,2 | 26,9 | 7.7 | 3.3 | 0,9 | 1.0 | 100 |

ზემოთ ვამტკიცებდით, რომ რაც მეტ-ოთახიანია ბინა, მით უფრო უზრუნველყოფილია იგი სამზარეულოთი. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანეთ ცნობები მხოლოდ სამზარეულოიანი ბინების შესახებ, მაგრამ ახლა სრულიად ახალი საკითხი იბადება: სამართლიანია თუ არა ასეთი დასკვნები იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ უსამზარეულო ბინებს ავიღებთ?

ამაზე სავსებით ამოწურულ პასუხს უკანასკნელი ტაბულა იძლევა.

იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის ბინათა საერთო რიცხვის 25,9 პროც. მსხვილი*) ბინებია, ეს ჯგუფივე რესპუბლიკის უსამზარეულო ბინათა საერთო რიცხვის 12,9 პროცენტს იძლევა.

ასეთი პროცენტული განსხვავება სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ მსხვილი ბინების უმრავლესობა სამზარეულოთი უზრუნველყოფილია.

ასეთივე სურათია რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოდ) ბინათა საერთო რიცხვის 12,4 პროც. მსხვილი ბინებია, ხოლო ამავე ჯგუფის უსამზარეულო ბინები აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) უსამზარეულო ბინათა საერთო რიცხვის 5,6 პროცენტს შეადგენენ.

ტფილისის ბინათა საერთო რიცხვის 28.1 პროც. მსხვილ ბინებს შეადგენენ, იმ დროს, როდესაც უსამზარეულო მსხვილი ბინები 9,9 პროც. უდრის.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით) ბინათა საერთო რიცხვის 23.9 პროც. სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინებია, ხოლო ამავე ქალაქების უსამზარეულო ბინათა საერთო რიცხვის 8.3 პროცენტი უსამზარეულო მსხვილი ბინებია.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 36,4 პროც. სამ, ოთხ და მეტ-ოთახიან ბინებს უდრის, ხოლო ამავე ჯგუფის უსამზარეულო ბინები 27,0 პროცენტს შეადგენენ.

ქუთაისის ბინათა საერთო რიცხვის 32.0 პროც. მსხვილ ბინებს იძლევა, ხოლო უსამზარეულო სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინები--17,1 პროცენტს.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით) ბინათა საერთო რიცხვის 34,6 მსხვილ ბინებს გვაძლევენ, მაშინ, როდესაც ამავე ქალაქების უსამზარეულო ბინათა საერთო რიცხვის 23.6 პროცენტი უსამზარეულო სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინებია.

ბათომში მსხვილი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 23.2 პროც. უდრის, ხოლო იგივე ჯგუფი უსამზარეულო ბინათა საერთო რიცხვის 14.0 პროცენტს შეადგენს.

აფხაზეთის ქალაქებში ბინათა საერთო რიცხვის 19.1 პროცენტი სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინებია, მაშინ, როდესაც იგივე ჯგუფი ამავე ქალაქების უსამზარეულო ბინათა საერთო რიცხვის 9,6 პროცენტს შეადგენს.

ბოლოს, სამხრეთ ოსეთში ბინათა საერთო რიცხვის 13,2 პროც. მსხვილ ბინებს იძლევა, ხოლო ამავე ჯგუფის უსამზარეულო ბინათა საერთო რიცხვის 9,8 პროცენტმა სამ, ოთხ და მეტ ოთახიანი ბინები მოგვცა.

ასეთია სურათი რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში. ამ მოკლე მიმოხილვიდან შეიძლება კიდევ შემდეგი დასკვნის გამოტანა.

*) მსხვილ ბინებად იგულისხმება სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინები.

მსხვილი ბინები ყველაზე უზრუნველყოფილი სამზარეულოთი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშია, შემდეგ—აფხაზეთის ქალაქებში, სამხრეთ-ოსეთში და ტფილისში: ხოლო ასეთ ბინებს შედარებით მოკლებულნი არიან დასავლეთ საქართველოს ქალაქები, ქუთაისი და ბათომი.

რაც შეეხება ერთსა და ორ-ოთახიან ბინებს, აქ ყველაზე უზრუნველყოფილნი არიან სამზარეულოს მხრივ დასავლეთ საქართველოს ქალაქების ბინები (ქუთაისით და უქუთაისოთ), ქუთაისი და ბათომი, ხოლო მას მოკლებულია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით და უტფილისოთ), აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის და ტფილისის ერთ და ორ-ოთახიანი ბინების დიდი უმრავლესობა.

ცხადია, რომ აღნიშნული განმარტების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ საზოგადოდ ბინათა კატეგორიების ურთიერთ შორის პროცენტული დამოკიდებულება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, რაც ხელს უწყობს სამზარეულოიანი ბინების კატეგორიათა დაცემას ან გადიდებას.

ამით ვამთავრებთ საერთოდ ბინათა პირობების შესწავლა-გაშუქებას სამზარეულოს მხრივ. ახლა გავეცნოთ ბინათა მდგომარეობას შესავალის მიხედვით.

ამისათვის მივმართოთ, უპირველესად ყოვლისა, ქვემო მოყვანილ ტაბულას, სადაც ცნობები აბსოლიუტურ რიცხვებშია მოცემული, შემდეგ კი გადავიდეთ აღნიშნული პირობების თანდათანობითი შესწავლა-გაშუქებაზე.

### 4. ბინები, რომელთაც აქვთ შესავალი:

(აბსოლიუტურ რიცხვებში)

ტაბულა 25

| №№ რიგზე. | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ქუჩიდან | | ეზოდან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ბინების რიცხვი | მობინად. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინად. რიცხვი |
| | I. აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| | ახალქალაქი . | 448 | 2.142 | 116 | 533 |
| | ახალციხე . | 1.737 | 7.927 | 486 | 2.137 |
| 3 | ბორჯომი . . | 363 | 1.608 | 569 | 2.306 |
| 4 | გორი. | 652 | 2.646 | 1.593 | 6.450 |
| 5 | დუშეთი. . | 156 | 509 | 283 | 938 |
| 6 | ველისციხე | 62 | 254 | 1.126 | 4.819 |
| 7 | თელავი . . | 692 | 2.835 | 1.667 | 6.206 |
| 8 | თიანეთი . | 211 | 994 | 83 | 388 |
| 9 | ლაგოდეხი. . | 43 | 220 | 277 | 1.304 |
| 10 | ლიუქსენბურგი. | 136 | 495 | 925 | 3.990 |
| 11 | სიღნაღი . | 252 | 1.006 | 800 | 3.181 |
| 12 | სურამი. . | 279 | 1.490 | 552 | 2.599 |
| 13 | შულავერი. | 169 | 700 | 980 | 4.396 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ქუჩიდან: ბინების რიცხვი | ქუჩიდან: მობინად. რიცხვი | ეზოდან: ბინების რიცხვი | ეზოდან: მობინად. რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|
| 14 | ხაშური . . . . . . . . . . . . . . | 355 | 1.623 | 1.171 | 5.387 |
| | ხუთ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლებით . | 5 555 | 24.449 | 10628 | 44.634 |
| 15 | ტფილისი . . . . . | 13.371 | 83 575 | 31 906 | 145.963 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში . . . . | 18.926 | 108.024 | 42.534 | 190.597 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| 16 | ანაკლია. | 149 | 592 | 3 | 11 |
| 17 | ზესტაფონი | 279 | 1142 | 704 | 3650 |
| 18 | ზუგდიდი . | 484 | 2472 | 400 | 2000 |
| 19 | ლანჩხუთი . | 59 | 281 | 1391 | 7140 |
| 20 | ოზურგეთი . . | 46 | 260 | 965 | 5239 |
| 21 | ო ნ ი | 187 | 933 | 330 | 1741 |
| 22 | სამტრედია | 1044 | 4888 | 349 | 1551 |
| 23 | სენაკი . | 91 | 464 | 657 | 4011 |
| 24 | ტყვიბული. | 266 | 1160 | 152 | 656 |
| 25 | ფოთი. . | 295 | 1420 | 2020 | 9765 |
| 26 | ყულევი . | 13 | 45 | 153 | 682 |
| 27 | ცაგერი . . . | 41 | 98 | 284 | 1467 |
| 28 | ქიათურა . | 327 | 1317 | 368 | 1896 |
| 29 | ხონი . . | 35 | 67 | 2069 | 9357 |
| | სულ დასავლეთ საქართველ. ქალაქებში ქუთაისის გამოკლებით | 3316 | 15139 | 9845 | 49166 |
| 30 | ქუთაისი . . . | 3178 | 17026 | 5835 | 27640 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში . . . . | 6494 | 32165 | 15680 | 76806 |
| | **III. ა ჭ ა რ ა:** | | | | |
| 31 | ბათომი . | 1455 | 12766 | 6594 | 40024 |
| | **IV. ა ფ ხ ა ზ ე თ ი:** | | | | |
| 32 | გუდაუთი . | 297 | 1306 | 347 | 1493 |
| 33 | ოჩამჩირე | 20 | 67 | 623 | 2605 |
| 34 | გალი . | 35 | 71 | 46 | 159 |
| 35 | სოხუმი. . . . | 834 | 3635 | 3488 | 13216 |
| | სულ აფხაზეთში . | 1186 | 5079 | 4504 | 17473 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . | 418 | 2185 | 423 | 2300 |
| | საერთოდ საქართველოში . | 28479 | 160219 | 69735 | 327200 |

საერთოდ მთელს რესპუბლიკაში ქუჩიდან შესავალი ჰქონია 28.479 ბინას ანუ 160.219 მობინადრეს, ხოლო ეზოდან შესავალი—69.735 ბინას ანუ 327.200 მობინადრეს.

ეს მთელს რესპუბლიკაში; რაც შეეხება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს, აქ ბინებისა და მობინადრეთა პირობები ასეთია:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) შესავალი ქუჩიდან ჰქონია 5.555 ბინას ანუ 24.449 მობინადრეს, ხოლო ეზოდან—10.628 ბინას ანუ 44.634 მობინადრეს.

ტფილისში 13.371 ბინის 83.575 მობინადრე ქუჩიდან შესავალით სარგებლობს, ხოლო 31.906 ბინის 145.963 მობინადრე—ეზოდან.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით) 18.926 ბინა და 108.024 მობინადრე უზრუნველყოფილია ქუჩიდან შესავალით, ხოლო 42.534 ბინა და 190.597 მობინადრე—ეზოდან.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისის გამოკლებით) 3.316 ბინას და 15.139 მობინადრეს შესავალი ჰქონია ქუჩიდან, ხოლო 9.845 ბინას და 49.166 მობინადრეს—ეზოდან.

ქუთაისში 3.178 ბინას და 17.026 მობინადრეს შესავალი ქუჩიდან ჰქონია, ხოლო 5.835 ბინას და 27.640 მობინადრეს—ეზოდან.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით) 6.494 ბინა და 32.165 მობინადრე უზრუნველყოფილია შესავალით ქუჩიდან, ხოლო 15.680 ბინა და 76.806 მობინდარე—ეზოდან.

ბათომში 1.455 ბინაში მდგომი 12.766 მობინადრე დაკმაყოფილებულია ქუჩიდან შესავალით, ხოლო 6.594 ბინის 40.024 მობინადრე—ეზოდან.

აფხაზეთის ქალაქების 1.186 ბინას და 5.079 მობინადრეს შესავალი ჰქონია ქუჩიდან, ხოლო 4.504 ბინას და 17.473 მობინადრეს—ეზოდან.

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთის 418 ბინას და მათში მდგომ 2.185 მობინადრეს შესავალი ჰქონია ქუჩიდან, ხოლო 423 ბინას და 2.300 მობინადრეს—ეზოდან.

ასეთია, საერთოდ, ბინებისა და მობინადრეთა პირობების სურათი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ბინაში შესავლის მიხედვით.

ახლა საჭიროა გამოვარკვიოთ, რამდენად დაკმაყოფილებულნი არიან ამ მხრივ რესპუბლიკის ქალაქები და საქართველოს რომელი კუთხის ქალაქებში არიან უფრო უზრუნველყოფილნი ბინები და მობინადრენი შესავალით.

ამისათვის შევუდგეთ აღნიშნული საკითხის გაშუქება-შესწავლას შემდეგნაირად.

## 100 ბინაზე და 100 მობინადრეზე მოდის:

ტაბულა 26

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინაში შესავალით | | | მობინადრეთა სარგებლობა შესავალით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქუჩიდან | ეზოდან | სულ | ქუჩიდან | ეზოდან | სულ |
| | **I. აღმოსავლ. საქართველო:** | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 79,4 | 20,6 | 100 | 80,1 | 19,9 | 100 |
| 2 | ახალციხე | 78,1 | 21,9 | 100 | 78,7 | 21,3 | 100 |
| 3 | ბორჯომი | 39,0 | 61,0 | 100 | 41,1 | 58,9 | 100 |
| 4 | გორი | 29,0 | 71,0 | 100 | 29,0 | 71,0 | 100 |
| 5 | დუშეთი | 35,5 | 64,5 | 100 | 34,5 | 65,5 | 100 |
| 6 | ყელისციხე | 5,2 | 94,8 | 100 | 5,0 | 95,0 | 100 |
| 7 | თელავი | 29,3 | 70,7 | 100 | 31,6 | 68,4 | 100 |
| 8 | თიანეთი | 71,8 | 28,2 | 100 | 72,0 | 28,0 | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 13,4 | 86,6 | 100 | 14,4 | 85,6 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 12,8 | 87,2 | 100 | 11,0 | 89,0 | 100 |
| 11 | სიღნაღი | 24,0 | 76,0 | 100 | 24,0 | 70,0 | 100 |
| 12 | სურამი | 33,6 | 66,4 | 100 | 36,4 | 63,6 | 100 |
| 13 | შულავერი | 15,0 | 85,0 | 100 | 13,7 | 86,3 | 100 |
| 14 | ხაშური | 23,3 | 76,7 | 100 | 23,1 | 76,9 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლებით | 34,3 | 65,7 | 100 | 35,4 | 64,6 | 100 |
| 15 | ტფილისი | 29,5 | 70,5 | 100 | 36,4 | 63,6 | 100 |
| | სულ აღმოს. საქარ. ქალ. | 30,8 | 69,2 | 100 | 36,2 | 63,8 | 100 |
| | **II. დასავლ. საქართველო:** | | | | | | |
| 16 | ანაკლია | 98,0 | 2,0 | 100 | 98,2 | 1,8 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 28,4 | 71,6 | 100 | 23,8 | 76,2 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 54,8 | 45,2 | 100 | 55,3 | 44,7 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | 4,0 | 96,0 | 100 | 3,8 | 96,2 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 4,5 | 95,5 | 100 | 4,7 | 95,3 | 100 |
| 21 | ონი | 36,2 | 63,8 | 100 | 34,9 | 65,1 | 100 |
| 22 | სამტრედია | 74,9 | 25,1 | 100 | 77,6 | 22,4 | 100 |
| 23 | სენაკი | 12,2 | 87,8 | 100 | 10,4 | 89,6 | 100 |
| 24 | ტყიბული | 63,7 | 36,3 | 100 | 63,9 | 36,1 | 100 |
| 25 | ფოთი | 12,8 | 87,2 | 100 | 12,9 | 87,1 | 100 |
| 26 | ყულევი | 7,9 | 92,1 | 100 | 6,2 | 93,8 | 100 |
| 27 | ცაგერი | 12,6 | 87,4 | 100 | 6,3 | 93,7 | 100 |
| 28 | ჭიათურა | 47,0 | 53,0 | 100 | 41,0 | 59,0 | 100 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ბინაში შესავალით | | | მობინადრეთა სარგებლობა შესავალით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქუჩიდან | ეზოდან | ს უ ლ | ქუჩიდან | ეზოდან | ს უ ლ |
| 29 | ხონი | 1,6 | 98,4 | 100 | 0,7 | 99,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქუთაისის გამოკლებით | 25,3 | 74,7 | 100 | 23,5 | 76,5 | 100 |
| 30 | ქუთაისი | 35,3 | 64,7 | 100 | 38,3 | 61,7 | 100 |
| | სულ დასავლ. საქართველ. | 29,3 | 70,7 | 100 | 29,5 | 70 5 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | |
| 31 | ბათომი | 18,1 | 81,9 | 100 | 24,2 | 75,8 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 46,0 | 54,0 | 100 | 46,7 | 53,3 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | 3,1 | 96,9 | 100 | 2,5 | 97,5 | 100 |
| 34 | გალი | 43,2 | 56,8 | 100 | 30,9 | 69,1 | 100 |
| 35 | სოხუმი | 25,1 | 74,9 | 100 | 20,7 | 79,3 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 20,8 | 79,2 | 100 | 22,5 | 77,5 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 49,7 | 50,3 | 100 | 48,7 | 51,3 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 29.0 | 71,0 | 100 | 32,9 | 67,1 | 100 |

რესპუბლიკის ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 29.0 პროც. და ამავე ქალაქების მობინადრეთა საერთო რიცხვის 32,9 პროცენტს ბინაში შესავალი ქუჩიდან ჰქონია, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 71.0 პროცენტს და მობინადრეთა 67,1 პროცენტს—ეზოდან.

აქედან ცხადია, რომ საქართველოს ქალაქების ბინები, საზოგადოდ, ტეხნიკურად მოუწყობელია, ვინაიდან, როგორც დავინახეთ, ბინათა და მობინადრეთა დიდს უმრავლესობას შესავალი ეზოდან ჰქონია.

ახლა ვნახოთ, რა პირობებია ამ მხრივ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ბინებში.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 34.3 პროცენტს და ამავე ქალაქების მობინადრეთა საერთო რიცხვის 35,4 პროცენტს შესავალი ბინაში ქუჩიდანა აქვს, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 65.7 პროცენტს და მობინადრეთა 64,6 პროცენტს ეზოდან.

ტფილისში ბინათა საერთო რიცხვის 29.5 პროც. და მობინადრეთა 36.4 პროც. უზრუნველყოფილია ქუჩიდან შესავალით, ხოლო ბინების 70.5 პროც. და მობინადრეთა 63,5 პროც.—ეზოდან.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) ბინათა საერთო რიცხვის 30.8 პროცენტს და მობინადრეთა 36,2 პროცენტს შესავალი

ქუჩიდანა აქვს, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 69,2 პროცენტს და მობინადრეთა საერთო რიცხვის 63,8 პროცენტს—ეზოდან.

ქუთაისის ბინათა საერთო რიცხვის 35,3 პროცენტს და მობინადრეთა 38,3 პროცენტს შესავალი აქვს ქუჩიდან, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 64,7 პროცენტს და მობინადრეთა 61,7 პროცენტს—ეზოდან.

საერთოდ კი დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით) ბინათა საერთო რიცხვის 29,3 პროც. და მობინადრეთა საერთო რიცხვის 29,5 პროც. უზრუნველყოფილია ქუჩიდან შესავალით, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 70,7 პროც. და მობინადრეთა საერთო რიცხვის 70,5 პროც. უზრუნველყოფილია ეზოდან შესავალით.

ბათომში ბინათა საერთო რიცხვის 18,1 პროცენტს და მობინადრეთა 24,2 პროცენტს ბინაში შესავალი ქუჩიდანა აქვს, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 81,9 პროცენტს და მობინადრეთა 75,8 პროცენტს--ეზოდან.

აფხაზეთის ქალაქებში ბინათა საერთო რიცხვის 20,8 პროც. და მობინადრეთა 22,5 პროც. დაკმაყოფილებულია ქუჩიდან შესავალით, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 79,2 პროც. და მობინადრეთა 77,5 პროც.—ეზოდან.

ბოლოს, სამხრეთ ოსეთში ბინათა საერთო რიცხვის 49,7 პროცენტს და მობინადრეთა 48.7 პროცენტს შესავალი ბინაში ქუჩიდანა ჰქონია, ხოლო ამავე ქალაქის ბინათა საერთო რიცხვის 50.3 პროცენტს და მობინადრეთა 51,3 პროცენტს— ეზოდან.

ამნაირად, ამ მიმოხილვიდან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

ქუჩიდან შესავალით მოუწყობელი ბინების ყველაზე მცირე რიცხვს ბათომი იძლევა, შემდეგ—აფხაზეთის და დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინები, შედარებით მეტ რიცხვს—სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, აღმოსავლეთ საქართველოს (ტფილისით და უტფილისოთ) და დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით) ბინები.

ხოლო უდიდეს რიცხვს ბინებისას, რომელთაც ეზოდანა აქვთ შესავალი, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით და უტფილისოთ) ბინები იძლევიან.

სულ სხვანაირი სურათი გვეშლება ამ მხრივ მაშინ, როდესაც მობინადრეთა პირობებს განვიხილავთ.

მობინადრეთა ყველაზე უმცირეს რიცხვს, რომელიც შესავალით ქუჩიდან სარგებლობს. აფხაზეთის ქალაქები იძლევიან, შემდეგ—დასავლეთ საქართველოს ქალაქები (უქუთაისოთ) და ბათომის მობინადრენი; შედარებით ყველაზე უკეთეს პირობებში სამხრეთ ოსეთის მობინადრენი იმყოფებიან, შემდეგ —ქუთაისის, ტფილისის და, ბოლოს, საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მობინადრენი.

რაც შეეხება მობინადრეთა სარგებლობას შესავალით მხოლოდ ეზოდან. პირობები ასეთია:

უდიდეს რიცხვს მობინადრეებისას. რომელნიც ეზოდან შედიან ბინაში, აფხაზეთის ქალაქები იძლევიან, შემდეგ—დასავლეთ საქართველოს ქალაქები (უქუთაისოთ) და ბათომის; ყველაზე უმცირეს რიცხვს -სამხრეთ ოსეთის. ქუთაისის და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით და უტფილისოთ) მობინადრენი.

ამით ვამთავრებთ ბინათა და მობინადრეთა პირობების გამოკვლევას საეროოდ. ახლა საჭიროა ვიცოდეთ, უმთავრესად ბინათა რომელი კატეგორიაა უფრო მოუწყობელი და, პირიქით, რომელი უფრო მოწყობილი საქართველოს კუთხეებთან დაკავშირებით.

ამისათვის შევუდგეთ შემდეგი ტაბულას განხილვას.

**100 ბინაზე, რომელთაც ქუჩიდანა აქვთ შესავალი, ბინათა ჯგუფების მიხედვით მოდის:**

ტაბულა 27

| №№ რიგ. | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ბ ი ნ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ე ბ ი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახიანი | სულ |
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 34,4 | 50,0 | 11,4 | 3,6 | 0.4 | 0,2 | 100 |
| 2 | ახალციხე . | 26,7 | 45,2 | 20.4 | 6,1 | 1,2 | 0,4 | 100 |
| 3 | ბორჯომი . | 20,3 | 40,7 | 20,9 | 8,9 | 5.6 | 3,6 | 100 |
| 4 | გორი. | 59,2 | 31,6 | 6,9 | 1,5 | 0,5 | 0,3 | 100 |
| 5 | დუშეთი. | 53,8 | 34,6 | 10.3 | — | 0,7 | 0,6 | 100 |
| 6 | ველისციხე. . | 47,5 | 36,1 | 14,8 | 1,6 | — | — | 100 |
| 7 | თელავი. | 47,3 | 38,2 | 10,0 | 3,5 | 0.7 | 0,3 | 100 |
| 8 | თიანეთი . . . | 43,1 | 44,1 | 8,1 | 2,8 | 1.9 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 27,9 | 23.3 | 25,6 | 7,0 | 11,6 | 4,6 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 74.2 | 23,4 | 0,8 | 0,8 | 0.8 | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 53,2 | 38,9 | 6,7 | 1,2 | — | — | 100 |
| 12 | სურამი . . | 29,6 | 39,7 | 17,0 | 9,7 | 2,5 | 1,5 | 100 |
| 13 | შულავერი . . | 64,9 | 26,1 | 9,0 | — | — | — | 100 |
| 14 | ხაშური . . . . | 42,0 | 40,3 | 10,7 | 5,4 | 0,5 | 1,1 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ტფილისის გარეკლებით . . | 39,5 | 40,2 | 13,8 | 4,5 | 1,3 | 0,7 | 100 |
| 15 | ტფილისი. . . . | 23,8 | 25,9 | 16,8 | 14,0 | 9,1 | 10,4 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . | 28,4 | 30,1 | 15,9 | 11,2 | 6,8 | 7,6 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია. . | 23,5 | 36,9 | 17,5 | 17,5 | 3,3 | 1,3 | 100 |
| 17 | ზესტაფონი . | 51,6 | 28,9 | 11,9 | 3,6 | 2,9 | 1,1 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 14,1 | 36,4 | 25,3 | 14,1 | 6,0 | 4,1 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი. | 28,8 | 37,1 | 15,2 | 10,6 | 5,0 | 3,3 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 15,2 | 47,9 | 15,2 | 15,2 | — | 6,5 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინების ჯგუფები: 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ-ოთახიანი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | ონი | 45,5 | 34,7 | 13,3 | 5,4 | 0,6 | 0,5 | 100 |
| 22 | სამტრედია | 32,9 | 36,6 | 17,1 | 9,6 | 1,7 | 2,1 | 100 |
| 23 | სენაკი | 32,6 | 29,2 | 12,4 | 15,7 | 2,2 | 7,9 | 100 |
| 24 | ტყიბული | 35,0 | 46,6 | 13,5 | 2,6 | 1,9 | 0,4 | 100 |
| 25 | ფოთი | 22,5 | 27,3 | 15,0 | 17,8 | 10,9 | 6,5 | 100 |
| 26 | ყულევი | 7,7 | 23,1 | 38,4 | 15,4 | 7,7 | 7,7 | 100 |
| 27 | ცაგერი | 68,3 | 24,4 | 5,0 | — | 2,3 | — | 100 |
| 28 | ჭიათურა | 48,3 | 31,3 | 11,2 | 4,3 | 1,5 | 3,4 | 100 |
| 29 | ხონი | 67,7 | 14,7 | 11,8 | 2,9 | — | 2,9 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 33,1 | 34,9 | 16,3 | 9,6 | 3,3 | 2,8 | 100 |
| 30 | ქუთაისი | 25,4 | 31,2 | 20,0 | 12,5 | 5,3 | 5,6 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 29,4 | 33,0 | 18,1 | 11,0 | 4,3 | 4,2 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი | 28,3 | 23,1 | 12,6 | 13,8 | 9,4 | 12,8 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 24,0 | 32,0 | 23,2 | 14,8 | 3,7 | 2,3 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | 20,0 | 30,0 | 25,0 | 10,0 | 10,0 | 5,0 | 100 |
| 34 | გალი | 2,9 | 82,7 | 2,9 | 5,7 | 2,9 | 2,9 | 100 |
| 35 | სოხუმი | 56,5 | 20,3 | 11,3 | 5,4 | 3,6 | 2,9 | 100 |
| | სულ აფხაზეთის ქალაქებში | 46,1 | 25,2 | 14,3 | 7,8 | 3,7 | 2,9 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 46,9 | 40,0 | 9,4 | 3,4 | 0,3 | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 29,7 | 30,4 | 16,1 | 11,0 | 6,0 | 6,8 | 100 |

მთელს რესპუბლიკაში იმ ბინების უმრავლესობას, რომელთაც შესავალი ქუჩიდანა აქვთ, ორ-ოთახიანი ბინები იძლევიან, შემდეგ—ერთ, სამ, ოთხ, ექვს და, ბოლოს, ხუთ-ოთახიანი ბინები. აქ 100 ბინაზე მოდის: ორ-ოთახიანი—30,4, ერთ-ოთახიანი—29,7, სამ-ოთახიანი—16,1, ოთხ-ოთახიანი—11,0 და ასე შემდეგ.

რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხის ბინებში მდგომარეობა ამ მხრივ შემდეგნაირია:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) ბინების უმრავლესობას, რომელთაც შესავალი ქუჩიდან აქვთ, ორ-ოთახიანი ბინები შეადგენენ,

შემდეგ—ერთ, სამ, ოთხ, ხუთ და, ბოლოს, ექვს და მეტ-ოთახიანი ბინები. აქ 100 ბინაზე მოდის: ორ-ოთახიანი—40,2, ერთ-ოთახიანი—39,5, სამ-ოთახიანი—13,8, ოთხ-ოთახიანი—4,5 და სხვა.

ტფილისის ბინების დიდ უმრავლესობას, რომელთაც შესავალი ქუჩიდან აქვთ, ორ-ოთახიანი და ერთ-ოთახიანი ბინები შეადგენენ, შემდეგ—სამ, ოთხ, ექვს და, ბოლოს, ხუთ-ოთახიანი ბინები. 100 ბინაზე მოდის: ორ-ოთახიანი—25,9, ერთ-ოთახიანი—23,8, სამ-ოთახიანი—16,8, ოთხ-ოთახიანი—14,0 და სხვა.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც, რასაკვირველია, ბინათა დიდ უმრავლესობას, რომელთაც ქუჩიდან აქვთ შესავალი, ორ და ერთ-ოთახიანი ბინები მოგვცემენ, შემდეგ—სამ, ოთხ, ექვს და ხუთ-ოთახიანი ბინები. აქ 100 ბინიდან 30,1 ორ-ოთახიანი ბინაა, 28,4—ერთ-ოთახიანი, 15,9—სამ-ოთახიანი, 11,2—ოთხ-ოთახიანი და სხ.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოდ) ბინებში, რომელთაც ქუჩიდან აქვთ შესავალი, რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი ისევ ორ-ოთახიან ბინებს უჭირავთ, შემდეგ: ერთ, სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ-ოთახიანს. 100 ბინიდან აქ ორ-ოთახიანი 34,9 ბინას იძლევა, ერთ-ოთახიანი—33,1, სამ-ოთახიანი—16,3.

ქუთაისის ბინების დიდ უმრავლესობას, რომელთაც ქუჩიდან აქვთ შესავალი, ისევ ორ და ერთ-ოთახიანი ბინები შეადგენენ, შემდეგ—სამ, ოთხ, ექვს და, ბოლოს, ხუთ-ოთახიანი ბინები. აქ 100 ბინაზე მოდის: ორ-ოთახიანი—31,2, ერთ-ოთახიანი—25,4, სამ-ოთახიანი—20,0, ოთხ-ოთახიანი—12,5, ექვს ოთახიანი—5,6 და ხუთ-ოთახიანი ბინა—5,3.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც, ცხადია, ბინათა დიდ უმრავლესობას, რომელთაც ქუჩიდან აქვთ შესავალი, ორ და ერთ-ოთახიანი ბინები მოგვცემენ, შემდეგ—სამ, ოთხ, ხუთ და, ბოლოს, ექვს და მეტ-ოთახიანი ბინები.

ბათომში, აფხაზეთის ქალაქებში და სამხრეთ-ოსეთში სურათი იცვლება; აღნიშნულ ქალაქებში ბინების დიდ უმრავლესობას, რომელთაც ქუჩიდან აქვთ შესავალი უკვე ერთ-ოთახიანი ბინები იძლევიან. მაგალითად, 100 ბინაზე მოდის: ბათომში—28,3, აფხაზეთის ქალაქებში—46,1 და სამხრეთ-ოსეთში—46,9. იმ დროს, როდესაც ამავე ქალაქებში ორ-ოთახიანი ბინები იძლევიან: ბათომში—23,1, აფხაზეთის ქალაქებში—25,2 და სამხრეთ-ოსეთში—40,0.

სამ-ოთახიან ბინებს ბათომში მეოთხე ადგილი უჭირავთ, ხოლო აფხაზეთის ქალაქებში და სამხრეთ-ოსეთში—მესამე.

ოთხ-ოთახიან ბინებს კი, რომელთაც ქუჩიდან აქვთ შესავალი, ბათომში მესამე ადგილი უჭირავთ, ხოლო აფხაზეთის ქალაქებში და სამხრეთ-ოსეთში—მეოთხე ადგილი.

ხუთ-ოთახიან ბინებს აფხაზეთის ქალაქებში მეხუთე ადგილი უჭირავთ, იმ დროს, როდესაც ბათომში—უკანასკნელი ადგილი.

ამ მიმოხილვიდან სჩანს, რომ როგორც მთელს რესპუბლიკაში, ისე მის შემადგენელ ნაწილებში ბინების უდიდეს რიცხვს, რომელთაც ქუჩიდანა აქვთ შესავალი, ერთ და ორ-ოთახიანი ბინები გვაძლევენ.

მაგრამ ამ მიმოხილვიდანვე შემდეგი საგულისხმიერო დასკვნის გამოტანაც შეგვიძლია.

მიუხედავათ იმისა, რომ იმ ბინებიდან, რომელთაც ქუჩიდანა აქვთ შესავალი, დიდ უმრავლესობას ერთ და ორ-ოთახიანი ბინები იძლევიან, მაინც ვამბობთ, რომ რაც მეტ-ოთახიანია ბინა, მით უფრო უზრუნველყოფილია ქუჩიდან შესავალით და, პირიქით, რაც ნაკლებ ოთახიანია, მით უფრო მოკლებულია ქუჩიდან შესავალს. გამონაკლის შეადგენენ დასასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინები.

ერთის შეხედვით, ეს ორი დებულება თითქმის ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ თუ უკანასკნელ ტაბულას მე-3 ტაბულას დაუკავშირებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ როგორც პირველი, ისე მეორე დებულება სრულიად მართალია.

მართლაც, საერთოდ რესპუბლიკის ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 43,3 ერთ-ოთახიანი ბინებია, ხოლო რესპუბლიკის ქუჩიდან შესავალ ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 29,7 პროც. უკვე ქუჩიდან შესავლიან ერთ-ოთახიან ბინებს შეადგენენ. ასეთივე პირობებია ქუჩიდან შესავლიან ორ-ოთახიან ბინებშიაც.

ახლა, ცხადია, რესპუბლიკის ერთ-ოთახიან ბინებს და ამავე ჯგუფის ქუჩიდან შესავლიან ბინებს შორის პროცენტული განსხვავება ქუჩიდან შესავლიანი სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინების სასარგებლოდ გადასწყდა. რომ ეს ასეა, ქვემო მოყვანილი ცნობებიდანაცა სჩანს. იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის ბინათა საერთო რიცხვის 13,1 პროც. სამ-ოთახიანი ბინებია, ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 16,1 პროც. უკვე ზემოხსენებულ ჯგუფს იძლევა.

ქუჩიდან შესავლიანი ბინების სწრაფ ზრდას ვამჩნევთ აგრეთვე ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ-ოთახიან ბინებშიაც.

ახლა ვნახოთ, რა პირობებია ამ მხრივ რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 87,6 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ხოლო ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი აქ 79,7 პროცენტს შეადგენს.

ტფილისში ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 71.9 პროცენტს უდრიან, ხოლო ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის—49,7 პროცენტს.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 76,1 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი—58,5 პროცენტს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 63,3 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ქუჩიდან შესავლიანი ერთ და ორ-ოთახიანი ბინები—ამავე ჯგუფის ბინათა საერთო რიცხვის 68,0 პროცენტს.

ქუთაისის ბინათა საერთო რიცხვის 68,0 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 56,6 პროცენტი იმავე ჯგუფს იძლევა, ე. ი. ქუჩიდან შესავლიან ერთსა და ორ-ოთახიან ბინას.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით) ბინათა საერთო რიცხვის 65,4 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო ქუჩიდან შესავლიანი ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 62,4 პროცენტს შეადგენენ.

ბათომის ბინათა საერთო რიცხვის 76,8 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა. იმ დროს. როდესაც ქუჩიდან შესავლიანი ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 51.4 პროცენტს უდრის.

აფხაზეთის ქალაქებში ბინათა საერთო რიცხვის 80,9 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც აქ ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 71,3 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა.

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთში ბინათა საერთო რიცხვის 86,8 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო ქუჩიდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის ივივე ჯგუფი 86.9 პროცენტს უდრის.

ამნაირად. რესპუბლიკის ყველა კუთხეში ბინების პირობები ქუჩიდან შესავლის მხრივ თითქმის ერთნაირია, ე. ი. ყველა ჩამოთვლილ კუთხეში ტეხნიკური მოუწყობლობა უმთავრესად ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია შექმნილი, შემდეგ —სამს. ოთხს და მეტ-ოთახიან ბინებში.

ჩვენ განვიხილეთ ქუჩიდან შესავლიანი ბინები მათში ოთახების რაოდენობის მიხედვით და გავუკეთეთ სათანადო დასკვნები; მაგრამ, თუ განვიხილავთ მხოლოდ იმ ბინებს, რომელთაც შესავალი ეზოდან აქვთ, საინტერესოა: ზემოხსენებულ დასკვნებს დაადასტურებს თუ არა. მივმართოთ ქვემო-მოყვანილ ტაბულას.

**100 ბინაზე, რომელთაც ეზოდან აქვთ შესავალი, ბინათა ჯგუფების მიხედვით მოდის:**

ტაბულა 28

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინების ჯგუფები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
| | I. აღმოსავლეთი საქართველო: | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 48.3 | 32,7 | 15,6 | 1,7 | 1,7 | — | 100 |
| 2 | ახალციხე | 38,9 | 46,7 | 10,9 | 2,9 | 0,4 | 0,2 | 100 |
| | ბორჯომი | 26.3 | 52,2 | 14,1 | 5,7 | 1,1 | 0,6 | 100 |
| 4 | გორი | 66,4 | 29,1 | 3,7 | 0,7 | — | 0,1 | 100 |
| | დუშეთი | 73,4 | 21,6 | 3,5 | 1,1 | — | 0,6 | 100 |
| 6 | ველისციხე | 79.9 | 16,4 | 2,2 | 1,3 | 0,2 | — | 100 |
| 7 | თელავი | 62.2 | 32,1 | 4,1 | 1,1 | 0,3 | 0,2 | 100 |
| 8 | თიანეთი | 30,5 | 52,4 | 12,2 | 3,7 | 1,2 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 49,5 | 31,1 | 9,0 | 6,9 | 2,5 | 1,0 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 75,7 | 19,9 | 4,1 | 0,3 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 68,7 | 26,0 | 4,5 | 0,7 | 0,1 | — | 100 |
| 12 | სურამი | 36,2 | 38,2 | 13,6 | 8,8 | 1,3 | 1,9 | 100 |
| 13 | შულავერი | 81,4 | 16,7 | 1,6 | 0,3 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური | 50.6 | 37,7 | 7,3 | 3,4 | 0,2 | 0,8 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქარ. ტფილისის გამოკლებით | 62,1 | 29 5 | 5,7 | 2,1 | 0,3 | 0,3 | 100 |
| 15 | ტფილისი | 50,1 | 31,2 | 11,4 | 4,4 | 1,7 | 1,2 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 53,3 | 30,8 | 10,0 | 3,7 | 1,3 | 0,9 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინების ჯგუფები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია. | 100,0 | — | — | — | — | — | 100 |
| 17 | ზესტაფონი . | 29.5 | 38,8 | 17,8 | 8,6 | 3.3 | 2,0 | 100 |
| 18 | ზუგდიდი . . | 20,7 | 29.0 | 34,0 | 10,1 | 2,3 | 3.9 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი . | 42,0 | 23.2 | 18,8 | 12,0 | 2,7 | 1,3 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 32,3 | 29,7 | 20,9 | 13.9 | 1,9 | 1,3 | 100 |
| 21 | ონი. . . | 45,0 | 42,2 | 8,8 | 2,2 | 1,5 | 0,3 | 100 |
| 22 | სამტრედია | 45,7 | 27,0 | 16,0 | 6,8 | 1,7 | 2,8 | 100 |
| 23 | სენაკი . | 16,7 | 29,2 | 25,6 | 22,1 | 3,8 | 2,6 | 100 |
| 24 | ტყიბული. | 42,8 | 48,0 | 5,9 | 2,0 | — | 1,3 | 100 |
| 25 | ფოთი. | 22,6 | 33,6 | 27,5 | 11,0 | 3,8 | 1,5 | 100 |
| 26 | ყულევი . . | 22,2 | 15,4 | 24,2 | 31,5 | 4,7 | 2,0 | 100 |
| 27 | ცაგერი . . | 44,4 | 40,5 | 12,0 | 1,4 | 1,0 | 0,7 | 100 |
| 28 | ჭიათურა. | 28,8 | 43,8 | 14,4 | 7,2 | 4,2 | 1,6 | 100 |
| 29 | ხონი. . . . . | 36,0 | 24,0 | 21,3 | 12,9 | 3,4 | 2.4 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლ. | 32,0 | 30,2 | 21,4 | 11,6 | 3,0 | 1,8 | 100 |
| 30 | ქუთაისი . . . . . . . . | 36,9 | 37,4 | 15,7 | 6,6 | 2,0 | 1,4 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . . . . . | 33,8 | 32,9 | 19,3 | 9,8 | 2,6 | 1,6 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . . | 53,9 | 28,6 | 8,6 | 5,1 | 1,7 | 2,1 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 40,0 | 33,8 | 16,2 | 6,2 | 2,6 | 1,2 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | 24,4 | 35,3 | 18.6 | 16,8 | 1,3 | 3,6 | 100 |
| 34 | გალი . | 8,7 | 24,0 | 13,0 | 32,6 | 13,0 | 8,7 | 100 |
| 35 | სოხუმი . . . . | 62,9 | 26,4 | 7,1 | 2,4 | 0,6 | 0,6 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 55,3 | 28,2 | 9,4 | 4,9 | 1,0 | 1,2 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი. . . | 47,8 | 39,1 | 8,5 | 3,6 | 0,5 | 0,5 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში . | 49,0 | 30,9 | 11,9 | 5,3 | 1,6 | 1,3 | 100 |

მართლაც, იმ დროს, როდესაც საერთოდ რესპუბლიკის ბინათა საერთო რიცხვის 25,9 პროც. მსხვილი ბინებია, ეს ჯგუფიეე რესპუბლიკის ეზოდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 20,1 პროც-ს იძლევა.

ასეთი სწრაფი პროც-ული დაცემა, ე. ი. 25,9 პროც-დან 20,1 პროც-მდე, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ მსხვილი ბინების უმრავლესობა შესავლით ქუჩიდანაა უზრუნველყოფილი.

ასეთივე მდგომარეობაა რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 12,4 პროც. მსხვილი ბინებია, ხოლო ამავე ბინათა საერთო რიცხვის ბინები ეზოდან შესავალით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) ეზოდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 8,4 პროც-ს უდრის.

ტფილისის ბინათა საერთო რიცხვის 28.1 პროც. მსხვილი ბინებია, იმ დროს, როდესაც ეზოდან შესავალი მსხვილი ბინების 18,7 პროც-ს აქვს.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით) ბინათა საერთო რიცხვის 23,9 პროც. სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინებია, ხოლო ამავე ქალაქების ეზოდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 15,9 პროც-ი ეზოდან შესავლიანი მსხვილი ბინებია.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 36,7 პროც. სამ, ოთხ და მეტ-ოთახიან ბინებს უდრის, ხოლო ამავე ჯგუფის ეზოდან შესავლიანი ბინები — 37,8 პროც-ს. აქ ისევე, როგორც ქუჩიდან შესავლიან ბინებში, კატეგორიათა მიხედვით, პროპორცია ირღვევა, ე. ი. დებულება: რაც მეტ ოთახიანია ბინა, მით უფრო უზრუნველყოფილია იგი ქუჩიდან შესავალით და, პირიქით, რაც ნაკლებ ოთახიანია, მით უფრო უზრუნველყოფილია იგი ეზოდან შესავალით, აქ როდია სწორი.

ქუთაისის ბინათა საერთო რიცხვის 32,0 პროც. მსხვილ ბინებს იძლევა, ხოლო ეზოდან შესავლიანი სამ, ოთხ და მეტ-ოთახიანი ბინები—25,7 პროც.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით) მსხვილი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 34,6 პროც. შეადგენენ, მაშინ, როდესაც იგივე ჯგუფი ამავე ქალაქების ეზოდან შესავალის მქონე ბინათა საერთო რიცხვის 33,3 პროც. შეადგენს.

აჭარაში 23,2 პროც. მსხვილი ბინებია, ხოლო ეზოდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი 17,5 პროც. ეზოდან შესავლიან ბინებს იძლევა.

აფხაზეთის ქალაქებში ბინათა საერთო რიცხვის 19,1 პროც. სამს, ოთხს და მეტ-ოთახიან ბინებს შეადგანენ, იმ დროს, როდესაც ამავე ქალაქების ეზოდან შესავლიან ბინათა საერთო რიცხვის 16,5 პროცენ.—მსხვილ ბინებს.

ბოლოს, სამხრეთ ოსეთში მსხვილი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 13,2 პროც. შეადგენენ, ხოლო იგივე ჯგუფი ეზოდან შესავალის მქონე ბინათა საერთო რიცხვის 13,1 პროც-ს გვაძლევს.

ასეთია სურათი რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში, მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვიდან შეგვიძლია კიდევ შემდეგი დასკვნის გამოტანაც.

მსხვილი ბინები ყველაზე უზრუნველყოფილი ქუჩიდან შესავალით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშია, შემდეგ—სამხრეთ ოსეთში, საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით), აფხაზეთში, აჭარაში, ტფილი-

სში, ქუთაისში და, ბოლოს, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით და უქუთაისოთ).

რაც შეეხება ერთსა და ორ-ოთახიან ბინებს, ასეთი ბინები ყველაზე უფრო უზრუნველყოფილნი არიან ქუჩიდან შესავლით დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით და უქუთაისოთ), შემდეგ — ქუთაისში, ტფილისში, აჭარაში, აფხაზეთში, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში და, ბოლოს, სამხრეთ-ოსეთში.

რასაკვირველია, აღნიშნული განმარტების დროს აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ, საზოგადოდ, ბინათა კატეგორიების ურთი-ერთ შორის პროპორციონალური დამოკიდებულებაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, რაც ხელს უწყობს ქუჩიდან და ეზოდან შესავლიანი ბინების კატეგორიათა დაცემა-გადიდებას.

ამნაირად, აქაც დავრწმუნდით, რომ რაც ნაკლებ ოთახიანია ბინა, მით უფრო უზრუნველყოფილია იგი ეზოდან შესავალით, პირიქით, რაც მეტ ოთახიანია, მით უფრო უზრუნველყოფილია იგი ქუჩიდან შესავალით.

როგორც დავინახეთ, აღნიშნული დებულება გავრცელდა არა მარტო მთელი რესპუბლიკის ბინებზე, არამედ ყველა მის შემადგენელ ნაწილზე, სადაც მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინები შეადგენენ გამონაკლისს.

ამით ვამთავრებთ, საერთოდ, ბინების სანიტარულ პირობათა შესწავლა-გაშუქებას.

ახლა, თავი რომ მოუყაროთ ბინათა ყველა იმ თვისებას, რომელთა შესახებაც ცნობები ზემოთ იყო მოყვანილი, შემდეგ სურათს მივიღებთ:

**100 ცალკ-ცალკე სანიტარულ თვისებიან ბინიდან:**

ტაბულა 29

| №№ რიგზე | ქალაქები | უზრუნველყოფილია: წყალსადენით | უზრუნველყოფილია: ვენტილ. ფანჯრით და ცალკე სარკმლით | უზრუნველყოფილია: სამხარეულოთი | უზრუნველყოფილია: ქუჩიდან შესავლით | არაა უზრუნველყოფილი: წყალსადენით | არაა უზრუნველყოფილი: ვენტილ. ფანჯრით და ცალკე სარკმლით | არაა უზრუნველყოფილი: სამხარეულოთი | არაა უზრუნველყოფილი: ქუჩიდან შესავლით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | 9,4 | 60,5 | 79,4 | 100 | 90,6 | 39,5 | 20,6 |
| 2 | ახალციხე. | — | 47,4 | 69,9 | 78,1 | 100 | 52,6 | 30,1 | 21,9 |
| 3 | ბორჯომი | 29,3 | 33,2 | 56,4 | 39,0 | 70,7 | 66,8 | 43,6 | 61,0 |
| 4 | გორი | — | 21,2 | 31,8 | 29,0 | 100 | 78,8 | 68,2 | 71,0 |
| 5 | დუშეთი . . | — | 17,5 | 26,2 | 35,5 | 100 | 82,5 | 73,8 | 04,5 |
| 6 | ველისციხე | — | 70,9 | 15,2 | 5,2 | 100 | 29,1 | 84,8 | 94,8 |
| 7 | თელავი | — | 39,5 | 37,2 | 29,3 | 100 | 60,5 | 62,8 | 70,7 |
| 8 | თიანეთი . . | — | 70,4 | 13,3 | 71,8 | 100 | 29,6 | 86,7 | 28,2 |
| 9 | ლაგოდეხი | — | 8,8 | 25,9 | 13,4 | 100 | 91,2 | 74,1 | 86,6 |
| 10 | ლიუქსენბურგი . . | — | 1,7 | 61,7 | 12,8 | 100 | 98,3 | 38,3 | 87,2 |
| 11 | სიღნაღი . | — | 36,0 | 38,3 | 24,0 | 100 | 64,0 | 61,7 | 76,0 |
| 12 | სურამი | — | 55,8 | 45,5 | 33,6 | 100 | 54,2 | 54,5 | 66,4 |
| 13 | შულავერი . . | — | 43,3 | 10,3 | 15,0 | 100 | 56,7 | 89,7 | 85,0 |

| №№ რიგზე | ქალაქები | უზრუნველყოფილია: წყალსადენით | უზრუნველყოფილია: ვატერკლ. და ცალკე ფენის სადგილით | უზრუნველყოფილია: სამზარეულოთი | უზრუნველყოფილია: ქუჩიდან შესავალით | არაა უზრუნველყოფილი: წყალსადენით | არაა უზრუნველყოფილი: ვატერკლ. და ცალკე ფენის სადგილით | არაა უზრუნველყოფილი: სამზარეულოთი | არაა უზრუნველყოფილი: ქუჩიდან შესავალით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | ხაშური . . . . . . . . | — | 23,6 | 58,2 | 23,3 | 100 | 76,4 | 41,8 | 76,7 |
| | სულ აღმოს. საქართველოში ტფილისის გამოკლებით. | 1,7 | 35,1 | 42,5 | 34,3 | 98,3 | 64,9 | 57,5 | 65,7 |
| 15 | ტფილისი . . . . . . . | 30,9 | 43,1 | 64,6 | 29,5 | 69,1 | 56,9 | 35,4 | 70,5 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში. . | 23,2 | 41,1 | 58,8 | 30,8 | 76,8 | 58,9 | 41,2 | 69,2 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია . | — | 52,0 | 44,1 | 98,0 | 100 | 48,0 | 55,9 | 2,0 |
| 17 | ზესტაფონი. | — | 58,2 | 49,2 | 28,4 | 100 | 41,8 | 50,8 | 71,6 |
| 18 | ზუგდიდი. | — | 57,5 | 48,2 | 54,8 | 100 | 42,5 | 51,8 | 45,2 |
| 19 | ლანჩხუთი | | 78,2 | 53,2 | 4,0 | 100 | 21,8 | 46,8 | 96,0 |
| 20 | ოზურგეთი . | — | 50,4 | 19,6 | 4,5 | 100 | 49,6 | 80,4 | 95,5 |
| 21 | ონი . | — | 46,6 | 14,5 | 36,2 | 100 | 53,4 | 85,5 | 63,8 |
| 22 | სამტრედია. | — | 39,2 | 64,7 | 74,9 | 100 | 60,8 | 35,3 | 25,1 |
| 23 | სენაკი . | — | 39,2 | 29,1 | 12,2 | 100 | 60,8 | 70,9 | 87,8 |
| 24 | ტყვიბული . | — | 55,0 | 22,2 | 63,7 | 100 | 45,0 | 77,8 | 36,3 |
| 25 | ფოთი | 2,0 | 67,2 | 51,0 | 12,8 | 98,0 | 32,8 | 49,0 | 87,2 |
| 26 | ყულევი | — | 72,9 | 41,6 | 7,9 | 100 | 27,1 | 58,4 | 92,1 |
| 27 | ცაგერი | — | 37,5 | 10,5 | 12,6 | 100 | 62,5 | 89,5 | 87,4 |
| 28 | ჭიათურა. | 28,2 | 43,3 | 35,4 | 47,0 | 71,8 | 56,7 | 64,6 | 53,0 |
| 29 | ხონი. | — | 82,9 | 48,4 | 1,6 | 100 | 17,1 | 51,6 | 98,4 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქუთაისის გამოკლებით | 1,8 | 62,4 | 42,1 | 25,3 | 98,2 | 37,6 | 57,9 | 74,7 |
| 30 | ქუთაისი . . . . . . . . | — | 66,1 | 55,9 | 35,3 | 100 | 33,9 | 44,1 | 64,7 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . . | | 64,2 | 47,7 | 29,3 | 98,9 | 35,8 | 52,3 | 70,7 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | |
| 31 | ბათუმი . . . | 15,4 | 27,9 | 32,0 | 18,1 | 84,6 | 72,1 | 68,0 | 81,9 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი. | 2,8 | 33,5 | 53,0 | 46,0 | 97,2 | 66,5 | 47,0 | 54,0 |
| 33 | ოჩამჩირე. | — | 37,5 | 39,2 | 3,1 | 100 | 62,5 | 60,8 | 96,9 |
| 34 | გალი | — | 22,2 | 46,9 | 43,2 | 100 | 77,8 | 53,1 | 56,8 |
| 35 | სოხუმი. | 5,1 | 33,8 | 28,2 | 25,1 | 94,9 | 66,2 | 71,8 | 74,9 |
| | სულ აფხაზეთში | 4,2 | 34,0 | 32,5 | 20,8 | 95,8 | 66,0 | 67,5 | 79,2 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . . | — | 41,6 | 26,8 | 49,6 | 100 | 58,4 | 73,2 | 50,3 |
| | საერთოდ საქართველოში | 16,3 | 44,8 | 52,3 | 29,0 | 83,7 | 55,2 | 47,7 | 71,0 |

მთელს რესპუბლიკაში ყველაზე ცუდ პირობებში ბინები იმყოფებიან წყალსადენის მხრივ; ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 16.3 პროც-ს აქვს წყალსადენი, დანარჩენი, ე. ი, 83.7 პროც-კი სრულიად უწყალსადენოა.

ცუდ პირობებში არიან ბინები აგრეთვე შესავლის მხრივ: ბინათა საერთო რიცხვის 29,0 პროც-ს ქუჩიდან ჰქონია შესავალი, ხოლო 71,0 პროც-ს— ეზოდან.

შემდეგ ჯერი მოდის ვატერკლოზეტიან და ცალკე ფეხისადგილიან ბინებზე: ვატერკლოზეტიანი და ცალკე ფეხისადგილიანი ბინები შეადგენენ ბინათა საერთო რიცხვის 44,8 პროც-ს, ხოლო სრულიად უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო—55,2 პროც-ს.

შედარებით ყველაზე უკეთეს პირობებში რესპუბლიკის ბინები სამზარეულოს მხრივ ყოფილან: ბინათა საერთო რიცხვის 52,3 პროც-ს სამზარეულო ჰქონია, ხოლო 47. 7 პროც. უსამზარეულო ყოფილა.

ასეთია მდგომარეობა მთელს რესპუბლიკაში. საინტერესოა ახლა გამოვარკვიოთ, რა პირობებია ამ მხრივ მის შემადგენელ ნაწილებში.

ამისათვის გავამარტივოთ მე-29 ტაბულა, ე. ი. ამოვკრიფოთ რესპუბლიკის ბინებიდან მხოლოდ სხვა და სხვა კუთხის, ტფილისის, ქუთაისის და ბათომის ბინები, რაიც საშუალებას მოგვცემს ნათლად წარმოვიდგინოთ საქართველოს კუთხეების ბინათა სანიტარული პირობები.

ტაბულა 30

| ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | უზრუნველყოფილია | | | | არაა უზრუნველყოფილი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წყალსადენით | ვატერკლოზ. და ცალკე ფეხისადგ. | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავლით | წყალსადენით | ვატ. და ცალკე ფეხისადგ. | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავლით |
| 1) აღმოსავლეთი საქართველო (უტფილისოთ) | 1.7 | 35.1 | 42.5 | 34.3 | 98,3 | 64,9 | 57.5 | 65,7 |
| ტფილისი | 30,9 | 43,1 | 64.6 | 29,5 | 69,1 | 56,9 | 35,4 | 70,5 |
| სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 23.2 | 41.1 | 58.8 | 30.8 | 76,8 | 58.9 | 41.2 | 69.2 |
| 2) დასავლეთი საქართველო (უქუთაისოთ) | 1.8 | 62.4 | 42.1 | 25.3 | 98,2 | 37,6 | 57,9 | 74,7 |
| ქუთაისი | — | 66,1 | 55.9 | 35,3 | 100 | 33.9 | 44,1 | 64,7 |
| სულ დასავ. საქართ. | 1,1 | 64,2 | 47.7 | 29,3 | 98,9 | 35,8 | 52,3 | 70.7 |
| 3) აჭარა | 15.4 | 27.9 | 32,0 | 18.1 | 84,6 | 72,1 | 68.0 | 81.9 |
| 4) აფხაზეთი | 4.2 | 34.0 | 32.5 | 20.8 | 95.8 | 66,0 | 67.5 | 79.2 |
| 5) სამხრეთ-ოსეთი | — | 41,6 | 26.8 | 49.7 | 100 | 58.4 | 73,2 | 50.3 |
| საერთ. საქართველოში | 16.3 | 44,8 | 52,3 | 29,0 | 83,7 | 55,2 | 47,7 | 71.0 |

დავიწყოთ გაშუქება **აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან** (უტფილისოთ).

ამ ქალაქებში ყველაზე ცუდ პირობებშია ბინები წყალსადენის მხრივ: წყალსადენი ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 1,7 პროც-ს აქვს, დანარჩენი 98,3 პროც. კი სრულიად უწყალსადენოა. ცუდ პირობებშია აგრეთვე ბინები ბინაში შესავალის მხრივ: ქუჩიდან შესავალი ბინების საერთო რიცხვის მხოლოდ 34,3 პროც-ს აქვს, 65,7 პროც-ს კი შესავალი აქვს ეზოდან. ასეთივე პირობებშია ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ: ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 35,1 პროც-ს აქვს ვატერკლოზეტი და ცალკე ფეხისადგილი, დანარჩენი 64,9 პროც. კი სრულიად მოკლებულია ერთსაც და მეორესაც.

**ტფილისის ბინებში** ამ მხრივ სურათი საგრძნობლად იცვლება. აქ ყველაზე ცუდ პირობებშია ბინები შესავალის მხრივ, ვინაიდან ქუჩიდან შესავალი ბინების საერთო რიცხვის 29,5 პროც-ს ჰქონია, ხოლო 70,5 პროც-ს—ეზოდან. ცუდ პირობებშია ბინები წყალსადენის მხრივაც: აქ ბინათა საერთო რიცხვის 30,9 პროც-ს წყალსადენი აქვს, ხოლო დანარჩენი ბინები—69,1 პროც.—უწყალსადენოა. ტფილისის ბინები შედარებით უკეთეს პირობებში ყოფილა სამზარეულოსა, ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ. სამზარეულოთი უზრუნველყოფილია ბინათა საერთო რიცხვის 64,6 პროც. დანარჩენი—35,4 პროც.—მას მოკლებულია. ბინათა საერთო რიცხვის 43,1 პროც. ვატერკლოზეტიანი და ცალკე ფეხისადგილიანია, ხოლო 56,9 პროც. კი მათ სრულიად მოკლებულია.

**საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების** (ტფილისით) ბინები წყალსადენის მხრივ მეტის-მეტად ცუდ პირობებში ყოფილან. აქ ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 23,2 პროც-ია წყალსადენიანი, 76,8 პროც. კი მას სრულიად მოკლებულია. ცუდ პირობებში ყოფილან აგრეთვე ბინები შესავალის მხრივაც: ქუჩიდან შესავლის მქონე ბინები ბინათა საერთო რიცხვის 30,8 პროც. შეადგენენ, დანარჩენს—69,2 პროც.—ეზოდან ჰქონია შესავალი. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ბინები შედარებით უკეთეს პირობებშია სამზარეულოსა, ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ: ბინათა საერთო რიცხვის 58,8 პროც. უზრუნველყოფილია სამზარეულოთი, დანარჩენი-კი—41,2 პროც.—მას მოკლებულია; ბინათა საერთო რიცხვის 41,1 პროც. ვატერკლოზეტიანი და ცალკე ფეხისადგილიანი ბინებია, იმ დროს, როდესაც 58,9 პროც. მას სრულიად მოკლებულია.

**დასავლეთ საქართველოს ქალაქებში** (ქუთაისით და უქუთაისოთ) და ქუთაისში განსაკუთრებით ცუდ პირობებშია ბინები წყალსადენის მხრივ: მაგალითად, ქუთაისის ბინებს წყალსადენი სრულიად არ ჰქონიათ. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს (უქუთაისოთ) ბინებს, აქაც წყალსადენი ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 1,8 პრ-შია გაყვანილი, დანარჩენი 98,2 პრ. სრულიად მოკლებულია წყალსადენს. აღნიშნულ ქალაქებში ცუდ პირობებშია ბინები შესავალის მხრივაც: დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) ქუჩიდან შესავალი ბინათა საერთო რიცხვის 25,3 პრ-ს აქვს, ქუთაისში—35,3 პრ-ს, საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში—29,3 პრ-ს; ხოლო დანარჩენ ბინებს შესავალი აქვთ ეზოდან: დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ)—74,7 პრ-ს ქუთაისში—64,7 პრ-ს და, ბოლოს, საერთოდ დასავლეთ სა-

ქართველის ქალაქებში – 70,7 პრ-ს. შედარებით უკეთეს პირობებშია აქ ბინები ვატერკლოზეტისა, ცალკე ფეხისადგილისა და სამზარეულოს მხრივ. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 62,4 პრ. ვატერკლოზეტიანი და ცალკე ფეხისადგილიანი ბინები ყოფილა, ქუთაისის—66,1 პრ. და, ბოლოს, დასავლეთ საქართველოს (ქუთაისით)—64,2 პრ., ხოლო მას მოკლებულია: დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 37,6 პრ., ქუთაისის—33,9 და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით)—35,8 პრ-ი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ქალაქების ბინათა პირობებს სამზარეულოს მხრივ, აქ მდგომარეობა ასეთია: დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 42,1 პრ., ქუთაისის—55,9 პრ. და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით) —47,7 პრ. სამზარეულოიანი ბინაა, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) 57,9 პრ., ქუთაისის—44,1 პრ. და, ბოლოს, საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით)—52,3 პრ. სამზარეულოს მოკლებულია.

**აჭარაში** აუტანელი პირობებია წყალსადენისა და შესავლის მხრივ: აქ აქვს ბინათა საერთო რიცხვის 15.4 პრ-ს წყალსადენი და 18,1 პრ-ს ქუჩიდან შესავალი, ხოლო ბინათა საერთო რიცხვის 84,6 პრ-ს წყალსადენი არა აქვს და 81.9 პრ-ს შესავალი ეზოდან აქვს. მოუწყობელია ბინები აგრეთვე სამზარეულოს, ვატერკლოზეტის და ცალკე ფეხისადგილის მხრივაც: ბინათა საერთო რიცხვის 32,0 პრ. სამზარეულოიანია და 27,9 პრ. ვატერკლოზეტიანი და ცალკე ფეხისადგილიანი; სრულიად მოკლებულია სამზარეულოს ბინათა საერთო რიცხვის 68,0 პრ., ხოლო ვატერკლოზეტს და ცალკე ფეხისადგილს—72,1 პრ.

**აფხაზეთის ქალაქების ბინები** მოუწყობელია განსაკუთრებით წყალსადენისა და შესავლის მხრივ: აქ წყალსადენიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 4.2 პრ-ს იძლევიან, ქუჩიდან შესავლიანი ბინები კი —20.8 პრ-ს, ხოლო უწყალსადენო ბინები ბინათა საერთო რიცხვის—95.8 პრ-ს. ეზოდან შესავლიანი ბინები კი 79.2 პრ-ს. მოუწყობელია ბინები აგრეთვე სამზარეულოს, ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ: სამზარეულოიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 32.5 პრ-ს შეადგენენ. ვატერკლოზეტიანი და ცალკე ფეხისადგილიანი—34,0 პრ-ს, ხოლო უსამზარეულო ბინები ბინათა საერთო რიცხვის 67.5 პრ-ს, უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინები კი --66.0 პრ-ს.

**სამხრეთ ოსეთის ბინები** სრულიად მოკლებულნი არიან წყალსადენს. აქ ბინაში შესავლისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ შედარებით უკეთესი პირობებია: ქუჩიდან შესავლიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 49,7 პრ-ს იძლევიან. ცალკეფეხისადგილიანი ბინები კი —41,6 პრ.-ს, ხოლო ეზოდან შესავლიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის – 50.3 პრ-ს. უფეხისადგილო ბინები კი—58.4 პრ-ს.

ასეთია მოკლედ საქართველოს ქალაქების ბინათა სანიტარული პირობები.

საჭიროდ მიგვაჩნია აქ აღვნიშნოთ ერთი გარემოება. როგორც ვიცით, ბინათა და მოსახლეობის პირობებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან დავრწმუნდით, რომ საქართველოს ქალაქების ბინათა დიდი უმრავლესობა ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია. ცხადია, იქ მობინადრეთა დიდი უმრავლესობაც ასეთსავე პირობებში უნდა იმყოფებოდეს. მაგრამ

საკითხავია: რამდენად მართებულია ეს დასკვნა საქართველოს ქალაქების მობინადრეთა შესახებ?

ამის პასუხს ქვემო მოყვანილი ტაბულა იძლევა.

## 100 მობინადრიდან:

ტაბულა 31.

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | უზრუნველყოფილია | | | | არაა უზრუნველყოფ. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წყალსადენით | ვატერკ. და ცალკე ფეხისადგილით | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავლით | წყალსადენით | ვატერკ. და ცალკე ფეხისადგილით | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავლით |
| | **I. აღმ. საქართველო:** | | | | | | | | |
| | ახალქალაქი . | — | 9,7 | 64,9 | 80,1 | 100 | 90,3 | 35,1 | 19,9 |
| 2 | ახალციხე . . | — | 48,7 | 74,6 | 78,7 | 100 | 51,3 | 25,4 | 21,3 |
| 3 | ბორჯომი . . . . | 27,3 | 34,0 | 59,9 | 41,1 | 72,7 | 66,0 | 40,1 | 58,9 |
| 4 | გორი. . | — | 24,9 | 33,9 | 29,0 | 100 | 75,1 | 66,1 | 71,0 |
| | დუშეთი. . . | — | 22,9 | 32,4 | 34,5 | 100 | 77,1 | 67,6 | 65,5 |
| 6 | ველისციხე. . | — | 73,5 | 15,8 | 5,0 | 100 | 26,5 | 84,2 | 95,0 |
| 7 | თელავი . | — | 44,2 | 42,8 | 31,6 | 100 | 55,8 | 57,2 | 68,4 |
| 8 | თიანეთი. | — | 76,3 | 15,4 | 72,0 | 100 | 23,7 | 84,6 | 28,0 |
| 9 | ლაგოდეხი. . | — | 11,6 | 31,5 | 14,4 | 100 | 88,4 | 68,5 | 85,6 |
| 10 | ლიუქსენბურგი. | — | 1,9 | 72,7 | 11,0 | 100 | 98,1 | 27,3 | 89,0 |
| 11 | სიღნაღი . | — | 39,3 | 42,8 | 24,0 | 100 | 60,7 | 57,2 | 76,0 |
| 12 | სურამი . . | — | 55,3 | 48,7 | 36,4 | 100 | 44,7 | 51,3 | 63,6 |
| 13 | შულავერი. . . | — | 43,4 | 11,7 | 13,7 | 100 | 56,6 | 88,3 | 86,3 |
| 14 | ხაშური . . . | — | 27,7 | 59,4 | 23,1 | 100 | 72,3 | 40,6 | 76,9 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით. . | 1,6 | 37,9 | 46,8 | 35,4 | 98,4 | 62,1 | 53,2 | 64,6 |
| 15 | ტფილისი . . | 39,3 | 52,0 | 72,6 | 36,4 | 60,7 | 48,0 | 27,4 | 63,6 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . | 30,6 | 48,8 | 67,0 | 36,2 | 69,4 | 51,2 | 33,0 | 63,8 |
| | **II. დას. საქართველო:** | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია. . | — | 50,7 | 44,1 | 98,2 | 100 | 49,3 | 55,9 | 1,8 |
| 17 | ზესტაფონი | — | 61,8 | 57,1 | 23,8 | 100 | 38,2 | 42,9 | 76,2 |
| 18 | ზუგდიდი | — | 59,7 | 49,2 | 55,3 | 100 | 40,3 | 50,8 | 44,7 |
| 19 | ლანჩხუთი. . | — | 81,8 | 57,0 | 3,8 | 100 | 18,2 | 43,0 | 96,2 |
| 20 | ოზურგეთი. | — | 55,4 | 22,3 | 4,7 | 100 | 44,6 | 77,7 | 95,3 |
| 21 | ო ნ ი. | — | 53,9 | 18,2 | 34,9 | 100 | 46,1 | 81,8 | 65,1 |
| 22 | სამტრედია | — | 42,9 | 70,0 | 77,6 | 100 | 57,1 | 30,0 | 22,4 |
| 23 | სენაკი | — | 78,4 | 31,6 | 10,4 | 100 | 21,6 | 68,4 | 89,6 |

| №№ რიგზე | ქალაქები | უზრუნველყოფილია: წყალსადენით | ვატერკლ. და ცალკე ფეხისადგილით | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავალით | არაა უზრუნველყოფ.: წყალსადენით | ვატერკლ. და ცალკე ფეხისადგილით | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავალით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | ტყიბული . | — | 66,4 | 18,9 | 63,9 | 100 | 33,6 | 81,1 | 36,1 |
| 25 | ჭოთი. . | | 72,3 | 56,7 | 12,9 | 98,5 | 27,7 | 43,3 | 87,1 |
| 26 | ყულევი . | — | 74,7 | 45,3 | 6,2 | 100 | 25,3 | 54,7 | 93,8 |
| 27 | ცაგერი . | — | 15,1 | 14,4 | 6,3 | 100 | 51,9 | 85,6 | 93,7 |
| 28 | პიათურა | | 49,6 | 42,7 | 41,0 | 98,5 | 50,4 | 57,3 | 59,0 |
| 29 | ხონი . . . . . . . . | | 85,8 | 51,7 | 0,7 | 100 | 14,2 | 48,3 | 99,3 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით. | 1,9 | 66,9 | 46,3 | 23,5 | 98,1 | 33,1 | 53,7 | 76,5 |
| 30 | ქუთაისი . | — | | 61,4 | 38,3 | 100 | 29,3 | 38,6 | 61,7 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში. . . | 1,1 | 68,5 | | 29,5 | 98,9 | | 47,3 | 70,5 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | |
| 31 | ბათუმი . | 20,6 | 33,4 | | 24,2 | 79,4 | 66,6 | 60,3 | 75,8 |
| | **VI. აფხაზეთი:** | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 2,4 | | | 46,7 | 97,6 | 62,5 | 40,1 | 53,3 |
| 33 | ოჩამჩირე | | 40,8 | 43,9 | 2,5 | 100 | 59,2 | 56,1 | 97,5 |
| 34 | გალი | — | | 57,0 | 30,9 | 100 | 73,0 | 43,0 | 69,1 |
| 35 | სოხუმი . | 6,7 | | 37,8 | 29,7 | 93,3 | 62,5 | 62,2 | 70,3 |
| | სულ აფხაზეთში. | 5,2 | 37,8 | 44,4 | | 94,8 | 62,2 | 55,6 | 77,5 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | — | 46,0 | 29,5 | 48,7 | 100 | 54,0 | 70,5 | 51,3 |
| | საერთოდ საქართვ. | 21,4 | 51,0 | 59,0 | 32,9 | 78,6 | 49,0 | 41,0 | 67,1 |

მართლაც, აქაც ყველაზე ცუდ პირობებში მცხოვრებნი წყალსადენის მხრივ არიან: რესპუბლიკის მობინადრეთა საერთო რიცხვის 78,6 პროც. სრულებით უწყალსადენოდ არის დარჩენილი, დაკმაყოფილებულია წყალსადენით მხოლოდ 21,4 პროც.

ასეთსავე პირობებში იმყოფებიან ბინადარნი ბინაში შესავალის მხრივ: მობინადრეთა საერთო რიცხვის 67,1 პროც. ბინაში ეზოდან შედის, ხოლო 32,9 პროც. — ქუჩიდან.

ცუდ პირობებში არიან ბინადარნი აგრეთვე ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ: მობინადრეთა საერთო რიცხვის 49,0 პროც. უვატერკლოზეტოთ და უფეხისადგილოთაა დარჩენილი, ხოლო 51,0 პროც. ვატერკლოზეტით და ცალკე ფეხისადგილით უზრუნველყოფილია.

შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან ბინადარნი სამზარეულოს მხრივ: მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 41,0 პროც-ია უსამზარეულოთ.

ასეთია მობინადრეთა ბინების სანიტარული პირობები საერთოდ რესპუბლიკაში. ვნახოთ ახლა, ამ მხრივ რა მდგომარეობაში არიან მობინადრენი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

საკითხის გასამარტივებლად მე-31 ტაბულიდან ამოვკრიბოთ შემდეგი ცნობები:

ტაბულა 32

| ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | უზრუნველყოფილია | | | | არაა უზრუნველყოფილი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წყალსადენით | ვატერკ. და ცალკე ფეხსად. | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავალით | წყალსადენით | ვატერკ. და ცალკე ფეხსადგ. | სამზარეულოთი | ქუჩიდან შესავალით |
| **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | | |
| უტფილისოთ | 1.6 | 37,9 | 46,8 | 35,4 | 98,4 | 62,1 | 53,2 | 64,6 |
| ტფილისი . | 39,3 | 52,0 | 72,6 | 36,4 | 60,7 | 48,0 | 27,4 | 63,6 |
| სულ აღმოს. საქართ. | 30,6 | 48,8 | 67,0 | 36,2 | 69,4 | 51,2 | 33,0 | 63,8 |
| **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | | |
| უქუთაისოთ . | 1,9 | 66,9 | 46,3 | 23,5 | 98,1 | 33,1 | 53,7 | 76,5 |
| ქუთაისი . . | — | 70,7 | 61,4 | 38,3 | 100 | 29,3 | 38,6 | 61,7 |
| სულ დასავლეთ საქარ. | 1,1 | 68,5 | 52,7 | 29,5 | 98,9 | 31,5 | 47,3 | 70,5 |
| **III. აჭარა** | 20,6 | 33,4 | 39,7 | 24,2 | 79,4 | 66,6 | 60,3 | 75,8 |
| **IV. აფხაზეთი** | 5,2 | 37,8 | 41,4 | 22,5 | 94,8 | 62,2 | 58,6 | 77,5 |
| **V. სამხრეთ-ოსეთი.** | — | 46,0 | 29,5 | 48,7 | 100 | 54,0 | 70,5 | 51,3 |
| საერთოდ საქართველოში | 21,4 | 51,0 | 59,0 | 32,9 | 78,6 | 49,0 | 41,0 | 67,1 |

დავიწყოთ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან (ტფილისის გამოკლებით). აქ ყველაზე ცუდ პირობებში მობინადრენი იმყოფებიან წყალსადენის მხრივ: სრულებით უწყალსადენოთ არის დარჩენილი მობინადრეთა საერთო რიცხვის 98,4 პრ., ასე რომ წყალსადენით დაკმაყოფილებულია მხოლოდ 1,6 პრ. ასევე ცუდ პირობებში იმყოფებიან აქ მობინადრენი შესავალის მხრივ: ეზოდან შედის მობინადრეთა საერთო რიცხვის 64,6 პრ., ქუჩიდან კი—35,4 პრ.

ცუდ პირობებში იმყოფებიან მობინადრენი აგრეთვე ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ: მობინადრეთა საერთო რიცხვის 62,1 პრ. უვატერკლოზეტოთ და უფეხისადგილოთ არის დარჩენილი. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამზარეულოს მხრივ: სამზარეულო არა აქვს მობინადრეთა საერთო რიცხვის 53,2 პრ-ს.

ტფილისში ამ მხრივ სურათი სავსებით იცვლება: აქ მობინადრენი ყველაზე ცუდ პირობებში არიან ჯერ შესავალის, შემდეგ წყალსადენის, ვატერკლოზეტის და ცალკე ფეხისადგილის მხრივ: მობინადრეთა საერთო რიცხვის 63,6 პრ. ბინაში ეზოდან შედის; სრულებით არა აქვს წყალსადენი—60,7 პრ-ს, ვატერკლოზეტი და ფეხსადგილი—48,0 პრ-ს. შედარებით უკეთეს პირობებში

იმყოფებიან ბინადარნი სამზარეულოს მხრივ: მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 27,4 პრ-ია უსამზარეულოთ დარჩენილი.

რაც შეეხება საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) მობინადრეთ, ყველაზე ცუდ პირობებში ისინი წყალსადენის, შემდეგ ქუჩიდან შესავალის, ვატერკლოზეტის და ცალკე ფეხისადგილის მხრივ იმყოფებიან. შედარებით უკეთესი პირობებია სამზარეულოს მხრივ.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით და უქუთაისოთ) და ქუთაისში მობინადრენი განსაკუთრებით აუტანელ მდგომარეობაში არიან წყალსადენის მხრივ. მაგალითად, ქუთაისის მობინადრენი სრულიად მოკლებულნი არიან წყალსადენს, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის მარტო 1,9 პრ-ია უზრუნველყოფილი წყალსადენით. ცუდ პირობებში იმყოფებიან აქ მობინადრენი შესავალის მხრივაც. ეზოდან შედის: დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის 76,5 პრ., ქუთაისში—61,7 პრ. და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით)—70, 5 პრ.; შედარებით უკეთეს პირობებში არიან მობინადრენი ვატერკლოზეტისა, ცალკე ფეხისადგილისა და სამზარეულოს მხრივ.

უვატერკლოზეტოთ და უფეხისადგილოთ არის: დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის—33,1 პრ., ქუთაისში —29,3 პრ. და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით)— 31,5 პრ. ხოლო უსამზარეულოთ: დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის--53,7 პრ., ქუთაისში—38,6 პრ. და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით)—47,3 პრ.

აჭარაში აუტანელი მდგომარეობაა წყალსადენისა და შესავალის მხრივ: აქ მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 20,6 პრ-ია უზრუნველყოფილი წყალსადენით და 24,2 პრ. ქუჩიდან შესავალით, დანარჩენი-კი, ე. ი. მობინადრეთა საერთო რიცხვის 79,4 პრ. სრულებით მოკლებულია წყალსადენს, ხოლო 75,8 პრ. ეზოდან შესავალით სარგებლობს. ცუდი პირობებია ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივაც: მობინადრეთა საერთო რიცხვის 66,6 პრ. სრულებით უვატერკლოზეტოთ და უფეხისადგილოთაა დარჩენილი. ასეთივე მდგომარეობაა სამზარეულოს მხრივ: საერთო რიცხვის 60,3 პრ-ს სამზარეულო არა აქვს.

აფხაზეთის ქალაქებში აუტანელი პირობებია წყალსადენის მხრივ: აქ მობინადრეთა საერთო რიცხვის 94,8 პრ. სრულებით მოკლებულია წყალსადენს. ცუდი პირობებია აგრეთვე შესავალის მხრივ: მობინადრენი საერთო რიცხვის 77,5 პრ. ბინაში ეზოდან შედის. ასეთივე პირობებია ვატერკლოზეტისა, ცალკე ფეხისადგილისა და სამზარეულოს მხრივ: უვატერკლოზეტოთ და უფეხისადგილოთ არის მობინადრეთა საერთო რიცხვის 62,2 პრ., ხოლო უსამზარეულოთ—58,6 პრ.

სამხრეთ ოსეთში, როგორც ტაბულადან სჩანს, მობინადრენი სრულებით მოკლებულნი არიან წყალსადენს. სამზარეულოთი უზრუნველყოფილია მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 29,5 პრ. ცალკე ფეხისადგილით—46,0 პრ., ხოლო ქუჩიდან შესავალით—48,7 პრ.

ასეთია მობინადრეთა მდგომარეობა მათი ბინების სანიტარული პირობების მხრივ როგორც მთელს რესპუბლიკაში, ისე მის შემადგენელ ნაწილებში.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია გავიცნოთ კიდევ ორი კომბინაციური ტაბულა, რომელიც სანიტარული პირობების მიხედვით ბინებისა და მობინადრეთა მდგომარეობას უფრო ნათლად გაგვიშუქებს.

Ტაბულა 33

## 100 ბინაზე სანიტარული პირობების მიხედვით მოდის ბინა

| №№ რიგზე | ქალაქები | სანიტარული პირობები ბინებისა: წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ვენტილაციით (მომქმედი და მოუქმედი) და სამზარეულოთი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ცალკე ფეხსადგილით და სამზარეულოთი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), და ცალკე ფეხსადგილით | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და სამზარეულოთი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ვენტილაციით (მოქმ. და მოუქმ.) | სამზარეულოთი და ცალკე ფეხსადგილით | მხოლოდ წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) | მხოლოდ სამზარეულოთი | მხოლოდ ცალკე ფეხსადგილით | სრულიად მოუწყობლია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I. აღმოსავ. საქარ.: | | | | | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | — | — | — | — | 8,0 | — | 52,5 | 1,4 | 38,1 | 100 |
| 2 | ახალციხე | — | — | — | — | — | 39,1 | — | 30,9 | 8,3 | 21,7 | 100 |
| 3 | ბორჯომი | 13,8 | — | — | 6,2 | 6,6 | 8,1 | 2,6 | 28,2 | 4,5 | 30,0 | 100 |
| 4 | გორი | — | — | — | — | | 9,6 | — | 22,3 | 11,7 | 56,4 | 100 |
| 5 | დუშეთი | — | — | — | — | — | 8,4 | — | 17,8 | 9,1 | 64,7 | 100 |
| 6 | ველისციხე | — | — | — | | — | 11,6 | — | 3,6 | 59,3 | 25,5 | 100 |
| 7 | თელავი | — | — | — | — | — | 18,1 | — | 19,1 | 21,4 | 41,4 | 100 |
| 8 | თიანეთი | — | — | — | — | — | 11,2 | — | 2,0 | 59,2 | 27,6 | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | — | — | — | — | — | 3,7 | — | 22,2 | 5,0 | 69,1 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | — | — | — | — | — | 1,6 | — | 60,1 | 0,1 | 38,2 | 100 |
| 11 | სიღნაღი | — | — | — | — | — | 17,1 | — | 21,1 | 19,0 | 42,8 | 100 |
| 12 | სურამი | — | — | — | — | — | 33,1 | — | 12,4 | 22,7 | 31,8 | 100 |
| 13 | შულავერი | — | — | — | — | — | 6,0 | — | 4,3 | 37,3 | 52,4 | 100 |
| 14 | ხაშური | — | — | — | — | — | 10,4 | — | 47,8 | 13,2 | 28,6 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით | 2,8 | — | — | | 0,1 | 15,8 | | 25,6 | 18,3 | 38,7 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | სანიტარული პირობები ბინებისა: წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), კანალიზაციით (მოქმედი და არა მოქმედი) და სამზარეულოთი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ცალკე ფეხისადგილით და სამზარეულოთი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), და ცალკე ფეხისადგილით | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და სამზარეულოთი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) კანალიზაციით (მოქმ. და მოუქმედით) | სამზარეულოთი და ცალკე ფეხისადგილით | მხოლოდ წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) | მხოლოდ სამზარეულოთი | მხოლოდ ცალკე ფეხისადგილით | სრულიად მოუწყობელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ტფილისი | 20.2 | 2,7 | 0,7 | 2,8 | 3,2 | 10,6 | 1,2 | 28,3 | 5.7 | 24,6 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . | 15,1 | 2,0 | 0,6 | 2 1 | 2,5 | 11,9 | 0,9 | 27,6 | 9,0 | 28,3 | 100 |
| | **II. დასავ. საქართველო:** | | | | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია. | — | | — | — | — | 30,3 | — | 13,8 | 21.7 | 34,2 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | | — | | — | — | 32,3 | — | 17,0 | 25,9 | 24,8 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | — | — | — | — | — | 26,9 | — | 19,0 | 30 5 | 23,5 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი. | — | — | — | — | — | 43,9 | — | 9,2 | 34,3 | 12,6 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | — | — | | — | — | 11,5 | — | 8,2 | 39,0 | 41,3 | 100 |
| 21 | ო ნ ი. | — | — | — | — | — | 8,9 | — | 5,6 | 37.7 | 47,8 | 100 |
| 22 | სენაკი | — | — | — | — | — | 14,7 | — | 14,4 | 24,5 | 46,4 | 100 |
| 23 | სამტრედია | — | — | | — | — | 47,6 | — | 17.1 | 26,6 | 8,7 | 100 |
| 24 | ტყვიბული | — | — | — | — | — | 7,9 | — | 14.3 | 17.2 | 30,6 | 100 |
| 25 | ფოთი. | 0,3 | | — | 1,4 | 0,1 | 38,2 | 0,3 | 11,2 | 28,7 | 19,8 | 100 |
| 26 | ყულევი . | — | | | — | — | 36,8 | — | 4,8 | 36,1 | 22,3 | 100 |
| 27 | ცაგერი . | — | — | — | — | — | 3,3 | — | 7,3 | 34,1 | 55,3 | 100 |
| 28 | ქიათურა | 5,6 | | — | 11,5 | 2,8 | 12,5 | 8,2 | 5,9 | 22,3 | 31,2 | 100 |
| 29 | ხონი | — | | — | — | — | 42,0 | — | 6,4 | 40,9 | 10,7 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | სანიტარული პირობები ბინებისა | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი), ვენტილაციით (მოქმედი და მოუქმედი), და სარეცხლებით | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი), ცალკე ფეხსადგილით და სამზარეულოთი | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი) და ცალკე ფეხსადგილით | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი), და სამზარეულოთი | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი), ვენტილაციით (მოქმედი და მოუქმედი) | სამზარეულოთი და ცალკე ფეხსადგილით | მხოლოდ წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი) | მხოლოდ სამზარეულოთი | მხოლოდ ცალკე ფეხსადგილით | სრულიად მოუწყობელნი | სულ |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 0,3 | — | — | 0,9 | 0,1 | 29,8 | 0,5 | 11,1 | 32,2 | 25,1 | 100 |
| 30 | ქუთაისი | — | — | — | — | — | 40,2 | — | 15,8 | 26,7 | 17,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 0,2 | — | — | 0,5 | 0,1 | 34,4 | 0,3 | 13,0 | 30,0 | 21,5 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | | | | |
| 31 | ბათომი | 5,5 | 2,4 | 2,4 | 2,2 | 1,8 | 15,5 | 1,2 | 14,6 | 0,4 | 54,0 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 1,6 | — | — | 1,1 | 0,1 | 20,8 | — | 29,5 | 11,0 | 35,9 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | — | — | — | — | — | 16,6 | — | 22,6 | 20,8 | 40,0 | 100 |
| 34 | გალი | — | — | — | — | — | 9,9 | — | 37,0 | 12,4 | 40,7 | 100 |
| 35 | სოხუმი | 2,1 | — | — | 1,2 | 0,7 | 10,8 | 1,1 | 14,0 | 20,1 | 50,0 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 1,7 | — | — | 1,0 | 0,6 | 12,6 | 0,9 | 17,1 | 19,1 | 47,0 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | — | — | — | — | — | 14,7 | — | 12,0 | 26,9 | 46,4 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 10,1 | 1,4 | | 1,7 | 1,7 | 17,3 | 0,8 | 22,6 | 13,7 | 30,2 | 100 |

მეტად საინტერესო სურათი გვეშლება თვალ-წინ: როგორც ტაბულადან სჩანს, არავითარი მოწყობილება არა ჰქონია რესპუბლიკის ბინათა საერთო რიცხვის 30,2 პრ-ს.

ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა რესპუბლიკისათვის. არა ერთხელ აღვნიშნეთ და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ეს ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა ინფექციურ ავადმყოფობათა გარვცელებისა.

თუ სრულებით მოუწყობელ ბინათა საერთო რიცხვს მივუმატებთ იმ ბინებს, სადაც მარტო სამზარეულოა*), მაშინ გაცილებით უარეს მდგომარეობას მივიღებთ. მხოლოდ სამზარეულო ჰქონია ბინათა საერთო რიცხვის 22,6 პრ-ს. ამნაირად, თუ ბინების ამ ორ ჯგუფს მივიღებთ მხედველობაში, აღმოჩნდება, რომ რესპუბლიკის ბინათა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი (52,8 პრ.) ან სრულიად მოუწყობელია ან და მხოლოდ სამზარეულოიანია.

ყოველმხრივ, ე. ი. წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ვატერკლოზეტით (მოწესრიგებული და მოუწესრიგებელი) და სამზარეულოთი მოწყობილ ბინათა რიცხვი შეადგენს ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 10,1 პრ-ს. ამ ბინებს რომ ისეთი ბინებიც მივუმატოთ, სადაც ყველა მოწყობილებაა, მაგრამ ვატერკლოზეტის მაგიერ ცალკე ფეხისადგილია, მაინც მოწყობილ ბინათა რიცხვი რესპუბლიკისათვის ძალიან მცირე აღმოჩნდება, სახელდობრ, ბინათა საერთო რიცხვის 11,5 პრ.

ასეთია ბინების სანიტარული პირობები საერთოდ რესპუბლიკაში. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) სრულებით მოუწყობელი ბინები შეადგენენ ამავე ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 38,7 პრ-ს. თუ ამ ბინებს მივუმატებთ იმ ბინებსაც, სადაც მარტო სამზარეულოა (25,6 პრ.), მაშინ აღმოჩნდება, რომ ეს ორი ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) შეადგენს ბინათა საერთო რიცხვის 64,3 პრ-ს. ყოველმხრივ მოწყობილ ბინათა საერთო რიცხვი, ე. ი. წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ვატერკლოზეტით (მოწესრიგებული და მოუწესრიგებელი) ან ცალკე ფეხისადგილით და სამზარეულოთი—შეადგენს ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 2,8 პრ-ს.

ტფილისში სრულებით მოუწყობელი ბინების რიცხვი 24,6 პროც-ს უდრის. თუ მათ მივუმატებთ იმ ბინებსაც, სადაც მხოლოდ სამზარეულოა (28,3 პრო.ც), მაშინ ბინათა დიდი უმრავლესობა, ე. ი. 52,9 პროც. ან სრულიად მოუწყობელია ან და მხოლოდ სამზარეულოიანი. აქ ყოველმხრივ მოწყობილი ბინების რიცხვი შეადგენს ბინათა საერთო რიცხვის 20,2 პროც.; ამ რიცხვს რომ მივუმატოთ ისეთი ყოველ მხრივ მოწყობილი ბინები, სადაც ვატერკლოზეტის მაგიერ ცალკე ფეხისადგილია, მაინც მოწყობილ ბინათა რიცხვი ტფილისისათვის ძალიან მცირე იქნება, სახელდობრ, ბინათა საერთო რიცხვის 22,9 პროც.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით) ბინათა საერთო რიცხვის 28,3 პროც. სრულებით მოუწყობელია, 27,6 პრო. კი მხოლოდ სამზარეულოიანია. ამნაირად, ორივე აღნიშნული ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის 55,9 პროც-ს შეადგენს. ყოველმხრივ მოწყობილი ბინები აქ ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 15,1 პროც-ს იძლევიან. თუნდაც რომ მათ ისეთი ბინები მივუმატოთ, სადაც ყველა მოწყობილებაა, მაგრამ ვატერკლოზეტის მაგიერ ცალკე ფეხისადგილია (2,0 პროც.), მაინც მოწყობილი ბინების რიცხვი უმნიშვნელო იქმნება—17,1 პროც.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 0,3 პრო-ია ყოველმხრივ მოწყობილი, ხოლო სრულებით მოუ-

*) ასეთი ბინები ჰიგიენური თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი.

წყობელი-25,1 პროც. თუ ამ უკანასკნელს მივუმატებთ მარტო სამზარეულოიან. ბინებს (11,1 პროც-ს), მაშინ მოუწყობელ ბინათა რიცხვი 36,2 პროც-ს მოგვცემს.

ქუთაისში სრულებით მოუწყობელი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 17.3 პროც-ს შეადგენენ, მარტო სამზარეულოიანი ბინები კი—15,8 პროც-ს. ამნაირად, ორივე აღნიშნული ჯგუფი 33,1 პროც-ს იძლევა. ვინაიდან ბინები უწყალსადენოა, ცხადია, ყოველმხრივ მოწყობილ ბინას აქ ადგილი არ ექნება.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში სრულებით მოუწყობელი ბინები 21,5 პროც-ს იძლევიან, ხოლო მარტო სამზარეულოიანი—13,0 პროც-ს. ორივე აღნიშნული ჯგუფი კი— 34,5 პროც-ს. აქ ყოველმხრივ მოწყობილი ბინები მხოლოდ 0,2 პროც-ს შეადგენენ.

აჭარაში სრულებით მოუწყობელ ბინათა რიცხვი მეტად დიდია. ბინების ნახევარზე მეტს (54,0 პროც-ს) არავითარი მოწყობილება არა აქვს. ამას რომ მივუმატოთ მარტო სამზარეულოიანი ბინებიც (14,6 პროც.), მდგომარეობა უფრო უარესდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოუწყობელ ბინათა რიცხვი 68.6 პროც-ს მოგვცემს. აქ ყოველმხრივ მოწყობილია ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 5,5 პროც.; ამას გარდა, არის ისეთი ბინებიც, სადაც ყველა მოწყობილებაა, მაგრამ ვატერკლოზეტის მაგიერ ცალკე ფეხისადგილია; ასეთი ბინები 2,4 პროც-ს შეადგენენ. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბინათა საერთო რიცხვის 7,9 პროც. უზრუნველყოფილია სანიტარული პირობებით.

აფხაზეთის ქალაქებში ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 1,7 პროც-ია ყოველმხრივ მოწყობილი, სამაგიეროთ 47,0 პროც. სრულიად მოუწყობელია და 17,1 პროც-ი მხოლოდ სამზარეულოიანია.

სამხრეთ ოსეთში ბინათა საერთო რიცხვის 46,4 პროც. სრულიად მოუწყობელია, 12,0 პროც.-კი მხოლოდ სამზარეულოიანია.

ასეთია საერთო სურათი ბინებისა მათი სანიტარული პირობების მიხედვით რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილებში.

როგორც ამ მიმოხილვიდან სჩანს, ბინების ანტი-სანიტარულ პირობებს განსაკუთრებით აჭარაში ჰქონია ადგილი, სადაც ბინათა საერთო რიცხვის 54,0 პროც. სრულებით მოუწყობელია.

ასეთსავე პირობებშია აფხაზეთის ქალაქები: აქ სრულებით მოუწყობელი ბინები 47,0 პროც-ს იძლევიან.

ცუდ პირობებშია სამხრეთ-ოსეთიც: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ ბინათა საერთო რიცხვის 46,4 პროც. სრულებით მოუწყობელია.

ყველაზე უკეთეს პირობებში ქუთაისის და ტფილისის ბინებია. პირველში ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 17,3 პროც-ია სრულებით მოუწყობელი, ხოლო მეორეში—24,6 პროც. აქ, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც ტფილისის ბინათა საგრძნობი რიცხვი წყალსადენით და ვატერკლოზეტითაა, ქუთაისის ბინები აღნიშნულ მოწყობილებას მოკლებულნი არიან.

შედარებით კარგი პირობებია ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც (უქუთაისოთ): აქ ბინათა საერთო რიცხვის მხოლოდ 25,1 პრო-ია სრულიად მოუწყობელი.

ახლა გამოვარკვიოთ მობინადრეთა მდგომარეობა ბინების სანიტარულ პირობათა მიხედვით.

ამისათვის მივმართოთ ქვემო მოყვანილ ტაბულას.

## ბინათა სანიტარული პირობების მიხედვით 100 მობინადრედან სარგებლობს:

ტაბულა 34

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ცენტრალური გათბობით (მომქმედი და არამომქმედი) და საშხაპეებით. | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), [illegible] და საშხაპეებით. | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და [illegible] | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და საშხაპეებით | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და ელექტროგანათებით (მომქმედი და არამომქმედი) | [illegible] და [illegible] | მხოლოდ წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) | მხოლოდ [illegible] | მხოლოდ [illegible] | სრულიად მოუწყობელი | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **1. აღმ. საქართველო:** | | | | | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | | | — | — | — | 8,6 | — | 56,3 | 1,1 | 34,0 | 100 |
| 2 | ახალციხე | | | — | — | — | 41,2 | — | 33,4 | 7,5 | 17,9 | 100 |
| 3 | ბორჯომი | 1,5 | | — | 6,1 | 4,7 | 10,0 | 1,9 | 29,4 | 4,8 | 28,6 | 100 |
| 4 | გორი | | | — | — | | 11,3 | — | 22,6 | 13,6 | 52,5 | 100 |
| 5 | დუშეთი | | | | — | — | 12,5 | — | 20,0 | 10,3 | 57,2 | 100 |
| 6 | ველისციხე | | — | | | — | 12,7 | — | 3,1 | 60,9 | 23,3 | 100 |
| 7 | თელავი | | | — | — | — | 21,8 | — | 21,0 | 22,1 | 34,8 | 100 |
| 8 | თიანეთი | | | | — | | 13,5 | — | 1,9 | 62,8 | 21,8 | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | | | | | — | 5,2 | — | 26,3 | 6,4 | 62,1 | 100 |
| 10 | [illegible] | | | | — | — | 1,7 | — | 70,8 | 0,1 | 27,2 | 100 |
| 11 | სიღნაღი | | | | — | | 19,8 | | 22,9 | 19,5 | 37,8 | 100 |
| 12 | სურამი | | | | — | | 35,2 | — | 13,5 | 20,1 | 31,2 | 100 |
| 13 | ტფილისი | | — | — | — | — | 6,6 | — | 5,1 | 36,8 | 51,5 | 100 |
| 14 | ხაშური | | | | — | — | 12,2 | — | 46,5 | 15,0 | 25,7 | 100 |
| | სულ აღმ. საქართველოს [illegible] | 0,4 | — | | 0,4 | 0,3 | 18,0 | 0,1 | 27,6 | 18,8 | 34,0 | 100 |

| № № რიგზე | ქალაქები | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ვატერკლოზეტით მოწესრიგებული და მოუწესრიგებელი) და სამზარეულოთი. | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი), ცალკე ფეხისადგილით და სამზარეულოთი. | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და ცალკე ფეხისადგილით | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და სამზარეულოთი | წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) და ვატერკლოზეტით (მოწესრიგებული და მოუწესრიგებელი) | სამზარეულოთი და ცალკე ფეხისადგილით | მხოლოდ წყალსადენით (მომქმედი და არა მომქმედი) | მხოლოდ სამზარეულოთი | მხოლოდ ცალკე ფეხისადგილით | სრულიად მოუწყობელია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ტფილისი | 28,6 | | 0,6 | 2,9 | 3,0 | 11,5 | 1,0 | 26,3 | 5,0 | 17,8 | 100 |
| | სულ აღმ. საქართველოში | 22,2 | 2,5 | 0,5 | 2,3 | 2,3 | 13,0 | 0,8 | 26,6 | 8,2 | 21,6 | 100 |
| | II. დას. საქართველო: | | | | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | — | — | — | — | 29,3 | — | 14,8 | 21,4 | 34,5 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | — | — | — | — | — | 39,0 | — | 18,1 | 22,8 | 20,1 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | — | — | — | — | — | 30,1 | — | 19,1 | 29,6 | 21,2 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | — | — | — | — | — | 48,4 | — | 8,6 | 33,4 | 9,6 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | — | — | — | — | — | 13,2 | — | 9,1 | 42,9 | 34,8 | 100 |
| 21 | ონი | — | — | — | — | — | 12,5 | — | 5,6 | 41,4 | 40,5 | 100 |
| 22 | სამტრედია | — | — | — | — | — | 16,9 | — | 14,7 | 26,0 | 42,4 | 100 |
| 23 | სენაკი | — | — | — | — | — | 54,5 | — | 15,4 | 24,1 | 6,0 | 100 |
| 24 | ტყვიბული | — | — | — | — | — | 7,6 | — | 11,2 | 58,8 | 22,4 | 100 |
| 25 | ფოთი | 0,2 | — | — | 1,3 | — | 44,6 | 0,1 | 10,5 | 27,7 | 15,6 | 100 |
| 26 | ყულევი | — | — | — | — | — | 39,6 | — | 5,6 | 35,1 | 19,7 | 100 |
| 27 | ცაგერი | — | — | — | — | — | 4,9 | — | 9,4 | 40,9 | 44,8 | 100 |
| 28 | ჭიათურა | 5,6 | — | — | 13,7 | 2,6 | 17,7 | 9,6 | 5,8 | 23,8 | 21,2 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი), კანალიზაციით (მოქმედით და მოუქმედებელით) და სამზარეულოთი. | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი), ცალკე ფეხსადგილით და სამზარეულოთი. | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი) და ცალკე ფეხსადგილით | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი) და სამზარეულოთი | წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი) და კანალიზაციით (მოქმედით და მოუქმედებელით) | სამზარეულოთი და ცალკე ფეხსადგილით | მხოლოდ წყალსადენით (მოქმედი და არა მოქმედი) | მხოლოდ სამზარეულოთი | მხოლოდ ცალკე ფეხსადგილით. | სრულიად მოუწყობელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 | ხონი | — | — | — | — | — | 45,5 | — | 6,2 | 40,3 | 8,0 | 100 |
| | სულ დას. საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 0,3 | — | | 0,9 | 0,1 | 34,1 | 0,5 | 11,0 | 32,4 | 20,7 | 100 |
| 30 | ქუთაისი | — | | | — | — | 45,4 | — | 16,0 | 25,3 | 13,3 | 100 |
| | სულ დას. საქართველოში | 0,2 | — | — | 0,5 | | 38,7 | 0,3 | 13,1 | 29,5 | 17,6 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | | | | |
| 31 | ბათომი | 8,5 | 3,1 | 2,6 | | 1,7 | 17,3 | 1,6 | 16,0 | 0,2 | 46,0 | 100 |
| | **IV აფხაზეთი:** | | | | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 1,6 | | | 0,8 | — | 24,3 | | 33,0 | 11,7 | 28,6 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | — | — | | — | — | 19,5 | | 24,4 | 21,3 | 34,8 | 100 |
| 34 | გალი | — | — | — | — | — | 13,5 | | 43,5 | 13,5 | 29,5 | 100 |
| 35 | სოხუმი | 3,2 | — | — | 1,7 | 0,7 | 14,1 | 1,0 | 18,5 | 19,1 | 41,1 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 2,5 | — | — | 1,4 | 0,6 | 16,3 | 0,7 | 21,2 | 18,4 | 38,9 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | — | — | — | — | — | 17,1 | — | 12,5 | 28,9 | 41,5 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 14,7 | 1,8 | 0,6 | 1,9 | 1,6 | 19,4 | 0,8 | 22,1 | 12,8 | 24,3 | 100 |

ამნაირად, სრულებით მოუწყობელ ბინებში რესპუბლიკის მკვიდრთა საერთო რიცხვის 24,3 პროც. სცხოვრობს; მათ რომ მივუმატოთ ისეთი მობინადრენიც, რომელთაც მხოლოდ სამზარეულოიანი ბინები აქვთ (22,1 პროც.), მაშინ ანტი-ჰიგიენურ პირობებში, როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის მკვიდრთა საერთო რიცხვის 46,4 პროც. იმყოფება. მობინადრენი, რომელნიც ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი არიან, ე. ი. წყალსადენით (მომქმედით და არ მომქმედით), ვატერკლოზეტით (მოწესრიგებულით და მოუწესრიგებელით) და სამზარეულოთი, რესპუბლიკის მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 14,7 პროც-ს შეადგენენ. თუნდაც ამათ მივუმატოთ ისეთი მობინადრენი, რომელთაც ყველა მოწყობილება აქვთ, ხოლო ვატერკლოზეტის მაგიერ ცალკე ფეხისადგილი (1,8 პროც.), მაინც უზრუნველყოფილ მობინადრეთა რიცხვი რესპუბლიკისათვის ძალიან მცირე იქნება, სახელდობრ—16,5 პროც.

საქართველოს შემადგენელ ნაწილებში ამ მხრივ პირობები ასეთია:

სრულიად მოუწყობელ ბინებში სცხოვრობს: აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის—34,0 პროც-ი, ტფილისში—ამ ქალაქის მობინადრეთა საერთო რიცხვის 17,8 პროც., საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით)—21,6 პროც;, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ)—20,7 პროც., ქუთაისში—13,3 პროც-ი; საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით)—17,6 პროც., აჭარაში—46,0 პროც., აფხაზეთის ქალაქებში—38,9 პროც., სამხრეთ ოსეთში—41,5 პროც.

ამნაირად, ანტი-ჰიგიენურ პირობებში იმყოფებიან განსაკუთრებით აჭარის, შემდეგ სამხრეთ-ოსეთის, აფხაზეთის და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) მობინადრენი.

იმ მობინადრეთა შედარებით მცირე რიცხვს, რომელთაც სრულიად მოუწყობელი ბინები აქვთ, შეადგენენ ქუთაისისა, შემდეგ ტფილისისა, დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა (ქუთაისით და უქუთაისოთ) და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) მობინადრენი.

თუ ანგარიშს გავუწევთ იმას, რომ ანტი-სანიტარულ პირობებს განიცდიან ის მობინადრენიც, რომელთაც მარტო სამზარეულოიანი ბინები აქვთ, მაშინ გაცილებით უარეს მდგომარეობას მივიღებთ როგორც საერთოდ რესპუბლიკის, ისე მის შემადგენელ ნაწილების მობინადრეთათვის.

მაგალითად, მხოლოდ სამზარეულოიან ბინებში სცხოვრობს:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის 27,6 პროც., ტფილისის—26,3 პროც., საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით)—26,6 პროც; დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ)—11,0 პროც., ქუთაისის — 16,0 პროც., საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით)—13,1 პროც., აჭარის 16,0 პროც., აფხაზეთის —21,2 პროც., და სამხრეთ-ოსეთის—12,5 პროც.,

ამნაირად, სრულებით მოუწყობელ და სამზარეულოიან ბინებში სცხოვრობს:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის—51,6 პროც., ტფილისის—44,1 პროც., საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით)—48,2 პროც., დასავლეთ საქართველოს ქალაქების (უქუთაისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის—31,7 პროც., ქუთა-

ისის—29,3 პროც., საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისით)—30,7 პროც., აჭარის—62,0 პროც., აფხაზეთის—60,1 პროც., და სამხრეთ-ოსეთის—54,0 პროც.

აქაც თითქმის ისევე, როგორც სრულებით მოუწყობელ ბინებში, მობინადრეთა აუტანელი პირობები, უმთავრესად, აჭარისა, აფხაზეთისა, სამხრეთ-ოსეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) ბინებშია. შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან ქუთაისის, დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა (ქუთაისით და უქუთაისოთ) და ტფილისის მობინადრენი.

რაც შეეხება იმ მობინადრეთ, რომელნიც წყალსადენიან (მომქმედი და არ მომქმედი), ვატერკლოზეტიან (მოწესრიგებული და მოუწესრიგებელი) ან ცალკე ფეხისადგილიან და სამზარეულოიან ბინებში სცხოვრობენ, მათ შესახებ უკანასკნელი ტაბულა შემდეგ სურათს იძლევა:

ყოველმხრივ მოწყობილ ბინებით უზრუნველყოფილია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) ბინადართა საერთო რიცხვის მხოლოდ 0,8 პროც., ტფილისისა—31,9 პროც., აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისა ტფილისიანად—24,7 პროც., დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა (უქუთაისოთ)—0,3 პროც., საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა (ქუთაისით)—0,2 პროც., აჭარისა—11,6 პროც., და აფხაზეთის—2.5 პროც.,

აქედან სჩანს, რომ იმ მობინადრეთა შედარებით დიდ პროც-ს, რომელნიც ყოველმხრივ მოწყობილ ბინებით არიან უზრუნველყოფილნი განსაკუთრებით ტფილისი იძლევა, შემდეგ—ბათომი, აფხაზეთის ქალაქები და სხვა.

იმ ქალაქთა ბინებში, სადაც წყალსადენი არაა გაყვანილი, არც ვატერკლოზეტია, ისეთი ბინები კი, რომელთაც აღნიშნული მოწყობილება არა აქვთ, ცხადია, ყოველ მხრივ მოწყობილ ბინებად ვერ ჩაითვლებიან.

ზევითაც არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ მოუწყობელ და ანტი-ჰიგიენურ პირობებში, უმთავრესად, ერთ და ორ-ოთახიანი ბინები იმყოფებიან. ამ აზრს ერთხელ კიდევ ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ტაბულა.

**სრულებით მოუწყობელ 100 ბინაზე მოდის ბინები:**

ტაბულა 35

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები: 1 ოთახ. | ოთახ. | ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I. აღმოსავლეთი საქართველო: | | | | | | | |
| | ახალქალაქი | 52,1 | 36,3 | 8,4 | 2,8 | 0,4 | — | 100 |
| | ახალციხე | 56,9 | 35,8 | 5,4 | 1,7 | 0,2 | — | 100 |
| 3 | ბორჯომი | 32,2 | 49,1 | 9,3 | 5,3 | 2,6 | 1,5 | 100 |
| 4 | გორი | 80,0 | 18,2 | 1,5 | 0,3 | — | — | 100 |
| 5 | დუშეთი | 75,3 | 20,5 | 4,2 | — | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | 87,9 | 10,4 | 1,1 | 0,3 | — | — | 100 |

| № რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
| 7 | თელავი . | 75,5 | 22,2 | 1,9 | 0,2 | — | 0,2 | 100 |
| 8 | თიანეთი | 75,3 | 21,0 | 2,5 | 1,2 | — | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 58.8 | 25,8 | 8,6 | 4,1 | 1,4 | 1.3 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 94,0 | 5,8 | — | 0,2 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 77,8 | 20,0 | 1,6 | 0,4 | 0,2 | — | 100 |
| 12 | სურამი | 53,5 | 37,9 | 6,6 | 2,0 | — | | 100 |
| 13 | შულავერი | 81,9 | 17,0 | 0,8 | 0,3 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური . . . | 58.9 | 30,0 | 6,0 | 3,6 | 0,4 | 1,1 | 100 |
| | სულ აღმოსავ. საქარ. ტფილისის გამოკლებით | 72,7 | 23,0 | 3,2 | 1,2 | 0,2 | 0,2 | 100 |
| 15 | ტფილისი . | 71.9 | 21,6 | 4,2 | 1,4 | 0,4 | 0.5 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . | 71.9 | 22,1 | 3,9 | 1,3 | 0,4 | 0,4 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია . | 51.9 | 28,8 | 13,5 | 5,8 | — | — | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 57,9 | 30,0 | 6,7 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 27,7 | 44,7 | 21,3 | 3.9 | 1,0 | 1,4 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი . | 67,4 | 20,2 | 9,0 | 3,4 | — | — | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 44,4 | 32,5 | 15,6 | 5,8 | 1,2 | 0,5 | 100 |
| 21 | ონი | 61,9 | 32,5 | 4,0 | 1,6 | — | — | 100 |
| 22 | სამტრედია | 47,9 | 28,7 | 12,9 | 8,2 | 0,9 | 1,4 | 100 |
| 23 | სენაკი | 54,8 | 32,3 | 6,5 | 4,8 | 1,6 | — | 100 |
| 24 | ტყვიბული | 64,1 | 31,2 | 4,7 | — | — | — | 100 |
| 25 | ფოთი | 43,3 | 36,2 | 15,8 | 3,5 | 0,7 | 0,5 | 100 |
| 26 | ყულევი. | 57,1 | 8,6 | 17,1 | 11,4 | 2,9 | 2,9 | 100 |
| 27 | ცაგერი . | 57,8 | 30,6 | 8,9 | 1,1 | 1,1 | 0,5 | 100 |
| 28 | ჭიათურა | 64,8 | 30,1 | 4,2 | 0,9 | — | — | 100 |
| 29 | ხონი . | 67,1 | 17,3 | 8,5 | 5,8 | 1,3 | — | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით . | 52,3 | 30,5 | 11,3 | 4,4 | 0,8 | 0,7 | 100 |
| 30 | ქუთაისი . . . . | 58,9 | 29,7 | 6,8 | 3.7 | 0,4 | 0,5 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . . . | 54,4 | 30,2 | 10,0 | 4,2 | 0,6 | 0,6 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი. . . . | 64,0 | 24,7 | 5,6 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
| | IV. აფხაზეთი: | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | 54,9 | 34,1 | 6,6 | 2,7 | 0,4 | 1,3 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | 39,4 | 31,9 | 13,8 | 10,2 | 1,2 | 3,5 | 100 |
| 34 | გალი . | 6,1 | 57,6 | 12,1 | 9,1 | 3,0 | — | 100 |
| 35 | სოხუმი . . . . . | 75,4 | 20,0 | 3,8 | 0,5 | 0,1 | 0,2 | 100 |
| | სულ აფხაზეთში . | 69,4 | 22,8 | 5,1 | 1,8 | 0,3 | 0,6 | 100 |
| | V. სამხრეთ-ოსეთი: | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . | 61,7 | 32,0 | 3,7 | 2,6 | — | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 67,6 | 24,0 | 5,2 | 2,1 | 0,5 | 0,6 | 100 |

ამნაირად, თუ ერთ და ორ-ოთახიანი ბინები რესპუბლიკის ბინათა საერთო რიცხვის 74,1 პროც-ს შეადგენენ, იგივე კატეგორია ერთ და ორ-ოთახიანი ბინებისა აქ, ე. ი. სრულიად მოუწყობელ ბინებში, ბინათა საერთო რიცხვის უკვე 91,6 პროც-ს გვაძლევს. ცხადია, რომ მოუწყობელი ბინები უმთავრესად ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია და ანტი-სანიტარულ პირობათა მთელი სიმძიმეც მათ აწვებათ.

ასეთსავე სურათს იძლევიან საქართველოს შემადგენელი ნაწილების ბინები.

მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) ბინათა საერთო რიცხვის 87,6 პროც-ი ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო იგივე ჯგუფი—სრულიად მოუწყობელ ბინათა საერთო რიცხვის 95,7 პროც.

ტფილისში ერთ და ორ-ოთახიანი ბინები 71,9 პროც-ს გვაძლევენ, ხოლო აქვე სრულიად მოუწყობელ ბინათა საერთო რიცხვის 93,5 პროც. იმავე ერთსა და ორ-ოთახიან ბინებზე მოდის.

ასეთივე მდგომარეობაა საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით და უქუთაისოთ), ქუთაისში, აჭარაში, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში.

ახლა გამოვარკვიოთ ამავე ბინების ბინადართა პირობები.

**მოუწყობელ ბინებში მდგომ 100 მობინადრედან სარგებლობს ბინით:**

ტაბულა 36

| №№ რიგ. | ქალაქები | ბინათა კატეგორიები: 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მ. ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართვ.:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 41,6 | 41,5 | 11,0 | 5,2 | 0,7 | — | 100 |
| 2 | ახალციხე | 46,7 | 44,0 | 6,8 | 2,3 | 0,2 | — | 100 |
| 3 | ბორჯომი | 24,4 | 50,0 | 10,9 | 9,0 | 3,9 | 1,8 | 100 |
| 4 | გორი | 74,1 | 22,4 | 2,8 | 0,7 | — | — | 100 |
| 5 | დუშეთი | 65,6 | 26,0 | 8,4 | — | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | 84,5 | 13,6 | 1,4 | 0,5 | — | — | 100 |
| 7 | თელავი | 70,0 | 26,3 | 3,1 | 0,4 | — | 0,2 | 100 |
| 8 | თიანეთი | 73,0 | 23,7 | 2,3 | 1,0 | — | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 47,7 | 29,0 | 11,3 | 8,6 | 1,4 | 2,0 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 90,9 | 7,9 | — | 1,2 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 69,0 | 27,5 | 2,9 | 0,2 | 0,4 | — | 100 |
| 12 | სურამი | 42,0 | 48,0 | 7,2 | 2,8 | — | — | 100 |
| 13 | შულავერი | 77,5 | 20,6 | 1,4 | 0,5 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური | 48,4 | 31,5 | 9,3 | 6,9 | 1,0 | 2,9 | 100 |
| 15 | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით . . | 64,3 | 28,0 | 4,8 | 2,2 | 0,3 | 0,4 | 100 |
| | ტფილისი . | 58,5 | 27,1 | 7,8 | 3,4 | 1,4 | 1,8 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . . . | 60,6 | 27,4 | 6,7 | 3,0 | 1,0 | 1,3 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია . | 49,0 | 33,1 | 12,0 | 5,9 | — | — | 100 |
| 17 | ზესტაფონი . | 40,0 | 33,4 | 10,9 | 7,3 | 5,0 | 3,4 | 100 |
| 18 | ზუგდიდი. | 20,8 | 45,1 | 26,1 | 4,6 | 1,1 | 2,3 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი . . | 64,0 | 21,2 | 10,8 | 4,8 | — | — | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 34,2 | 34,1 | 19,9 | 8,6 | 2,3 | 0,9 | 100 |
| 21 | ო ნ ი . . | 52,5 | 39,2 | 5,5 | 2,8 | — | | 100 |
| 22 | სამტრედია . | 40,0 | 28,6 | 16,7 | 11,2 | 1,4 | 2,1 | 100 |
| 23 | სენაკი | 31,4 | 36,0 | 10,7 | 18,0 | 3,9 | — | 100 |
| 24 | ტყვიბული | 47,8 | 41,6 | 10,6 | — | — | — | 100 |
| 25 | ფოთი . | 30,7 | 39,6 | 20,5 | 6,9 | 1,5 | 0,8 | 100 |
| 26 | ყულევი . . | 53,6 | 8,0 | 18,1 | 10,9 | 5,8 | 3,6 | 100 |
| 27 | ცაგერი | 43,6 | 35,9 | 15,6 | 1,8 | 1,4 | 1,7 | 100 |
| 28 | ჭიათურა | 50,5 | 39,0 | 7,7 | 2,8 | — | — | 100 |

| №№ რიგ. | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ | 5 ოთახ. | 6 და მ. ოთახ. | სულ |
| 29 | ხონი . . . | 58,9 | 18,2 | 13,8 | 7,4 | 1,7 | — | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | 41,0 | 33,5 | 15,6 | 7,0 | 1,7 | 1,2 | 100 |
| 30 | ქუთაისი . . | 48,5 | 34,4 | 9,8 | 4,9 | 1,1 | 1,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 43,4 | 33,8 | 13,8 | 6,2 | 1,5 | 1,3 | 100 |
| | III. აჭარა: | | | | | | | |
| 31 | ბათომი | 46,3 | 27,6 | 9,8 | 7,1 | 3,1 | 6,1 | 100 |
| | IV. აფხაზეთი: | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 46,0 | 40,1 | 8,6 | 4,2 | 0,1 | 1,0 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | 27,9 | 32,1 | 16,9 | 14,5 | 2,3 | 6,3 | 100 |
| 34 | გალი | 4,4 | 54,5 | 11,8 | 19,0 | 7,4 | 2,9 | 100 |
| 35 | სოხუმი | 66,3 | 25,6 | 6,4 | 1,1 | 0,1 | 0,5 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 60,0 | 27,8 | 7,7 | 2,9 | 0,4 | 1,2 | 100 |
| | V. სამხრეთ-ოსეთი: | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . | 51,0 | 39,3 | 4,7 | 5,0 | — | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში . | 54,7 | 28,7 | 8,6 | 4,4 | 1,4 | 2,2 | 100 |

საინტერესო სურათს გვაძლევს უკანასკნელი ტაბულა: აქ მობინადრეთა დიდ უმრავლესობას ერთი და ორ-ოთახიანი ბინები იძლევიან.

ერთის შეხედვით, თითქოს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საერთოდ ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომი მობინადრენიც დიდ უმრავლესობას შეადგენენ (იხილე ტაბულა 5); მაგრამ ჩვენ ხაზ-გასმით ვამბობთ, რომ მოუწყობელ ბინებში გაცილებით მეტ პროც.-ს ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომი მობინადრენი იძლევიან. როდესაც სრულიად მოუწყობელ ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომ მობინადრეთა პროც.-ს (იხ. ტაბულა 36) საერთოდ იმავე კატეგორიების ბინებში მდგომ მობინადრეთა პროც.-ს (იხ. ტაბულა 5) შევადარებთ, დავინახავთ, რომ უკანასკნელთა პროც. გაცილებით დაბალია, ვიდრე სრულიად მოუწყობელ ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომ მობინადრეთა პროც. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ეს განმარტება, მოვიყვანოთ საილუსტრაციოთ კიდევ ერთი მარტივი ტაბულა.

ტაბულა 37

| ქალაქები | 100 მობინადრეზე მოდის ერთსა და ორ ოთახიან ბინებში მდგომი მობინადრე | მოუწყობელ ბინებში მდგომ 100 მობინადრეზე მოდის ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომი მობინადრე |
|---|---|---|
| **I. აღმოსავლ. საქართველოში:** | | |
| უტფილისოთ . | 83,1 | 92,3 |
| ტფილისში . . . . . . | 54,8 | 85,6 |
| სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 61,3 | 88,0 |
| **II. დასავლეთ საქართველოში:** | | |
| უქუთაისოთ . | 54,3 | 74,5 |
| ქუთაისში . . . | 56,7 | 82,9 |
| სულ დასავლეთ საქართველოში | 55,3 | 77,2 |
| **III. აჭარაში** | 57,6 | 73,9 |
| **IV. აფხაზეთში .** | 70,1 | 87,8 |
| **V. სამხრეთ-ოსეთი . .** | 80,6 | 90,3 |
| საერთოდ რესპუბლიკაში | 60,2 | 83,4 |

მართლაც, ჩვენი განმარტება ვრცელდება არა მარტო საერთოდ საქართველოს მობინადრეებზე, არამედ ყველა მისი შემადგენელი ნაწილის მობინადრეებზედაც.

ამით ვამთავრებთ ბინათა და მობინადრეთა სანიტარული პირობების შესწავლა-გაშუქებას საერთოდ საქართველოში.

მოყვანილ ცნობებიდან სულ ადვილად დავრწმუნდით, რომ არა თუ საქართველოს წვრილი ქალაქების ბინები, არამედ თვით საქართველოს დედა ქალაქის, ტფილისის, ბინებიც აუტანელ ანტი-სანიტარულ პირობებში იმყოფებიან.

ახლა იბადება სრულიად ახალი საკითხი: შესაძლებელია თუ არა, რომ ამავე ქალაქების მრეწველობათა სანიტარულმა პირობებმა შესცვალონ,—შეანელონ ან უფრო გააუწვავონ, – ბინებისა და მობინადრეთა სანიტარული პირობები?

აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ქალაქებში მდებარე მრეწველობებიც, სამწუხაროდ, ანტი-სანიტარულ პირობებში იმყოფებიან. ეს გარემოება-კი, რა თქმა უნდა, თუ უფრო არ გააუარესებს, ყოველ შემთხვევაში, არ შეასუსტებს ბინათა და მობინადრეთა სანიტარულ პირობებს.

გავეცნოთ მოკლეთ მრეწველობათა მდგომარეობა მათი სანიტარული პირობების მიხედვით:*)

---

*) ცნობები მოგვყავს იმ მრეწველობათა შესახებ, სადაც მხოლოდ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებია, ვინაიდან მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ჩვენ მიერ წამოყენებულ ძირითად საკითხთან ბინათა და მობინადრეთა შესახებ.

ტაბულა 58.

| №№ რიგზე | ქალაქები | მფლობელობანი საცხოვრებელ და არა-საცხოვ. შენობ. | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მფლობელობათა რიცხვი | წყალ. მხრივ %% | | | საერ. ფეხ. მხრივ | | |
| | | | წყალსა-დენით. | უწყალსა-დენოთ. | სულ | საერთო ფეხისადგი-ლით. | უფეხისადგი-ლოთ. | სულ |
| | **I. აღმოსავლეთი საქართვ.:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 400 | — | 100 | 100 | 24,2 | 75,8 | 100 |
| 2 | ახალციხე | 1.513 | — | 100 | 100 | 59,3 | 40,7 | 100 |
| 3 | ბორჯომი | 355 | 66,2 | 33,8 | 100 | 60,0 | 40,0 | 100 |
| 4 | გორი | 1.268 | 0,8 | 99,2 | 100 | 57,3 | 42,7 | 100 |
| 5 | დუშეთი | 231 | — | 100 | 100 | 83,1 | 16,9 | 100 |
| 6 | ველისციხე | 866 | — | 100 | 100 | 78,9 | 21,1 | 100 |
| 7 | თიანეთი | 1.506 | — | 100 | 100 | 71,2 | 28,8 | 100 |
| 8 | თელავი | 246 | — | 100 | 100 | 78,5 | 21,5 | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 195 | — | 100 | 100 | 91,8 | 8,2 | 100 |
| 10 | ლუქსენბურგი | 431 | — | 100 | 100 | 81,9 | 18,1 | 100 |
| 11 | სიღნაღი | 618 | 16,5 | 83,5 | 100 | 74,1 | 25,9 | 100 |
| 12 | სურამი | 688 | — | 100 | 100 | 80,8 | 19,2 | 100 |
| 13 | შულავერი | 672 | — | 100 | 100 | 51,2 | 48,8 | 100 |
| 14 | ხაშური | 821 | 3,4 | 96,6 | 100 | 75,8 | 24,2 | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლ. | 9.810 | 3,8 | 96,2 | 100 | 67,1 | 32,9 | 100 |
| 15 | ტფილისი | 11.734 | 40,1 | 59,9 | 100 | 92,0 | 8,0 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველ. | 21.544 | 23,6 | 76,4 | 100 | 80,7 | 19,3 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | 152 | — | 100 | 100 | 56,5 | 43,5 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 587 | 2,1 | 97,9 | 100 | 65,3 | 34,7 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 806 | — | 100 | 100 | 63,6 | 36,4 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | 1.378 | — | 100 | 100 | 81,1 | 18,9 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 872 | — | 100 | 100 | 87,4 | 12,6 | 100 |
| 21 | ონი | 371 | — | 100 | 100 | 19,7 | 80,3 | 100 |
| 22 | სამტრედია | 987 | 1,6 | 98,4 | 100 | 67,1 | 32,9 | 100 |
| 23 | სენაკი | 600 | — | 100 | 100 | 84,2 | 15,8 | 100 |
| 24 | ტყვიბული | 238 | 1,7 | 98,3 | 100 | 26,9 | 73,1 | 100 |
| 25 | ფოთი | 1.783 | 1,6 | 98,4 | 100 | 80,9 | 19,1 | 100 |
| 26 | ყულევი | 161 | | 100 | 100 | 64,6 | 35,4 | 100 |
| 27 | ცაგერი | 271 | — | 100 | 100 | 65,3 | 34,7 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | მფლობელობანი საცხოვრებელ და არასაცხოვ. შენობ. | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მფლობელობათა რიცხვი | წყალ. მხრივ %% | | | საერ. ფეხ. მხრივ | | |
| | | | წყალსადენით. | უწყალსადენოთ. | სულ | საერთო ფეხისადგილით. | უფეხისადგ. | სულ |
| 28 | ჭიათურა | 416 | 36,5 | 63,5 | 100 | 70,0 | 30,0 | 100 |
| 29 | ხონი. | 1.999 | — | 100 | 100 | 12,0 | 88,0 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქუთაისის გამოკლებით | 10.621 | 2,0 | 98,0 | 100 | 60,4 | 39,6 | 100 |
| 30 | ქუთაისი . | 6.269 | 0,1 | 99,9 | 100 | 63,9 | 36,1 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 16.890 | 1,3 | 98,7 | 100 | 61,7 | 38,3 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . . | 2.484 | 34,3 | 65,7 | 100 | 91,2 | 8,8 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | 481 | 15,6 | 84,4 | 100 | 73,6 | 26,4 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | 465 | — | 100 | 100 | 84,7 | 15,3 | 100 |
| 34 | გალი . | 79 | — | 100 | 100 | 51,9 | 48,1 | 100 |
| 35 | სოხუმი . | 1.028 | 22,8 | 77,2 | 100 | 85,6 | 14,4 | 100 |
| | სულ აფხაზეთში. | 2.053 | 15,1 | 84,9 | 100 | 81,3 | 18,7 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . | 682 | — | 100 | 100 | 64.7 | 35,3 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. | 43.653 | 14,8 | 85,2 | 100 | 73.7 | 26,3 | 100 |

ამნაირად, საქართველოს ქალაქებში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებით 43.653 მფლობელობაა, ამათში 14,8 პროც-ი წყალსადენითაა, ხოლო 85,2 პროც.—უწყალსადენოთ.

ფეხისადგილის მხრივაც აღნიშნულ მფლობელობებში მდგომარეობა ასეთია: მფლობელობათა საერთო რიცხვის 73.7 პროც. საერთო ფეხისადგილითაა, ხოლო 26,3 პროც. უფეხისადგილოთ.

ასეთია მფლობელობათა პირობები საერთოდ საქართველოს ქალაქებში; რაც შეეხება მფლობელობათა მდგომარეობას ამ მხრივ საქართველოს შემადგენელ ნაწილებში, აქ შემდეგი სურათი გვეშლება თვალწინ:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (უტფილისოთ) მფლობელობათა საერთო რიცხვის 3.8 პროც. წყალსადენითაა და 96,2 პროც. უწყალსადენოთ, ხო-

ლო ამავე მფლობელობათა საერთო რიცხვის 67,1 პროც. საერთო ფეხისადგილით და 32,9 პროც.—უფეხისადგილოთ.

ამნაირად, აქ გაცილებით მეტი პროც-ია უწყალსადენო და უფეხისადგილო. მფლობელობა, ვიდრე საერთოდ მთელს საქართველოს ქალაქებში.

ტფილისის მფლობელობათა პირობები, საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან შედარებით, გაცილებით უკეთესია: აქ წყალსადენი გაყვანილია მფლობელობათა საერთო რიცხვის 40,1 პროც.-ში, უწყალსადენოა 59,9 პროც., ხოლო საერთო ფეხისადგილი არის ამავე მფლობელობათა საერთო რიცხვის 92,0 პროც-ში და უფეხისადგილოა—8,0 პროც.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით ან და უქუთაისოთ) და ქუთაისში მფლობელობათა პირობები როგორც წყალსადენის, ისე საერთო ფეხისადგილის მხრივ გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მფლობელობებში.

მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (უქუთაისოთ) მფლობელობათა საერთო რიცხვის 98,0 პროც. უწყალსადენოა, ხოლო ამავე მფლობელობათა საერთო რიცხვის 39,6 პროც.—უფეხისადგილო.

აჭარის მფლობელობებს, ტფილისის შემდგომ, პირველი ადგილი უჭირავთ: აქ მფლობელობათა საერთო რიცხვის 34,3 პროც. უზრუნველყოფილია წყალსადენით, ხოლო 65,7 პროც. წყალსადენს მოკლებულია; ამავე მფლობელობათა საერთო რიცხვის 91,2 პროც. ფეხისადგილიანია და 8,8 პროც. ფეხისადგილს მოკლებულია.

აფხაზეთის ქალაქებში მფლობელობათა საერთო რიცხვის 15,1 პროც. წყალსადენიანია და 84,9 პროც. უწყალსადენო, ხოლო ამავე ქალაქების მფლობელობათა საერთო რიცხვის 81,3 პროც. ფეხისადგილიანია და 18,7 პროც. უფეხისადგილო.

სამხრეთ ოსეთში მფლობელობები სრულებით უწყალსადენოა. რაც შეეხება ფეხისადგილს, აქ საერთო ფეხისადგილით მფლობელობათა საერთო რიცხვის 64,7 პროც. უზრუნველყოფილია, ხოლო 35,3 პროც. მას მოკლებულია.

ამ მიმოხილვიდან სჩანს, რომ სანიტარული პირობები მფლობელობებში ვერ ყოფილა სახარბიელო, როგორც საერთოდ საქართველოში, ისე მის შემადგენელ ნაწილებში. სანიტარიის ელემენტარული პირობები, ფეხისადგილი და წყალსადენი, მფლობელობებში, როგორც დავინახეთ, ნაკლებად მოიპოვება.

ეს საერთო ანტი-სანიტარული მდგომარეობა მფლობელობებში კიდევ უფრო უარესდება იმ სისტემათა მიხედვით, რომლითაც მფლობელობებიდან სიბინძურის გატანა ხდება.

აი ცნობები ამის შესახებ:

**100 მფლობელობიდან სიბინძურის გატანა ხდება:**

ტაბულა 39

| №№ რიგზე | ქალაქები | კანალიზაციით | შამბის სისტემით | ამოსაწმენდი ორმოებით | შთანთქმავი ორმოებით | სრულიად მოუწყობელია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | — | 75,0 | 1,7 | 23,3 | 100 |
| 2 | ახალციხე | 6,5 | — | 21,0 | 38,1 | 34,4 | 100 |
| 3 | ბორჯომი | 39,3 | 2,9 | 30,3 | 7,8 | 19,7 | 100 |
| 4 | გორი | 1,0 | 3,3 | 63,8 | 6,0 | 25,9 | 100 |
| 5 | დუშეთი | — | — | 7,9 | 62,0 | 30,1 | 100 |
| 6 | ველისციხე | — | — | — | 60,6 | 39,4 | 100 |
| 7 | თელავი | — | 0,3 | 31,5 | 40,7 | 27,5 | 100 |
| 8 | თიანეთი | — | — | — | 81,3 | 18,7 | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | — | — | — | 8,9 | 91,1 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | | 2,1 | 45,7 | 28,5 | 23,7 | 100 |
| 11 | სიღნაღი | 3,2 | — | 1,1 | 79,6 | 16,1 | 100 |
| 12 | შულავერი | — | — | 14,6 | 77,8 | 7,6 | 100 |
| 13 | სურამი | 2,1 | 0,1 | 43,3 | 22,6 | 31,9 | 100 |
| 14 | ხაშური | 3,3 | | 87,4 | 3,4 | 5,9 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით | 3,2 | 0,6 | 34,1 | 35,9 | 26,2 | 100 |
| 15 | ტფილისი | 54,6 | 2,7 | 22,6 | 16,8 | 3,3 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 31,2 | 1,8 | 27,8 | 25,5 | 13,7 | 100 |
| | **II დასავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | — | 13,8 | 34,9 | 51,3 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 2,4 | 8,4 | 57,2 | 0,5 | 31,5 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | | 0,2 | 64,3 | 20,1 | 15,4 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | — | — | — | | 100,0 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | — | — | 1,8 | 8,5 | 89,7 | 100 |
| 21 | ონი | — | — | 19,1 | 0,3 | 80,6 | 100 |
| 22 | სამტრედია | 6,3 | 0,1 | 41,7 | 39,5 | 12,4 | 100 |
| 23 | სენაკი | 0,9 | 0,3 | 85,1 | 9,4 | 4,3 | 100 |
| 24 | ტყვიბული | — | — | 0,4 | — | 99,6 | 100 |
| 25 | ფოთი | 0,5 | 3,3 | 70,0 | 18,2 | 8,0 | 100 |
| 26 | ყულევი | — | — | 91,3 | 3,7 | 5,0 | 0 |
| 27 | ცაგერი | — | — | 97,4 | — | 2,6 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | კანალიზა-ციით | შამბოს სის-ტემით | ამოს წმენდი ორმოთი | მშთანთქავი ორმოთი | სრულიად მო-უწყობელია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | კიათურა | 11,0 | — | 42.3 | — | 46,7 | 100 |
| 29 | ხონი . . . | — | 0,1 | 77,6 | 5.0 | 17,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში უქუთაისოთ. . . . . . . | 1,3 | 1,1 | 49,8 | 11,0 | 36,8 | 100 |
| 30 | ქუთაისი . | 0,5 | 6,2 | 57.2 | 23,8 | 12.3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში. | 0,9 | 3,0 | 52,6 | 15,8 | 27,7 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 3,3 | 5,5 | 55,7 | 19,5 | 16,0 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | — | 1,0 | 32,9 | | 66.1 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | — | — | 7.9 | 9,7 | 82.4 | 100 |
| 34 | გალი . | — | — | 6,3 | 93,7 | — | 100 |
| 35 | სოხუმი . . . . | 3,4 | 3.4 | 74,9 | 5,3 | 13,0 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 1,7 | 2,0 | 47,3 | 8,4 | 40,6 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . | 1,5 | — | 51,8 | 17,1 | 29.6 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. | 16,1 | 2,4 | 40, 2 | 20,5 | 20,8 | 100 |

სანამ ამ მასალების გაშუქებას შევეხებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, თუ რას ნიშნავს სიბინძურის გატანა მეულობელობიდან: 1) კანალიზაციით, 2) ამოსაწმენდი ორმოებით, 3) მშთანთქავი ორმოებით და 4) შამბოს სისტემით.

კანალიზაციით მფლობელობიდან სიბინძურის გატანა ყველასათვის ცხადია. რაც შეეხება ამოსაწმენდ ორმოებს, ამ შემთხვევაში სიბინძურის გატანა შემდეგი წესით ხდება: როცა ორმო გაივსება სიბინძურით, იგი ამოიწმინდება და ბოჩკების ან სხვა რაიმე საშუალებით სიბინძურე გააქვთ მფლობელობიდან.

მშთანთქავი ორმოებით გაწმენდა შემდეგი წესით ხდება: როდესაც ამა თუ იმ მფლობელობაში ორმო გაივსება, მას ზედ აყრიან მიწას და ამ ორმოს მაგიერ იმავე მფლობელობაში სხვა ადგილას სხვა ორმოს სთხრიან. ამ უკანასკნელსაც პირველის ბედი მოელის: ესეც, როგორც პირველი, როდესაც სიბინძუ-

რით გაივსება, მიწის ქვეშ მოჰყვება; გადადიან მესამე ადგილას და სხვა. ამნაირად, სიბინძურე მფლობელობიდან არ გააქვთ, ის იქვე რჩება, მხოლოდ ზევიდან მიწას აყრიან.

შამბოს სისტემით სიბინძურის გატანა ხდება შემდეგი წესით: ფეხისადგილის მახლობლად შენდება პატარა შენობა, რომელიც ფეხისადგილს მილების საშუალებით უერთდება; ამ წესით სიბინძურე ფეხისადგილიდან მილებით ამ შენობაში მიდის. ეს შენობა დრო გამოშვებით იწმინდება, რითაც იწმინდება თვით ფეხისადგილიც.

აი ასეთი წესებით ხდება სიბინძურის გატანა მფლობელობიდან.

ახლა დავუბრუნდეთ ტაბულას.

საერთოდ, საქართველოს ქალაქების საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებიან მფლობელობებში სიბინძურის გატანა კანალიზაციის საშუალებით ხდება ამავე ჯგუფის მფლობელობათა საერთო რიცხვის 16,1 პროც-დან, შამბოს სისტემით—2,4 პროც-დან, ამოსაწმენდი ორმოებით—40,2 პროც-დან, მშთანთქავი ორმოებით—20,5 პროც-იდან, ხოლო სრულიად მოუწყობელი რჩება მფლობელობათა საერთო რიცხვის 20,8 პროც-ი.

უნდა ითქვას, რომ მშთანთქავი ორმოების საშუალებით სიბინძურის გატანა პრიმიტიული საშუალებაა, რომელიც კულტურულ ქალაქებში სანიტარულისა და ჰიგიენურის თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია. ამ გზით სიბინძურის გატანის საშუალება დიდს პროც-ს გვაძლევს.

ანტი-სანიტარულ პირობებს კიდევ უფრო უწყობს ხელს ის გარემოება, რომ მფლობელობათა საერთო რიცხვის 20,8 პროც-ს არავითარი მოწყობილება არა აქვს.

რა მდგომარეობაშია ამ მხრივ საქართველოს სხვა და სხვა ნაწილის მფლობელობა?

აუტანელი მდგომარეობაა აფხაზეთის ქალაქების მფლობელობებში: აქ ამავე ქალაქების მფლობელობათა საერთო რიცხვის 40,6 პროც. სრულებით მოუწყობელია, ხოლო მფლობელობათა 8,4 პროც-იდან სიბინძურის გატანა ხდება მშთანთქავი ორმოთი.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც (უქუთაისოთ) მოუწყობელ მფლობელობათა რიცხვი მეტად დიდია. აქ მფლობელობათა საერთო რიცხვის 36,8 პროც-ს სრულიად არა ჰქონია მოწყობილობა.

საგრძნობ რიცხვს გვაძლევენ აქ აგრეთვე ის მფლობელობანიც, საიდანაც სიბინძურის გატანა მშთანთქავი ორმოების საშუალებით ხდება, სახელდობრ—11,0 პროც-ს.

სამხრეთ-ოსეთის და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) მფლობელობათა მდგომარეობა უკეთესი არ არის. მაგალითად, სამხრეთ-ოსეთის მფლობელობათა საერთო რიცხვის 29,6 პროც. სრულებით მოუწყობელია, მფლობელობათა 17,1 პროც-იდან სიბინძურის გატანა მშთანთქავი ორმოების საშუალებით ხდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) მფლობელობათა საერთო რიცხვის 35,9 პროც-დან სიბინძურის გატანა მშთანთქავი ორმოების საშუალებით ხდება, ხოლო მფლობელობათა 26,2 პროც-ი სრულებით მოუწყობელია.

ამ მხრივ ყველაზე უკეთეს პირობებში ტფილისის მფლობელობებია: აქ მფლობელობათა საერთო რიცხვის მხოლოდ 3,3 პროც-ია მოუწყობელი. სამაგიეროდ, მფლობელობიდან სიბინძურის გატანა მფლობელობათა საერთო რიცხვის 54,6 პროც-დან კანალიზაციით ხდება, შამბოს სისტემით—2,7 პროც-იდან.

შედარებით კარგ პირობებშია ქუთაისი და ბათომი: ქუთაისში მფლობელობათა საერთო რიცხვის მარტო 12,3 პროც-ია მოუწყობელი, ხოლო მფლობელობათა საერთო რიცხვის 23,8 პროც-დან სიბინძურის გატანა მშთანთქავი ორმოების საშუალებით ხდება; ბათომშიაც მფლობელობათა საერთო რიცხვის 16,0 პროც. მოუწყობელი მფლობელობაა, ხოლო მშთანთქავი ორმოებით სიბინძურის გატანა მფლობელობათა საერთო რიცხვის 19,5 პროც-დან ხდება.

აი მოკლე მიმოხილვა საქართველოს ქალაქების მფლობელობათა სანიტარული პირობებისა. როგორც ამ მიმოხილვიდან სჩანს, მფლობელობებში სანიტარული პირობები ვერ ყოფილა სათანადო დონეზე დაყენებული: ასეთი მდგომარეობა, ცხადია, ბინათა ანტი-სანიტარულ პირობებს უფრო აუარესებს და ამწვავებს.

აღნიშნული გარემოება კი, თავის თავად ცხადია, ხელს უწყობს მოსახლეობაში სხვა და სხვა ინფენქციური ავადმყოფის გავრცელებას, რაიც ქვემო მოყვანილ ცნობებიდანა სჩანს.

მთელი საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის სანიტარული პირობების გამოსარკვევად ჩვენ უნდა ვისარგებლოთ 1913 წლის ცნობებით ინფენქციურ ავადმყოფობათა შემთხვევების შესახებ საქართველოს ქალაქებში*).

ეს ცნობები იმ წლებს ეხება, როდესაც ცხოვრება ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა, როდესაც იგი არ იყო გართულებული არც ომებით, არც სხვა და სხვა მძლავრ ეპიდემიებით ან რაიმე გარემოებით, რომელთაც შეეძლოთ ავადმყოფობის შემთხვევათა გადიდებასა ან შემცირებაზე საგრძნობი გავლენა მოეხდინათ.

ხსენებული ცნობების გამოყენება მით უფრო დასაშვებია მოსახლეობის თანამედროვე სანიტარული პირობების გასაშუქებლად, რომ 1913 წლიდან დღემდე მფლობელობებსა და ბინებში მშენებლობის მხრივ ცვლილებებს ადგილი არა ჰქონია, ვინაიდან ამ დროს განმაელობაში მშენებლობა სუსტად მიმდინარეობდა და, მაშასადამე, სანიტარული პირობებიც უცვლელად დ რჩებოდა.

ქვემო მოყვანილ ტაბულიდან დავინახავთ, საქართველოს ზოგიერთ ქალაქში ყოველ 1.000 მცხოვრებზე რამდენი მოდიოდა აღმოჩენილ ინფენქციურ ავადმყოფობის შემთხვევა:

*) იხ. „კავკასიის კალენდარი", 1915 წლის გამოცემა.

ტაბულა 40

| №№ რიგზე | ავადმყოფობა | ქალაქები: ბათომი — ავადმყოფობათა რიცხვი | ბათომი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | ქუთაისი — ავადმყოფობათა რიცხვი | ქუთაისი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | ფოთი — ავადმყოფობათა რიცხვი | ფოთი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | ახალქალაქი — ავადმყოფობათა რიცხვი | ახალქალაქი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | ახალციხე — ავადმყოფობათა რიცხვი | ახალციხე — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | გორი — ავადმყოფობათა რიცხვი | გორი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | დუშეთი — ავადმყოფობათა რიცხვი | დუშეთი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | სიღნაღი — ავადმყოფობათა რიცხვი | სიღნაღი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება | ტფილისი — ავადმყოფობათა რიცხვი | ტფილისი — 1000 მცხოვრებზე მოდის ავადება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყვავილი | 8 | 0,2 | 6 | 0,1 | 6 | 0,3 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 114 | 0,3 |
| 2 | წითელა | 11 | 0,3 | 75 | 1,3 | 15 | 0,8 | 33 | 4,4 | 38 | 1,6 | 8 | 0,3 | — | — | 2 | 0,1 | 435 | 1,2 |
| 3 | ქუნთრუშა | 38 | 1,0 | 39 | 0,7 | 13 | 0,7 | — | — | 19 | 0,8 | 10 | 0,4 | — | — | 14 | 0,8 | 1.191 | 3,5 |
| 4 | ყივანახველა | 32 | 0,8 | 150 | 2,6 | 80 | 4,1 | — | — | 8 | 0,3 | 2 | 0,1 | — | — | 12 | 0,7 | 337 | 1,0 |
| 5 | გრიპი-ინფლუენცია | 4 | 0,1 | 1543 | 26,6 | 232 | 11,8 | 15 | 2,0 | 3 | 0,1 | 103 | 4,0 | 21 | 9,5 | 26 | 1,5 | 8.454 | 24,5 |
| 6 | დიფტერიტი | 46 | 1,2 | 30 | 0,5 | 10 | 0,5 | — | — | 5 | 0,2 | 3 | 0,1 | — | | 3 | 0,2 | 257 | 0,7 |
| 7 | მუცლის ტიფი | 80 | 2,1 | 435 | 7,5 | 22 | 1,1 | 4 | 0,5 | 3 | 0,1 | 18 | 0,7 | 2 | 0,9 | 5 | 0,3 | 542 | 1,6 |
| 8 | დანარჩენი ტიფები | 120 | 3,1 | 27 | 0,5 | 2 | 0,1 | 3 | 0,4 | 2 | 0,1 | — | — | — | — | 1 | 0,1 | 212 | 0,6 |
| 9 | დიზენტერია | 119 | 3,1 | 538 | 9,3 | 139 | 7,1 | 1 | 0,1 | 28 | 1,2 | 18 | 0,7 | 4 | 1,8 | 28 | 1,6 | 1.048 | 3,0 |
| 10 | ხოლერა | — | — | | — | — | — | — | | 66 | 2,8 | — | — | — | — | 29 | 1,6 | 743 | 2,2 |
| 11 | ყბაყურა | 12 | 0,3 | 129 | 2,2 | 40 | 2,0 | — | — | 36 | 1,5 | — | — | — | — | 4 | 0,2 | 732 | 2,1 |
| 12 | წითელი ქარი | 50 | 1,3 | 130 | 2,2 | 24 | 1,2 | — | | 3 | 0,1 | 4 | 0,2 | 1 | 0,5 | 11 | 0,6 | 333 | 0,9 |
| 13 | სურავანდი | 20 | 0,5 | 137 | 2,4 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 0,1 | 89 | 0,3 |
| 14 | რევმატიზმი | 20 | 0,5 | 451 | 7,8 | 59 | 3,0 | — | — | 4 | 0,2 | 24 | 0,9 | 10 | 4,5 | 22 | 1,2 | 1.042 | 3,0 |
| 15 | ჭლექი | 529 | 13,7 | 1871 | 32,3 | 313 | 15,9 | 6 | 0,8 | 50 | 2,1 | 173 | 6,7 | 20 | 9,0 | 44 | 2,5 | 2.860 | 8,5 |
| | ჯ ა მ ი | 1.089 | 28,2 | 5.561 | 96,0 | 955 | 18,6 | 62 | 8,2 | 265 | 11,1 | 363 | 14,1 | 58 | 26,2 | 202 | 11,5 | 18.389 | 53,4 |

ინფექციურ ავადმყოფობათა უდიდეს რიცხვს ქალ. ქუთაისი იძლევა: აქ 1.000 მცხოვრებზე 96,0 ავადმყოფობა მოდის. ქუთაისს მისდევენ ტფილისი —53,4 და ფოთი —48,6. ყველაზე უმცირესი რიცხვი ავადმყოფობათა მოდის ახალციხესა და ახალქალაქზე: პირველში 1.000 მცხოვრებზე—8,2, ხოლო მეორეში—11,1 ავადმყოფობა მოდის.

ავადმყოფობათა ხასიათის და ქალაქების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: ბათომში ავადმყოფობათა უდიდესი რიცხვი ჰლექზე მოდის (1.000 მცხოვრებზე 13,7), შემდეგ —დანარჩენ ტიფებზე და დიზენტერიაზე (3,1 ავადმყოფობა). ქუთაისშიაც ავადმყოფობათა უდიდეს რიცხვს ჰლექი იძლევა. აქ ყოველ 1.000 მცხოვრებზე 32,3 ავადმყოფობა მოდის; შემდეგი ადგილი უჭირავს ინფლუენციას (26,6), დიზენტერიას (9,3), რევმატიზმს (7,8), მუცლის ტიფს (7,5) და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბათომში ავადმყოფობათა შემთხვევებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა. აქ, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ჰლექი იძლევა დიდ რიცხვს. ეს ბათომში, ხოლო ქუთაისში ავადმყოფობათა შემთხვევებს შორის განსხვავება მეტის მეტად დიდია.

ფოთში უდიდესი რიცხვი ჰლექზე მოდის (1.000 მცხოვრებზე—15,9), შემდეგ —ინფლუენციაზე (11,8), დიზენტერიაზე (7,1) და სხვ.

ახალქალაქში, ამ მხრივ, შედარებით დამაკმაყოფილებელი პირობებია, ვინაიდან აქ ავადმყოფობათა შორის უდიდეს რიცხვს მხოლოდ წითელა იძლევა, ისიც 1.000 მცხოვრებზე მხოლოდ 4,4-ს. ინფექციურ ავადმყოფობათა ასეთი შედარებით მცირე რიცხვი ახალქალაქში, ცხადია, აიხსნება უმთავრესად ტოპოგრაფიული და კლიმატიური პირობებით.

ახალციხის მოსახლეობაში ინფექციური ავადმყოფობანი შედარებით ნაკლებად ყოფილა გავრცელებული. ხსენებულ ქალაქში 1913 წელს ფეხი მოუკიდია ხოლერას, რომელიც ავადმყოფობათა შორის ყველაზე უდიდეს რიცხვს გვაძლევს 1.000 მცხოვრებზე—2,8.

გორში უმთავრესად ადგილი ჰქონია ჰლექს და ინფლუენციას: 1.000 მცხოვრებზე 6,7 ავადმყოფობას ჰლექი იძლევა, ხოლო 4,0 – ინფლუენცია.

დუშეთში პირველი ადგილი ეჭირა ინფლუენციას, შემდეგ ჰლექს და რევმატიზმს. აქ 1.000 მცხოვრებში 9,5 ავადმყოფობა გრიპზე მოდის, 9,0—ჰლექზე, ხოლო 4,5 – რევმატიზმზე.

სიღნაღშიაც, როგორც ბათომში, ინფექციურ ავადმყოფობათა შემთხვევებს შორის განსხვავება მეტად მცირეა. უდიდესი რიცხვი აქ ჰლექზე მოდის: 1.000 მცხოვრებზე —2,5.

ტფილისში ინფექციურ ავადმყოფობათა შორის უმთავრესად გავრცელებული ყოფილა ინფლუენცია, შემდეგ ჰლექი და ქუნთრუშა. 1.000 მცხოვრებზე აქ მოდის: ინფლუენცია—24,5, ჰლექი— 8,5 და ქუნთრუშა—3,5.

ამრიგად, როგორც ამ მიმოხილვიდან სჩანს, სხვა და სხვა ინფექციური ავადმყოფობის გავრცელებას ქალაქში ხელს უწყობენ, ერთის მხრივ, ბინათა და მოსახლეობათა სანიტარული პირობები, ხოლო, მეორეს მხრით, ქალაქების ტოპოგრაფიული და კლიმატიური პირობები,

# თ ა ვ ი III.

## ბინები და მობინადრენი სართულების მიხედვით.

პირველ თავში გავარკვიეთ ბინათა და მობინადრეთა პირობები საერთოდ.

ახლა იბადება სულ ახალი საკითხი:

როგორ არიან განჯგუფებული აღნიშნული ბინები და მათი მობინადრენი სართულებში.

ეს საკითხი მეტად საჭირო და საყურადღებოა, ვინაიდან ბინათა რაოდენობა სართულების მიხედვით საშუალებას მოგვცემს წარმოდგენა ვიქონიოთ, ერთის მხრით—საქართველოს ქალაქთა შენობების სიფართოვეზე, როგორც სიგანით, ისე სიმაღლით, ხოლო მეორეს მხრით,—ცალკე სართულებში მოთავსებულ ბინათა და იქაურ მობინადრეთა პირობებზე. სხვანაირად, ამ თავში გავეცნობით საქართველოს ქალაქების არა მარტო ბინების, არამედ თვით შენობების ტეხნიკურ-მშენებლობით მხარესაც.

ამას გარდა ამ თავშივე გავეცნობით შემდეგ საკითხსაც.

საზოგადოდ, ბინის კრიზისს, განსაკუთრებით საქართველოს მსხვილ ქალაქებში, ყოველთვის ჰქონდა ადგილი. ეს კრიზისი ახლაც არაა შენელებული ამავე ქალაქებში, პირიქით, უფრო გამწვავებულია, რაიც წინ მდებარე წიგნის პირველ თავიდან ნათლად დავინახეთ.

რასაკვირველია, ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა და აქვს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური, ისე მრავალი სხვა, მაგრამ ამ მიზეზების გამონახვას აქ არ შეუდგებით, ვინაიდან ეს ჩვენი ძირითადი ამოცანა არ არის. ჩვენ შევეცდებით მხოლოდ ერთი საკითხის გაშუქებას, სახელდობრ: მობინადრეთა სიმჭიდროვის გამორკვევას სართულების მიხედვით.

აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მობინადრეთა სიმჭიდროვე სხვა და სხვა სართულში სხვადასხვანაირია.

იბადება საკითხი: თუ მობინადრეთა სიმჭიდროვე სხვა და სხვა სართულში სხვადასხვანაირია, მაშინ ბინის კრიზისს უფრო რომელ სართულში აქვს ადგილი.

ამ საკითხის გასაშუქებლად ჯერ-ჯერობით მოვიყვანთ ცნობებს ბინათა და მობინადრეთა რაოდენობის შესახებ, სართულების მიხედვით, აბსოლიუტურ რიცხვებში*), შემდეგ გადავალთ შედეგების გაშუქებაზე.

---

*) აქ არ შედიან ისეთი ბინები, რომელთა მდგომარეობა სართულის მიხედვით გამორკვეული არაა.

ტაბულა 41

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ს ა რ თ უ ლ ე ბ ი | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნახევარ სარ. | | I სართული | | II სართული | | მე-III სართული და ზევით | | მეზონინი | | ს უ ლ | |
| | | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბ-ნების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინებ-ს რიცხვი | მობინადრ. რიცხვი |
| | I. აღმოსავლეთი საქ.: | | | | | | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | — | — | 533 | 2.541 | 6 | 28 | — | — | — | — | 539 | 2.569 |
| 2 | ახალციხე . | 54 | 227 | 1.853 | 8.447 | 234 | 1.005 | — | — | — | — | 2.141 | 9.679 |
| 3 | ბორჯომი . | 15 | 67 | 562 | 2.358 | 257 | 1.123 | 24 | 97 | — | — | 858 | 3.645 |
| 4 | გორი | 81 | 339 | 1.973 | 8.003 | 136 | 564 | — | — | — | — | 2.190 | 8.906 |
| 5 | დუშეთი . | — | — | 316 | 1.074 | 105 | 313 | — | — | — | — | 421 | 1.387 |
| 6 | ველისციხე | — | — | 894 | 3.794 | 202 | 899 | — | — | — | — | 1.096 | 4.693 |
| 7 | თელავი | 41 | 134 | 1.804 | 6.813 | 466 | 1.927 | — | — | — | — | 2.311 | 8.874 |
| 8 | თიანეთი | — | — | 262 | 1.223 | 32 | 159 | — | — | — | — | 294 | 1.382 |
| 9 | ლაგოდეხი . | — | — | 295 | 1.401 | 25 | 123 | — | — | — | — | 320 | 1.524 |
| 10 | ლიუქსემბურგი . | 39 | 140 | 872 | 3.765 | 127 | 526 | — | — | — | — | 1.038 | 4.431 |
| 11 | სიღნაღი | — | — | 696 | 2.807 | 335 | 1.321 | 4 | 17 | — | — | 1.035 | 4.145 |
| 12 | სურამი | 10 | 44 | 651 | 3.183 | 157 | 819 | | — | — | — | 818 | 4.046 |
| 13 | შულავერი | — | — | 819 | 3.625 | 330 | 1.471 | — | — | — | — | 1.149 | 5.096 |
| 14 | ხაშური . . . . | 31 | 127 | 1.168 | 5.432 | 260 | 1.179 | — | — | — | — | 1.458 | 6.738 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით . . | 271 | 1.078 | 12.698 | 54.466 | 2.672 | 11.457 | 28 | 114 | — | — | 15.669 | 67.115 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი. | ს ა რ თ უ ლ ე ბ ი: სარდაფი და ნახევარ სარ.: ბინების რიცხვი | სარდაფი და ნახევარ სარ.: მობინადრ. რიცხვი | I სართული: ბინების რიცხვი | I სართული: მობინადრ. რიცხვი | II სართული: ბინების რიცხვი | II სართული: მობინადრ. რიცხვი | მე-III სართული და ზევით: ბინების რიცხვი | მე-III სართული და ზევით: მობინადრ. რიცხვი | მეზონინი: ბინების რიცხვი | მეზონინი: მობინადრ. რიცხვი | ს უ ლ: ბინების რიცხვი | ს უ ლ: მობინადრ. რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ტფილისი | 2 972 | 13.220 | 25.498 | 121.700 | 13.076 | 72.724 | 2.805 | 17 421 | 146 | 530 | 44.497 | 225.595 |
| | სულ აღმ.-სავლეთ საქართველოში . . | 3.213 | 14.298 | 38 196 | 176 166 | 15.748 | 84.181 | 2 833 | 17.535 | 146 | 530 | 60.166 | 292.710 |
| | II. დასავლეთი საქ.: | | | | | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | — | 152 | 603 | — | — | — | — | — | — | 152 | 603 |
| 17 | ზესტაფონი | — | — | 744 | 3.570 | 200 | 1.058 | — | — | — | — | 944 | 4.628 |
| 18 | ზუგდიდი . . | — | — | 780 | 3 977 | 73 | 377 | — | — | — | — | 853 | 4 354 |
| 19 | ლანჩხუთი | — | | 1.239 | 6.322 | 46 | 285 | — | — | — | — | 1.285 | 6.607 |
| 20 | ოზურგეთი . | — | — | 779 | 4.200 | 78 | 453 | — | — | — | — | 857 | 4.653 |
| 21 | ო ნ ი | 15 | 67 | 347 | 1.824 | 143 | 702 | — | — | — | — | 505 | 2.593 |
| 22 | სენაკი . | — | — | 1.075 | 5.025 | 163 | 698 | — | — | — | — | 1.238 | 5.723 |
| 23 | სამტრედია | — | — | 627 | 3 760 | 55 | 418 | — | — | — | — | 682 | 4.178 |
| 24 | ტყვიბული | — | — | 358 | 1.513 | 45 | 235 | — | — | — | — | 403 | 1.748 |
| 25 | ფოთი . . | 1 | 3 | 2.181 | 10.548 | 84 | 414 | 5 | 38 | 2 | 7 | 2 273 | 11 010 |
| 26 | ყულევი . | — | — | 133 | 596 | — | — | — | — | — | | 133 | 596 |
| 27 | ცაგერი . . | — | — | 274 | 1.302 | 51 | 263 | — | — | — | — | 325 | 1.565 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი. | ს ა რ თ უ ლ ე ბ ი | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნახევარ სარ. | | I სართული | | II სართული | | მე-III სართული და ზევით | | მეზონინი | | ს უ ლ | |
| | | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი | ბინების რიცხვი | მობინადრ. რიცხვი |
| 28 | კიათურა | — | | 361 | 1.569 | 334 | 1.644 | — | — | — | — | 695 | 3.213 |
| 29 | ხონი | 2 | 12 | 1.953 | 8.824 | 36 | 152 | — | — | — | — | 1.991 | 8.988 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქუთაისის გამოკლებით | 18 | 82 | 11.003 | 53.633 | 1.308 | 6.699 | 5 | 38 | 2 | 7 | 12.336 | 60.459 |
| 30 | ქუთაისი | 107 | 540 | 7 117 | 34.105 | 1.473 | 8.623 | 20 | 95 | 6 | 22 | 8.723 | 43 385 |
| | სულ დ.ს გლ. საქართ. | 125 | 622 | 18.120 | 87.738 | 2.781 | 15.322 | 25 | 133 | 8 | 29 | 21.059 | 103.844 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | | | | | |
| 31 | ბათომი | 268 | 1.588 | 6.073 | 37.930 | 1.366 | 11.174 | 67 | 612 | 51 | 257 | 7.825 | 51.561 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | — | — | 474 | 2.047 | 117 | 563 | — | — | — | — | 591 | 2.610 |
| 33 | ოჩამჩირე | — | — | 587 | 2.411 | 26 | 117 | — | — | — | | 613 | 2.528 |
| 34 | გალი | — | — | 81 | 230 | — | | — | — | — | — | 81 | 230 |
| 35 | სოხუმი | 44 | 128 | 2.828 | 11.240 | 1.186 | 4.650 | 96 | 385 | 2 | 2 | 4 156 | 16 405 |
| | სულ აფხაზეთში | 44 | 128 | 3.970 | 15.928 | 1 329 | 5.330 | 96 | 385 | 2 | 2 | 5 441 | 21 773 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 19 | 103 | 480 | 2.425 | 298 | 1.711 | 3 | 30 | — | — | 800 | 4.269 |
| | საერთ. საქართველოში | 3.699 | 16.739 | 66.839 | 320.187 | 21.522 | 117.718 | 3 024 | 18 695 | 207 | 818 | 95.291 | 474.157 |

საქართველოს ქალაქთა 95.291 ბინიდან 3.699 ბინა სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 66.839 ბინა პირველ სართულში, 21.522—მეორე სართულში, 3.024—მესამე სართულში და ზევით და, ბოლოს, 207—მეზონინებში; ხოლო 474.157 მობინადრედან სარდაფში და ნახევარ სარდაფში სცხოვრობს 16.739 მობინადრე, პირველ სართულში—320.187, მეორე სართულში—117.718, მესამეში და ზევით—18.695 და, ბოლოს, მეზონინში—818 მობინადრე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს 15 ქალაქიდან მხოლოდ სამ ქალაქში გვხვდება სამ და მეტ სართულიანი შენობები, სახელდობრ: ბორჯომში, სიღნაღში და ტფილისში, დანარჩენ ქალაქებში ორ სართულიან შენობაზე მაღალი არა გვხვდება; დასავლეთ საქართველოს 15 ქალაქიდან, მხოლოდ ორ ქალაქშია სამ და მეტ სართულიანი შენობები, სახელდობრ: ფოთში და ქუთაისში.

სამ და მეტ სართულიანი შენობა გვხვდება აგრეთვე აჭარაში, აფხაზეთის ქალაქებიდან-სოხუმში და სამხრეთ ოსეთში. ამნაირად, საერთოდ საქართველოში, 36 ქალაქიდან მხოლოდ 8 ქალაქშია სამ და მეტ სართულიანი შენობა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნულ 8 ქალაქშიაც, ტფილისის გარდა სამ და მეტ სართულიან შენობებში მოთავსებული ბინები იმდენად მცირე რიცხვს იძლევიან, რომ თამამად შეგვიძლია, ეს ქალაქებიც იმ ქალაქებს მივაკუთვნოთ, სადაც ერთ და ორ-სართულიან შენობებზე მაღალი შენობები არ მოიპოვება

მაგალითად, საერთოდ მთელს საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, მესამე და უფრო ზევითა სართულში 3.024 ბინაა მოთავსებული. აქედან მარტო ტფილისზე მოდის 2.805 ბინა, ხოლო დანარჩენ 7 ქალაქს, სახელდობრ: ბორჯომს, სიღნაღს, ფოთს, ქუთაის, ბათომს, სოხუმს და ცხინვალს მხოლოდ 219 ბინა ხვდება.

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს ქალაქთა ბინების განჯგუფებაზე სართულების მიხედვით და შენობათა სიმართოვეზე, საჭიროა მივმართოდ ქვემომოყვანილ ტაბულას:

**100 ბინაზე მოდის ბინები სართულების მიხედვით:**

ტაბულა 42

| №№ რიგზე | ქალაქები | სართულები: სარდ.-ფ. და ნახევ. სარდაფი | 1 სართ. | 2 სართ. | 3 სართ. და ზევით | მეზონინი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| | ახალქალაქი . | — | 98,9 | 1,1 | — | — | 100 |
| 2 | ახალციხე . | 2,5 | 86.6 | 10,9 | — | — | 100 |
| 3 | ბორჯომი . | 1,7 | 65,5 | 30,0 | 2,8 | — | 100 |
| 4 | გორი. | 3,7 | 90,1 | 6,2 | — | — | 100 |
| 5 | დუშეთი. | — | 75,1 | 24,9 | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | — | 81,6 | 18,4 | — | — | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | სართულები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნახევ. სართული | I სართ. | II სართ. | III სართ. და ზევით | მეზონინი | სულ |
| 7 | თელავი . | 1,8 | 78,1 | 20,1 | — | — | 100 |
| 8 | თიანეთი | — | 89,1 | 10,9 | — | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი . | — | 92,2 | 7,8 | — | — | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი . | 3,8 | 84,0 | 12,2 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი . | — | 67,2 | 32,4 | 0,4 | — | 100 |
| 12 | სურამი . | 1,2 | 79,6 | 19,2 | — | — | 100 |
| 13 | შულავერი . | — | 71,3 | 28,7 | — | | 100 |
| 14 | ხაშური . | 2,1 | 80,0 | 17,9 | — | | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლებით | 1,7 | 81,0 | 17,1 | 0,2 | — | 100 |
| 15 | ტფილისი . | 6,7 | 57,2 | 29,4 | 6,3 | 0,4 | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოში | 5,4 | 63,5 | 26,2 | 4,7 | 0,2 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 16 | ანაკლია . | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 17 | ზესტაფონი | — | 78,8 | 21,2 | — | — | 100 |
| 18 | ზუგდიდი . | — | 91,4 | 8,6 | — | — | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | — | 96,4 | 3,6 | — | — | 100 |
| 20 | ოზურგეთი | — | 90,9 | 9,1 | — | — | 100 |
| 21 | ონი | 3,0 | 68,7 | 28,3 | — | — | 100 |
| 22 | სენაკი | — | 86,8 | 13,2 | — | — | 100 |
| 23 | სამტრედია | — | 91,9 | 8,1 | — | — | 100 |
| 24 | ტყვიბული . | — | 88,8 | 11,2 | | — | 100 |
| 25 | ფოთი . | 0,1 | 95,5 | 3,7 | 0,2 | 0,1 | 100 |
| 26 | ყულევი . | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 27 | ცაგერი . | — | 84,3 | 15,7 | | — | 100 |
| 28 | ჭიათურა | — | 51,9 | 48,1 | — | — | 100 |
| 29 | ხონი | 0,1 | 98,1 | 1,8 | — | — | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით . . . | 0,14 | 89,2 | 10,6 | 0,04 | 0,02 | 100 |
| 30 | ქუთაისი | 1,2 | 81,6 | 16,9 | 0,2 | 0,1 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 0,6 | 86,0 | 13,2 | 0,1 | 0,1 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 3,4 | 77,6 | 17,5 | 0,9 | 0,6 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | სართულები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნახევ. სარდ. | I სართ. | II სართ. | III სართ. და ზევით | მეზონინი | ჯამი |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | — | 80,2 | 19,8 | — | — | 100 |
| | ოჩამჩირე . | — | 95,8 | 4,2 | — | — | 100 |
| 34 | გალი . | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 35 | სოხუმი . . . . . . . . . . . . | 1,1 | 68,0 | 28,5 | 2,3 | 0,1 | 100 |
| | სულ აფხაზეთში . . . . | 0,8 | 73,0 | 24,4 | 1,7 | 0,1 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . . . . . . . . | 2,4 | 60,0 | 37,2 | 0,4 | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. | 3,9 | 70,1 | 22.6 | 3,2 | 0,2 | 100 |

საქართველოს ქალაქებში უმთავრესად ბინები პირველ და მეორე სართულშია მოთავსებული. ბინათა უმნიშვნელო რაოდენობა მოთავსებულია სარდაფში, ნახევარ სარდაფში, მესამე და უფრო ზევითა სართულში და მეზონინებში.

მაგალითად, მთელ საქართველოს ქალაქებში სარდაფსა და ნახევარ სარდაფში მოთავსებულია ბინათა საერთო რიცხვის 3,9 პროც., პირველ სართულში — 70,1 პროც., მეორეში—22,6 პროც., მესამეში—3,2 პროც. და, ბოლოს, მეზონინში—0,2 პროც.

ვნახოთ, ამ მხრივ, რა პირობებშია საქართველოს სხვა და სხვა ნაწილი.

იმ ბინათა დიდ უმრავლესობას, რომელიც მოთავსებულია პირველ სართულში, დასავლეთ საქართველოს ქალაქები (უქუთაისოთ) იძლევიან: აქ ამავე ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 89,2 პროც. პირველ სართულშია მოთავსებული; შემდეგ — ქუთაისი (81,6 პროც.), აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები უტფილისოთ (81,0 პროც.), აჭარა (77,6 პროც.), აფხაზეთის ქალაქები (73,0 პროც.) სამხრეთ-ოსეთი (60,0 პროც.) და, ბოლოს, ტფილისი (57,2 პროც.).

მეორე სართულში მოთავსებულ ბინათა დიდ უმრავლესობას-კი გვაძლევს სამხრეთ-ოსეთი: აქ ამავე ქალაქის ბინათა საერთო რიცხვის 37,2 პროც. მოთავსებულია მეორე სართულში, შემდეგ — ტფილისი (29.4 პროც.), საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები ტფილისით (26,2 პროც.), აფხაზეთის ქალაქები (24,4 პროც.), აჭარა (17,5 პროც.), აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები უტფილისოთ (17,1 პროც.), ქუთაისი (16,9 პროც.) და, ბოლოს, დასავლეთ საქართველოს ქალაქები როგორც უქუთაისოთ, ისე ქუთაისით.

მესამე და უფრო ზევითა სართულში მოთავსებულ ბინათა საგრძნობ რიცხვს იძლევა უმთავრესად ტფილისი: აქ ამავე ქალაქის ბინათა საერთო რიცხვის 6,3 პროც.-ია მოთავსებული მესამე და ზევითა სართულში; შემდეგ — აფხაზეთის ქალაქებიდან სოხუმში (2,3 პროც.). დანარჩენ ქალაქებში, სადაც კი სამ და მეტ-სართულიანი შენობები მოიპოვება, მესამე სართულში მოთავსებულ ბინათა რიცხვი უმნიშვნელოა

სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულ ბინათა დიდ უმრავლესობას ისევ ტფილისის ბინები გვაძლევენ: აქ ამავე ქალაქის ბინათა საერთო რიცხვის 6,7 პროც. მოთავსებულია სარდაფში და ნახევარ სარდაფში, შემდეგ— აჭარის ქალაქთა ბინები (3,4 პროც.), სამხრეთ-ოსეთის (2,4 პროც.), აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების უტფილისოთ (1,7 პროც.), ქუთაისის (1,2 პროც.) და სხვ.

ვინაიდან საქართველოს ყველა ქალაქში მეზონინში მოთავსებულ ბინათა რიცხვი უმნიშვნელოა, ამიტომ ამ ბინების პირობებს არ შევეხებით.

ასეთია მდგომარეობა ბინებისა საერთოდ საქართველოს ქალაქებში სართულების მიხედვით. ახლა გამოვარკვიოთ ამ ბინების მობინადრეთა პირობები.

### 100 მობინადრედან სცხოვრობს:

ტაბულა 43

| №№ რიგზე | ქალაქები | სარდაფებში და ნახევარ სარდაფებში | I სართულებში | მე-II სართულებში | მე-III და ზევით | მეზონინში | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლ. საქართველო:** | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | 98,9 | 1,1 | — | — | 100 |
| 2 | ახალციხე | 2,3 | 87,3 | 10,4 | — | — | 100 |
| 3 | ბორჯომი | 1,8 | 64,7 | 30,8 | 2,7 | — | 100 |
| 4 | გორი | 3,8 | 89,9 | 6,3 | — | — | 100 |
| 5 | დუშეთი | — | 77,4 | 22,6 | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | — | 80,8 | 19,2 | — | — | 100 |
| 7 | თელავი | 1,5 | 76,8 | 21,7 | — | — | 100 |
| 8 | თიანეთი | — | 88,5 | 11,5 | — | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | — | 91,9 | 8,1 | — | — | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 3,1 | 85,0 | 11,9 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | — | 67,7 | 31,9 | 0,4 | — | 100 |
| 12 | სურამი | 1,1 | 78,7 | 20,2 | — | — | 100 |
| 13 | შულავერი | — | 71,7 | 28,9 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური | 1,9 | 80,6 | 17,5 | — | — | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ტფილისის გამოკლებით | 1,6 | 81,1 | 17,1 | 0,2 | — | 100 |
| 15 | ტფილისი | 5,9 | 53,9 | 32,2 | 7,7 | 0,3 | 100 |
| | სულ აღმოს. საქარ. ქალ. | 4,9 | 60,2 | 28,8 | 5,9 | 0,2 | 100 |
| | **II. დასავლ. საქართველო:** | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 17 | ზესტაფონი | — | 77,1 | 22,9 | — | — | 100 |
| 18 | ზუგდიდი | — | 91,3 | 8,7 | — | — | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | — | 95,7 | 4,3 | — | — | 100 |
| 20 | ოზურგეთი | — | 90,3 | 9,7 | — | — | 100 |
| 21 | ონი | 2,6 | 70,3 | 27,1 | — | — | 100 |
| 22 | სამტრედია | — | 87,8 | 12,2 | — | — | 100 |
| 23 | სენაკი | | 90,0 | 10,0 | — | — | 100 |
| 24 | ტყვიბული | — | 86,6 | 13,4 | — | — | 100 |
| 25 | ფოთი | 0,1 | 95,8 | 3,7 | 0,3 | 0,1 | 100 |
| 26 | ყულევი | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 27 | ცაგერი | — | 83,2 | 16,8 | — | — | 100 |
| 28 | ჭიათურა | — | 48,8 | 51,2 | — | — | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | სარდაფში და ნ.ხევარ სარდაფში | I სართულში | მე II სართულში | მე-III-ზე და ზევით | მეზონინში | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 | ხონი | 0,1 | 98,2 | 1,7 | — | — | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით. | 0,13 | 88,7 | 11,1 | 0,06 | 0,01 | 100 |
| 30 | ქუთაისი | 1,2 | 78,6 | 19,9 | 0,2 | 0,1 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში. | 0,6 | 84,5 | 14,7 | 0,1 | 0 1 | 100 |
| | III. აჭარა: | | | | | | |
| 31 | ბათომი | 3,1 | 73,5 | 21,7 | 1,2 | 0,5 | 100 |
| | IV. აფხაზეთი: | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | — | 78,4 | 21,6 | — | — | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | — | 95,4 | 4,6 | — | — | 100 |
| 34 | გალი | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 35 | სოხუმი | 0,8 | 68,5 | 28,3 | 2,3 | 0,1 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 0,6 | 73,1 | 24,5 | 1,7 | 0,1 | 100 |
| | V. სამხრეთ ოსეთი: | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 2,4 | 56,8 | 40,1 | 0,7 | — | 100 |
| | საერთო საქართველოში | 3,6 | 67,5 | 24,8 | 3,9 | 0,2 | 100 |

ამნაირად, მობინადრეთა დიდი უმრავლესობა პირველ და მეორე სართულში სცხოვრობს. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც ზემოთ დავინახეთ, ბინათა დიდი უმრავლესობა ამ სართულებშია მოთავსებული.

მაგალითად, მთელ საქართველოში მობინადრეთა საერთო რიცხვის 3,6 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფში სცხოვრობს, 67,5 პროც.—პირველ სართულში, 24,8 პროც.—მეორე სართულში, 3,9 პროც.—მესამე სართულში და ზევით და 0,2 პროც.—მეზონინში.

რაც შეეხება საქართველოს სხვა და სხვა ნაწილს, აქ სურათი ასეთია:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის 1,6 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფში სცხოვრობს, 81,1 პროც.—პირველ სართულში, 17,1 პროც.—მეორე სართულში, ხოლო 0,2 პროც.—მესამე სართულში და ზევით.

ტფილისის მობინადრეთა პირობები, ამ მხრივ, სულ სხვანაირია. ამავე ქალაქის მობინადრეთა საერთო რიცხვის 5,9 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფში სცხოვრობს, 53,9 პროც.—პირველ სართულში, 32,2 პროც.—მეორე სართულში, 7,7 პროც.—მესამე სართულში და ზევით, ხოლო 0,3 პროც.—მეზონინში.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც (უქუთაისოთ) მობინადრეთა საერთო რიცხვის 0,13 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფში სცხოვრობს, 88,7 პროც.—პირველ სართულში, 11,1 პროც.—მეორე სართულში, 0,06 პროც.—მესამე სართულში და ზევით, ხოლო 0,01 პროც.—მეზონინში.

ქუთაისის მობინადრეთა პირობები, ამ მხრივ, ასეთია: აქ მობინადრეთა საერთო რიცხვის 1,2 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 78,6 პროც.—პირველ სართულში, 19,9 პროც.—მეორე სართულში, 0,2 პროც.—მესამეში და ზევით, ხოლო 0,1 პროც.—მეზონინში.

აჭარაში მობინადრეთა საერთო რიცხვის 3,1 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 73,5 პროც.—პირველ სართულში, 21,7 პროც.—მეორე სართულში, 1,2 პროც.—მესამეში და ზევით, ხოლო 0,5 პროც.—მეზონინში.

აფახზეთშიაც მობინადრეთა საერთო რიცხვის 0,6 პროც სარდაფში და ნახევარ სარდაფში სცხოვრობს, 73,1 პროც.—პირველ სართულში, 24,5 პროც—მეორე სართულში, 1,7 პროც.—მესამეში და ზევით, ხოლო 0,1 პროც.—მეზონინში.

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთის მობინადრეთა საერთო რიცხვის 2,4 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფში სცხოვრობს, 56,8 პროც.—პირველ სართულში 40,1 პროც.—მეორე სართულში, ხოლო 0,7 პროც.—მესამეში და ზევით.

ზემოხსენებულმა ტაბულებმა მოგვცეს მხოლოდ საერთო სურათი ბინათა და მობინადრეთა განჯგუფებისა საქართველოს ქალაქებში სართულების მიხედვით.

ამ ტაბულათა საშუალებით არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ და სათანადო დასკვნა გამოვიყვანოთ იმის შესახებ, თუ საქართველოს რომელ ნაწილშია ბინათა და მობინადრეთა პირობები უკეთესი სართულებთან დაკავშირებით, ვინაიდან აქ დიდი მნიშვნელობა აქვს შენობათა ტეხნიკურ-მშენებლობით მხარეს და ამის მიხედვით მობინადრეთა პირობებსაც.

რასაკვირველია, ამ საკითხის შესწავლის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ამა თუ იმ ქალაქის ტოპოგრაფიულ-კლიმატიური პირობებიც, ვინაიდან ზოგიერთი ქალაქის მობინადრეთათვის მაღალ შენობებში მოთავსებული ბინები, კლიმატიურ პირობებთან დაკავშირებით, მავნებელია და, პირიქით.

ჯერ-ჯერობით შევუდგეთ ბინათა ტეხნიკურ-მშენებლობითი მხარის შესწავლას სართულების მიხედვით.

## ერთ ბინაზე მოდის ოთახების რიცხვი სართულების მიხედვით:

ტაბულა 44

| № რიგზე | ქალაქები | სართულები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფში და ნახევ. სარდაფში | I-ში | II-ში | მე-III და ზევით | მეზონინში |
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | |
| | ახალქალაქი | — | 1,9 | 7,5 | — | — |
| | ახალციხე | 1,9 | 2,0 | 2.3 | — | — |
| | ბორჯომი | 2,1 | 2 2 | 2,5 | 1,9 | — |
| 4 | გორი | 1,1 | 1,5 | 1,6 | — | — |
| 5 | დუშეთი . | — | 1.4 | 1,5 | — | — |
| 6 | ველისციხე . | — | 1,2 | 1,7 | — | — |
| 7 | თელავი | 1,1 | 1,5 | 1,9 | — | |
| 8 | თიანეთი . | — | 1,7 | 2,3 | — | — |
| 9 | ლაგოდეხი | — | 1,9 | 2,2 | — | — |
| 10 | ლიუქსენბურგი | 1,0 | 1,3 | 1,4 | — | — |
| 11 | სიღნაღი . | — | 1,3 | 1,6 | 2,7 | — |
| 12 | სურამი. . | 1,4 | 2,0 | 2.4 | — | — |
| 13 | შულავერი | — | 1,2 | 1,4 | — | — |
| 14 | ხაშური . . . . . . . . | 1,4 | 1,6 | 1. | — | — |
| | სუ აღმოსავლ საქართველ. ქალაქებში ტფილისის გამოკლებით. | 1,3 | 1,6 | 1.9 | 2,0 | — |
| 15 | ტფილისი . . . . . . | 1.7 | 1,9 | 2,6 | 3,1 | 1,7 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველ. ქალაქებში . | 1,7 | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1,7 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | |
| 16 | ანაკლია . | — | 2,4 | — | — | — |
| 17 | ზესტაფონი . | — | 2,0 | 2,4 | — | |
| 18 | ზუგდიდი. . | — | 2,6 | 3,2 | — | |
| 19 | ლანჩხუთი | — | 2,3 | 3.4 | — | — |
| 20 | ოზურგეთი . | — | 2,2 | 2,8 | — | — |
| 21 | ონი | 1,2 | 1,8 | 1,8 | — | — |
| 22 | სამტრედია . | — | 2,2 | 2,1 | — | — |
| 23 | სენაკი . | — | 2,6 | 3,8 | — | — |
| 24 | ტყიბული . | — | 1,7 | 2,7 | — | — |
| 25 | ფოთი . | 1,0 | 2,5 | 3,2 | 3,8 | 4,0 |
| 26 | ყულევი | — | 3,0 | — | — | — |
| 27 | ცაგერი . | — | 1,7 | 2,1 | — | — |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ს ა რ თ უ ლ ე ბ ი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფში და ნახევარ სარდაფში | I-ში | II-ში | მე-III და ზევით | მეზონინში |
| 28 | ქიათურა . | — | 1,8 | 2,3 | — | — |
| 29 | ხონი . | 1,5 | 2.3 | 3,7 | — | — |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით . | 1.2 | 2,3 | 2.5 | 3,8 | 4,0 |
| 30 | ქუთაისი . . . . . . . . . . | 1,8 | 2.1 | 2.9 | 3,1 | 1,7 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | | 2,2 | | 3,3 | |
| | **III. ა ჭ ა რ ა:** | | | | | |
| 31 | ბათომი | 1,8 | 1,9 | 2,9 | 3,6 | 2,0 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | |
| 32 | გუდაუთი | — | 2,2 | 2,7 | — | — |
| 33 | ოჩამჩირე . | — | 2,6 | 3,2 | — | — |
| 34 | გალი . | — | 3,1 | — | — | — |
| 35 | სოხუმი . . . . . . . . . . | 1,3 | 1,6 | 1,7 | 2.6 | 1,0 |
| | სულ აფხაზეთში . . | 1.3 | 1.8 | 1,9 | 2,6 | 1,0 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | |
| 36 | ცხინვალი . | 1.6 | 1.6 | 1,9 | 3,0 | — |
| | საერთოდ საქართველოში . | 1,7 | 1,9 | 2.5 | 3,0 | 1,8 |

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ, საერთოდ, საქართველოს ქალაქებში თითო ბინაზე 2,1 ოთახი მოდის (იხილე თავი I, ტაბულა 1-გვერდი 9) და ტეხნიკური თვალსაზრისით ასეთს ბინებს საქართველოს ქალაქებისათვის საშუალო ბინებად ჩავთვლით, მაშინ ჩვენს წინაშე ასეთი სურათი გადაიშლება.

საშუალოდან ნამეტან გადახრას გადიდებისაკენ საერთოდ საქართველოს ქალაქების შენობათა მესამე და მეორე სართულში აქვს ადგილი, მესამე სართულში თითო ბინაზე 3,0 ოთახი მოდის, ხოლო მეორე სართულში — 2,5. საშუალოდან გადახრას შემცირებისაკენ ვამჩნევთ სარდაფში, ნახევარ სარდაფში, მეზონინში და პირველ სართულში; მაგალითად, სარდაფში და ნახევარ სარდაფში თითო ბინაზე 1,7 ოთახი მოდის, მეზონინში—1,8, ხოლო პირველ სართულში — 1,9 ოთახი. ამნაირად, ბინები დაქუცმაცებულია უმთავრესად სარდაფში და ნახევარ სარდაფში, შემდეგ—მეზონინში და, ბოლოს, პირველ სართულში. სხვანაირად: აქ განსაკუთრებით ერთ და ორ ოთახიანი ბინებია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს სართულები ტეხნიკურად მოუწყობელია. შედარებით ფართო ბინები, როგორც ტაბულიდან დავინახეთ, მხოლოდ მესამე და მეორე სართულში გვხვდება.

ასეთივეა ბინათა ტეხნიკური პირობები სართულების მიხედვით არა მარტო საქართველოს შემადგენელ ნაწილებში, არამედ ყველა ჩამოთვლილ ქალაქშიაც.

მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) შენობათა მესამე სართული ტეხნიკურად, ამავე ქალაქების დანარჩენ სართულებთან შედარებით, ყველაზე უკეთესადაა მოწყობილი, აქ თითო ბინაზე 2,0 ოთახი მოდის, შემდეგ—მეორე სართული (1,9 ოთ.), პირველი სართული (1,6) და, ბოლოს, სარდაფი და ნახევარ სარდაფი (1,3).

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) შენობათა ყველა სართული ტეხნიკურ მოთხოვნილებათა მინიმუმსაც კი ვერ აკმაყოფილებენ.

აქ ყველა სართულში, უმთავრესად, ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, განსაკუთრებით სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულში.

საერთოდ, საქართველოს ქალაქთა საშუალო ბინიდან (მათში ოთახების რაოდენობის მიხედვით) ნამეტან გადახრას გადიდებისაკენ ტფილისის შენობათა მეორე და მესამე სართულის ბინებში ვამჩნევთ: აქ თითო ბინაზე მეორე სართულში 2,6 ოთახი მოდის, ხოლო მესამე და ზევით სართულში—3,1 ოთახი. ტფილისის შენობათა დანარჩენ სართულებში ბინები მეტის მეტად დაქუცმაცებულია, განსაკუთრებით სარდაფში, ნახევარ სარდაფში და მეზონინში, სადაც თითო ბინაზე 1,7 ოთახი მოდის. დაქუცმაცებულია ბინები პირველ სართულშიაც: აქ თითო ბინაზე 1,9 ოთახი მოდის. სხვანაირად: ტფილისში ერთ და ორ-ოთახიანი ბინები უმთავრესად სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულში გვხდება, ხოლო მსხვილი ბინები—მეორე და მესამე სართულში.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ნამეტან გადახრას საშუალო ბინიდან გადიდებისაკენ პირველ, მეორე, მესამე სართულებში და მეზონინებში ვამჩნევთ, ხოლო საშუალოდან შემცირებისაკენ—სარდაფში და ნახევარ სარდაფში. მაგალითად, აქ პირველ სართულში თითო ბინაზე 2,3 ოთახი მოდის, მეორე სართულში—2,5, მესამე და ზევითა სართულში—3,8, მეზონინში—4,0, ხოლო სარდაფში და ნახევარ სარდაფში—1,2 ოთახი.

საშუალოდან გადახრას გადიდებისაკენ ქუთაისის შენობათა მეორე და მესამე სართულშიაც ვამჩნევთ: აქ მეორე სართულში თითო ბინაზე 2,9 ოთახი მოდის, ხოლო მესამე სართულში—3,1. აქვე საშუალო რიცხვი ოთახებისა ერთ ბინაზე პირველ სართულისათვის უცვლელია. ტეხნიკურად მოუწყობელ ბინებს ქუთაისის შენობათა მეზონინებში და სარდაფებში ჰქონია ადგილი, აქ მეზონინში თითო ბინაზე 1,7 ოთახი მოდის, ხოლო სარდაფში და ნახევარ სარდაფში—1,8 ოთახი.

აჭარაში საშუალო ბინიდან გადახრას გადიდებისაკენ შენობათა მეორე და მესამე სართულებში ვამჩნევთ: მეორე სართულში თითო ბინაზე 2,9 ოთახი მოდის, ხოლო მესამე და უფრო ზევითა სართულში—3,6 ოთახი. ამავე ქალაქის შენობათა დანარჩენ სართულებში ბინები ტეხნიკურად მოუწყობელი ყოფილა, სხვანაირად: აქ უმთავრესად ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია გავრცელებული.

აფხაზეთის ქალაქებში და სამხრეთ-ოსეთში საშუალო ბინიდან გადახრას გადიდებისაკენ მხოლოდ შენობათა მესამე სართულში ჰქონია ადგილი: აფხაზეთის ქალაქების მესამე სართულში თითო ბინაზე 2,6 ოთახი მოდის, ხოლო სამხრეთ-ოსეთის შენობათა ამავე სართულში თითო ბინაზე—3,0 ოთახი. აღნიშნული ქალაქების შენობათა დანარჩენ სართულებში ბინები ტეხნიკური თვალსაზრისით ვერაა დამაკმაყოფილებელი.

ასეთია საქართველოს ქალაქებში ბინათა ტეხნიკური პირობები სართულების მიხედვით.

ახლა გამოვარკვიოთ მობინადრეთა მდგომარეობა ამავ ქალაქებში და სართულებში, რისთვისაც მოვიყვანოთ შემდეგი ცნობები.

**ერთ ოთახზე მოდის მობინადრე:**

ტაბულა №45

| №№ რიგზე | ქალაქები | სართულები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფში და ნახევ. სარდაფში | I-ში | II-ში | მე-III და ზევით | მეზონინში |
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | 2,5 | 0,6 | — | — |
| 2 | ახალციხე | 2,2 | 2,2 | 1,9 | — | — |
| 3 | ბორჯომი | 2,2 | 1,9 | 1,6 | 2,1 | — |
| 4 | გორი | 3,8 | 2,8 | 2,6 | — | — |
| 5 | დუშეთი | — | 2,4 | 2,0 | — | — |
| 6 | ველისციხე | — | 3,6 | 2,5 | — | — |
| 7 | თელავი | — | 2,8 | 2,6 | 2,2 | — |
| 8 | თიანეთი | — | 2,7 | 2,0 | — | — |
| 9 | ლაგოდეხი | — | 2,4 | 2,3 | — | — |
| 10 | ლიუქსენბურგი | 3,8 | 3,3 | 4,5 | — | — |
| 11 | სიღნაღი | — | 3,0 | 2,5 | 1,5 | — |
| 12 | სურამი | 3,1 | 2,4 | 2,1 | — | — |
| 13 | შულავერი | — | 3,8 | 3,2 | — | — |
| 14 | ხაშური | 2,9 | 2,8 | 2,5 | — | — |
| | სულ აღმოს. საქართველოში ტფილისის გამოკლებით | 3,0 | 2,7 | 2,3 | 2,0 | — |
| 15 | ტფილისი | 2,6 | 2,5 | 2,2 | 2,0 | 2,2 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 2,6 | 2,5 | 2,2 | 2,0 | 2,2 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | 1,6 | — | — | — |
| 17 | ზესტაფონი | — | 2,3 | 2,2 | — | — |
| 18 | ზუგდიდი | — | 1,9 | 1,6 | | — |
| 19 | ლანჩხუთი | — | 2,4 | 1,7 | — | — |
| 20 | ოზურგეთი | — | 2,4 | 2,1 | — | — |
| 21 | ონი | 3,7 | 2,9 | 2,8 | — | — |
| 22 | სამტრედია | — | 2,1 | 2,1 | — | — |
| 23 | სენაკი | — | 2,3 | 2,0 | — | — |
| 24 | ტყვიბული | — | 2,4 | 1,9 | — | — |
| 25 | ფოთი | 3,0 | 2,0 | 1,5 | 2,0 | 0,9 |
| 26 | ყულევი | — | 1,5 | — | — | — |
| 27 | ცაგერი | — | 2,9 | 2,5 | — | — |

| რიგ. №№ | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ს ა რ თ უ ლ ე ბ ი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფში და ნახევარ სარდაფში | I-ში | II-ში | მე-III და ზევით | მეზონინში |
| 28 | ჭიათურა. | — | 2.4 | 2,1 | | |
| 29 | ხონი. | 4,0 | 1,9 | 1.1 | — | |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით. | 3,9 | 2,1 | 2,0 | 2.0 | 0.9 |
| 30 | ქუთაისი | 2,7 | 2.3 | 2 0 | 1.5 | 1.2 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | 2,9 | 2,2 | 2 0 | 1.6 | 1,6 |
| | **III. აჭარა:** | | | | | |
| 31 | ბათომი | 3.4 | 3.3 | 3,0 | 2,5 | 2.5 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | |
| 32 | გუდაუთი. | — | 2,0 | 1,8 | — | |
| 33 | ოჩამჩირე. | — | 1,7 | 1,4 | — | |
| 34 | გალი | — | 0,9 | — | — | |
| 53 | სოხუმი. | 2.2 | 2.5 | 2,2 | 1.5 | 1,0 |
| | სულ აფხაზეთში | 2,2 | 2,2 | 2,1 | 1.5 | 1 0 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | |
| 36 | ცხინვალი | 3.3 | 3,2 | 3,0 | 3.3 | — |
| | საერთოდ საქართველოში | 2.7 | 2,5 | | 2,0 | |

საერთოდ, საქართველოს ქალაქებში თითო ოთახზე 2,4 მობინადრე მოდის (იხ. ტაბულა 1, თავი 1, გვერ.9). სართულების მიხედვით კი მობინადრეთა პირობები ამ მხრივ ასეთია:

ამ საშუალოდან ნამეტან გადახრას გადიდებისაკენ, საერთოდ, საქართველოს ქალაქების სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულში ჰქონია ადგილი: სარდაფში და ნახევარ სარდაფში თითო ოთახზე 2,7 მობინადრე მოდის, ხოლო პირველ სართულში—2,5 მობინადრე. საშუალოდან გადახრას შემცირებისაკენ კი მეორე და მესამე სართულებში და მეზონინებში ვამჩნევთ: მეორე სართულში და მეზონინში თითო ოთახზე 2,2 მობინადრე მოდის, ხოლო მესამე სართულში და ზევით— 2,0 მობინადრე. ამნაირად, საქართველოს ქალაქებში, საერთოდ, მობინადრეთა დიდ სიმჭიდროვებას განსაკუთრებით სარდაფში

და ნახევარ სარდაფში აქვს ადგილი, შემდეგ—პირველ სართულში. შედარებით ხალვათად არიან მოთავსებულნი მობინადრენი მესამე სართულში და ზევით.

ასეთია, საერთოდ, მობინადრეთა მდგომარეობა საქართველოს ქალაქებში სართულების მიხედვით. ახლა გამოვარკვიოთ მათი მდგომარეობა ამავე მხრივ საქართველოს შემადგენელ ნაწილებში.

საშუალოდან ნამეტან გადახრას გადიდებისაკენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) სარდაფში და ნახევარ სარდაფში ვამჩნევთ, შემდეგ —პირველ სართულში: აქ სარდაფში და ნახევარ სარდაფში თითო ოთახზე 3,0 მობინადრე მოდის, ხოლო პირველ სართულში—2,7 მობინადრე. მობინადრეთა შედარებით ხალვათობას მეორე და მესამე სართულში ჰქონია ადგილი: თითო ოთახზე მეორე სართულში 2,3 მობინადრე მოდის, ხოლო მესამე სართულში და ზევით—2,0 მობინადრე. ამნაირად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) აუტანელ სიმჭიდროვეს სარდაფის, ნახევარ სარდაფის და პირველი სართულის მობინადრენი განიცდიან, ხოლო შედარებით ხალვათობას—მეორე და მესამე სართულის მობინადრენი.

ტფილისში მობინადრეთა საშუალო რიცხვიდან თითო ოთახზე გადახრას გადიდებისაკენ სარდაფში, ნახევარ-სარდაფში და პირველ სართულში ვამჩნევთ: აქ სარდაფში და ნახევარ სარდაფში თითო ოთახზე 2,6 მობინადრე მოდის, ხოლო პირველ სართულში —2,5 მობინადრე. საშუალოდან გადახრას შემცირებისაკენ მეორე სართულში, მეზონინში და მესამე სართულში ჰქონია ადგილი. ამნაირად, ტფილისში აუტანელი სიმჭიდროვეა მობინადრეთა სარდაფში, ნახევარ სარდაფში, და პირველ სართულში, ხოლო შედარებით ხალვათად არიან ისინი მოთავსებული მეორე, მესამე სართულში და მეზონინში.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის გამოკლებით) განსაკუთრებით აუტანელ სიმჭიდროვეს სარდაფის და ნახევარ სარდაფის მობინადრენი განიცდიან: აქ ოთახზე 3,9 მობინადრე მოდის. ამავე ქალაქების შენობათა დანარჩენ სართულებში მობინადრენი შედარებით ხალვათად სცხოვრობენ; მაგალითად, პირველ სართულში თითო ოთახზე—2,1 მობინადრე მოდის, მეორე და მესამე სართულში —2,0 მობინადრე, ხოლო მეზონინში—0,9 მობინადრე.

ქუთაისშიაც შენობათა პირველ, მეორე და მესამე სართულის მობინადრენი შედარებით ხალვათად არიან განჯგუფებულნი, განსაკუთრებით მეზონინებში. მაგალითად, პირველ სართულში თითო ოთახზე 2,3 მობინადრე მოდის, მეორე სართულში—2,0, მესამე სართულში და ზევით—1,5 და, ბოლოს, მეზონინში—1,2 მობინადრე. ამავე ქალაქებში მხოლოდ სარდაფში და ნახევარ სარდაფში ვამჩნევთ მობინადრეთა აუტანელ სიმჭიდროვეს, სადაც თითო ოთახზე 2,7 მობინადრე მოდის.

ბათომში მობინადრენი ყველა სართულში აუტანელ სიმჭიდროვეს განიცდიან. განსაკუთრებით სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულში; მაგალითად, სარდაფში და ნახევარ სარდაფში თითო ოთახზე 3,4 მობინადრე მოდის, ხოლო პირველ სართულში—3,3 მობინადრე. მობინადრეთა არა ნაკლებ

სიმჭიდროვეს მეორე სართულშიაც ვამჩნევთ, აქ თითო ოთახზე 3,0 მობინადრე მოდის, შემდეგ მესამე სართულში და მეზონინში: აქ თითო ოთახზე 2,5 მობინადრე მოდის.

აფხაზეთის ქალაქების შენობათა ყველა სართულში მობინადრენი შედარებით ხალვათად არიან მოთავსებულნი. მაგალითად, სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულში თითო ოთახზე 2,2 მობინადრე მოდის, მეორე სართულში—2,1, მესამე სართულში და ზევით— 1,5 და, ბოლოს, მეზონინში —1,0 მობინადრე.

სამხრეთ-ოსეთშიაც, როგორც აჭარაში, შენობათა ყველა სართულში მობინადრენი აუტანელ სიმჭიდროვეს განიცდიან. განსაკუთრებით სარდაფში, ნახევარ სარდაფში და მესამე სართულში: აქ თითო ოთახზე 3,3 მობინადრე მოდის, მობინადრეთა არა ნაკლები სიმჭიდროვეა პირველ და მეორე სართულებშიაც. მაგალითად, პირველ სართულში თითო ოთახზე 3,2 მობინადრე მოდის, ხოლო მეორე სართულში—3,0 მობინადრე.

ასეთია, საერთოდ, მობინადრეთა პირობები სართულების მიხედვით.

იბადება კითხვა—როგორია მობინადრეთა მდგომარეობა სართულების მიხედვით საქართველოს სხვა და სხვა ნაწილთან დაკავშირებით?

ამისათვის დავიწყოთ მობინადრეთა მდგომარეობის გამორკვევა სარდაფიდან და ნახევარ სარდაფიდან. მობინადრეთა აუტანელ სიმჭიდროვეს ადგილი ჰქონია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის გამოკლებით): აქ თითო ოთახზე 3,9 მობინადრე მოდის, შემდეგ—აჭარაში (3,4 მობინადრე), სამხრეთ-ოსეთში (3,3 მობინადრე) და სხვ.

პირველ სართულში მობინადრეთა აუტანელ სიმჭიდროვეს აჭარაში და სამხრეთ-ოსეთში ვამჩნევთ: აჭარაში თითო ოთახზე 3,3 მობინადრე მოდის, ხოლო სამხრეთ-ოსეთში—3,2 მობინადრე. ამავე სართულში მობინადრეთა სიმჭიდროვეს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც (ტფილისით და უტფილისოთ) ჰქონია ადგილი. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) შენობათა პირველ სართულში თითო ოთახზე 2,7 მობინადრე მოდის, ხოლო ტფილისში—2,5 მობინადრე.

მეორე სართულის მობინადრეთა სიმჭიდროვეს განსაკუთრებით აჭარაში და სამხრეთ-ოსეთში ვამჩნევთ: აქ თითო ოთახზე 3,0 მობინადრე მოდის. საქართველოს დანარჩენი ნაწილების შენობათა მეორე სართულში მობინადრენი შედარებით ხალვათად არიან განჯგუფებულნი.

მესამე და უფრო ზევითა სართულის მობინადრენი მჭიდროთ სცხოვრობენ მხოლოდ სამხრეთ-ოსეთში და აჭარაში. საქართველოს დანარჩენ ნაწილების შენობათა მესამე სართულის მობინადრენი შედარებით ხალვათად სცხოვრობენ.

მეზონინში მდგომ მობინადრეთა მდგომარეობას არ შევეხებით, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მობინადრეთა უმნიშვნელო რიცხვი სცხოვრობს.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს ქალაქთა ბინების ტეხნიკური პირობები და მობინადრეთა მდგომარეობა სართულების მიხედვით საერთოდ. ახლა შევუდგეთ ბინათა და მობინადრეთა პირობების გამოკვლევას ბინათა კატეგორიების მიხედვით სართულებთან დაკავშირებით.

**100 ბინაზე სარდაფში და ნახევარ-სარდაფში მოდის ბინა:**

ტაბულა 46

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ- ოთახ | სულ |
| | **I. აღმოსავლეთი საქართვ.:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | — | — | — | — | — | — | — |
| 2 | ახალციხე . | 27,8 | 57,4 | 14,8 | — | — | — | 100 |
| 3 | ბორჯომი | 33,4 | 40,0 | 13,3 | 13,3 | — | — | 100 |
| 4 | გორი | 86,1 | 13,9 | — | — | — | — | |
| 5 | დუშეთი | — | — | — | — | — | - | — |
| 6 | ველისციხე | — | — | — | - | — | .. | — |
| 7 | თელავი | 85,4 | 14,6 | — | — | — | — | 100 |
| 8 | თიანეთი | — | — | — | — | -- | — | — |
| 9 | ლაგოდეხი | — | — | — | — | — | — | — |
| 10 | ლიუქსენბურგი | 100 | — | — | — | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | — | — | — | — | — | — | — |
| 12 | სურამი . | 00,0 | 4,00 | — | — | — | — | 100 |
| 13 | შულავერი | — | — | — | — | — | — | — |
| 14 | ხაშური . | 64,5 | 32,3 | — | 3,2 | — | — | 100 |
| | სულ აღმოს. საქარ. ქალაქებში ტფილ. გამოკლ. | 69,7 | 25,5 | 3,7 | 1,1 | — | — | 1?0 |
| 15 | ტფილისი | 58,1 | 25,5 | 8,5 | 4,4 | 2,0 | 1,5 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველ . . | 59,1 | 25,5 | 8,1 | 4,2 | 1,8 | 1,3 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | — | — | — | — | — | — |
| 17 | ზესტაფონი | — | — | — | — | — | — | — |
| 18 | ზუგდიდი | — | — | — | — | — | — | — |
| 19 | ლანჩხუთი . | — | — | — | — | — | — | — |
| 20 | ოზურგეთი | — | — | — | — | — | — | — |
| 21 | ონი | 86,6 | 6,7 | 6,7 | — | — | — | 100 |
| 22 | სამტრედია | — | — | — | — | — | — | — |
| 23 | სენაკი | — | — | — | — | — | — | — |
| 24 | ტყიბული | — | — | — | — | — | — | — |
| 25 | ფოთი | 1000 | — | — | — | — | — | 100 |
| 26 | ყულევი . | — | — | — | — | — | — | — |
| 27 | ცაგერი . | — | — | — | — | — | — | — |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ბ ი ნ ა თ ა  კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ-ოთახ. | სულ |
| 28 | ჭიათურა | — | — | — | — | — | — | — |
| 29 | ხონი . | 50,0 | 50,0 | — | — | — | — | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქუთაისის გამოკლებით . . | 83,3 | 11,1 | 5,6 | — | — | — | 100 |
| 30 | ქუთაისი . | 55,7 | 26,4 | 7,6 | 4,7 | 2,8 | 2,8 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . , . | 59,7 | 24,2 | 7,3 | 4,0 | 2,4 | 2,4 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . . | 59,3 | 24,6 | 4,5 | 7,5 | 2,2 | 1,9 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| | გუდაუთი . | — | — | — | — | — | — | — |
| | ოჩამჩირე | — | — | — | — | — | — | — |
| | გალი . . | — | — | — | — | — | — | — |
| | სოხუმი . | 77,3 | 15,9 | 4,5 | 2,3 | — | — | 100 |
| | სულ აფხაზეთში. | 77,3 | 15,9 | 4,5 | 2,3 | — | — | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . | 42,1 | 52,6 | 5,3 | — | — | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. | 59,2 | 25,4 | 7,8 | 4,4 | 1,8 | 1,4 | 100 |

უკანასკნელი ტაბულა მე-3 ტაბულას რომ დავუკავშიროთ, მეტად საყურადღებო დასკვნის გამოტანას შევსძლებთ.

იმ დროს, როდესაც მთელს რესპუბლიკაში ბინათა საერთო რიცხვის 43,3%, ერთ-ოთახიანი ბინაა, 30,8%—ორ-ოთახიანი, 13,1%—სამ-ოთახიანი, 7,0%—ოთხ ოთახიანი, 3,0—ხუთ-ოთახიანი და, ბოლოს, 2,8%—ექვს და მეტ-ოთახიანი (იხილე თავი I, ტაბულა 3, გვერდი 17), სარდაფში და ნახევარ სარდაფში ბინათა საერთო რიცხვის უკვე 59,2%—ერთ-ოთახიანი, 25,4%—ორ-ოთახიანი, 7,8%—სამ-ოთახიანი, 4,4%—ოთხ-ოთახიანი, 1,8%—ხუთ-ოთახიანი და, ბოლოს, 1.4% ექვს და მეტ-ოთახიანი ბინები ყოფილა. ამნაირად, სარდაფში და ნახევარ სარდაფში ერთ-ოთახიანი ბინების %, საერთოდ საქართველოს ქალაქთა ერთ-ოთახიანი ბინების %-თან შედარებით, 16,9%-ით გაზრდილა, ხოლო ბინათა დანარჩენი კატეგორიების %-ბი შემცირებულა. ასეც უნდა ყოფილიყო, ვი-

ნაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხილე ტაბულა 44, თავი 3, გვერდი 119), ბინები უმთავრესად სარდაფში და ნახევარ სარდაფშია დაქუცმაცებული, შემდეგ შენობინებში.

ასეთია სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებული ბინების პირობები საერთოდ საქართველოს ქალაქებში.

ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ ამავე სართულებში მოთავსებულ ბინათა ტექნიკური პირობები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) ბინათა საერთო რიცხვის 87,6% ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი აქ 95,2%-ს შეადგენს.

ტფილისში ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 71,9%-ს შეადგენენ, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის ერთ და ორ-ოთახიანი ბინები აქ ბინათა საერთო რიცხვის 83,6%-ს შეადგენენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის ჩათვლით) ერთ და ორ-ოთახიანი ბინები შეადგენენ ბინათა საერთო რიცხვს 76,1%-ს, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი აქ 84,6%-ს შეადგენს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის გამოკლებით) ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 63,6%-ს შეადგენენ, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ამავ სართულის ბინათა საერთო რიცხვის—94,4%-ს.

ქუთაისის ბინათა საერთო რიცხვის 68,0% ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინათა საერთო რიცხვის 82,1% ამავე ჯგუფს იძლევა, ე. ი. ერთსა და ორ-ოთახიან ბინებს.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისის ჩათვლით) ბინათა საერთო რიცხვის 65,4% ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო სარდაფის ერთ და ორ-ოთახიანი ბინები იმავე სართულის ბინათა საერთო რიცხვის 83.9%-ს შეადგენენ.

აჭარის ბინათა საერთო რიცხვის 76,8% ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, იმ დროს, როდესაც სარდაფის და ნახევარ სარდაფის ერთ და ორ-ოთახიანი ბინები იმავე სართულის ბინათა საერთო რიცხვის 83,9%-ს შეადგენენ.

აფხაზეთის ქალაქებში ბინათა საერთო რიცხვის 80.9% ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც აქ სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინათა საერთო რიცხვის 93,2% ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა.

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთში ბინათა საერთო რიცხვის 86,8% ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინათა საერთო რიცხვის იგივე ჯგუფი 94,7 პროც. შეადგენს.

ამნაირად, საქართველოს და მის შემადგენელ კუთხეების შენობათა სარდაფში და ნახევარ სარდაფში დიდი უმრავლესობა ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა.

ცხადია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ შენობათა სხვა სართულში ამავე ჯგუფის ბინათა პროც-ული შეფარდება სარდაფის და ნახევარ სარდაფის ერთსა და ორ ოთახიანი ბინების პროც-თან შედარებით დაბალი იქნება.

ეს რომ ასეა, სჩანს ქვემომოყვანილ ტაბულებიდანაც.

**100 ბინაზე პირველ სართულში მოდის ბინა:**

ტაბულა 47

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 35,6 | 47,3 | 12,6 | 3,4 | 0,7 | 0,2 | 100 |
| 2 | ახალციხე . | 29,0 | 45,5 | 19,3 | 5,1 | 0,7 | 0,4 | 100 |
| | ბორჯომი . | 25,0 | 48,8 | 15,5 | 6,1 | 3,2 | 1,4 | 100 |
| 4 | გორი . | 64,3 | 29,7 | 4,7 | 1,1 | 0,1 | 0,1 | 100 |
| 5 | დუშეთი. | 67,1 | 26,3 | 5,4 | 0,3 | 0,3 | 0,6 | 100 |
| 6 | ველისციხე. . | 84,2 | 13,8 | 1,3 | 0,6 | 0,1 | — | 100 |
| 7 | თელავი | 61,7 | 32,2 | 4,6 | 1,2 | 0,2 | 0,1 | 100 |
| 8 | თიანეთი | 41,7 | 46,4 | 9,6 | 1,9 | 0,4 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი. | 46,8 | 30,8 | 10,5 | 6,8 | 3,4 | 1,7 | 100 |
| 10 | ლუქსენბურგი . | 75,6 | 20,2 | 3,9 | 0,2 | 0,1 | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 70,5 | 25,6 | 3,5 | 0,4 | — | — | 100 |
| 12 | სურამი . . | 35,6 | 37,3 | 15,6 | 9,0 | 1,6 | 0,9 | 100 |
| 13 | შულავერი | 84,3 | 14,5 | 1,0 | 0,2 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური . . . . | 50,3 | 37,1 | 7,6 | 3,8 | 0,2 | 1,0 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქარ. ტფილისის გამოკლებით | 56,1 | 32,3 | 8,1 | 2,6 | 0,5 | 0,4 | 100 |
| 15 | ტფილისი . . . . . | 48,3 | 29,7 | 11,6 | 5,7 | 2,6 | 2,1 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში. . . . | 50,9 | 30,6 | 10,5 | 4,6 | 1,9 | 1,5 | 100 |
| | **II. დასავლ. საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია . . . | 25,0 | 36,2 | 17,1 | 17,1 | 3,3 | 1,3 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 38,1 | 36,6 | 14,8 | 5,9 | 2,7 | 1,9 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 16,5 | 34,0 | 29,7 | 12,4 | 4,7 | 2,7 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | 42,3 | 24,3 | 18,0 | 11,7 | 2,5 | 1,2 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 33,0 | 30,8 | 19,8 | 13,6 | 1,6 | 1,2 | 170 |
| 21 | ონი | 45,2 | 39,2 | 10,1 | 3,5 | 1,7 | 0,3 | 100 |
| 22 | სამტრედია | 36,7 | 32,5 | 17,5 | 9,0 | 2,0 | 2,3 | 100 |
| 23 | სენაკი | 19,7 | 29,6 | 25,6 | 19,1 | 3,6 | 2,4 | 100 |
| 24 | ტყიბული | 40,5 | 50,0 | 7,2 | 1,7 | 0,3 | 0,3 | 100 |
| 25 | ფოთი | 22,5 | 33,0 | 26,3 | 11,9 | 4,5 | 1,8 | 100 |
| 26 | ყულევი | 16,8 | 15,3 | 28,2 | 31,3 | 5,3 | 3,1 | 100 |
| 27 | ცაგერი . | 50,4 | 37,2 | 9,8 | 1,5 | 0,7 | 0,4 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
| 28 | ჭიათურა | 51,2 | 32.0 | 7.3 | 4,2 | 2,8 | 2,5 | 100 |
| 29 | ხონი . . . | 36,0 | 24,4 | 21,2 | 12,8 | 3,3 | 2.3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართვ. ქუთაისის გამოკლებით . | 32,7 | 31,1 | 20,3 | 11,0 | 3,1 | 1,8 | 100 |
| 30 | ქუთაისი . . | 35.5 | 35,6 | 17,0 | 7,7 | 2,4 | 1,8 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . . . . | 33,7 | 32,9 | 19,0 | 9,8 | 2,8 | 1,8 | 100 |
| | III. აჭარა: | | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 52,8 | 27,1 | 8,4 | 6,0 | 2,7 | | 100 |
| | IV. აფხაზეთი: | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | 35,4 | 33,4 | 17,4 | 9,3 | 3,2 | 1,3 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . | 24,8 | 35,7 | 18,3 | 16,2 | 1,7 | 3.3 | 100 |
| 34 | გალი. . | 6,2 | 49,4 | 8,6 | 21,0 | 8,6 | 6,2 | 100 |
| 35 | სოხუმი . | 62,1 | 25,5 | 7,8 | 2,9 | 1,0 | 0,7 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 52,2 | 28,4 | 10,5 | 6,1 | 1,5 | 1,3 | 100 |
| | V. სამხრეთ-ოსეთი: | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . | 53,6 | 37,2 | 6,9 | 2,1 | — | 0,2 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. | 46,5 | 30,8 | 12,6 | 6,2 | 2,2 | 1,7 | 100 |

მართლაც, თუ საერთოდ საქართველოს ქალაქების შენობათა სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულ ბინათა საერთო რიცხვის 84,6 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ამავე ქალაქების შენობათა პირველ სართულში იგივე ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის 77,3 პროც. უდრის. ამნაირად, აქ ერთ და ორ-ოთახიან ბინათა პროც., სარდაფის და ნახევარ-სარდაფის ბინათა იმავე ჯგუფის პროც-ტთან შედარებით, დაბალია.

ასეთია, საერთოდ, საქართველოს ქალაქების შენობათა პირველ სართულში მოთავსებულ ბინათა პირობები.

რაც შეეხება საქართველოს შემადგენელ ნაწილების შენობათა პირველ სართულში მოთავსებულ ბინათა ტეხნიკურ მხარეს, აქ უკვე შემდეგი სურათი გვეშლება თვალწინ:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) შენობათა სარდაფში და ნახევარ-სარდაფში მოთავსებულ ბინათა საერთო რიცხვის 95,2 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, იმ დროს, როდესაც იგივე ჯგუფი ამავე ქალაქების შენობათა პირველი სართულის ბინათა საერთო რიცხვის 88.4 პროც. უდრის.

ტფილისშიაც სარდაფის და ნახევარ-სარდაფის ბინათა საერთო რიცხვის 83,6 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც პირველ სართულში იგივე ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის 78,0 პროც. შეადგენს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისის გამოკლებით) სარდაფში და ნახევარ-სარდაფში მოთავსებული ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 94,4 პროც. შეადგენენ, ხოლო პირველ სართულში იგივე ჯგუფი—ბინათა საერთო რიცხვის 63,8 პროც.-ს

ქუთაისშიაც სარდაფში და ნახევარ-სარდაფში მოთავსებულ ბინათა საერთო რიცხვის 82,1 პროც. ერთ და ორ-ოთახიან ბინებს იძლევა, ხოლო პირველ სართულში იგივე ჯგუფი—71,1 პროც.-ს

აჭარაში სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულ ბინათა საერთო რიცხვის 83,9 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, იმ დროს, როდესაც პირველ სართულში იგივე ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის 80,2 პროც. იძლევა.

აფხაზეთის ქალაქებშიაც სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულ ბინათა საერთო რიცხვის 93,2 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინებია, ხოლო პირველ სართულში იგივე ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის 80,6 პროც. შეადგენს

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთის სარდაფში და ნახევარ-სარდაფში მოთავსებულ ბინათა საერთო რიცხვის 94,7 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც პირველ სართულში იგივე ჯგუფი—ბინათა საერთო რიცხვის 90,8 პროც.

ამნაირად, ჩვენ დავრწმუნდით, რომ არა მარტო მთელს საქართველოს ქალაქების შენობათა პირველ სართულში მოთავსებულ ერთ და ორ-ოთახიან ბინების პროც. ამავე ქალაქების სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულ ერთ და ორ-ოთახიანი ბინების პროც. შედარებით დაბალია, არამედ მის შემადგენელ ნაწილებშიაც ასეთივე პროპორცია არსებობს, რაიც უფრო ხაზ-გასმით ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ წამოყენებულ დებულებას, ე. ი. პირველ სართულში ბინათა ტეხნიკური პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე სარდაფის და ნახევარ-სარდაფის ბინებში.

ზემოთ ვთქვით აგრეთვე ისიც, რომ მეორე სართულის ბინები თავის მხრივ ტეხნიკურად უფრო მოწყობილია, ვიდრე პირველი სართულის ბინები. რამდენად მართალია ასეთი დასკვნა, ქვემოთმოყვანილი ტაბულადანაცა სჩანს.

## 100 ბინაზე მეორე ხართულში მოდის ბინები:

ტაბულა 48

| რიგობ. | ქალაქები | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მ ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლ. საქართველო.:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 33,3 | 66,7 | — | — | — | — | 100 |
| 2 | ახალციხე | 23,1 | 44,0 | 18,0 | 10,7 | 3,8 | 0,4 | 100 |
| 3 | ბორჯომი . | 21,0 | 42,0 | 21,4 | 9,8 | 3,1 | 2,7 | 100 |
| 4 | გორი | 51,5 | 41,9 | 5,9 | — | 0,7 | — | 100 |
| 5 | დუშეთი | 63,8 | 27,6 | 6,7 | 1,9 | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | 47,0 | 37,1 | 10,4 | 5,0 | 0,5 | — | 100 |
| 7 | თელავი | 39,6 | 42,6 | 11,0 | 4,7 | 1,3 | 0,8 | 100 |
| 8 | თიანეთი | 21,9 | 46,9 | 6,2 | 12,5 | 12,5 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 44,0 | 20,0 | 20,0 | 8,0 | 8,0 | — | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი . | 66,9 | 27,6 | 4,7 | 0,8 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი . . . | 53,2 | 36,4 | 8,6 | 1,8 | — | — | 100 |
| 12 | სურამი | 23,6 | 45,2 | 12,7 | 10,8 | 2,6 | 5,1 | 100 |
| 13 | შულავერი | 65,6 | 27,0 | 7,1 | 0,3 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური . . . . | 40,6 | 41,5 | 12,3 | 4,2 | 0,4 | 0,8 | 100 |
| 15 | სულ აღმოსავლეთ საქართ. ტფილისის გამოკლებით | 43,7 | 38,1 | 11,3 | 4,7 | 1,4 | 0,8 | 100 |
| | ტფილისი . . . . | 30,7 | 31,2 | 15,9 | 9,9 | 5,7 | 6,6 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . . . . . | 32,9 | 32,4 | 15,1 | 9,0 | 5,0 | 5,6 | 100 |
| | **II. აღმოსავლ. საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია . | — | — | — | — | — | — | — |
| 17 | ზესტაფონი . . | 25,5 | 35,5 | 22,0 | 10,5 | 5,0 | 1,5 | 100 |
| 18 | ზუგდიდი. . | 11,0 | 31,5 | 24,6 | 13,7 | 1,4 | 17,8 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი . . | 4,3 | 28,3 | 19,5 | 28,3 | 10,9 | 8,7 | 100 |
| 20 | ოზურგეთი . . | 19,2 | 28,2 | 23,1 | 20,5 | 3,9 | 5,1 | 100 |
| 21 | ონი | 40,6 | 44,7 | 11,2 | 3,5 | — | — | 100 |
| 22 | სამტრედია . | 26,4 | 52,8 | 11,6 | 8,0 | — | 1,2 | 100 |
| 23 | სენაკი . | 3,6 | 23,6 | 12,7 | 40,0 | 5,5 | 14,6 | 100 |
| 24 | ტყვიბული . | 11,1 | 37,8 | 35,6 | 4,4 | 8,9 | 2,2 | 100 |
| 25 | ფოთი | 19,3 | 37,4 | 16,9 | 9,6 | 7,2 | 9,6 | 100 |
| 26 | ყულევი . | — | — | — | — | — | — | 100 |
| 27 | ცაგერი . . . | 31,4 | 45,1 | 17,6 | — | 3,9 | 2,0 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მ. ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | ჭიათურა . . | 23,8 | 44,2 | 18,6 | 7,6 | 3,1 | 2,7 | 100 |
| 29 | ხონი . . . . | 13,9 | 5,6 | 22,2 | 36,1 | 11,1 | 11,1 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში უქუთაისოდ . . | 23,0 | 39,2 | 18,3 | 11,4 | 3,7 | 4,4 | 100 |
| 30 | ქუთაისი . . . . | 17.2 | 33,9 | 19,2 | 14.7 | 6.9 | 8.1 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . . | 19,9 | 36,4 | 18,8 | 13,1 | 5,5 | 6,3 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . . . | 32,0 | 28,0 | 14,3 | 9,9 | 5,9 | 9,9 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . . | 19,7 | 28,2 | 26,5 | 17,1 | 4,3 | 4,2 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . . . . . | 15,4 | 15,4 | 34,6 | 23,1 | — | 11,5 | 100 |
| 34 | გალი . . | — | — | — | — | — | — | — |
| 35 | სოხუმი . . . . | 58,2 | 26,8 | 8,3 | 3,3 | 1,7 | 1,7 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 53,9 | 26,7 | 10,4 | 4,9 | 1,9 | 2,2 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . | 37,8 | 42,6 | 12,8 | 5,4 | 0,7 | 0,7 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 32,6 | 32,4 | 15,2 | 9,3 | 4,8 | 5,7 | 100 |

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება სავსებით მართლდება: თუ საერთოდ საქართველოს ქალაქების შენობათა პირველ სართულში მოთავსებულ ბინების საერთო რიცხვის 77,3 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ამავე ქალაქების შენობათა მეორე სართულში იგივე ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის უკვე 65,0 პროც-ს უდრის.

ამნაირად, აქ ერთ და ორ-ოთახიან ბინათა პროც-ი, პირველ სართულის ბინათა იმავე ჯგუფის პროც-ტთან შედარებით, დაბალია.

რაც შეეხება საქართველოს შემადგენელი ნაწილების შენობათა მეორე სართულში მოთავსებული ბინების ტეხნიკურ მხარეს, აქ შემდეგ სურათი გვეშლება თვალწინ.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისი გამოკლებით) შენობათა პირველ სართულში მოთავსებული ბინების საერთო რიცხვის 89,4 პროც. ერთი და ორ-ოთახიანი ბინაა, იმ დროს, როდესაც იგივე ჯგუფი ამავე ქალაქების შენობათა მეორე სართულში მოთავსებულ ბინების საერთო რიცხვის 81,8 პროც-ს უდრის.

ტფილისშიაც შენობათა პირველ სართულში მოთავსებულ ბინების საერთო რიცხვის 78,0 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, მაშინ, როდესაც მეორე სართულში იგივე ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის 61,9 პროც-ს შეადგენს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისის გამოკლებით) შენობათა პირველ სართულში მოთავსებული ერთ და ორ-ოთახიანი ბინები ბინათა საერთო რიცხვის 63,8 პროც-ს შეადგენენ, ხოლო მეორე სართულში იგივე ჯგუფი —ბინათა საერთო რიცხვის 62,2 პროც-ს.

ქუთაისში პირველ სართულში მოთავსებულ ბინათა საერთო რიცხვის 71,1 პროც-ი ერთ და ორ-ოთახიან ბინებს იძლევა, ხოლო მეორე სართულში იგივე ჯგუფი—51,1 პროც-ს.

აჭარაში შენობათა პირველ სართულში მოთავსებული ბინა საერთო რიცხვის 80,2 ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, იმ დროს, როდესაც მეორე სართულში იგივე ჯგუფი—ბინათა საერთო რიცხვის 60,6 პროც-ს.

აფხაზეთის ქალაქებშიაც შენობათა პირველ სართულში მოთავსებული ბინების საერთო რიცხვის 80,6 პროც-ი ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო მეორე სართულში იგივე ჯგუფი ამავე ქალაქების ბინათა საერთო რიცხვის 80,6 პროც-ია.

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთის შენობათა პირველ სართულში მოთავსებულ ბინების საერთო რიცხვის 90,8 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინა, მაშინ, როდესაც მეორე სართულში იგივე ჯგუფი ბინათა საერთო რიცხვის 80,4 პროც-ია.

ამნაირად, დავრწმუნდით, რომ არა მარტო მთელ საქართველოს ქალაქების შენობათა მეორე სართულში მოთავსებული ერთ და ორ-ოთახიანი ბინების პროც-ი დაბალია ამავე ქალაქების პირველ სართულში მოთავსებული ერთ და ორ-ოთახიანი ბინების პროც-თან შედარებით, არამედ მის შემადგენელ ნაწილებშიაც ასეთივე პროპორცია არსებობს.

ზემოთ ვამბობდით, რომ საქართველოში 36 ქალაქიდან მხოლოდ 8 ქალაქშია სამ და მეტ-სართულიანი შენობები. ვნახოთ ახლა, როგორია ამ ქალაქების მესამე სართულში მოთავსებულ ბინათა ტეხნიკური მხარე.

**100 ბინაზე მესამე და ზევითა სართულში მოდის ბინები:** **ტაბულა 49**

| რიგზე | ქალაქები | ბინების ჯგუფები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახიანი | 2 ოთახიანი | 3 ოთახიანი | 4 ოთახიანი | 5 ოთახიანი | 6 და მეტ ოთახიანი | სულ |
| | **I. აღმოსავ. საქართველო:** | | | | | | | |
| 1 | ბორჯომი | 29,2 | 50,0 | 20,8 | — | — | — | 100 |
| 2 | სიღნაღი . . . . . . | — | 75,0 | — | — | 25,0 | — | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით . . . | 25,0 | 53,6 | 17,8 | — | 3,6 | — | 100 |
| 3 | ტფილისი . . . . . . . . | 23,7 | 26,8 | 17,6 | 12,3 | 9,0 | 10,6 | 100 |
| | სულ აღმ. საქართველოში | 23,6 | 26,9 | 17,6 | 12,3 | 9,0 | 10,6 | 100 |
| | **II. დასავლ. საქართველო:** | | | | | | | |
| 4 | ტყვიბული. | 40,0 | — | 20,0 | 20,0 | — | 20,0 | 100 |
| 5 | ქუთაისი . . . . . . | 10,0 | 35,0 | 25,0 | 5,0 | 10,0 | 15,0 | 100 |
| | სულ დასავლ. საქართველ. | 16,0 | 28,0 | 24,0 | 8,0 | 8,0 | 16,0 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 6 | ბათომი . . | 19,4 | 41,8 | 13,4 | 9,0 | 3,0 | 13,4 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 7 | სოხუმი . . | 69,1 | 17,0 | 7,4 | 1,1 | 1,1 | 4,3 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 8 | ცხინვალი . . . . . . | — | 33,4 | 33,3 | 33,3 | — | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში . | 24,9 | 27,1 | 17,3 | 11,7 | 8,6 | 10,4 | 100 |

საქართველოს ქალაქების შენობათა მესამე და უფრო ზევითა სართულში მოთავსებულ ბინების საერთო რიცხვის 52,0 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა, ხოლო დანარჩენნი, ე. ი. სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და მეტ-ოთახიანი ბინები—48,0 პროც-ი.

რაც შეეხება საქთრველოს შემადგენელ ნაწილებს, აქ მდგომარეობა ამ მხრივ შემდეგნაირია: აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (უტფილისოთ) შენობათა მესამე სართულში მოთავსებულ ბინების საერთო რიცხვის 78,6 პროც. ერთ და ორ-ოთახიანი ბინაა; ტფილისში ბინათა იგივე ჯგუფი უკვე 50,5 პროც-ს უდრის, საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისით) —50,5 პროც-ს, საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით) —44,0 პროც-ს, ქუთაისში—45,0 პროც-ს, აჭარაში—61,2 პროც-ს, აფხაზეთის ქალაქებში—86,1 პროც-ს და, ბოლოს, სამხრეთ-ოსეთში—33,4 პროც-ს.

როგორც ვხედავთ, ერთ და ორ-ოთახიან ბინათა დიდ უმრავლესობას მესამე სართულში განსაკუთრებით იძლევიან აფხაზეთის ქალაქები, შემდეგ—აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები (ტფილისით), აჭარა და სხვა.

ასეთია საერთოდ ბინათა ტეხნიკური მხარე საქართველოს ქალაქებში სართულების მიხედვით. ახლა ვნახოთ, რა პირობებში იმყოფებიან მათში მდგომი მობინადრენი.

**100 მობინადრედან სარდაფში და ნახევარ სარდაფში ცხოვრობს:**

ტაბულა 50

| №№ რიგ-ზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლ. საქართველო.:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | — | — | — | — | — | — |
| 2 | ახალციხე | 24,7 | 59,4 | 15,9 | — | — | — | 100 |
| 3 | ბორჯომი | 20,9 | 40,3 | 20,9 | 17,9 | — | — | 100 |
| 4 | გორი | 81,0 | 19,0 | — | — | — | — | 100 |
| 5 | დუშეთი | — | — | — | — | — | — | — |
| 6 | ველისციხე | — | — | — | — | — | — | — |
| 7 | თელავი | 81,3 | 18,7 | — | — | — | — | 100 |
| 8 | თიანეთი | — | — | — | — | — | — | — |
| 9 | ლაგოდეხი | — | — | — | — | — | — | — |
| 10 | ლიუქსენბურგი | 100 | — | — | — | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | — | — | — | — | — | — | — |
| 12 | სურამი | 50,0 | 50,0 | — | — | — | — | 100 |
| 13 | შულავერი | — | — | — | — | — | — | — |
| 14 | ხაშური | 63,0 | 33,9 | — | 3,1 | — | — | 100 |
| | სულ აღმოს. საქართვ. ქ. ტფილის. გამოკლებ. | 64,0 | 29,8 | 4,7 | 1,5 | — | — | 100 |
| 15 | ტფილისი | 42,0 | 27,9 | 13,2 | 8,3 | 4,7 | 3,8 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველ. | 43,6 | 28,1 | 12,6 | 7,8 | 4,4 | 3,5 | 100 |
| | **II. დასავლ. საქართველო.:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | — | — | — | — | — | — |
| 17 | ზესტაფონი | — | — | — | — | — | — | — |
| 18 | ზუგდიდი | — | — | — | — | — | — | — |
| 19 | ლანჩხუთი | — | — | — | — | — | — | — |
| 20 | ოზურგეთი | — | — | — | — | — | — | — |
| 21 | ონი | 82,1 | 4,5 | 13,4 | — | — | — | 100 |
| 22 | სამტრედია | — | — | — | — | — | — | — |
| 23 | სენაკი | — | — | — | — | — | — | — |
| 24 | ტყვიბული | — | — | — | — | — | — | — |
| 25 | ფოთი | 100 | — | — | — | — | — | 100 |
| 26 | ყულევი | — | — | — | — | — | — | — |
| 27 | ცაგერი | — | — | — | — | — | — | — |

| № | ქალაქები | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთ.ხ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | ჭიათურა . | — | — | — | — | — | — | — |
| 29 | ხონი . . | 66,7 | 33,3 | — | — | — | — | 100 |
| | სულ დასავ. საქართ. ქ. ქუთაისის გამოკლებით | 80,0 | 8,7 | 11,3 | — | — | — | 100 |
| 30 | ქუთაისი . | 41,3 | 22,9 | 10,3 | 9,1 | 6,2 | 10,2 | 100 |
| | სულ დას.-ვლეთ საქართ. | 46,5 | 21,0 | 10,4 | 7,9 | 5,3 | 8,9 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 43,1 | 27,1 | 7,4 | 12,8 | 5,3 | 4,3 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | — | — | — | — | — | — | — |
| 33 | ოჩამჩირე . | — | — | — | — | — | — | — |
| 34 | გალი | — | — | — | — | — | | — |
| 35 | სოხუმი . | 78,9 | 14,8 | 5,5 | 0,8 | — | — | 100 |
| | სულ აფხაზეთში . . | 78,9 | 14,8 | 5,5 | 0,8 | — | — | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . | 45,6 | 50,5 | 3,9 | — | — | — | 100 |
| | საერთოდ საქართ. . | 43,9 | 27,8 | 11,9 | 8,2 | 4,5 | 3,7 | 100 |

ახლა, თუ მივიღებთ მხედველობაში, ერთის მხრივ, იმ გარემოებას, რომ მობინადრეთა აუტანელი სიმჭიდროვე განსაკუთრებით სარდაფში და ნახევარ სარდაფშია (იხილე თავი III, გვერდი 121, ტაბულა 45), ხოლო, მეორეს მხრივ, №-5 ტაბულას, შემდეგი სურათი გადაგვეშლება.

იმ დროს, როდესაც მთელს საქართველოში მობინადრეთა საერთო რიცხვის 60, 2 პროც. ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული (იხ. თავი 1, გვერდი 24, ტაბულა 5), სარდაფის და ნახევარ სარდაფის მობინადრეთა რიცხვის 71, 7 პროც. იმავე ერთისა და ორ-ოთახიანი ბინების ბინადარნი ყოფილან. ამნაირად, როგორც ვხედავთ, სარდაფის და ნახევარ სარდაფის ერთისა და ორ-ოთახიანი ბინების მობინადრეთა პროც., საერთოდ საქართველოს ქალაქების იმავე ჯგუფის ბინების მობინადრეთა პროც-ტთან შედარებით, 11,5 პროც-ით გაზრდილა, რაიც იმის მაჩვენებელია, რომ იმ მობინადრეთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც სარდაში და ნახევარ სარდაში სცხოვრობენ, არაჩვეულებრივ

შევიწროებას განიცდიან სხვა სართულების მობინადრეებთან შედარებით. ამაში ქვემოდაც დავრწმუნდებით.

საქართველოს შემადგენელ ნაწილებში ამ მხრივ მობინადრეთა პირობები ასეთია:

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) მობინადრეთა საერთო რიცხვის 83,1 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის იმავე ჯგუფის ბინებში მობინადრეთა 93,8 პროც-ია მოთავსებული.

ტფილისში მობინადრეთა საერთო რიცხვის 54,8 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში სცხოვრობს, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინათა ამავე ჯგუფში—69,9 პროც-ი.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისის გამოკლებით) მობინადრეთა საერთო რიცხვის 54,3 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, მაშინ, როდესაც სარდაფის და ნახევარ სარდაფის ამავე ბინებში—58,7 პროც-ი.

ქუთაისში ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მობინადრეთა საერთო რიცხვის 56,7 პროც-ია მოთავსებული, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის იმავე ჯგუფის ბინებში—64,2 პროც.

აჭარაში მობინადრეთა საერთო რიცხვის 57,6 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მობინადრენი არიან, მაშინ, როდესაც სარდაფის და ნახევარ სარდაფის იმავე ჯგუფის ბინებში მობინადრეთა 70,2 პროც. სცხოვრობს.

აფხაზეთის ქალაქებში ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მობინადრენი ამავე ქალაქების მობინადრეთა საერთო რიცხვის 70,4 პროც-ს შეადგენენ, ხოლო სარდაფის და ნახევარ სარდაფის ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მობინადრენი — 93,7 პროც-ს.

დასასრულ, სამხრეთ-ოსეთში მობინადრეთა საერთო რიცხვის 80,6 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მობინადრენი არიან, იმ დროს, როდესაც ასეთივე ბინების მობინადრენი სარდაფში და ნახევარ სარდაფში 96,1 პროც-ს იძლევიან.

ასეთია, საერთოდ, სარდაფის და ნახევარ სარდაფის მობინადრეთა პირობები საქართველოს ქალაქებში.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სარდაფის და ნახევარ სარდაფის მობინადრეთა აუტანელ პირობებს ადგილი ჰქონია განსაკუთრებით სამხრეთ-ოსეთში, შემდეგ—აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით), აფხაზეთში და სხვაგან.

შევისწავლოთ ახლა ამ მხრივ იმ მობინადრეთა პირობები, რომელნიც პირველ სართულში ბინადრობენ.

**100 მობინადრედან პირველ სართულში სცხოვრობს:**

ტაბულა 51

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ბინათა კატეგორიები: ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოს. საქართველო:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | 26,7 | 50,4 | 15.7 | 5.7 | 0,9 | 0,6 | 100 |
| 2 | ახალციხე | 22,5 | 46,7 | 22,6 | 6,5 | 1,1 | 0,6 | 100 |
| | ბორჯომი | 18,0 | 49,8 | 17,0 | 9,2 | 4,2 | 1,8 | 100 |
| 4 | გორი | 56,8 | 34,6 | 6,7 | 1,7 | 0,1 | 0,1 | 100 |
| 5 | დუშეთი | 58,2 | 30,5 | 9,3 | 0,7 | 0,7 | 0,6 | 100 |
| 6 | ველისციხე | 81,1 | 16,4 | 1,8 | 0,5 | 0,2 | — | 100 |
| 7 | თელავი | 54,0 | 36,8 | 6,8 | 2,0 | 0,3 | 0,1 | 100 |
| 8 | თიანეთი | 34,1 | 50,3 | 12,5 | 2,0 | 1,1 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 35,1 | 33,2 | 13,9 | 9,2 | 6,6 | 1,9 | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 65,2 | 27,6 | 6,5 | 0,6 | 0,1 | — | 100 |
| 11 | სიღნაღი | 61,8 | 32,3 | 5,3 | 0,6 | — | — | 100 |
| 12 | სურამი | 28,6 | 40,2 | 18,3 | 10,3 | 1,4 | 1,2 | 100 |
| 13 | შულავერი | 79,9 | 18,5 | 1,1 | 0,5 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური | 42,1 | 38,9 | 10,0 | 6,2 | 0,7 | 2.1 | 100 |
| | სულ აღმ. საქართველოში ტფილისის გამოკლებით | 47.9 | 36,2 | 10,6 | 3,9 | 0,8 | 0,6 | 100 |
| 15 | ტფილისი | 33,7 | 30.0 | | 9,7 | 5,2 | 5,7 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 38,1 | 31,9 | 14,1 | 7,9 | 3,9 | 4.1 | 100 |
| | **II. დასავლ. საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | 22,7 | 33,2 | 17,9 | 19,7 | 4,3 | 2,2 | 100 |
| 17 | ზესტაფონი | 26,3 | 36,1 | 19,1 | 9,2 | 4,9 | 4,4 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 11,3 | 31,6 | 31,9 | 15,1 | 5,8 | 4,3 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | 35,7 | 23,6 | 21,1 | 14,4 | 3,5 | 1,7 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 24,0 | 28,2 | 24.0 | 19,3 | 2,2 | 2.3 | 100 |
| 21 | ონი | 35,5 | 42,9 | 12,1 | 5,4 | 3,1 | 1,0 | 100 |
| 22 | სამტრედია | 29,3 | 31,7 | 20,2 | 11,4 | 3,4 | 4,0 | 100 |
| 23 | სენაკი | 11,9 | 25,3 | 27,1 | 25,5 | 5,9 | 4,3 | 100 |
| 24 | ტყიბული | 30,2 | 55,9 | 10,4 | 2.9 | 0,2 | 0,4 | 100 |
| 25 | ფოთი | 15,2 | 30,3 | 28,2 | 16,3 | 6,8 | 3,2 | 100 |
| 26 | ყულევი | 15,9 | 12,2 | 30,6 | 33,3 | 4,6 | 3,4 | 100 |
| 27 | ცაგერი | 39,3 | 43,3 | 13,6 | 1,8 | 1,5 | 0,5 | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
| 28 | ჭიათურა . | 35,8 | 33,7 | 12,1 | 8,2 | 5,2 | 5,0 | 100 |
| 29 | ხონი . . . . . | 30,9 | 23,0 | 24,3 | 14,7 | 3,8 | 3,3 | 100 |
| | სულ დასავ. საქართველოში ქუთაისის გამოკლებით. . | 24,8 | 29,8 | 23,3 | 14,6 | 4,4 | 3,1 | 100 |
| 30 | ქუთაისი . . | 26,5 | 34,9 | 20,1 | 10,9 | 4,0 | 3,6 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . . . . . . | 25,5 | 31,8 | 22,0 | 13,1 | 4,3 | 3,3 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათომი . . | 35,3 | 27,8 | 11,8 | 10,8 | 5,8 | 8,5 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . . | 26,6 | 33,0 | 20,9 | 12,8 | 4,6 | 2,1 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე . . | 15,8 | 33.3 | 20,0 | 23.2 | 3,0 | 4,7 | 100 |
| 34 | გალი . | 3,0 | 37,8 | 8,3 | 23,5 | 10,4 | 17,0 | 100 |
| 35 | სოხუმი . . . . . . | 49,9 | 28,9 | 11,9 | 5.5 | 1,9 | 1,9 | 100 |
| | სულ აფხაზეთში . | 41,1 | 30,2 | 14,3 | 9,3 | 2,6 | 2,5 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . . | 44,3 | 42,8 | 8,9 | 3,7 | 0,3 | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში . | 34,6 | 31,4 | 16,0 | 9,8 | 4,1 | 4,1 | 100 |

ზემოთ ვამბობდით, რომ პირველი სართულის მობინადრენი შედარებით ხალვათად არიან განჯგუფებულნი ბინებში, ვიდრე სარდაფის და ნახევარ სარდაფის მობინადრენი (იხილე თავი III, გვერდი 121 ტაბულა 45).

მართლაც, ეს დებულება ამ ტაბულითაც მტკიცდება.

თუ საერთოდ საქართველოს ქალაქების სარდაფში და ნახევარ სარდაფში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 71,7 პროც. ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, პირველ სართულში იმავე ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მობინადრეთა საერთო რიცხვის 66,0 პროც-ი ბინადრობს.

საქართველოს შემადგენელ ნაწილებშიაც ასეთსავე მდგომარეობას ვამჩნევთ.

მაგალითად, ალმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) სარდაფში და ნახევარ-სარდაფში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის

93,8 პროც. ერთსა და ორ-ოთახიან ბინაშია მოთავსებული, მაშინ, როდესაც პირველ სართულში 84,1 პროც-ი იმავე ჯგუფის ბინების მობინადრენი არიან.

ტფილისშიაც სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინებში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 69,9 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მცხოვრებნი არიან, ხოლო პირველი სართულის ბინათა ამავე ჯგუფის ბინადარნი—63,7 პროც-ი.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) სარდაფში და ნახევარ სარდაფში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 71,7 პროც. ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, მაშინ, როდესაც პირველ სართულის ბინათა ამავე ჯგუფში—70,0 პროც-ი.

დასავლეთ საქრთველოს ქალაქების (ქუთაისის გამოკლებით) სარდაფში და ნახევარ სარდაფში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 88,7 პროც-ი ერთ და ორ-ოთახიანი ბინების მცხოვრებნი არიან, ხოლო იმავე ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომი მობინადრენი პირველ სართულში უკვე 54,6 პროც-ს შეადგენენ.

ქუთაისში ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში სცხოვრობს: ამავე ქალაქის სარდაფში და ნახევარ სარდაფში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 64.2 პროც., ხოლო პირველ სართულში—61,4 პროც-ი.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში ბინადრობენ: ამავე ქალაქების შენობათა სარდაფში და ნახევარ სარდაფში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 67,5 პროც-ი, ხოლო პირველ სართულში– 57,3 პროც-ი.

აჭარაში სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინებში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 70,2 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მცხოვრებნი არიან, მაშინ, როდესაც პირველ სართულში ბინათა ამავე ჯგუფში 63,1 პროც-ია მოთავსებული.

აფხაზეთის ქალაქებში სარდაფის და ნახევარ სარდაფის ბინებში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 93,7 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, ხოლო პირველ სართულის ამავე ჯგუფის ბინებში—71,3 პროც.

ცხინვალის, სამხრეთ-ოსეთის ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში ბინადრობენ: ამავე ქალაქის შენობათა სარდაფში და ნახევარ-სარდაფში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 96,1 პროც., ხოლო პირველ სართულში—87,1 პროც.

ამნაირად, დავრწმუნდით, რომ არა მხოლოდ საერთოდ საქართველოს ქალაქებში, არამედ ყველა მის შემადგენელ ნაწილშიაც მობინადრეთა პირობები პირველ სართულში შედარებით უკეთესია, ვიდრე ამავე ქალაქების სარდაფში და ნახევარ სარდაფში.

ახლა ვნახოთ, ამ მხრივ რა პირობებია მეორე სართულში.

## 100 მობინადრედან მეორე სართულში ცხოვრობს:

ტაბულა 52

| №№ რიგ. | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთა-ხიანში | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | 25,0 | 75,0 | — | — | — | — | 100 |
| 2 | ახალციხე . | 14,8 | 42,2 | 19,1 | 15,2 | 7,1 | 0.8 | 100 |
| 3 | ბორჯომი . | 15,9 | 37,2 | 24,0 | 12.6 | 6,1 | 4,2 | 100 |
| 4 | გორი . | 42,6 | 48,3 | 7,6 | — | 1,5 | — | 100 |
| 5 | დუშეთი . | 46,3 | 34,5 | 15,3 | 3,9 | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | 38,3 | 43,2 | 11.6 | 6.3 | 0,5 | — | 100 |
| 7 | თელავი . . | 29,5 | 45,1 | 15,9 | 6,3 | 2,5 | 0.7 | 100 |
| 8 | თიანეთი | 16.4 | 46,5 | 6,3 | 15,7 | 15,1 | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი | 35,8 | 17,9 | 17,9 | 20,3 | 8,[illegible] | — | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი | 52.1 | 38,1 | 8,7 | 0,4 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი . | 40,6 | 46,1 | 11,6 | 1,7 | — | — | 100 |
| 12 | სურამი | 16.6 | 49,9 | 11,9 | 12,3 | 4.3 | 5,0 | 100 |
| 13 | შულავერი . | 59,2 | 30,0 | 10.3 | 0,5 | — | — | 100 |
| 14 | ხაშური . . . | 31,9 | 41,1 | 16,2 | 8,2 | 1.0 | 1,6 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით . . | 34,0 | 41.4 | 14,3 | 6,7 | 2,5 | 1,1 | 100 |
| 15 | ტფილისი . . . | 16.7 | 26,3 | 17,9 | 14,1 | 9,6 | 15.4 | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . | 19,1 | 28,3 | 17,4 | 13,1 | 8,6 | 13.5 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | — | — | — | — | — | — |
| 17 | ზესტაფონი | 15,5 | 32,2 | 23,7 | 16,7 | 8,5 | 3,4 | 100 |
| 18 | ზუგდიდი | 8,8 | 26,0 | 24,4 | 13,0 | 2,1 | 25.7 | 100 |
| 19 | ლანჩხუთი . | 1,8 | 26,3 | 16,1 | 34,0 | 10,9 | 10,9 | 100 |
| 20 | ოზურგეთი | 10,1 | 23,6 | 25,2 | 28.5 | 2,4 | 10,2 | 100 |
| 21 | ონი | 33,5 | 42,9 | 16,6 | 7,0 | — | — | 100 |
| 22 | სამტრედია . | 15,7 | 55,0 | 17,8 | 10,0 | — | 1,5 | 100 |
| 23 | სენაკი | 2,1 | 18,7 | 9,8 | 40,0 | 6,9 | 22 5 | 100 |
| 24 | ტყვიბული | 5,5 | 33,2 | 42,6 | 4,2 | 9,4 | 5,1 | 100 |
| 25 | ფოთი . | 10,3 | 32.3 | 15,9 | 13.7 | 7,8 | 20,0 | 100 |
| 26 | ყულევი . . | — | — | — | — | — | — | 100 |
| 27 | ცაგერი | 24,4 | 46,0 | 21,3 | — | 3,8 | 4,5 | 100 |

| №№ რიგ. | ქალაქები | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მეტ ოთახ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | ჭიათურა . | 13,8 | 43,3 | 23,3 | 10,5 | 3,8 | 5,3 | 100 |
| | ხონი . | 11,9 | 2,6 | 19,7 | 45,4 | 15,1 | 5,3 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით . . | 14,4 | 36,3 | 21,2 | 15,6 | 4,8 | 7,7 | 100 |
| 30 | ქუთაისი . . | 10,0 | 27,2 | 19,7 | 17,5 | 9,8 | 15,8 | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში . . . | 11,9 | 31,1 | 20,4 | 16,8 | 7,6 | 12,2 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 31 | ბათუმი . | 15,2 | 22,2 | 15,5 | 13,8 | 8,6 | 24,7 | 100 |
| | **II. აფხაზეთი** | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | 13,0 | 24,0 | 30,4 | 21,1 | 6,2 | 5,3 | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | 6,8 | 17,1 | 35,9 | — | 25,7 | 14,5 | 100 |
| 34 | გალი . | — | — | — | — | — | — | 100 |
| 35 | სოხუმი . . . . . | 43,0 | 30,0 | 12,6 | 6,6 | 3,2 | 4,6 | 100 |
| | სულ აფხაზეთში | 39,0 | 28,9 | 15,0 | 8,6 | 3,5 | 5,0 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . | 30,0 | 41,2 | 19,6 | 7,3 | 1,0 | 0,9 | 100 |
| | საერთოდ საქართველოში . | 18,9 | 28,3 | 17,5 | 13,3 | 8,2 | 13,8 | 100 |

ზემოთ ვამბობდით იმასაც, რომ პირველი სართულის მობინადრენი შედარებით დიდ სიმჭიდროვეს განიცდიან, ვიდრე მეორე სართულისანი (იხ. თავი III, გვერდი., 121 ტაბულა 45).

უკანასკნელი ტაბულა ამ დებულებას სავსებით ადასტურებს. საქართველოს ქალაქების პირველ სართულში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 66,0 პროც-ი, როგორც აღვნიშნეთ, ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, მაშინ, როდესაც ამავე ჯგუფის ბინებში მდგომი მობინადრენი მეორე სართულში 47,2 პროც-ს უდრიან.

ასეთი პროც-ული დაცემა სწორედ იმის მაჩვენებლია, რომ მეორე სართულის მობინადრეთა დიდი უმრავლესობა მსხვილ ბინებშია განჯგუფებული, ხოლო. უკანასკნელი გარემოება, თავის მხრივ, იმას გვეუბნება, რომ მეორ

სართულის მობინადრეთა სიმჭიდროვე პირველი სართულის მობინადრეთა სიმჭიდროვესთან შედარებით შენელებულია.

რაც შეეხება საქართველოს შემადგენელ ნაწილებს, აქაც ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი.

მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისით) პირველი სართულის მობინადრეთა საერთო რიცხვის 84,1 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, ხოლო მეორე სართულში —75,4 პროც.

ტფილისშიაც პირველი სართულის ბინებში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 63,7 პროც. ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მცხოვრებნი არიან, ხოლო მეორე სართულის ბინათა ამავე ჯგუფის ბინადარნი—43,0 პროც-ი.

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების პირველ სართულში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 70,0 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, მაშინ, როდესაც მეორე სართულის ბინათა ამავე ჯგუფში 47.4 პროც-ი სცხოვრობს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისის გამოკლებით) პირველ სართულში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 54,6 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მცხოვრებნი არიან, ხოლო იმავე ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომი მობინადრენი მეორე სართულში 50,7 პროც-ს შეადგენენ.

ქუთაისში ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში სცხოვრობს: ამავე ქალაქის პირველი სართულის მობინადრეთა საერთო რიცხვის 61,4 პროც., ხოლო მეორე სართულში—37,2 პროც-ი.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში ბინადრობენ: ამავე ქალაქების შენობათა პირველი სართულის მობინადრეთა საერთო რიცხვის 57,3 პროც., ხოლო მეორე სართულში—43,0 პროც-ი.

აჭარაში პირველ სართულის ბინებში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 63,1 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიანი ბინების მცხოვრებნი არიან, მაშინ, როდესაც მეორე სართულში ბინათა ამავე ჯგუფში 37,4 პროც-ია მოთავსებული.

აფხაზეთის ქალაქებში პირველ სართულის ბინებში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 71,3 პროც-ი ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, ხოლო მეორე სართულის ამავე ჯგუფის ბინებში— 67,9 პროც-ი.

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთის ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში ბინადრობენ: ამავე ქალაქის შენობათა პირველ სართულში მდგომ მობინადრეთა საერთო რიცხვის 67,1 პროც., ხოლო მეორე სართულში—71,2 პროც-ი.

ამნაირად, აქაც დავრწმუნდით, რომ როგორც მთელს საქართველოს ქალაქებში, ისე მის შემადგენელ ნაწილებშიაც მობინადრეთა პირობები მეორე სართულში შედარებით უკეთესია, ვიდრე ამავე ქალაქების პირველ სართულში.

ვნახოთ ახლა, რა პირობებია ამ მხრივ მესამე სართულში.

## 100 მობინადრედან მესამე სართულში ცხოვრობს:

ტაბულა 53

| № რიგ. | ქალაქები | ბინათა კატეგორიები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ოთახ. | 2 ოთახ. | 3 ოთახ. | 4 ოთახ. | 5 ოთახ. | 6 და მ. ოთახ. | სულ |
| | **I. აღმოსავ. საქართველო:** | | | | | | | |
| 1 | ბორჯომი. | 18,5 | 51,5 | 30,0 | — | — | — | 100 |
| 2 | სიღნაღი . . | — | 58,8 | — | — | 41,2 | — | 100 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით . . . | 15,8 | 52,6 | 25,4 | — | 6,2 | — | 100 |
| | ტფილისი . . . . | 11,1 | 19,8 | 18,2 | 15,6 | 13,5 | 21,8 | 100 |
| | სულ აღმ. საქართველოში | 11,1 | 20,1 | 18,2 | 15,4 | 13,5 | 21,7 | 100 |
| | **II. დასავლ. საქართველო:** | | | | | | | |
| 4 | ფოთი | 15,8 | — | 18,4 | 21,1 | — | 44,7 | 100 |
| | ქუთაისი . . . . . | 2,1 | 18,9 | 22,1 | 3,2 | 17,9 | 35,8 | 100 |
| | სულ დასავლ. საქართველ. | 6,0 | 13,5 | 21,1 | 8,3 | 12,8 | 38,3 | 100 |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | |
| 6 | ბათომი . . | 8,7 | 25,7 | 13,5 | 8,0 | 2,9 | 41,2 | 100 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | |
| | სოხუმი . . | 45,0 | 16,9 | 8,9 | 2,6 | 2,9 | 23,7 | 100 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | |
| 8 | ცხინვალი . . | — | 20,0 | 26,7 | 53,3 | — | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში | 11,6 | 20,1 | 17,9 | 14,9 | 12,9 | 22,6 | 100 |

როგორც ვხედავთ, მთელს საქართველოში მესამე სართულის მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 31,7 პროც-ია ერთსა და ორ-ოთახიან ბინების მცხოვრები, დიდი უმრავლესობა კი (68,3 პროც.) მსხვილი ბინების, ე. ი. სამ, ოთხ-ხუთ და მეტ ოთახიანი ბინების ბინადარია.

თუ ამ პროცენტებს მესამე და უფრო ზევითა სართულის მობინადრეთათვის საშუალო პროცენტად ჩავთვლით, მაშინ საქართველოს შემადგენელ ნაწილების მესამე სართულში მდგომ მობინადრეთათვის ასეთს სურათს მივიღებთ.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) მესამე სართულში ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომ მობინადრეთა პროცენტი საშუალო პროცენტზე მაღალია, სახელდობრ—36,7 პროც-ით, რაიც იმის მაჩვენებელია, რომ აქ მობინადრეთა პირობები არა დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან მობინადრეთა დიდი უმრავლესობა (78,4 პროც.), რომელიც ერთსა და ორ-ოთახიან ბინებშია მოთავსებული, დიდ სიმჭიდროვეს განიცდის.

ტფილისის ამავე ჯგუფის ბინების მობინადრეთა პროცენტი საშუალოზე 0,8 პროც-ით დაბალია. აქ მობინადრენი უკვე ნაკლებათ არიან შემჭიდროვებულნი.

დასავლეთ საქართველოში მესამე სართულის მობინადრენი გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე ტფილისის ამავე სართულის ბინებში მდგომი მობინადრენი. აქ მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 19,5 პროც-ია ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მოთავსებული (საშუალო პროცენტზე 12,2 პროც-ითაა დაბალი).

აჭარის შენობათა მესამე სართულის ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მობინადრეთა საერთო რიცხვის 34,4 პროც-ია მოთავსებული; აღნიშნული პროცენტი საშუალოზე 2,7 პროც-ითაა მაღალი.

აფხაზეთშიაც, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (ტფილისის გამოკლებით) მესამე სართულში მდგომ მობინადრეთა პირობები არადამაკმაყოფილებელია: აქ ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მდგომ მობინადრეთა პროცენტი საშუალოზე 30,2 პროც-ით მაღალია.

ბოლოს, სამხრეთ-ოსეთში მესამე სართულის მობინადრეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 20,0 პროც-ია ერთსა და ორ-ოთახიან ბინებში მოთავსებული, დანარჩენი, ე. ი. 80,0 პროც-ი, მსხვილ ბინებშია.

რასაკვირველია, როდესაც მესამე სართულში მდგომ მობინადრეთა პირობებს ვიხილავთ, აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ, საზოგადოდ, საქართველოს ქალაქების მობინადრეთა უმცირესობა (3,9 პროც.) ამ სართულში სცხოვრობს; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ტფილისი, სადაც, სხვა ქალაქებთან შედარებით, მესამე სართულის მობინადრენი დიდ რიცხვს იძლევიან.

ამით ვამთავრებთ ბინების ტეხნიკურ მხარეს და მობინადრეთა პირობების შესწავლას სართულების მიხედვით.

# თ ა ვ ი IV.

## ბინათა სანიტარული პირობები სართულების მიხედვით.

ზემოთ გავარკვიეთ ბინათა სანიტარული პირობები საერთოდ (იხ. თავი II).

ახლა იბადება მეტად საინტერესო და სრულიად ახალი საკითხი:

ბინათა ანტი-სანიტარულ პირობებს განსაკუთრებით რომელ სართულში აქვს ადგილი?

ეს საკითხი სერიოზული და საყურადღებოა, ვინაიდან, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ბინებში შექმნილი ანტი-სანიტარული პირობების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაუყონებლივ სათანადო პრაქტიკული ზომების მიღება.

ამასთან ერთად ისმება კიდევ ერთი საკითხი: პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის დროს რითი უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ ამას დადებითი შედეგები მოჰყვეს?

უკანასკნელ საკითხზე, ისევე, როგორც პირველ საკითხზე, სავსებით ამოწურულ პასუხს ამ თავშივე მოყვანილი მასალები გვაძლევენ.

ზემოთ დავრწმუნდით იმაში, რომ ბინათა ტეხნიკურ მოუწყობლობას განსაკუთრებით სარდაფში და ნახევარ სარდაფში ჰქონია ადგილი (იხილე თავი III). თუ ამ უკანასკნელ თავში დავრწმუნდებით აგრეთვე იმაშიაც, რომ ბინათა ანტი-სანიტარული პირობები განსაკუთრებით სარდაფში და ნახევარ სარდაფშია შექმნილი, მაშინ, ცხადია, ჩვენი ყურადღება უმთავრესად ამ სართულს უნდა მიექცეს. სხვანაირად, პრაქტიკული ზომების მიღება სწორედ სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულ ბინებიდან უნდა დავიწყოთ.

რაში უნდა გამოიხატებოდეს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა? უპირველესად ყოვლისა ამა თუ იმ სართულის მობინადრეთა განტვირთვაში, იმის მიხედვით, თუ რომელ სართულშია უმთავრესად შექმნილი ანტი-სანიტარული პირობები და მობინადრეთა სიმჭიდროვე, ხოლო შემდეგ თვით ბინების თანდათანობით მოწყობაში ტეხნიკურად.

შევუდგეთ ბინათა სანიტარული პირობების შესწავლას სართულების მიხედვით.

დავიწყოთ წყალსადენიან ბინებიდან, რისთვისაც ჯერ-ჯერობით მოვიყვანოთ ცნობები აბსოლიუტურ რიცხვებში და შემდეგ შევუდგეთ შედეგების გაშუქებას.

| რიგზე № № | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ს | ა | რ | თ | უ | ლ | ე | ბ | ი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნახევარ სარდ. | | I-ლი | | მე-II | | მე-III და ზევითა | | მეზონინი | | ს უ ლ | |
| | | წყალსა-დენით | უწყალ-სადენოთ | წყალსა-დენ-თ | უწყალ-სადენოთ | წყალსა-დენით | უწყალ-სადენოთ | წყალსა-დ.ნით | უწყალ-სადენოთ | წყალსა-დენით | უწყალ-ადენოთ | წყალსა-დენით | უწყალ-სადენოთ |
| | **I. აღმოს. საქართველო:** | | | | | | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | — | — | 533 | — | 6 | — | — | — | — | — | 539 |
| 2 | ახალციხე | — | 54 | — | 1853 | — | 234 | — | — | — | — | — | 2141 |
| 3 | ბორჯომი | 2 | 13 | 148 | 414 | 94 | 163 | 13 | 11 | — | — | 257 | 601 |
| 4 | გორი | — | 81 | — | 1973 | — | 136 | — | — | — | — | — | 2190 |
| 5 | დუშეთი | — | — | — | 316 | | 105 | — | — | — | — | — | 421 |
| 6 | ველისციხე | — | — | — | 894 | — | 202 | — | — | — | — | — | 1096 |
| 7 | თელავი | — | 41 | — | 1804 | | 466 | — | — | — | — | — | 2311 |
| 8 | თიანეთი | — | — | — | 262 | — | 32 | — | — | — | — | — | 294 |
| 9 | ლაგოდეხი | — | — | — | 295 | — | 25 | — | — | — | — | — | 320 |
| 10 | ლიუქსენბურგი | — | 39 | — | 872 | — | 127 | — | — | — | — | — | 1038 |
| 11 | სიღნაღი | — | — | — | 696 | — | 335 | — | 4 | — | — | — | 1035 |
| 12 | სურამი | — | 10 | — | 651 | — | 157 | — | — | — | — | — | 818 |
| 13 | შულავერი | — | — | — | 819 | — | 330 | — | — | — | — | — | 1149 |
| 14 | ხაშური . . . . . | — | 31 | — | 1168 | — | 260 | — | — | — | — | — | 1459 |
| | სულ აღმ. საქართვ. ტფილისის გამოკლ. | 2 | 269 | 148 | 12550 | 94 | 2578 | 13 | 15 | — | — | 257 | 15412 |
| 15 | ტფილისი . . | 634 | 2338 | 5689 | 19809 | 5647 | 7429 | 1762 | 1043 | 41 | 105 | 13773 | 30724 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . | 636 | 2607 | 5837 | 32359 | 5741 | 10007 | 1775 | 1058 | 41 | 105 | 14030 | 46136 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ს ა რ თ უ ლ ო ბ ი | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნ ხევარ სარდ. | | I-ლი | | მე-II | | მე-III და ზევითა | | მეზონინი | | ს უ ლ | |
| | | წყალსადენით | უწყალსადენოთ | წყალსადენით | უწყალსადენოთ | წყალსადენით | უწყალსადენოთ | წყალსადენით | უწყალსადენოთ | წყალსადენით | უწყალსადენოთ | წყალსადენით | უწყალსადენოთ |
| | II. დასავ. საქართველო: | | | | | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია | — | — | | 152 | — | — | — | — | — | — | — | 152 |
| 17 | ზესტაფონი | — | — | — | 744 | — | 200 | — | — | — | — | — | 944 |
| 18 | ზუგდიდი . | — | — | — | 780 | — | 73 | — | — | — | — | — | 853 |
| 19 | ლანჩხუთი | — | — | — | 1239 | — | 46 | — | | — | — | — | 1285 |
| 20 | ოზურგეთი | — | — | — | 779 | — | 78 | — | — | — | — | — | 857 |
| 21 | ონი | — | 15 | — | 347 | — | 143 | — | — | — | — | — | 505 |
| | სამტრედია | — | — | — | 1075 | — | 163 | — | — | — | — | — | 1238 |
| 23 | სენაკი | — | — | — | 627 | — | 55 | — | — | — | — | — | 682 |
| 24 | ტყიბული | — | — | — | 358 | — | 45 | — | — | — | — | — | 403 |
| | ფოთი | | 1 | 38 | 2143 | 7 | 77 | — | 5 | — | 2 | 45 | 2228 |
| 26 | ყულევი | — | — | — | 133 | — | — | — | — | — | — | — | 133 |
| 27 | ცაგერი | — | — | — | 274 | — | 51 | | — | — | — | — | 325 |
| 28 | ჭიათურა | — | — | 70 | 291 | 126 | 208 | | — | — | — | 196 | 499 |
| 29 | ხონი | — | 2 | — | 1953 | — | 36 | — | — | — | — | — | 1991 |
| | სულ დასავ. საქ რთ. ქუთაისის გამოკლ. . | — | 18 | 108 | 10895 | 133 | 1175 | — | 5 | — | 2 | 241 | 12095 |
| | ქუთაისი | — | 107 | — | 7117 | — | 1473 | — | 20 | — | 6 | — | 8723 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | — | 125 | 108 | 18012 | 133 | 2648 | — | 25 | — | 8 | 241 | 20818 |

| №№ რიგზე | ქალაქები | სართულები: სარდაფი და ნახევარ სარდ.: წყალსადენით | სარდაფი და ნახევარ სარდ.: უწყალსადენოთ | I-ლი: წყალსადენით | I-ლი: უწყალსადენოთ | მე-II: წყალსადენით | მე-II: უწყალსადენოთ | მე-III და ზევითა: წყალსადენით | მე-III და ზევითა: უწყალსადენოთ | მეზონინი: წყალსადენით | მეზონინი: უწყალსადენოთ | სულ: წყალსადენით | სულ: უწყალსადენოთ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | | | | | |
| 31 | ბათომი | 26 | 242 | 732 | 5341 | 433 | 933 | 38 | 29 | 3 | 48 | 1232 | 6593 |
| | **IV. აფხაზეთი:** | | | | | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | — | — | 9 | 465 | 8 | 109 | — | — | — | — | 17 | 574 |
| 33 | ოჩამჩირე . | — | — | — | 587 | — | 26 | — | — | — | — | — | 613 |
| 34 | გალი | — | — | — | 81 | — | — | — | — | — | — | — | 81 |
| 35 | სოხუმი | | 44 | 116 | 2712 | 91 | 1095 | 13 | 83 | — | 2 | 220 | 3936 |
| | სულ აფხაზეთში | — | 44 | 125 | 3845 | 99 | 1230 | 13 | 83 | — | 2 | 237 | 5204 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი | — | 19 | — | 480 | — | 298 | — | 3 | — | — | — | 800 |
| | საერთოდ საქართველოში . . . | 662 | 3037 | 6802 | 60037 | 6406 | 15116 | 1826 | 1198 | 44 | 163 | 15740 | 79551 |

საერთოდ, საქართველოს ქალაქების წყალსადენიან 15.740 ბინიდან სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულია 622 ბინა, პირველ სართულში—6.802, მეორე სართულში—6.406, მესამე და ზევითა სართულში—1.826 და, ბოლოს, მეზონინში—44 ბინა. უწყალსადენო 79.551 ბინიდან კი სარდაფში და ნახევარ სარდაფში მოთავსებულია 3.037 ბინა, პირველ სართულში—60.037, მეორე სართულში—15.116, მესამე და ზევითა სართულში—1.198 და, ბოლოს, მეზონინში—163.

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს სხვა და სხვა სართულში მოთავსებულ ბინათა პირობებზე წყალსადენის მხრივ, საჭიროა მივმართოთ ქვემომოყვანილ ტაბულებს.

**100 წყალსადენიან ბინაზე სართულების მიხედვით მოდის ბინა:**

ტაბულა 55

| №№ რიგზე | ქალაქები | სარდაფში და ნახევარ სარდაფში | I-ელ სართულში | მე-II სართულში | მე-III და ზევითა სართულში | მეზონინში | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტფილისი | 4,6 | 41,3 | 41,0 | 12,8 | 0,3 | 100 |
| 2 | ბათომი.......................... | 2,1 | 59,4 | 35,2 | 3,1 | 0,2 | 100 |
| 3 | ფოთი.. | — | 84,4 | 15,6 | — | — | 100 |
| 4 | ბორჯომი...................... | 0,8 | 57,6 | 36,6 | 5,0 | — | 100 |
| 5 | ჭიათურა.................... | — | 35,7 | 64,3 | — | — | 100 |
| 6 | სოხუმი ........................ | — | 52,7 | 41,4 | 5,9 | — | 100 |
| 7 | გუდაუთი ...................... | — | 52,9 | 47,1 | — | — | 100 |
| | საერთოდ................. | 4,2 | 43,2 | 40,7 | 11,6 | 0,3 | 100 |

ერთის შეხედვით, თითქოს ეს ტაბულა ახალს არაფერს გვეუბნება, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბინათა დიდი უმრავლესობა პირველსა და მეორე სართულშია მოთავსებული, მაგრამ თუ ამ ტაბულას მე-42 ტაბულას დაუკავშირებთ, სრულიად ახალს და მეტად საყურადღებო დასკვნებს მივიღებთ.

მაგალითად, ტფილისში ბინათა საერთო რიცხვის 6,7 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 57,2 პროც. პირველ სართულში, 29,4 პროც. მეორე სართულში, 6,3 პროც. მესამე და ზევითა სართულში და, ბოლოს, 0,4 პროც. მეზონინში (იხილეთ თავი III, გვერდი 113, ტაბულა 42), იმ დროს, როდესაც ამავე ქალაქის წყალსადენიან 100 ბინაზე მოდის: სარდაფში და ნახევარ სარდაფში—4,6 ბინა, პირველ სართულში—41,3, მეორე სართულში—41,0, მესამე და ზევითა სართულში—12,8 და მეზონინში—0,3 ბინა. ამნაირად, სარდაფის და ნახევარ სარდაფის წყალსადენიან ბინათა პროცენტი დაეცა (6,7 პროციდან 4,6 პროც-მდე); ამავე ჯგუფის ბინათა პროცენტის დაცემას პირველ სართულშიაც აქვს ადგილი (57,2 პროც-იდან 41,3 პროც-მდე), ხოლო მეორე და მესამე სართულში ვამჩნევთ აღნიშნული პროც-ის სწრაფ ზრდას, მაგალითად: მეორე სართულში 29,4 პროც-იდან 41,0 პროც-მდე გაიზარდა, ხოლო მესამე და ზევითა სართულში—6,3 პროც-იდან 12, 8 პროც-მდე.

ცხადია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ წყალსადენით განსაკუთრებით მეორე და მესამე სართულში მოთავსებული ბინებია უზრუნველყოფილი. ბინათა ასეთსავე პირობებს ადგილი აქვს ბათომში, ფოთში, ბორჯომში, ჭიათურაში, სოხუმში და გუდაუთში.

ახლა ვნახოთ, რა პირობებშია უწყალსადენო ბინები ამავე ქალაქებში სართულების მიხედვით. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა რომ მას ახლო მიზეზობრივი კავშირი აქვს წყალსადენიან ბინებთან. ამ ტაბულამ უფრო მკაფიოთ უნდა დაადასტუროს ის დასკვნები, რომელიც წყალსადენიან ბინებს (სართულების მისედვით) გაუკეთეთ.

**100 უწყალხადენო ბინაზე ხართულების მიხედვით მოდიხ ბინა:**

ტაბულა 56

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | ს ა რ თ უ ლ ე ბ ი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნახევარ სარდაფი | I-ლი სართული | მე-II სართული | მე-III და ზევითი სართული | მეზონინი | სულ |
| 1 | ტფილისი | 7,6 | 64,5 | 24,2 | 3,4 | 0,3 | 100 |
| 2 | ბათომი | 3,7 | 81,0 | 14,2 | 0,4 | 0,7 | 100 |
| 3 | ფოთი | 0,1 | 96,2 | 3,4 | 0,2 | 0,1 | 100 |
| 4 | ბორჯომი | 2,2 | 68,9 | 27,1 | 1,8 | — | 100 |
| 5 | ქიათურა | — | 58,3 | 41,7 | — | — | 100 |
| 6 | სოხუმი | 1,1 | 68,9 | 27,8 | 2,1 | 0,1 | 100 |
| 7 | გუდაუთი | — | 81,0 | 19,0 | — | — | 100 |
| | საერთოდ . | 5,8 | 69,0 | 22,2 | 2,6 | 0,4 | 100 |

ზემოთ ვამბობდით, რომ წყალსადენით განსაკუთრებით უზრუნველყოფილია მეორე და მესამე სართულის ბინები, ხოლო სარდაფის, ნახევარ სარდაფის, მეზონინის და პირველი სართულის ბინები მას შედარებით მოკლებულნი არიან. უკანასკნელი მასალები ზემოხსენებულ დებულებას სავსებით ადასტურებენ.

მაგალითად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტფილისის ბინათა საერთო რიცხვის 6,7 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 57,2 პროც. —პირველ სართულში, 29,4 პროც.—მეორე სართულში, 6,3 პროც.—მესამე და ზევითა სართულში და, ბოლოს, 0,4 პროც.—მეზონინში, იმ დროს, როდესაც ამავე ქალაქის უწყალსადენო 100 ბინაზე მოდის: სარდაფში და ნახევარ სარდაფში 7,6 ბინა, პირველ სართულში—64,5, მეორე სართულში—24,2, მესამე და ზევითა სართულში—3,4 და, ბოლოს, მეზონინში—0,3 ბინა.

ამნაირად, ტფილისის უწყალსადენო ბინათა პროც-ები სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულში გაცილებით მაღალია, ვიდრე საზოგადოდ ტფილისის ამავე სართულების ბინათა პროც-ი, რაიც იმის მაჩვენებელია, რომ უწყალსადენო ბინათა დიდი უმრავლესობა სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულშია მოთავსებული. დებულების შებრუნებით კი იმას მივიღებთ, რისი დამტკიცებაც გვინდოდა, ე. ი. წყალსადენიან ბინათა დიდი უმცირესობა სარდაფში, ნახევარ სარდაფში და პირველ სართულშია მოთავსებული.

ასეთია ტფილისის უწყალსადენო ბინათა პირობები სართულების მიხედვით. რაც შეეხება დანარჩენი ქალაქების უწყალსადენო ბინებს, ე. ი. ბათომისა, ფოთისა, ბორჯომისა, ქიათურისა, სოხუმისა და გუდაუთის, აქაც მათი პირობები სართულების მიხედვით ისეთივეა, როგორც ტფილისის ბინების.

ამით ვამთავრებთ წყალსადენიან და უწყალსადენო ბინათა შესწავლას სართულების მიხედვით. ახლა ვნახოთ, სართულების მიხედვით რა პირობებშია ბინებში ვატერკლოზეტისა და ცალკე ფეხისადგილის მხრივ. ამისთვის, უპირველესად ყოვლისა, მოვიყვანოთ ცნობები ჯერ-ჯერობით აბსოლიუტურ რიცხვებში, ხოლო შემდეგ შეუდგეთ მათი შედეგების შესწავლას ნაწილობრივ.

ტაბულა 57

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | სარდაფი და ნახევარ სარდ. | | | I-ლი სართული | | | მე-II სართული | | | მე-III და ზევ. სართული | | | მეზონინი | | | ს ულ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხისადგილით | უვატერკ. და უფეხისადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხისადგილით | უვატერკ. და უფეხისადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხისადგილით | უვატერკ. და უფეხისადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხისადგილით | უვატერკ. და უფეხისადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხისადგილით | უვატერკ. და უფეხისადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხისადგილით | უვატერკ. და უფეხისადგ. |
| | I. აღმ. საქართველო: | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი . | — | | — | — | 50 | 483 | — | 1 | 5 | — | — | — | — | — | — | — | 51 | 488 |
| 2 | ახალციხე | | 31 | 23 | — | 892 | 961 | — | 120 | 114 | — | — | — | — | — | — | — | 1043 | 1098 |
| 3 | ბორჯომი . | 1 | — | 14 | 92 | 78 | 392 | 76 | 35 | 146 | 12 | — | 12 | — | — | — | 181 | 113 | 564 |
| 4 | გორი | — | 8 | 73 | | 426 | 1547 | — | 30 | 106 | — | — | — | — | — | — | — | 464 | 1726 |
| 5 | დუშეთი . | — | — | — | — | 64 | 252 | — | 12 | 93 | — | — | — | — | — | — | — | 76 | 345 |
| 6 | ველისციხე | — | — | — | — | 664 | 230 | — | 137 | 65 | — | — | — | — | — | — | | 801 | 295 |
| 7 | თელავი | — | 3 | 38 | — | 745 | 1059 | — | 168 | 298 | — | — | — | — | — | — | — | 916 | 1395 |
| 8 | თიანეთი | — | — | — | — | 184 | 78 | | 23 | 9 | — | — | — | — | — | — | — | 207 | 87 |
| 9 | ლაგოდეხი | — | — | — | — | 26 | 269 | — | 2 | 23 | — | — | — | — | — | — | — | 28 | 292 |
| 10 | ლიუქსენბურგი | — | — | 39 | | 14 | 858 | — | 4 | 123 | — | — | — | — | — | — | — | 18 | 1020 |
| 11 | სიღნაღი | — | — | — | — | 273 | 423 | — | 97 | 238 | — | 1 | 3 | — | — | — | — | 371 | 664 |
| 12 | სურამი | — | 5 | 5 | — | 363 | 288 | — | 95 | 62 | — | — | — | — | — | — | — | 463 | 355 |
| 13 | შულავერი | — | — | — | — | 352 | 467 | — | 146 | 184 | — | — | — | — | — | — | — | 498 | 651 |
| 14 | ხაშური | — | 4 | 27 | — | 325 | 843 | — | 31 | 229 | - | — | — | | — | — | — | 360 | 1099 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისის გამოკლებით . | 1 | 51 | 219 | 92 | 4456 | 8150 | 76 | 901 | 1695 | 12 | 1 | 15 | — | — | — | 181 | 5409 | 10079 |
| 15 | ტფილისი . | 389 | 535 | 2048 | 3950 | 5672 | 15876 | 4576 | 2156 | 6344 | 1522 | 371 | 912 | 29 | 25 | 92 | 10466 | 8759 | 25272 |
| | სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . | 390 | 586 | 2267 | 4042 | 10128 | 24026 | 4652 | 3057 | 8039 | 1534 | 372 | 927 | 29 | 25 | 92 | 10647 | 14168 | 35351 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | სარდაფი და ნახევარ სარდ. | | | I-ლი სართული | | | მე-II სართული | | | მე-III და ზევ. სართული | | | მეზონინი | | | ს უ ლ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხსადგომით | ფარეხ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხსადგომით | ფარეხ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხსადგომით | ფარეხ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხსადგომით | ფარეხ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხსადგომით | ფარეხ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხსადგომით | ფარეხ. და ფეხსადგ. |
| | **II. დას. საქართველო:** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | ანაკლია. | — | — | — | — | 79 | 73 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 79 | 73 |
| 17 | ზესტაფონი | — | — | — | — | 441 | 303 | — | 112 | 88 | — | — | | — | — | — | — | 553 | 391 |
| 18 | ზუგდიდი . | — | — | — | — | 447 | 333 | — | 55 | 18 | — | — | — | — | — | — | — | 502 | 351 |
| 19 | ლანჩხუთი. | — | | — | — | 966 | 273 | — | 44 | 2 | — | — | — | — | — | — | — | 1010 | 275 |
| 20 | ოზურგეთი | — | — | — | — | 406 | 373 | — | 38 | 40 | — | — | | — | — | — | — | 444 | 413 |
| 21 | ონი | — | 4 | 11 | — | 168 | 179 | — | 64 | 79 | — | — | — | — | — | — | — | 236 | 269 |
| 22 | სამტრედია | — | — | — | — | 453 | 622 | — | 29 | 134 | — | — | — | — | — | — | — | 482 | 756 |
| 23 | სენაკი. | — | — | | — | 487 | 140 | — | 38 | 17 | — | — | — | — | — | — | — | 525 | 157 |
| 24 | ტყიბული. | | — | — | — | 194 | 164 | — | 32 | 13 | — | — | — | — | — | — | — | 226 | 177 |
| 25 | ფოთი. | — | — | 1 | 3 | 1486 | 692 | 3 | 35 | 46 | — | 2 | 3 | — | — | 2 | 6 | 1523 | 744 |
| 26 | ყულევი . | — | — | — | — | 100 | 33 | — | — | — | — | — | — | — | — | | — | 100 | 33 |
| 27 | ცაგერი . | — | — | — | — | 104 | 170 | — | 18 | 33 | — | — | — | — | — | — | — | 122 | 203 |
| 28 | ჭიათურა | — | — | — | 33 | 121 | 214 | 33 | 121 | 180 | | — | — | — | — | — | 59 | 242 | 394 |
| 29 | ხონი | — | 2 | — | — | 1638 | 315 | — | 24 | 12 | — | — | — | — | — | — | — | 1664 | 327 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით | — | 6 | 12 | 29 | 7090 | 3884 | 36 | 610 | 662 | — | 2 | 3 | — | — | 2 | 65 | 7708 | 4563 |
| 30 | ქუთაისი | | 47 | 60 | — | 4851 | 2266 | — | 940 | 533 | — | 15 | 5 | | 3 | 3 | — | 5856 | 2867 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში | — | 53 | 72 | 29 | 11941 | 6150 | 36 | 1550 | 1195 | — | 17 | 8 | — | 3 | 5 | 65 | 13564 | 7430 |

| №№ რიგზე | ქ ა ლ ა ქ ე ბ ი | სარდაფი და ნახევარ სარდ. | | | I-ლი სართუ-ლი | | | მე-II სართუ-ლი | | | მე-III და ზევ. სართული | | | მეზონინი | | | ს უ ლ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხ-სადგილით | ვატერკ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხ-სადგილით | ვატერკ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხ-სადგილით | ვატერკ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხ-სადგილით | ვატერკ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხ-სადგილით | ვატერკ. და ფეხსადგ. | ვატერკლოზეტით | ცალკე ფეხ-სადგილით | ვატერკ. და ფეხსადგ. |
| | **III. აჭარა:** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 4 | 37 | 227 | 300 | 1301 | 4472 | 250 | 284 | 832 | 23 | 8 | 36 | 2 | 6 | 43 | 579 | 1636 | 5610 |
| | **IV. აფხაზეთი.:** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 32 | გუდაუთი . | — | — | — | 5 | 146 | 323 | 5 | 44 | 68 | — | — | — | — | — | — | 10 | 190 | 391 |
| 33 | ოჩამჩირე | — | — | — | — | 223 | 364 | — | 7 | 19 | — | — | — | — | — | — | — | 230 | 383 |
| 34 | გალი . | — | — | — | — | 18 | 63 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 18 | 63 |
| 35 | სოხუმი . | — | 6 | 38 | 50 | 820 | 1958 | 60 | 426 | 700 | 10 | 36 | 50 | — | — | 2 | 120 | 1288 | 2748 |
| | სულ აფხაზეთში. | — | 6 | 38 | 55 | 1207 | 2708 | 65 | 477 | 787 | 10 | 36 | 50 | — | — | 2 | 130 | 1726 | 3585 |
| | **V. სამხრეთ-ოსეთი:** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . | — | 9 | 10 | | 195 | 285 | — | 130 | 168 | | 1 | 2 | — | — | — | — | 335 | 465 |
| | საერთოდ საქართველოში . | 394 | 691 | 2614 | 4426 | 24772 | 37641 | 5003 | 5498 | 11021 | 1567 | 434 | 1023 | 31 | 34 | 142 | 11421 | 31429 | 52441 |

მთელ საქართველოს ქალაქების ვატერკლოზეტიან 11.421 ბინიდან სარდაფში და ნახევარ სარდაფში მხოლოდ 39 ვატერკლოზეტიანივე ბინაა (3,4 %) მოთავსებული, პირველ სართულში—4.426 (38,8 პროც.), მეორე სართულში—5,003 (43,8 პროც.), მესამე და ზევითა სართულში—1.567 (13,7 პროც.) და, ბოლოს, მეზონინში—31 ბინა (0,3 პროც.). ცალკე ფეხისადგილიან 31.429 ბინიდან კი სარდაფში და ნახევარ სარდაფში 691 ცალკე-ფეხისადგილიანივე ბინაა (2,2 პროც), პირველ სართულში—24,772 (78,8 პროც.), მეორე სართულში—5.498 (17,5 პროც.), მესამე და ზევითა სართულში—434 (1,4 პროც.) და მეზონინში—34 ბინა (0,1 პროც.).

რაც შეეხება სრულიად უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინებს, აქ შემდეგი მდგომარეობაა: სრულიად უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო 52.441 ბინიდან სარდაფში და ნახევარ სარდაფში 2.614 ბინა (5,0 პროც.) სრულიად უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინაა, პირველ სართულში—37.641 (71,8 პროც.), მეორე სართულში—11.021 (21,0 პროც), მესამე და ზევითა სართულში—1.023 (1,9 პროც.) და, ბოლოს, მეზონინში—142 ბინა (0,3 პროც.).

ეს გარემოება კი, თუ დაუკავშირებთ მე-42 ტაბულას, იმის მაჩვენებელია, რომ რესპუბლიკის ქალაქების სარდაფი და ნახევარ სარდაფი და მეზონინი სანიტარული პირობების მხრივ არ ყოფილან შესაფერისად მოწყობილი.

რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ საქართველოს რომელ კუთხეშია შექმნილი ბინათა უფრო ანტი-სანიტარული პირობები სართულების მიხედვით, ამისათვის ჯერ-ჯერობით დავიწყოთ ბინათა შესწავლა ამ მხრივ ვატერკლოზეტიან ბინებიდან, ხოლო შემდეგ გადავიდეთ ცალკე-ფეხისადგილიან და, ბოლოს, სრულიად უვატერკლოზეტო და უფეხისადგილო ბინათა მდგომარეობის შესწავლაზე.

**100 ვატერკლოზეტიან ბინაზე სართულების მიხედვით მოდის ბინა:**

ტაბულა 58

| №№ რიგზე | ქალაქები | სართულები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფი და ნახევ. სარდაფი | I სართ. | II სართ. | III და ზევითა სართ. | მეზონინი | ჯამი |
| 1 | ტფილისი . | 3,7 | 37,7 | 43,7 | 14,6 | 0,3 | 100 |
| 2 | ბათომი. | 0,7 | 51,8 | 43,2 | 4,0 | 0,3 | 100 |
| 3 | ფოთი | — | 50,0 | 50,0 | — | — | 100 |
| 4 | ბორჯომი . | 0,6 | 50 8 | 42,0 | 6,6 | — | 100 |
| 5 | კიათურა | — | 44,1 | 55,9 | — | — | 100 |
| 6 | სოხუმი . | — | 41,7 | 50,0 | 8,3 | — | 100 |
| 7 | გუდაუთი | — | 50,0 | 50,0 | — | — | 100 |
| | საერთოდ | 3,4 | 38,8 | 43,8 | 13,7 | 0,3 | 100 |

საერთოდ, ვატერკლოზეტიან ბინათა დიდი უმრავლესობა მეორე სართულში ყოფილა მოთავსებული, შემდეგ—პირველ სართულში, მესამე და ზევითა სართულში, სარდაფში, ნახევარ სარდაფში და, ბოლოს, მეზონინში.

ცალკ-ცალკე ქალაქების მიხედვით კი ასეთი სურათი გვეშლება: იმ დროს, როდესაც ტფილისში ბინათა საერთო რიცხვის 6,7 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 57,2 პროც.—პირველ სართულში, 29,4 პროც.—მეორე სართულში, 6,3 პროც.—მესამე და ზევითა სართულში, ბოლოს, 0,4 პროც.—მეზონინში (იხილე თავი III, გვერდი 113, ტაბულა 42), ამავე ქალაქის ვატერ-

კლოზეტიან ბინათა საერთო რიცხვის უკვე 3,7 % სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 37,7 %—პირველ სართულში, 43,7 %—მეორე სართულში. 14,6 % —მესამე და ზევითა სართულში, ხოლო 0,3 %— მეზონინში.

მაშასადამე, დასკვნა აქაც ისეთივეა, როგორც წყალსადენიან ბინებში, ე. ი, ვატერკლოზეტით უზრუნველყოფილია განსაკუთრებით მეორე და მესამე სართულში მოთავსებული ბინები, ხოლო მას შედარებით მოკლებულნი არიან სარდაფის, ნახევარ სარდაფის, პირველი სართულის და მეზონინის ბინები. ესევე ითქმის დანარჩენ ქალაქების შესახებაც.

ახლა ვნახოთ, რა პირობებში არიან ბინები სართულების მიხედვით საქართველოს ქალაქებში ცალკე ფეხისადგილის მხრივ.

**100 ცალკე ფეხისადგილიან ბინიდან სართულების მიხედვით მოდის ბინა:**

ტაბულა 59

| რიგზე № № | ქალაქები | სართულები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სარდაფში და ნახევარ სარდაფში | I სართული | II სართული | III და ზევითა სართ. | მეზონინი | ჯამი |
| | **I. აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 1 | ახალქალაქი | — | 98,0 | 2,0 | — | — | 100 |
| 2 | ახალციხე | 3,0 | 85,5 | 11,5 | — | — | 100 |
| 3 | ბორჯომი | — | 69,0 | 31,0 | — | — | 100 |
| 4 | გორი | 1,8 | 91,8 | 6,4 | — | — | 100 |
| 5 | დუშეთი | — | 84.2 | 15,8 | — | — | 100 |
| 6 | ველისციხე | — | 82,9 | 17,1 | — | — | 100 |
| 7 | თელავი . | 0 3 | 81,3 | 18,4 | — | — | 100 |
| 8 | თიანეთი | — | 88,9 | 11,1 | — | — | 100 |
| 9 | ლაგოდეხი. | — | 92,9 | 7,1 | — | — | 100 |
| 10 | ლიუქსენბურგი. | — | 77,8 | 22,2 | — | — | 100 |
| 11 | სიღნაღი. | — | 73,6 | 26,1 | 0,3 | — | 100 |
| 12 | სურამი . | 1,1 | 78,4 | 20,5 | — | — | 100 |
| 13 | შულავერი. | — | 70,7 | 29,3 | — | | 100 |
| 14 | ხაშური. | 1,1 | 90,3 | 8,6 | — | | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოში ტფილისის გამოკლებით . | 0,9 | 82,4 | 16,6 | 0.1 | — | 100 |
| 15 | ტფილისი . | 6,1 | 64,8 | 24,6 | 4,2 | 0,3 | 100 |
| | სულ აღმოს. საქართველოში | 4,1 | 71,5 | 21, 6 | 2,6 | 0,2 | 100 |
| | **II. დასავლეთი საქართველო:** | | | | | | |
| 16 | ანაკლია . | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 17 | ზესტაფონი | | 80,0 | 20,0 | — | — | 100 |
| 18 | ზუგდიდი | — | 89,0 | 11,0 | — | — | 100 |
| 19 | ლანჩხუთი | — | 95,6 | 4,4 | — | — | 100 |
| 20 | ოზურგეთი | — | 91,4 | 8,6 | — | — | 100 |
| 21 | ონი | 1,7 | 71,2 | 27,1 | — | | 100 |
| 22 | სამტრედია . | — | 94,0 | 6,0 | — | — | 100 |

| №№ რიგზე | ქალაქები | სართულები: სარდაფში ნახევარ სარდაფში | I სართული | II სართული | მე-III და ზევითა სართ. | მეზონინში | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | სენაკი | — | 92,8 | 7,2 | - | — | 100 |
| 24 | ტყვიბული. | — | 85,8 | 14,2 | | — | 100 |
| 25 | ფოთი. | — | 97,6 | 2,3 | 0,1 | — | 100 |
| 26 | ყულევი. | — | 100,0 | — | — | — | 100 |
| 27 | ცაგერი | — | 85,2 | 14,8 | | — | 100 |
| 28 | ჭიათურა | — | 50,0 | 50,0 | — | — | 100 |
| 29 | ხონი | 0,1 | 98,5 | 1,4 | — | — | 100 |
| | სულ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის გამოკლებით . . | 0,1 | 91,9 | 7,9 | 0,1 | — | 100 |
| 30 | ქუთაისი | 0,8 | 82,8 | 16,0 | 0,3 | 0,1 | 100 |
| | სულ დასავ. საქართველოში | 0,1 | 88,0 | 11,4 | 0,1 | 0,1 | 100 |
| | III. აჭარა: | | | | | | |
| 31 | ბათომი . | 2,3 | 79,5 | 17,3 | 0,5 | 0,4 | 100 |
| | IV. აფხაზეთი: | | | | | | |
| 32 | გუდაუთი | — | 76,8 | 23,2 | — | — | 100 |
| 33 | ოჩამჩირე | | 97,0 | 3,0 | — | — | 100 |
| 34 | გალი. | | 100,0 | — | — | — | 100 |
| 35 | სოხუმი . | 0,4 | 63,7 | 33,1 | 2,8 | — | 100 |
| | სულ აფხაზეთში . | 0,3 | 70,0 | 27,6 | 2,1 | — | 100 |
| | V. სამხრეთ-ოსეთი: | | | | | | |
| 36 | ცხინვალი . . . . . . | 2,7 | 58,2 | 38,8 | 0,3 | — | 100 |
| | საერთოდ საქართველოში. | | 78,8 | 17,5 | 1,4 | 0,1 | 100 |

აქაც მოვიქცეთ ისევე, როგორც ვატერკლოზეტიან ბინებში. დაუკავშიროთ უკანასკნელი ტაბულა მე-42 ტაბულას. რაიც მეტად საყურადღებო დასკვნების საშუალებას მოგვცემს.

მაშინ, როდესაც მთელს რესპუბლიკაში ბინათა საერთო რიცხვის 3,9 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 70,1 პროც.—პირველ სართულში, 22,6 პროც. -მეორე სართულში, 3,2 პროც.—მესამე სართულში და 0, 2 პროც.—მეზონინში (იხილე თავი III, გვერდი 114, ტაბულა 42), ამავე დროს, როგორც უკანასკნელი ტაბულიდან ვხედავთ, საერთოდ მთელს რესპუბლიკაში ცალკე ფეხისადგილიან ბინათა საერთო რიცხვს უკვე 2,2 პროც. სარდაფში და ნახევარ სარდაფშია მოთავსებული, 78,8 პროც-ი—პირველ სართულში, 17,5 პროც-ი —მეორე სართულში, 1,4 პროც-ი—მესამე სართულში და, ბოლოს, 0,1 პროც.—მეზონინში.

ამნაირად, აქ უკვე ვხედავთ, რომ ყველაზე უზრუნველყოფილი ცალკე ფეხისადგილის მხრივ პირველ სართულში მოთავსებული ბინებია. მეორე და მესა-

ვე სართულში მოთავსებულ ბინათა პირობები აქ სრულიად შეიცვალა; სხვანაირად: ამ სართულში მოთავსებულ ბინათა პროცენტები ცალკე ფეხისადგილით, საერთოდ ამავე სართულებში მოთავსებულ ბინათა პროცენტებთან შედარებით, დაეცა. მაგრამ ამისი მიზეზი უმთავრესად ტფილისის ბინებია, რომელნიც დიდს გავლენას ახდენენ არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ბინათა პროცენტებზე, არამედ, საერთოდ. საქართველოს მეორე სართულში მოთავსებულ ცალკე ფეხისადგილიან ბინათა პროცენტების დაცემაზეც, ვინაიდან აქ ცალკე ფეხისადგილის მაგიერ უმთავრესად ვატერკლოზეტია გავრცელებული. მაგალითად, ტფილისის შენობათა სარდაფში, ნახევარ სარდაფში, პირველ სართულში და მეზონინში მოთავსებული ვატერკლოზეტიანი ბინები ამავე ქალაქის ვატერკლოზეტიან ბინათა საერთო რიცხვის 41,7 პროცენტს შეადგენენ, ე. ი. უმცირესობას, ხოლო მეორე და მესამე სართულში მოთავსებული ვატერკლოზეტიანი ბინები შეადგენენ ვატერკლოზეტიან ბინათა საერთო რიცხვის 58,3 პროც., ე. ი. უმრავლესობას. ახლა, თუ დაუკვირდებით ცალკე ფეხისადგილიან ბინებს ტფილისშივე, სულ სხვა სურათს მივიღებთ: აქ ცალკე ფეხისადგილიან ბინებს უმთავრესად პირველ სართულში მოთავსებული ბინები იძლევიან, სხვანაირად: ცალკე ფეხისადგილიან ბინათა საერთო რიცხვის 70,9 პროც. შეადგენენ სარდაფში, ნახევარ სარდაფში, პირველ სართულში და მეზონინში მოთავსებული ბინები, ხოლო უმცირესს რიცხვს—მეორე და მესამე სართულში მოთავსებული ბინები—29,1 პროც.

ახლა ვნახოთ, ამ მხრივ, რა პირობებში არიან ბინები საქართველოს სხვა კუთხეებში.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით) ცალკე ფეხისადგილით განსაკუთრებით უზრუნველყოფილია პირველ სართულში მოთავსებული ბინები; თუ, საზოგადოდ, აქ ბინათა საერთო რიცხვის 81,0 პროც. პირველ სართულის ბინებია, ცალკე ფეხისადგილიან ბინათა საერთო რიცხვის უკვე 82.4 პროც-ს იმავე პირველ სართულში მოთავსებული ბინები გვაძლევენ, ე. ი., როგორც ვხედავთ, ცალკე ფეხისადგილიან ბინათა პროც. მაღლა სდგას, ვიდრე, საზოგადოდ, პირველ სართულში მოთავსებულ ბინათა პროც. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (ტფილისის გამოკლებით).

რაც შეეხება ტფილისის ცალკე ფეხისადგილიან ბინებს, როგორც ვთქვით, მდგომარეობა ძირიანად იცვლება, რომლის ძალითაც იცვლება პირობები საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც (ტფილისის ჩათვლით).

საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიაც, ე. ი. დასავლეთ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისით და უქუთაისოთ) და აჭარაში ცალკე ფეხისადგილით განსაკუთრებით უზრუნველყოფილია პირველ სართულში მოთავსებული ბინები. რაც შეეხება აფხაზეთის ქალაქებს და სამხრეთ ოსეთს, აქ უკვე ცალკე ფეხისადგილით განსაკუთრებით უზრუნველყოფილია მეორე სართულში მოთავსებული ბინები.

